მაია ჩეჩელაშვილი
ნინო შავიშვილი

ეკონომიკის ისტორია

თბილისი 2017

მაია ჩეჩელაშვილი
ნინო შავიშვილი

ეკონომიკის ისტორია

ამ ნაშრომს უდიდესი მადლიერების გრძნობით
ვუძღვნით ჩვენი დაუვიწყარი დედების,
ნინო ზაზაშვილისა და მარიამ ხურცილავას ნათელ ხსოვნას

ავტორები

ISBN 978-9941-27-186-1

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია მსოფლიოს მეურნეობრიობის განვითარების ისტორია პირველყოფილი თემური წყობილებიდან XXI საუკუნემდე. ავტორების მიერ განხილულია საკითხების ფართო წრე, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში ჩამოყალიბებულ თანამედროვე შეხედულებებს. გარდა ამისა, ავტორებს გადმოცემული აქვთ საკუთარი ორიგინალური მოსაზრებანი მსოფლიოს მეურნეობრიობის ზოგიერთი საკითხის ირგვლივ, რაც აადვილებს ეკონომიკაში დღეს მიმდინარე მოვლენების უკეთეს აღქმასა და გაგებას.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს ეკონომიკის ისტორიის ცალკეული საკითხებისა და პრობლემების მკვლევარებს, მეცნიერებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს. გარდა ამისა, იგი საინტერესო გახდება ეკონომიკის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი
ევგენი ბარათშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები:

გურამ ჯოლია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბადრი გეჩბაია,
ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

ანა ბოლქვაძე,
ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნეს ფაკულტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტის სხდომაზე წინამდებარე ნაშრომს მინიჭებული აქვს სახელმძღვანელოს სტატუსი (02 მაისის 2017 წლის სხდომის ოქმი №5).

შინაარსი

მკითხველისადმი.....8
თავი 1. ეკონომიკის ისტორია, როგორც მეცნიერება
§ 1. ეკონომიკის ისტორიის საგანი.....21
§ 2. თანამედროვე ეკონომიკის ასაკი და ქვის ტექნიკის მწარმოებლურობა.....24
§ 3. ტოპოლოგიური ფაქტორები.....26
თავი 2. კაპიტალისტურამდელი მეურნეობის ტიპები
§ 1. მომთაბარე მესაქონლეობა.....36
§ 2. მთიელეთა დასახლების ეკონომიკა.....39
§ 3. საირიგაციო სისტემები (მდინარული ციკლი).....40
§ 4. მეურნეობის ანტიკური სისტემა. მონათმფლობელური ეკონომიკის წარმოქმნა.....46
§ 5. ფეოდალური მეურნეობის სისტემა. ფეოდალური ეკონომიკის არსი.....48
თავი 3. კაპიტალისტური ეკონომიკის გენეზისი. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები.....80
§ 1. მსოფლიო ბაზარი.....83
§ 2. კაპიტალისტური მეურნეობის ჩასახვა დასავლეთ ევროპაში. ძვრები ტექნოლოგიურ სფეროში.....89
თავი 4. დასავლეთ სამყაროს ინდუსტრიალიზაცია. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში.....96
§ 1. ინგლისის ჰეგემონია მსოფლიო ვაჭრობაში და ვაჭრობის თავისუფლება.....99
§ 2. ინდუსტრიალიზაციის თავისებურებები საფრანგეთში.სამრეწველო გადატრიალების

სპეციფიკა.....103
§ 3. მანქანური ინდუსტრიის ჩამოყალიბება
გერმანიაში ეკონომკური ჩამორჩენილობა
XIX ს–ის შუაწლამდე.....109
§ 4. აშშ ინდუსტრიალიზაციის თავისებურებები
კოლონიური მეურნეობა.....115
**თავი 5. მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში
განვითარების ძირითადი ტენდენციები
(XIX-XX საუკუნეები). მეცნიერულ-ტექნიკური
პროგრესი 124**
§ 1. ეკონომიკის მონოპოლიზაცია.....129
§ 2. აშშ-ს გადაქცევა მსოფლიოს პირველ
ინდუსტრიულ ქვეყნად.
საწარმოო სტრუქტურის ცვლილებები.....132
§ 3. გერმანია-მსოფლიოს მეორე სამრეწველო
ქვეყანა, სამეურნეო აღმავალობის ფაქტორები.....137
§ 4. ინგლისის მიერ სამრეწველო ჰეგემონიის
დაკარგვა. სამრეწველო ჩამორჩენის
მიზეზები.....143
§ 5. კაპიტალის გატანა.....145
§ 6. საფრანგეთის ეკონომიკური ჩამორჩენა.....147
§ 7. იაპონიის მოდერნიზაცია. მეურნეობის
გარდაქმნა.....154
§ 8. კაპიტალისტური გარდაქმნები რუსეთში.....158
§ 9. I მსოფლიო ომის (1914–1918 წწ)
ეკონომიკური შედეგები.....161
**თავი 6. ეკონომიკური ძვრები წამყვანი
კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში
XX საუკუნის მეორე ნახევარში. უმთავრსი
ეკონომიკური ცვლილებები ომთა შორის**

პერიოდში (1919–1939წწ) 164
§ 1. II მსოფლიო ომის ეკონომიკური შედეგები (1939–1945წწ).....167
§ 2. „ცივი ომის“ ეკონომიკური შინაარსი.....171
§ 3. სამეცნიერო–ტექნიკური რევოლუციის ეკონომიკური შედეგები.....173
§ 4. კოლონიური სისტემის დაშლის შედეგები (XIX-XX საუკუნეებში).....175
§ 5. საერთო ბაზარი და ევროკაშირი.....180
§ 6. დასავლეთის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები XX საუკუნის მეორე ნახევარში.....182
§ 7. ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებები.....186
თავი 7. სოციალისტური სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირში 192
§ 1. ეკონომიკის ტოტალური მილიტარიზაცია.....197
§ 2. გარდაქმნა („პერესტროიკა“).....203
§ 3.„პერესტროიკის“ კრიზისი და სსრკ დაშლა.....208
ბოლოთქმა.....218
სახალისო ტესტირება.....220
გამოყენებული ლიტერატურის სია.....243
ავტორების შესახებ.....246

მკითხველებისადმი

ეკონომიკის ისტორია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი XIX საუკუნის შუა წლებში ჩაისახა, გამოეყო რა პოლიტიკურ ეკონომიას. მის სათავეებთან ინგლისელი მეცნიერები ა. ტოინბი და ჯ. ეშლი, გერმანელი მეცნიერები კ. ბიუჰერი, მ. ვებერი და ვ. ზომბარტი, რუსი მეცნიერები მ.კოვალევსკი და დ. ვინოგრადოვი იდგნენ. სხვადასხვა ქვეყანაში მას განსხვავებულ სახელებს არქმევდნენ: მაგალითად, „სამეურნეო ყოფაცხოვრების ისტორია“, „სახალხო მეურნეობის ისტორია“, „ეკონომიკური ისტორია“ და სხვა. დასახელების ასეთი ვარიატიულობა მეცნიერების საგნისადმი სხვადასხვა მიდგომითაა განპირობებული. ზოგი მეცნიერი განიხილავს ეკონომიკის ისტორიას, როგორც წარმოების მრავალფეროვნების შემსწავლელ მეცნიერებას ცივილიზებული კაცობრიობის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე.

მაგალითად, ვ. სემუელსი თვლიდა, რომ მეურნეობრიობის ისტორია წარმოადგენს მწარმოებლური ძალების შემსწავლელ მეცნიერებას და მისი ინტერესის სფეროში შედის მათი ფორმების, დროსა და სივრცეში განაწილების შესწავლა.

ამერიკელი მეცნიერი მაკკლოსკი თვლიდა, რომ ეკონომიკის ისტორიის საგანზე მსჯელობა შესაძლებელია ფართო და ვიწრო გაგებით. მისი აზრით, ეკონომიკის ისტორიის ფართო გაგება არის თვით საზოგადოების

ეკონომიკური მოძრაობა, მისი ცვლილებების თავისებურებანი, ამ მოძრაობის კანონზომიერებათა ტრანსფორმაცია და მისი კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარესთან. ვიწრო გაგებით, ეკონომიკის ისტორია წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა სამეურნეო საქმიანობა, მათი საწარმოო ძალების განვითარება, წარმოების საშუალებათა ცვალებადობა.

დ. ქოლანდერი განასხვავებს „ეკონომიკურ ისტორიას“ „ეკონომიკის ისტორიისგან“ და თვლის, რომ ეს უკანასკნელი პირველის ორგანული შემადგენელი ელემენტია ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ეკონომიკური აზრის ისტორიასთან ერთად. ეს მეტად საყურადღებო მოსაზრებაა და ჩვენ მას ნაწილობრივ ვიზიარებთ.

ამავდროულად, ამ ნაშრომის ავტორებისათვის ეკონომიკის ისტორია წარმოადგენს მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ხალხთა ეკონომიკურ ცხოვრებას მთელი მისი მრავალფეროვნებით უძველესი დროიდან დღემდე. გამოკვლევის საგნად და ანალიზის ობიექტად ჩვენ გვევლინება ეკონომიკური მოდელები (ტიპები), რომლებსაც ადამიანი ირჩევს საკუთარი სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციისათვის, ადამიანის მიერ შექმნილი ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების, ურთიერთქმედებისა და ურთიერთზეგავლენის მექანიზმი. ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, საშუალებას გვაძლევს, შევინარჩუნოთ ისტორიული პროცესის მემკვიდრეობითი

ხასიათი და, ამავდროულად, ვაჩვენოთ მისი განვითარების მულტივარიატულობა.

გვინდა შევეხოთ ისტორიის პერიოდიზაციის მნიშვნელოვან საკითხსაც, რომელიც ბევრ დისკუსიას იწვევს ისტორიოგრაფიის მეცნიერებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ისტორიოგრაფებს შორის შეთანხმებული და ერთიანი პოზიცია დღემდე არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობდა XIX და XX საუკუნეებში.

მაგალითად, გერმანელი ისტორიკოსი და ეკონომისტი, ისტორიულ-ეკონომიკური მეცნიერების ერთერთი ფუძემდებელი და გერმანული ისტორიული სკოლის დამაარსებელი ფ. ლისტი, ეყრდნობა რა ისტორიის პერიოდიზაციისადმი დარგობრივ მიდგომას, გამოყოფს ხუთ სტადიას:

- ველური,
- მწყემსობის,
- მიწათმოქმედების,
- მიწათმოქმედ-მანუფაქტურული,
- მიწათმოქმედ-მანუფაქტურულ-კომერციული.

ბ.გილდებრანტმა, ლისტის მიმდევარმა მეცნიერმა, ეკონომიკის განვითარების პერიოდები დაადგინა პროდუქციის გაცვლის სახეების მიხედვით:

- ბუნებრივი მეურნეობა,
- ფულადი მეურნეობა,
- საკრედიტო მეურნეობა.

კ. ბიუხერისთვის უმთავრეს კრიტერიუმად იქცა გაცვლის ინტენსივობა, რის საფუძველზეც ადამიანის მეურნეობრიობის ისტორია სამ პერიოდად:

- ჩაკეტილი შინამეურნეობა (მეურნეობრიობა გაცვლის გარეშე),
- ქალაქური მეურნეობა (საქონლის უშუალო გაცვლა),
- სახალხო მეურნეობა (საქონელი გაივლის გაცვლის რამდენიმე აქტს მანამ, სანამ მომხმარებლამდე მიაღწევს).

რუსი მეცნიერი პ. მასლოვი თვლიდა, რომ განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა ხდება ექსტენსიური განვითარების შემდგომი შესაძლებლობების ამოწურვის გამო. მან გამოყო ეკონომიკის განვითარების ხუთი სტადია:

- იზოლირებული მეურნეობა,
- თემური მეურნეობა (ხელოსნობის ჩასახვა),
- რაიონული მეურნეობა (ქალაქსა და სოფელს შორის გაცვლის გაფართოება),
- ეროვნული მეურნეობა (მანუფაქტურების გაჩენა),
- მსოფლიო მეურნეობა (ფაბრიკების გაბა-ტონება).

კ. მარქსმა შექმნა სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პერიოდიზაციის ფორმაციული თეორია. იგი განასხვავებდა პირველად (არქაიკულ), მეორად (ეკონომიკურ) და მესამეულ (კომუნისტურ) ფორმაციებს. პეიოდიზაციას მან საფუძვლად დაუდო საკუთრების ფორმა, რომელსაც თვლიდა წარმოების წესის ბაზად. წარმოების წესად მარქსს

მიაჩნდა საკმაოდ დასრულებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს საზოგადოებრივი ფორმაციების შიგნით. აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თავის თანამედროვე ბურჟუაზიულ სისტემებს მარქსი მეორეულ ფორმაციას მიაკუთნებდა.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ისტორიის (მათ შორის ეკონომიკის ისტორიის) შემსწავლელი მეცნიერები სულ უფრო ემხრობიან ე.წ. ცივილიზაციურ მიდგომას. ტერმინი ცივილიზაცია აღნიშნავს საზოგადოების განვითარების განსაზღვ-რულ დონეს, რომელიც დადგა ველურობისა და ბარბაროსობის ეპოქის შემდეგ. ცივილიზაციის მთავარ მახასიათებლად ითვლებოდა დამწერლობის, ქალაქების, კლასებისა და სახემწიფოს გაჩენა. მაგრამ საყოველთაოდ მისღებული ცნებისათვის დღემდე ვერ მოხერხდა ყველასათვის მისაღები ყოვლისმომცველი განმარტების მიცემა.

თანამედროვე მკვლევარები გვთავაზობენ მსოფლიო ცივილიზაციების გარჩევას ლოკალურისგან და განმარტავენ პირველს, როგორც ისტორიული განვითარების ხანგრძლივ ციკლებს, რომლებიც მოიცავს ქვეყნებსა და რეგიონებს; ხოლო მეორეს - როგორც შედარებით მოკლე ისტორიულ ციკლს, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე ქვეყანას, რომელთაც საერთო სპეციფიკა გაჩნია. ამდენად, მეცნიერები ცდილობენ, ცივილიზა-ციური მიდგომის მთავარი ნაკლოვანების აღმოფხვრას,

რომელიც ანაწევრებს ადამიანების ერთობლივი ისტორიის ერთიანობას.

საქართველოში ცივილიზაციათა ისტორიისადმი წარმოშობილი განსაკუთრებული ყურადღება ბუნებრივია და, ჩვენი აზრით, აიხსნება საბჭოური დროის საზოგადოებათმცოდნეობის იდეების კრიზისით. ქართველი მეცნიერები მიისწრაფიან, მარქსისტული ფორმაციული კონცეფცია ჩაანაცვლონ ახალი თეორიებით, რომელიც ცივილიზაციურ მიდგომას ეფუძნება. მაგრამ ამავდროულად აღვნიშნავთ, რომ ახალი, მოდური კონცეფციებით გატაცებას ყოველთვის არ მოყვება წარმატება. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ „ძველი“, ფორმაციული და „ახალი“, ცივილიზაციური მიდგომები ურთიერთგა-მომრიცხავნი კი არა, ურთიერთშემავსებელნი არიან.

ცივილიზაცია ჯერ კიდევ ა. თოინბიმ განსაზღვრა, როგორც ადამიანთა საზოგადოებების განვითარება არსებობის პრიმიტივიზმიდან თავის დაღწევისა და კულტურის უფრო მაღალი დონისაკენ ლტოლვის გზაზე. აქედან გამომდინარე, **ჩვენი აზრით, ცივილიზაცია არის საზოგადოების პროგრესიული მოძრაობა მარტივიდან რთულისკენ, ხოლო ფორმაცია - ცივილიზაციის საფეხურია, რომელიც დროთა განმავლობაში ჩანაცვლდება უფრო ახლითა და პროგრესულით.** დასავლურ თანამედროვე ლიტერატურაში ცივილიზაციური ფაქტორი არ განიხილება, როგორც ისტორიული მოცემულობა; პირიქით,

მიჩნეულია, რომ ეს არის მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განსაზღვრავს განვითარებას.

ფრანგი ისტორიკოსი ფ. ბროდელი წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას, როგორც „საზოგადოებებისა და ეკონომიკების ცვალება-დობას“ და ამ ცვლილებაში ხედავს კაცობრიობის განვითარების რითმს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ა. პენტიმ პირველად განსაზღვრა კაცობრიობის მომავალი, როგორც პოსტინდუსტრიული ცივილიზაცია. 50-70-იან წლებში დასავლელმა სოციოლოგებმა შეიმუშავეს პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია, რომელმაც კაცობრიობის ისტორია გაყო ინდუსტრიულამდელ (აგრარულ), ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებად. დ. ბელის თანახმად, ინდუსტრიული საზოგადოება პოსტინდუსტრიულისგან განსხვავდება:

- რესურსების დომინირებადი ტიპით,
- დომინირებადი რესურსის გამოყენების მეთოდით,
- ტექნოლოგიებით, რომელიც ეფუძნება კაპიტალს, შრომასა და ცოდნას,
- ადამიანის სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან დამოკიდებულების ხასიათით.

ამავდროულად, ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩამოყალიბების პროცესშია ეკონომიკური სისტემების თეორია, რომელიც კაცობრიობის ისტორიას განიხილავს, როგორც მეურნეობრიობის მხოლოდ ორი ტიპის

მოდიფიკაციას: ცენტრალიზებულად მართულს და დეცენტრალიზებულს, ანუ საბაზროს.

ამდენად, როგორც დავინახეთ, თანამედროვე ისტორიულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს მეცნიერების საგნის ერთიანი განმარტება და ეკონომიკის ისტორიის საყოველთაოდ აღიარებული პერიოდიზაცია.

თანამედროვე ეკონომიკის ისტორია, როგორც ჰუმანიტარული ცოდნის დარგი, გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც დაანგრია ძველი, თითქოსდა უცვლელი, მყარზე მყარი ღირებულებები, უჩვენა არსებული ეკონომიკური თეორიებისა და შეხედულებების არასრულ-ყოფილება. ამის საფუძველზე კი წარმოიშვა საზოგადოებისა და მეცნიერების ცხოველი ინტერესი კაცობრიობის ეკონომიკური წარსულის მიმართ.

დღეს ისტორიულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში წარმოდგენილია ორი სკოლა, ორი ცენტრი. პირველი შეიქმნა აშშ-ში და შემდგომ განვითარდა დიდ ბრიტანეთში გასული საუკუნის 60-იან წლებში, ამ სკოლას „ახალი ეკონომიკური ისტორია“ ეწოდება და იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ თეორიასთან, ეკონომიკურ-მათემატიკური რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებასთან და ძირითადად იკვლევს ეკონომიკური ზრდის პრობლემებსა და ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ტენდენციებს. მის ჩარჩოებში ვითარდება „ისტორიული ეკონომიკა“, რომელიც სწავლობს

ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ფაქტორისა და ელემენტის ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე.

კონტინენტურ ევროპაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩასახული ფრანგული „ახალი ისტორიული მეცნიერება“, რომელსაც სხვაგვარად „ანნალების სკოლას“ უწოდებენ. მისი ფუძემდებლები არიან მ.ბლოკი და ლ. ფევრი, რომლებმაც წარმოადგინეს ისტორიული კვლევის ახალი პრინციპი „ისტორია-პრობლემა“. მან ჩაანაცვლა ისტორიოგრაფიაში მიღებული თხრობითი პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, ისტორიკოსი წარსულს იმ შეკითხვებს უსვამს, რომლებიც დღეს არის აქტუალური.

80-90-იანი წლებში ეკონომიკის ისტორია, როგორც სამეცნიერო ცოდნის დარგი, არსებობდა, როგორც სოციალური ისტორიის, თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკების დამხმარე და თანმდევი ცოდნა. ისტორიულ პრობლემებისადმი ინტერესის ზრდა დადასტურდა იმით, რომ 1993 წელს ამერიკელ მეცნიერებს, რ. ფოგელსა და დ. ნორტს ისტორიის შესწავლის ეკონომიკური მეთოდების შემუშავებისათვის ნობელის პრემია მიენიჭათ.

ეკონომიკის ისტორია, ან ეკონომიკური ისტორია - ეს არის დამოუკიდებელი მეცნიერება და იგი წარმოადგენს ცოდნის განვითარებად სისტემას, რომელიც შემეცნებისათვის იყენებს როგორც ეკონომიკურ, ასევე ისტორიულ მეთოდებს. იგი ეკონომიკურ თეორიასთან მჭიდრო კავშირში ვითარდება. ისტორიულ-ეკონომიკური

მასალა ან ადასტურებს ამა თუ იმ თეორიას, ანდა წარმოადგენს მისი შეცდომებისა და ნაკლოვანებების კრიტიკის საფუძველს. ამავე დროს, კარგად შესწავლილი, სისტემატიზებული, გაანალიზებული ფაქტები შეიძლება გახდეს ახალი ეკონომიკური თეორიის წარმოშობის საფუძველი.

ეკონომიკის ისტორია წყვეტს პროგნოზირების გარკვეულ ამოცანას. მართლაც, ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის შესწავლისას აუცილებელია არა მარტო მისი ზუსტი შინაარსის დადგენა, არამედ სამომავლო განვითარების განჭვრეტაც, ამის გაკეთება კი მხოლოდ წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. ეკონომიკა არის პროცესი, ხოლო მიმდინარე საქმიანობა ამ პროცესის მხოლოდ ერთ მომენტს წარმოადგენს. ნებისმიერ ეკონომიკურ მოვლენას გააჩნია ისტორიული ფესვები, ამის მხედველობაში არმიღება გამორიცხულია, განსაკუთრებით მსოფლიოში ახალი ეკონომიკური წესრიგის შექმნის პერიოდში.

გვინდა შევეხოთ ეკონომიკის ისტორიის მნიშვნელობას, რომელიც მას აქვს ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტების საერთო პროფესიული და სპეციალური მომზადებისათვის, ვინაიდან ამ კურსის შესწავლის საგანს სხვადასხვა ხალხების განსხვავებულ ისტორიულ ფორმაციაში განხორციელებული სამეურნეო საქმიანობა და ეკონომიკის კომპლექსური განვითარება წარმოადგენს.

ეკონომიკის ისტორია არის მოძრაობის, ცვალებადობისა და ეკონომიკურ სტრუქტურაში განხორციელებული ძვრების ისტორია, რადგან იგი გამოიყენება წარსულისა და მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის შესწავლისათვის. დ.მაკკლოსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ეკონომისტი, რომელიც დახტის მხოლოდ ეკონომიკურ ფეხზე და არ იყენებს მეორეს, ისტორიულს, გამოირჩევა შეხედულებათა სივიწროვით, აზროვნებს მხოლოდ მიმდინარე წვრილმანი ეკონომიკური იდეებით, არ გააჩნია ეკონომიკური მოცემულობის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებისა და მსხვილი პრობლემების ეკონომიკური ანალიზის უნარი.“

ეკონომიკის ისტორიის ამოცანებად მიგვაჩია მომავალი ეკონომისტების თვალსაწიერის გაფართოება და მათი ეკონომიკური კულტურის ფორმირება. ეკონომისტი, მმართველი, მენეჯერი უნდა აცნობიერებდნენ, რომ ისტორიამ უკვე მრავალი სამეურნეო ექსპერიმენტი ჩაატარა. მიუხედავად იმისა, შეიძლება თუ არა ეკონომიკის ისტორიის ეკონომიკური კანონების უშუალო შემოწმებისათვის, ანდა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის გამოყენება, იგი მაინც წარმოადგენს კაცობრიობის კოლექტიურ მახსოვრობასა და გვევლინება უამრავი თაობის მიერ დაგროვილ სიბრძნის წყაროდ.

ეკონომიკის ისტორიას არა მხოლოდ მსოფლმხედველობრივი, არამედ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული ფუნქცია გააჩნია - იგი ასწავლის

მმართველებს, ეკონომისტებსა და მენეჯერებს, რომ მათ მიერ მიღებულ ნებისმიერ სამეურნეო გადაწყვეტილებას გააჩნია არა მხოლოდ რაოდენობრივი და ღირებულებითი, არამედ კონკრეტული პოლიტიკური და მორალური ფასიც.

ამდენად, სწავლების პროცესში, ეკონომიკის ისტორია ასრულებს რიგ მნიშვნელოვან ფუნქციას:

- კონკრეტული მაგალითებით ეხმარება პიროვნებას ეკონომიკური ტერმინოლოგიის გაგებასა და ათვისებაში;
- აყალიბებს ეკონომიკურ აზროვნებას, ანიჭებს მას რეალიზმს და სძენს ისტორიულობასა და მასშტაბს.

ცხადია, ეკონომისტებისა და მენეჯერების მომზადებისას არ არის აუცილებელი ეკონომიკის ისტორიის როლის გადაჭარბებული შეფასება, როგორც ამას გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლები აკეთებდნენ, აცხადებდნენ რა, რომ ეკონომიკის შესწავლისას სწორედ ისტორია უნდა ყოფილიყო შესწავლის დომინანტური საგანი; მაგრამ, ამავდროულად, არ შეიძლება მისი როლის ეკონომიკური და მმართველობითი სასწავლო კურსების „თანმდევი“, „დამატებითი“ დისციპლინის სტატუსამდე დაკნინებაც.

ნიშანდობლივია, რომ საზღვარგარეთის უმრავლეს უმაღლეს სასწავლებელში ეკონომიკის ისტორიის კურსი გახდა არა მხოლოდ მომავალი ეკონომისტების, არამედ იურისტების, პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების პროფესიული მომზადების შემადგენელი ნაწილი. ეს

დაკავშირებულია ეკონომიკის ისტორიის ინტერდისციპლინარულ ხასიათთან. გარდა ამისა, ამ მეცნიერების კვლევის საგანი განლაგებულია სოციალური ისტორიის, ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური აზრის ისტორიისა და კონკრეტული ეკონომიკური მეცნიერებების გადაკვეთის არეში, რაც იძლევა საშუალებას, გავეცნოთ სხვადასხვა მოვლენას, რომელიც ცდება ეკონომიკური საკითხების ჩარჩოს.

დასასრულ, წარმატება გვინდა ვუსურვოთ მათ, ვისაც სურს ეკონომიკის ისტორიის შესწავლა, ხოლო მათ, ვინც საკუთარ მოსაზრებებსა და საქმიან შენიშვნებს მოგვაწვდის, წინასწარ მოვიხსენიებთ მადლიერების გრძნობით. შემდგომ გამოცემაში დაგეგმილი გვაქვს ნაშრომის გაფართოება, ანუ ისტორიული პერიოდიზაციის უფრო პატარა მონაკვეთების გაშუქება. სავარაუდოდ მოხერხდება დიდი და მნიშვნელოვანი თავის - საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიის გაშუქება და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მისი შედარებითი ანალიზი.

მაია ჩეჩელაშვილი
ნინო შავიშვილი

თავი 1. ეკონომიკის ისტორია, როგოც მეცნიერება

§ 1. ეკონომიკის ისტორიის საგანი

ეკონომიკის ისტორია შეისწავლის მეურნეობის განვითარებისა და წარმოშობის სხვადასხვა ტიპებს. სწორედ ტიპებს და არა საერთო კანონებს, ვინაიდან ამ კანონების აღმოჩენა ძალზე ძნელია. ერების უმეტესობას გააჩნია ეკონომიკის განსხვავებული ტიპები, რომელსაც, არც თუ უსაფუძვლოდ, ცივილიზაციები შეგივძლია ვუწოდოთ. თანამედროვე საქართველოში, მაგალითად, ფუნქციონირებს სახელმწიფო, კერძო, კოოპერატიული, აგრარული მეურნეობები, თანამედროვე სუპერმარკეტები, რომლებიც თანაარსებობს ბაზრის უძველეს ტიპებთან, შავ ბაზართან, თანამედროვე ფერმა – მესაქონლეობის არქაულ ტიპთან და ა.შ. ეკონომიკის მდგომარეობა განისაზღვრება მეურნეობის ტიპებს შორის ურთიერქმედებით. ერთგვარი ჰარმონიის შემხთვევაში, ყოველი ტიპი დამოუკიდბელად ვითარდება, ხოლო ეკონომიკა კი მხოლოდ იგებს ასეთი სიმბიოზის დროს. მაგრამ ცნობილია შემთვხევები, როცა ეკონომიკური მექანიზმებიდან ძალისმიერად განიდევნებოდა ესა თუ ის უკვე ჩამოყალიბებული ტიპი და შედეგად ეროვნული მეურნეობა ვითარდებოდა ცალმხრივად, რის გამოც დეფორმირდებოდა ცხოვრების სტილი. ათეულობით წლის განმავლობაში, თაობათა წვალებისა და უზარმაზარი დანაკარგების ფასად, ერი ისევ

უბრუნდებოდა მეურნეობის ჩვეულ ტიპს და აგრძელებდა ჰარმონიული განვითარების გზას.

არსებობს ემპირიულად დადგენილი კანონზომიერების მთელი რიგი, რომელიც ახასიათებს ეკონომიკის ტოპოლოგიას. მოვიყვანოთ რამოდენიმე მათგანი:

1. დადგენილია, მაგალითად, რომ მეურნეობის ნებისმიერ ტიპში, სადაც ცენტრალური ან ძირითადი როლი სახელმწიფო საკუთრებას ეკუთნის, მწარმოებლურობის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე იქ, სადაც ძირითადი ფორმას კერძო საკუთრება წარმოადგენს.
2. ეკონომიკის ნებისმიერ ტიპში, ყველა დროს, ყველაზე მაღალი ტემპებით სამხედრო წარმოება ვითარდება.
3. წაგებული ომების შემთხვევაში ნებისმიერი სახელმწიფო ძირეულად გარდაიქმნება (რევოლუციები, სიღრმისეული რეფორმები და ა.შ.).
4. ეკონომიკური განჭვრეტის ტალანტი ძალზე იშვიათი ბუნებრივი მონაცემია და ა.შ.

ანტიკური სამყაროდან დღემდე ეკონომკის ისტორია სავსეა გამოჩენილ მმართველთა უხეში შეცდომებით, ანტიკური სამყაროდან დღევანდელ დღემდე ფუნქციონირებს სპეციალური დაწესებულებები, რომელიც პროგნოზირებითაა დაკავებული – იქნება ეს დელფოსის ტაძარი ანტიკურ საბერძნეთში თუ „რენდ კორპორეიშენი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეკონომისტებისთვის აუცილებელია მეურნეობის სხვადასხვაგვარი ტიპის ცოდნა, რათა ეძებონ ანალოგები, პრეცენდენტები, გააანალიზონ ისინი და ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში გამოიყენონ ეკონომკის ისტორიის უკვე ცნობილი ფაქტები და მოვალენები.

ეკონომიკის ისტორიის გაკვეთილების იგნორირებას სავალალო შედეგებამდე მივყავართ. მაგალითად, ლიტერატურაში დიდი ხნის წინ იქნა აღწერილი ხალხის გაყვლეფის მექანიზმი, რომელსაც ე.წ. ფინანსური „პირამიდა“ იყენებს. ეს არის შემთხვევა, როცა „პირამიდა“უზარმაზარ პროცენტს არიცხავს დეპოზიტს, მაგრამ მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ანაბრების რაოდენობა ფარავს გადასახდელი პროცენტის ჯამურ თანხას. სულ რაღაც 15-20 წლის წინ საქართველოში „პირამიდების“ მსხვერპლი ათასობით ადამიანი გახდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ახალი მეანაბრეებისათის, იგივე შეცდომა ჩაედინათ (ფინანსური ორგანიზაცია „საქართველო“). ალბანეთში, მაგალითად, 1997 წელს „პირამიდის“ მიერ მოტყუებულმა ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი და საჭირო გახდა საერთაშორისო ძალების შეყვნა სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად.

სხვა სიტვყებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის ისტორია გვაჩვენებს, რომ ნებისმიერი სამეურნეო გადაწყვეტილების უკან დგას ხალხი და მათი ბედიღბელი.

§ 2. თანამედროვე ეკონომიკის ასაკი და ქვის ტექნიკის მწარმოებლურობა

მიღებულია ჩაითვალოს, რომ ეკონომიკა იმდენი წლისაა, რამდენი წლისაცაა თანამედროვე ადამიანი, ანუ კრომანიონელი. მაშასადამე, იგი დაახლოებით 40000 წლისაა. მაგრამ კრომანიონელამდეც ცხოვრობდა ჩვენს პლანეტაზე ადამიანი, ეს იყო პითეკანტროპი (500 ათ. წ) და ნეანდერტალელი (დახლოებით 200ათ.წ), რომლებიც ქვის ტექნიკას იყენებდნენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ნეანდერტალელები ერთი პერიოდი პითეკანტროპებთან თაანარსებობდენენ კიდეც, მაგრამ არავითარ შემთვხევაში არ იყვნენ მათი შთამომავლები, რადგან ძვლოვანი ნარჩენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ სრულიად განსხვავებული ტიპი (გენთა ერთობლიობა) ჰქონდათ. კრომანიონელიც არაა ნეანდერტალელის შთამომავალი, ე.ი. მას ნეანდერტალელთა მეურნეობა არ გაუგრძელებია. მან იგი ახლიდან, „სუფთა ფურცლიდან“ დაიწყო, მაშასადამე თანამედროვე ეკონომიკის ასაკი შეიძლება განისაზღვროს 40 ათასი წლით.

არქეოლოგებმა ზუსტად აითვისეს პირველყოფილი კრომანიონელის მიერ წარმოებული შრომის იარაღების ტექნოლოგია. ექსპერიმენ-ტულადაა დადგენილი, რომ ქვის, ძვლისა და ხის შრომის იარაღების მწარმოებულურობა ბევრად უფრო მაღალი ყოფილა, ვიდრე აქამდე გვეგონა. ქვის ცულის წამოება-დამზადებაზე იხარჯებოდა არა

ათწლეულები, როგორც ეგონათ, არამედ რამოდენიმე საათი. ახალგაზდა ხის მოჭრა (დიამეტრი 10 სმ) ამ ცულით არა საათებს, არამედ ერთ წუთს საჭირეობდა, ხოლო მთლიანი ხისგან 4 მეტრიანი ნავის გამოჩორკნაზე კი წლების ნაცლად, მხოლოდ 10 დღე იყო საჭირო და ა.შ. გარდა ამისა, ქვის იარაღები არა ერთჯერადი, არამედ მრავალჯერადი მოხმარების იყო და რემონტსაც კი ექვემდებარებოდა.

ექსპერიმენტის შედეგები გვიჩვენებს, რომ კრომანიონელი დილიდან საღამომდე კი არ მუშაობდა ლუკმა–პურის მოსაპოვებლად, არამედ, ძალზე მწარმოებულური შრომის შედეგად, ბევრი თავისუფალი დროც კი გააჩნდა. უარყოფილია მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს კანიბალიზმი გაჩნდა ტოტალური შიმშილის დროს ცილებზე ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; აგრეთვე უარყოფილია მოსაზრება, თითქოს კრომანიონელის რკინის ტექნკა მხოლოდ მწარმოებლურობის გსაზრდელად დასჭირდა. სინამდვილეში კრომანიონელის ხე-ქვის ტექნიკა სრულიად უზრუნველყოფდა მისთვის გარკვეულ გაფართოებულ კვლავწარმოებას. მაშასადამე, ლითონის მოხმარებაში შეტანას შეიძლებოდა ქონოდა მხოლოდ ომის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დანიშნულება.

§ 3. ტოპოლოგიური ფაქტორები

ადამინის, როგორც ბიოლოგიური სახეობის, ბუნებრივი ცხოვრების წესი არის შემგროვებლობა, სწორედ ესაა ადამიანის სახალხო მეურნეობის ქრონოლოგიურად პირველი ტიპი. ტროპიკულ ტყეებში დღესაც ცხოვრობენ ტომები, რომელთა მეურნეობაც ამ დონეზევეა დარჩენილი; თუმცა, შეიძლება მათ უბრალოდ მოუხდათ დაბრუნება შემგროვებლობასთან, როცა მტრის მიერ უწიერ ჯუნგლებში იყვნენ შევიწროვებულნი.

პირველყოფილი თემების აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა დროს მეუნეობის ამა თუ იმ მწარმოებლურ ტიპებზე გადავიდნენ. არჩევანი შემდეგი იყო: მონადირეობა, მომთაბარეობა, მესაქონლეობა, მემცენარეობა.

ზოგიერთი თემი დღემდე დარჩა მწარმოებლური მეურნეობის პირველ ეტაპზე. არიან მიწათმოქმედი ერები, რომლებიც სასოფლო–სამერუნეო კულტურების ერთობლიობით, წარმოების ტექნოლოგიითა და მოსავლიანობით შორს არ წასულან თავიანთი პირველყოფილი წინაპრებისაგან. კოლექტიური ნადირობა დღესაც რჩება ზოგიერთი ეთნოსის (მაგალითად, აფრიკელი პიგმეების) მეურნეობის ძირითად სახეობად. ხოლო აფრიკის და აზიის ერების რიგი დღესაც ეწევა მომთაბარე მესაქონლეობას. ზოგიერთი ერი უფრო განვითარებული ერების მიერ დაპყრობისა და კოლონიზების შემდეგ,

ანებებდა თავს მამა–პაპათა ადათად ქცეული ცხოვრების წესს. მაგალითად თურქმენები, რომლებმაც რუსეთთან შეერთების შემდეგ თავი ანებეს მომთაბარეობას და წარმოების უფრო განვითარებული წესებს დაეუფლნენ, მათი მსგავსი და მონათესავე ეთნოსი პუშტუნები კი დღესაც მომთაბარეობენ ავღანეთის ტერიტორიაზე.

მეურნეობრიობის ტიპი და ამ ტიპის თავისებურებები ბევრადაა განპირობებეული სამი ფაქტორით: ერის ბუნებრივი მონაცემებით (თვითშეგნება, მენტალიტეტი), საცხორებელი გარემოთი (ეკოლოგია) და მეზობლებთან ურთიერთობით (გეოპოლიტიკა).

მენტალიტეტი

თუ საცხოვრებელი გარემო და მეზობლები შეიძლება შეიცვალოს მიგრაციის ან სხვა მოვლენის შედეგად, ბუნებრივი მონაცემების შეცვლა არავის და არაფერს არ ძალუძს. ერთნაირი გენოტიპის მატარებელი იდენტური ტყუპების ყოველმხრივი გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ცხოვრების სხვადასხვა წესის შექმნის დროსაც კი (მაგალითად, სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა ქვეყანაში აღზრდა) არათუ ორგანიზმს, არამედ ინტელექტსაც კი ვერ ცვლის, რადგან ინტელექტის 60% სწორედ გენოტიპი განაპირობებს.

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე საზოგადოების მმართველ წრეს გენეტიკურად აქვს გადაცემული ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს ფუნქციის ნიველირება (გენური

პათოლოგია). ეს ნიშნავს ისეთი ემოციების დაკარგვას, როგორებიცაა სიბრალული და თანაგრძნობა. რამოდენიმე ხნის მერე ჩნდება სოციოპათების თაობა, რომელთათვისაც ცხოვრების აზრს მხოლოდ ძალადობა წარმოადგენს. სოციოპათების გუნდი, რომელიც რომელიმე სოციალური დაჯგუფის, მაგალითად, პარტიის, ან, უარეს შემთვხევაში, ხალხის სათავეში დგას, საზოგადოებაში აუცილებლად დანერგავს აგრესიას, ძალმომრეობას, გადააქცევს ქვეყანას „ბოროტების იმპერიად“ (მაგალითად, ასურეთის სამხედრო სახელმწიფო ანტიკურ სამყაროში, ან ნაცისტური გერმანია XX საუკუნეში და ა.შ.).

მიუხედავად იმისა, რომ ერის მენტალიტეტი გენეტიკური ხასიათისაა, იგი გარკვეულწილად განიცდის ეროვნული ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური პირობების ზეგავლენას. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიის მენტალობამ ერთგვარი ცვლილებები განიცადა: თითქმის 50 წლის მანძილზე სოციალიზმში ცხოვრების პირობებში ისინი სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ (გენეტიკური შრომისმოყვარეობის მიუხედავად) წმინდა კაპიტალისტური ცხოვრების წესებს – დაძაბულ შრომას მაღალი ანაზღაურებით. რა თქმა უნდა, ახალი თაობები სრულიად ადაპტირებულები გაიზარდნენ და ოდნავი მენტალური სხვაობაც კი მალე წაიშლება.

ვინაიდან მეურნეობა იქმნება ხალხის მიერ და ხალხისთვის, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეკონომიკაც ისეთია, როგორიცაა ხალხი. ამის მაგალითი უამრავია.

კერძოდ: საფრანგეთი დიდი ხანია ცნობილია რანტიეების ფენის საკმაოდ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით, ისინი არ მუშაობენ და ცხოვრობენ პროცენტებზე, რომელიც ერიცხებათ სასესხო ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებზე. ასეთი შემოსავალი ხშირად არც თუ ისე დიდია, მაგრამ იგი გარანტირებულია, რაც შეესაბამება ფრანგული მენტალობის მოთხოვნებს, ანუ ანგარიშიანობას ყველა სფეროში, უწვრილესი გამორჩენის გათვალისწინებასა და ეკონომიკური რისკის მინიმუმამდე დაყვანას. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია სხვა მაგალითი: როცა ცნობილი გახდა, რომ ხარჯთაღრიცხვაში დაშვებული შეცდომის შედეგად ლამანშის გვირაბს მხოლოდ 2015 წლიდან შეუძლია მოგების მოტანა, აღოჩნდა, რომ ევროტუნელის აქციონერთა შორის 700 ათასზე მეტი ფრაგი იყო, იმდენად დიდია მათი ნდობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიმართ. კიდევ ერთი შემთვხევა: სათავეში მოსვლის შემდეგ რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა, ბ. ელცინმა, განაცხადა მზადყოფნა მეფის რუსეთის დროინდელი სესხის განაღდებისათვის. აღმოჩნდა, რომ ფრანგებს შენახული ქონდათ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ თაობებს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გამოშვებულ 500 ათასზე მეტ ობლიგაციას.

ალბათ ჩრდილოეთ ამერიკის ფანტასტიკურად ჩქარი განვითარების ტემპიც მენტალიტეტითაა განპირობებეული: სამხრეთ ამერიკის კოლონისტებს

წარმოადგენდნენ მეომრები, ხოლო ჩრდილო ამერიკის კოლონისტებს კი მშორომელები. კოლონიზაციის პერიოდში ეს კონტინენტი გახდა მსოფლოს სხვადასხვა კუთხიდან წამოსული ენერგიული და ინიციატივიანი ხალხის მიგრაციის საბოლოო მიზანი.

ერის თვითშეგნება შედუღაბებულია ერის მიერ მიღებული რელიგიითაც. ყოველი რელიგია, ე.ი. ყოველი კონფენსია თავისი საკუთარ სამეურნეო ეთიკის მატარებელია. პროტენსტანტული რელიგია, მაგალითად, აღიარებს, რომ ადამიანის საქმიანი წარმატება მეტყველებს მის ღმერთის მიერ რჩეულობაზე, ამდენად სტიმულს აძლევს მეწარმეობასა და ვაჭრობას. სწორედ ამიტომ ერებს, რომლებიც პროტესტანტულ სარწმუნოებას აღიარებენ, ბევრი ყავს ინჟინერი, მეწარმე, კვალიფიციური მუშა.

მაგრამ თუ პროტესტანტიზმს ახასიათებს კაპიტალისტური განვითარების სოციალურ–ეკონომიკური სტიმულირება დასავლურ სტილში (ე.წ. ვესტერნიზაცია), ზოგიერთი სარწმუნოება, პირიქით, აფერხებს მას. მაგალითად გამოდგება ისეთი კონფენსია, როგორიცაა ისლამი, მისი ყველაზე რადიკალური მიმდინარეობა - შიიზმი. ირანელებმა, მაგალითად, შიიტებისა და შიიზმის ზეგავლენით, უარი თქვეს ვესტერნიზაციაზე და აირჩიეს თეოკრატიული რეჟიმი, რომლის დროსაც რელიგია უშუალოდ მართავს საზოგადოებას. თანამედროვე მუსულმანური სამყაროში ფუნდამენტალიზმის გაძლიერება მიუთითებს იმაზე, რომ ისლამი და

ვესტერნიზაცია შეუთავსებელია. ამავდროულად იაპონიის, სინგაპურის, მალაიზიის, ტაივანის და სამხრეთ–აღმოსავლეთი აზიის სხვა ქვეყნების მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ ბუდიზმი, სინტოიზმი და სხვა კონფენსიები სრულიად ერწყმის ვესტერნიზაციის სამეურნეო სისტემას.

ეკოლოგია

ძალზე მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ფაქტორი. ბუნება თითონ განაპირობებს ნიადაგის ექსპლუატაციის მეთოდს.

მაგალითისათვის განვიხილოთ მიწის ნაყოფიერების აღდგენის პრობლემა, რომელიც მემცენარეობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ჩვეულებრივ მიწებზე ამისათვის საკმარისია შესაბამისი სასუქის შეტანა, დიდი მდინარეების ველებზე – საირიგაციო სისტემების მოწყობა, ტყისგან გაწმენდილ მიწებზე – ახალი ნაკვთების მუდმივი გასუფთავება ტყის მასივისგან და სხვა. საქმე იმაშია, რომ სამი ჩამოთვლილი მაგალითიდან სამივე მეურნეობის განსხვავებული ტიპია, ეს არის მელიორაციის სამი სახეობა.

მენტალიტეტისგან განსხვავებით, ეკოლოგიური ფაქტორი შეიძლება გახდეს პოტენციალი და მისი მოქმედება შორსაა ავტომატიზმისაგან. მაგალითად, ზოგიერთი რუსი მეცნიერი ასე ხსნის რუსეთის სასოფლო–სამეურნეო განვითარების დაბალ დონეს: ეს არის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ანუ პოლარულ წრესთან ახლოს, გოლფსტრომისაგან შორს ა ა.შ.), ხოლო

სოფლის მეურნეობის სისუსტით კი ცდილობს რუსეთში ტოტალიტარული სისტემის გამართლებას „მწირი შემოსავლების განაწილებისათვის“. ამავდროულად შეგნებულად „ივიწყებენ“ 1913 წელს, როცა რუსეთი პურსა და ქერის ყველაზე დიდი ექსპორტიორი იყო მსოფლიოში; რუსი მეცნიერები დუმილს ინარჩუნებენ ფინეთის შესახებაც, რომელსაც გაცილებით უფრო მკაცრი ბუნებრივი პირობები გაჩნია, ხოლო მარცვლეულის მოსავლიანობით რუსეთს 2–ჯერ აჭარბებს (32 ცენტნერი ჰექტარზე რუსეთის 17 ცენტნერის საპირისპიროდ).

მოყვანილი მაგალითიდან ნათელი ხდება, რომ ეკოლოგია აქ არაფერშუაშია, ხოლო განსხვავება კი გამოწვეულია ფინეთში საბაზრო ეკონომიკის პირობებში შექმნილი მაღალეფექტურ სასოფლო–სამეურნეო წარმოებასა და რუსეთი ბრძანებითი სისტემის პირობებში დაბეჩავეული სასოფლო–სამეურნეო სისტემას შორის უდიდესი განსხვავებით.

ტექნოლოგიური განვითარებასთან ერთად ბუნებაც ტრანსფორმირდება და შეუბრალებლად „იძიებს შურს“. მაგალითად, ჩინეთის ბუნებაში (რომელზეც არც თუ ისე ზრუნავდნენ ტექნოლოგები საწაროო ზრდით გატაცებული ჩინელი ტექნიკოსები) მოხდა საგრძნობი ცვლილება, ქვეყანაში საშუალოწლიურმა ტემპერატურულმა მაჩვენებელმა 1,5 გრადუსით მოიმატა. სათბური ეფექტისგან თავის დასაღწევად მთავრობა და ხელისუფლება კეტავს საწარმოთა მთელ რიგს, რის შედეგადაც უმუშევარი დარჩა 2

მილიონი ადამიანი. სწორედ ამ სახით უხდის „სამაგიეროს“ ბუნება ეკოლოგიის დამრღვევებს. საქართველოშიც გვაქვს ამის უამრავი მაგალითი: ზვავ–მეწყრები, რომლებიც ამა თუ იმ „წარმატებულად“ განხორიცელებულ პროექტს მოყვება და სხვა.

„სამყაროს შექმნის დღიდან“ ეგვიპტის მიწებს ნილოსის ნოყიერი შლამი ასაზრდოებდა. დღეს ეგვიპტე იძულებულია, შეცვალოს იგი ქიმიური სასუქებით, ვინაიდან ასუანის კაშხალი არ უშვებს შლამს ყველაზე ნოყიერ მსხვილუჯრედოვან ფორმას. ამდენად, ნილოსის ფლორა და ფაუნა გადაშენების პირასაც კი არის.

საუბედუროდ, ეკოლოგია მხოლოდ ერთეული ქვეყნებისთვის კი არა, მთელი მსოფლიოს პრობლემაა. თუ დროულად არ მოეგო გონს, ჩვენს ცივილიზაციას რეალურად ემუქრება ბირთვული ნარჩენების დაგროვება, სითბური ეფექტი, გარემოს ქიმიური დაბინძურება და სხვა მრავალი საშიშროება.

გეოპოლიტიკა

მეზობლებთან კარგი დამოკიდებულების სიკეთეზე ლაპარაკი ალბათ ზედმეტია. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ევროპაში აღმოცენებული კონფლიქტები მხოლოდ 10 უკანასკნელი წლის განმავლობაში მაინც. გეოპლოლიტიკური კონფლიქტების უმეტესობა ხდებოდა და ხდება სადაო ტერიტორიების გამო, ანუ საცხოვრებელი, საარსებო სივრცის გამო. ტერიტორიის ფასეულობა

განისაზღვრება არა მარტო მის სასოფლო–სამეურნეო ანდა ინდუსტრიული პოტენციალით, არამედ იმით, მაგალითად რომ მასზე გადის ექსპორტისა ან იმპორტის სატრანსპორტო გზა. სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის აფხაზეთს, რუსეთისთვის ბელორუსიასა და უკრაინიას, რომელთა ტერიტორიაზე გადის მილსადენი. რუსული გაზისა და ნავთობის შავ ზღვამდე ტრანზიტის პირობები გახდა საშინელი ომის მიზეზი ჩეჩნეთში, რომლის ტერიტორიაზეც არის განთავსებული ტრასის ძირითადი ნაწილი.

მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ გაუთავებელი ომები მეზობელ ხალხებს შორის გამომდინარეობს პრიმატებისათვის დამახსიათებელი საერთო ჩვევიდან, წაართვან უფრო სუსტებს. ხოლო სუსტებისთვის კი ძირითად ინსტინქტს თავაცვა წარმოადგენს, რომელზეც უძვლესი აფორიზმი მეტყველებს: „Si vis pacem, para bellum“. ე.ი. ომი იყო პირველი სახის შრომა, რომელიც უზრუნველყოფდა არსებობას.

ეკონომიკის მთელი ისტორიის მანძილზე შეიარაღების წარმოება ყოველთვის იყო პრიორიტეტული დარგი. სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის უძველესი საგნები: ბარი, ცელი, კავი, ჯაჭვი, ორკაპი, შოლტი და ა.შ. თავდაპირველად საომარი დანიშნულების უფრო იყო და დღესაც აგრძელებს მის შესრულებას. საომარი ტექნიკისათვის პრიორიტეტის მინიჭებით საზოგადოება იყოფა ორ დიდი ნაწილად – ისინი, ვინც ომობს და ისინი,

ვინც „ინახავს“ მეომრებს. ძვირფასი მძიმე შეიარაღება და ომი ამ პროცესში მთელი მოსახლეობის მონაწილეობას მოითხოვს მათი საკუთარი ხარჯებით. მაგალითად, ფეოდალური ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჭირო იყო საზოგადოებაში კავალერიული შეიარაღების ასებობა, რომელიც გამოჩნდა მხოლოდ პირველი ათასწლეულის შუახანებში. ამ დრომდე ევროპაში ფეოდალიზმის ჩამოყალიბება ვერ გახდა შესაძლებელი.

ნებისმიერ ეპოქაში, მეურნეობის ნებისმიერი ტიპის არსებობისას, ომი ან ომისათვის მზადება ძალზე სერიოზული მოთხოვნებს აყენებეს ეკონომკის წინაშე. ეს ეხება არა მხოლოდ საომარი ტექნიკის წარმოებას, ვინაიდან იარაღის გარდა, ჯარს ბევრი სხვა რამ ჭირდება საკვები, სასმელი, ტანსაცმელი, მედიკამენტები და ა.შ. თუკი ეკონომიკა ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, საზოგადოება ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას ვიწრო სექტორებში (მაგ. იწყებს მანქანების, ტექსტილის და სხვა წარმოებას), ანდა სრულიად გარდაქმნის ერონულ მეურნეობას.

ომის მოთხოვნებმა მიგვიყვანეს სარაკეტო–ბირთვული იარაღის შექმნასთან და ახლა, თანამედროვე მსოფლიოში იგი იმდენია, რომ პლანეტის რამოდენიმეჯერ განადგურებასაც კი ეყოფა. სწორედ ეს გარემოება აჩერებს კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების გზაზე.

თავი 2 . კაპიტალისტურამდელი მეურნეობის ტიპები

მეურნეობის ამ უძველეს ტიპებს უდიდესი ისტორიული დამსახურება გააჩნია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სწორედ მაშინ მოხდა ადამიანის პირველი სმიბიოზი სხვა სახეობასთან (ცხენი, ძაღლი, კატა, მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი და სხვა); მეორე, კაცობრიობის გლობალური განსახლება (ამის წარმოდგენას დღეს თანამედროვე სპორტული მიღწევები აადვილებს: თურმე ადვილია ნიჩბიანი ნავით წყნარი ოკეანის, ხოლო ცურვით - ატლანტის ოკეანის გადაცურვა).

გარდა ამისა, მონადირეობისათვის ადამიანს ესაჭიროებოდა ძალზე დიდი და ყოველთვის ახალი ტერიტორიები, რომელთა მოძიებისათვის აუცილებელი გახდა მიგრაცია, რომელიც ყველა კონტინენტის დასახლების ფაქტიურ მიზეზად იქცა.

§ 1. მომთაბარე მესაქონლეობა

მეურნეობრიობის მოცემული ტიპი სწორედ მონადირეობიდან განვითარდა: მონადირეთა ჯგუფები, დაგეშილ ძაღლებთან ერთად, აღმოჩნდებოდნენ რა გარეული ცხოველების მიგრაციულ გზებზე, თავდაპირველად პასიურ, ხოლო შემდეგ კი აქტიურ მწყემსებად იქცეოდნენ, ე.ი. ისეთ მწყემსებად, რომლებიც

მართავენ ცხოველთა გაადააგილებასა და სელექციას. მაშასადამე ასეთი ტიპის ეკონომიკის მქონე ხალხებმა გადმოიღეს ნიადაგის ექსპლუატაციის ხერხი ცხოველებისაგან. ადამიანის სიმბიოზმა მსხვილ, წვრილფეხა პირუტყვთან და ცხენთან წარმოშვა თავისებური სახის სტეპის ეკონომიკა, რომელშიც არცთუ ყველაფერია ნათელი. კერძოდ, კითხვებს აჩენს საკუთრების ფორმის განსაზღვრის მეთოდი როგორც საქონელზე ისე საძოვრებზე. კარგადაა ცნობილი მხოლოდ შემდეგი: მომთაბარე ტომებში აუცილებლად არსებობდა რძისა და ხორცპროდუქტებისაგან შემდგარი რაციონი, პოლიგამია და პატრიარქის ძალაუფლება.

მეურნეობის მესაქონლურმა ტიპმა ბევრად იმოქმედა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაზე. მომთაბარე ერები კონცენტრირდებოდნენ დიდი სტეპის ტერიტორიაზე, ანუ უზარმაზარ დაბლობზე, რომელიც ევრაზიის კონტინენტზე კარპატებიდან ტუნგუსების ტაიგამდე ვრცელდებოდა. აქ ჩამოყალიბდა თურქული, უგრო–ფინული, ირანული ერების მერნეობა. სწორედ აქედან მოახდინა ზოგიერთა ხალხმა ისტორიაში ცნობილი და მნიშვნელოვანი მართლაც რომ უდიდესი მიგრაციები – შავი ზღვის, ხმელთაშუაზღვისა და ატლანტიკის ნაპირებამდეც კი, რამაც გამოიწვია უზარმაზარი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მთელი კონტინენტების ცხოვრებაში.

მომთაბარე თურქულენოვანი ერი ჰუნიუ (ჰუნები) სტარტს იღებს ჩვ. წ. აღ. IV საუკუნეში ურალისპირეთიდან და, აერთიანებს რა ეთნიკური ტომების უზარმაზარ რაოდენობას, აღწევს თითქმის ატლანტიკის ოკეანემდე. აქედან მათი უკუგდება მხოლოდ რომის იმპერიის უდიდესი ძალისხმევის შედეგად ხდება შესაძლებელი.

პაჭანიკების ჩრდ. შავი ზღვისპირეთში მიგრაცია X-XII საუკუნეებში ბევრი ერის ისტორიაში ტოვებს წარუშლელ კვალს, ხოლო მონღოლთა თარეში, რომელიც XIII საუკუნეში იწყება, მთელი კონტინენტების ისტორიაში შევა.

უნგრელების მიგრაცია X საუკუნის ცენრალურ ევროპაში გაჭირვებით იქნა მოგერიებული გერმანული ერების მიერ, მაგრამ ამის შემდეგ უნგრელებმა დუნაიზე დაიწყეს ცხოვრება, შექმნეს რა იქ თავისი სახელმწიფო, დაიმორჩილეს ხორვატები, სლოვაკები, რუსინები და ა.შ.

უდიდესი ისტორიულ–ეკონომიკური შედეგები მოყვა თურქების მიგრაციას მცირე აზიაში, სადაც ისინი მკვიდრად დასახლდნენ XIV-XVI საუკუნეებში და შექმნეს საკუთარი სახელმწიფო. მათ დაიმორჩილეს ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის, აზოვის, შავი ზღვის, ჩრდ.აფრიკული რეგიონები. ააგეს ოსმანთა იმპერია, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა ვაჭრობას ხმელთაშუა ზღვის ბასეინში, ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. სწორედ ეს განაპირობებს ევროპელების მიერ ახალი სავაჭრო გზების ძიებას, და მიიყვანს

აღმოსავლეთი ნახევარსფეროს ხალხებს ამერიკის ნაპირებთან (ქრისტოფორე კოლუმბის მიერ XV საუკუნეში ამერიკის აღმოჩენა).

§ 2. მთიელეთა დასახლების ეკონომიკა

მთებში, რომელთაც დედამიწის ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავთ, ადამიანის მიერ დასახლება და მეურნეობის წარმართვა მხოლოდ ხეობების ნაპირებსა და მთის კალთებზეა შესაძლებელი, რომლებიც მყინვართა ბუნებრივ აკვედუკებს წარმოადგენს. მთიელთა მოსახლეობის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თვისებაა ახალგაზრდობის გადინება, ანუ მიგრაცია აგრარული სიჭარბის მიზეზით, ე.ი. სახნავი და სათესი სავარგულების დეფიციტის გამო. რასაკვირველია, ძალზე აქტუალურია საქონლის მომრავლება, თუმცა აქ უარყოფითი მხარეც არის – საძოვრებზე ქრება ის ბალახი, რომელსაც საქონელი ჭამს და იზრდება გამოუსადეგარი. ასე მოხდა, მაგალითად, კარპატებში, როცა საბჭოთა კავშირთან შეერთების შემდეგ მათ გეგმიურად გაუზარდეს საქონლის სულადობის მაჩვენებელი.

რაც შეეხება ახალგაზრდობის გადინებას. საუკუნეთა განმავლობაში ამ მოვლენას მხოლოდ ომში დაქირავებული მეომრების სახით მათ ჩაბმას ჰქონდა ადგილი. უცნობილესი მაგალითებია შვეიცარიელებისაგან შემდგარი გვარდიები

(საფრანგეთში, ვატიკანში), შოტლანდიელები (ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის მეფეთა კარზე) ან კავკასიელი ხალხებისგან შემდგარი საომარი შენაერთები (რუსეთი, ეგვიპტე, ირანი) და ა.შ.

დღესაც ზოგიერთ მთიელ ცივილიზაციებს არ ძალუძთ ეკონომიკის მაღალი დონის შექმნა მიგრაციის გასაჩერებლად.

§ 3. საირიგაციო სისტემები (მდინარული ციკლი)

კაპიტალისტურამდელი წარმოების დანარჩენი ტიპები ძირითადად მემცენარეობის ე.ი. ადამიანისა და მცენარეების სიმბიოზზეა დამყარებული, რომელიც ისეთივე ძველია, როგორც მონადირეობა. მემცენარეობის ერთერთი ყველაზე ძველი ტიპი ჩამოყალიბდა უდიდესი მდინარეების – ტიგროსისა და ევფრატის, ხუანხეს, იანძის, ნილოსის, ამუდარიისა და სირდარიის ნაპირებზე, აგრეთვე კოლუმბამდელი ამერიკის ცენტრალურ ნაწილში (მისისიპისა და მისურის ნაპირებზე) და სამხრეთ ამერიკაში. მიწათმოქმედების რეჟიმი აქ მთლიანად იყო დამოკიდებული ჰიდრორეჟიმზე. ამიტომაც სოფლის მეურნეობის კულტურების საწარმოებლად და შესაბამისად საარსებოდ მთავარი პირობას წარმოადგენდა მდინარეების რეჟიმის რეგულირება დამბების, კაშხლებისა და არხების მეშვეობით. ცხელ კლიმატთან ერთად საირიგაციო და

ჰიდრომელიორაციული სისტემა უხვი მოსავლის წინაპირობებს ქმნიდა.

მექანიზაციის უქონლობისას მხოლოდ ხალხის უზარმაზარი მასების კოლექტიურ შრომას შეეძლო უძნელესი და შრომატევადი საირიგაციო მშენებლობის განხორიცელება. ხალხი არეგულირებდა მდინარეებს, მაგრამ მდინარეები, თავის მხრივ, არეგულირებდა ხალხის ცხოვრებას. საირიგაციო ეკონომიკის ტიპი ალბათ ბრძანებითი და გამანაწილებელი ეკონომიკის უპირველეს ტიპს განეკუთვნება, ვინაიდან ცენტრალური მმართველობის გარეშე შეუძლებელი იყო ჰიდრომელიორაციული სისტემის მთელი ქსელის მართვა და შენარჩუნება.

ვინაიდან მიწის სამუშაოები განსაკუთრებული შრომატევადობით გამოირჩეოდა (120–150 კაც/სთ არხის 1 კმ–ზე), ხოლო ნატურალური მეურნეობის არსებულ სისტემაში სტიმულირების მეთოდები არ მოქმედებდა, საჭირო გახდა ახალი, სულიერი სტიმულის შემოღება; მაგალითად, რაიმეს ან ვისიმე გაღმერთება. მეფეები და სხვა მმართველები თავიდან კაცღმერთებად, შემდეგ კი პირდაპირ „ღმერთებად“ იყვნენ შერაცხული, მათი გაღმერთების პროცესის იდეოლოგიურ მხარდაჭერას ქურუმები ახორციელებდნენ, ადმინისტარციულ მხარდაჭერას კი – უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი (ბიუროკრატიული აპარატის სიდიდეზე მსჯელობა შეიძლება ბევრ ისტორიულ ცნობაზე დაყრდნობით.

მაგალითად, ცნობილია, რომ ბაბილონში მუშისთვის 1 წყვილი სანდალიების გაცემისთვის 9 თიხის ტაბულა „ზედდებული“ უნდა გამოწერილიყო).

ცნობილია, რომ გლეხურ თემებს ქონდათ უფლება, ესარგებლათ მიწაზე მემკვიდრეობის უფლებით, ნატურალური გადასახადის შეტანის შემდეგ. მაშასადამე, მატერიალური სიკეთის უშუალო მწარმოებელი იყო გლეხობა, რომელიც de jure იყო თავისუფალი, მაგრამ ვალდებული სახელმწიფოს წინაშე შრომითი ბეგარით. მონების შრომა ეკონომიკის დარგებში არ გამოიყენბოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში ისედაც უამრავი თავისუფალი მუშახელი იყო. მდინარეების ადიდების გამო სამუშაოსაგან უნებურად გათავისუფლებული გლეხები აშენებდნენ პირამიდებსს, კედლებს, გოდოლებს. ეგვიპტური პირამიდები, ჩინური დიდი კედელი, სემირამიდეს ბაღები და სხვა მსოფლიო საოცრებები, რომელთა მაშტაბურობა ახლაც კი გვაოცებს, არასრული ჩამონათვალია იმ ნაგებობებისა, რომელსაც თავისუფალი გლეხები ქმნიდნენ.

ომში მოპოვებული მონების შრომა ძირითადად ოჯახში გამოიყენებოდა, ე.ი. მას არ ქონია საწარმოო გამოყენება, იგი უფრო პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა. ამდენად, მათი როლი, ფაქტიურად შემდეგნაირად ისაზღვრება: ისინი სახელწიფოს მონები იყვნენ.

ორგანიზაციის პრიორიტეტი

ძველი აღმოსავლეთის საირიგაციო სისტემები აღმოცენდა ქვის ტექნიკის საფუძველზე. ორი-სამი ათასი წლის შემდეგ ეს ქვეყნები გახდა მეტალურგიის სამშობლო: ჯერ სპილენძის, სპილენძის კალით ლეგირების აღმოჩენის შემდეგ–ბრინჯაოს, საბოლოოდ კი რკინის. ბრინჯაოს ნაკეთობები თადაპირველად იმდენად ძვირი იყო, რომ მას იყენებდნენ მხოლოდ საომარი და ფუფუნების საგნების დასაზადებლად. ჩვ. წ. აღ–მდე I ათასწლეულის შუახანებში იგი საგრძნობლად გაიაფდა და ამიტომაც ბრინჯაომ ჩაანაცვლა ქვის პირველყოფილი შრომის იარაღები. სამაგიეროდ რკინის დნობა გაცილებით უფრო ეფექტური იყო, ვინაიდან იგი უფრო მტკიცეა, ვიდრე სპილენძი და ბრინჯაო. ამასთან ბრინჯაო გაცილებით უფრო იაფიცაა, ამიტომც დაიწყო ამ ლითონის ომის საჭიროებისათვის გამოყენება. ეგვიპტეში, მაგალითად, რკინა გაცილებით უფრო ფასობდა, ვიდრე ოქრო (ნაპოვნია რკინით მოვარაყებული და მოპირკეთებული ოჯროს ხანჯალი).

საომარის გარდა, საშუალოზე ბევრად მაღალი დონით გამოირჩეოდა ჰიდროტექნიკა. ძველ-ეგვიპტური „წერო“, იგივე შადუფი, 1 საათის განმავლობაში 6 მეტრზე 2000 ტ წყალს ეზიდებოდა, მესოპოტამიაში ფუნქციონირებდა დამბებისა და არხების ურთულესი სისტემა და ეს მაშინ, როცა მიწათმოქმედება უმარტივეს დონეზე რჩებოდა გაყინული – ხელით თოხნა, ხელით

თესვა, საქონლის ჩლიქებით თესლის ხნულში ჩატკეპნა, გალეწვა და მრავალი სხვა.

ძალზე ღრიბი და პრიმიტიული იყო უნიკალური გიგანტური შენობების შენების ტექნოლოგიაც. მაგალითად, ეგვიპტეში, არ იყო ცნობილი ბორბალი და შესაბამისად არ გამოიყენებოდა ისეთი მარტივი მექანიზმიც კი, როგორიცაა ბლოკი. ეიფელის კოშკის აგებამდე მსოფლიოს ყველაზე მაღალი ნაგებობის, ხეოფსეს პირამიდის მშენებლობა გრძელდებოდა 20 წელი. თანამედროვე სპეციალისტების გათვლებით, დღეს მისი აგების ვადები 40 წელს შეადგენდა. მთელი საიდუმლო *შრომის ორგანიზაციაში* იმალებოდა. თანამედროვე ინჟინრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ასეთი შენობის 20 წელიწადში აშენება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ყოველი ცალკეული ოპერაციისათვის შეირჩევა ოპტიმალური ვარიანტი და უზუსტესი გათვალებით გამოირიცხება შეფერხებები. მაშასადამე ანტიკურ სამყაროში ორგანიზაციის მაღალი დონე ანაზღაურებდა და ზოგ შემთხვევაში ანაცვლებდა კიდეც ტექნოლოგიის პრიმიტიულობას.

ტექნოლოგიური პროგრესი ძირითადად ეხებოდა იარაღის წარმოებას. ბუნებრივია, გადამწყვეტი უპირატესობა ქონდა იმ ქვეყნებს, რომელთაც გააჩნდათ ფოლადის შეიარაღება და ცხენები. ორცხენიანი ეტლი, სადაც ფარს ეფარებოდნენ მეეტლე და ორი მოისრე, ასრულებდა სამანევრო-შემტევ როლს, ე.ი. იყო თანამედროვე ტანკების წინამორბედი. სწორედ ასეთი

ეტლების წყალობით ატერორებდა ასურეთი თავის მეზობლებს მესოპოტამიაში. ტიროგოსის ზედაწელიდან ასურელები იწყებდნენ ომს ზუსტად მაშინ, როცა მათი აგრესიის ობიექტი (მაგალითად, ბაბილონი) მოიწევდა და დააბინავებდა მოსავალს. ამდენად, ასურეთი უსუსურ და გაჩანაგებულ სახელმწიფოებს საკუთარ კოლონიად აქცევდა. *ძალადობა იყო ასურეთის ეკონომიკის საფუძველი.*

მესოპოტამიის, ჩინეთის, ეგვიპტის, წინა აზიის საირიგაციო სისტემები არაერთხელ იქნა დანგრეული და მიწასთან გასწორებული, მაგრამ ისინი მაინც მრავალჯერ აღდგა, ვინაიდან წყლის გარეშე ამ რეგიონებში სიცოცხლე წყდებოდა.

როგორც საზოგადოებრივი მოწყობაც არ უნდა შემოეტანათ დამპყრობლებს, საირიგაციო სისტემა მაინც თავისი ცხოვრების კანონებით არსეობდა. მაგალითად, ცენტრალური აზია XIII საუკუნეში მონღოლებმა დაიპყრეს, XIX საუკუნეში – რუსეთის იმპერიამ, XX საუკუნეში ბოლშევიკებმა, მაგრამ ამუდარიის საირიგაციო სისტემამ შეინარჩუნა ყველა თავისი ატრიბუტი: სახელმწიფო საკუთრება მიწაზე და წყალზე, წყლის ბრძანებითი განაწილება და ა.შ. ასეთი სისტემა მოგვიანებით ორგანულად და მარტივად შეერწყა საბჭოთა რუსეთის მიერ დანერგილ კოლმეურნეობებს, მაგრამ საბჭოთა მმართველების მიერ მიწის უგუნურმა მელიორაციამ დაშრიტა სირდარია-ამუდარიის უხვი წყლები და თითქმის ბოლომდე დააშრო არალის ზღვა.

§ 4. მეურნეობის ანტიკური სისტემა. მონათმფლობელური ეკონომიკის წარმოშობა

მეურნეობის მონათმფლობელური ტიპი იყო დამყარებული უცხოელი მონების სამეწარმეო შრომაზე, რომელნიც დაპყრობითი ომების დროს ტყვედ იყვნენ ჩავარდნილნი. ანტიკური ეკონომიკა ყალიბდებოდა პატარა ხმელთაშუაზღვისპირულ ქალაქ–სახელმწიფოებში (პოლისებში). პოლისები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ეკოლოგიითა და ეკონომიკის ხასიათით: ზოგი მიდრეკილი იყო სოფლის მეურნეობისაკენ, ზოგი - წარმოებისაკენ, მაგრამ მონათმფლობელური ეკონომიკის წარმოშობა ყველგან ერთი და იგივე მიზეზით იყო განპირობებული.

მონამთლობეულრი მეურნეობის ფორმირება ყველგან იწყებოდა საომარი ორგანიზაციის შექმნით კვლავწარმოებისათვის. საომარი ტექნიკის მაშიდელი დონის გათვალისწინებით, ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ პოლისის ყველა მოქალაქის ტოტალური მობილიზაციით. პატარა სახელმწიფობს არ ქონდათ თანხები მეომრების დასაქირავებლად. ამიტომ ყოველი მათგანი საკუთარი ხარჯით მიდიოდა ომში, იმ საჯარისო ნაწილში, რომლის უფლებასაც აძლევდა საკუთარი სახსრები და შეიარაღება: ყველაზე მდიდრები – გემითა და ცხენით (ფლოტი, კავალერია), საშუალო შეიარაღების მქონენი – ქვეითად, ხოლო ღარიბები კი დროტიკებითა და ქვებით

შეიარაღებულები. ეს ყველაფერი იმიმტომ ხდებოდა, რომ მხოლოდ მეომარი იყო პოლისის მოქალაქე და მხოლოდ მას ქონდა მიწით სარგებლობის უფლება.

ამ მიზეზით ანტიკური ეკონომიკის ფორმირება, როგორც წესი, იწყებოდა სამხედრო–ეკონომიკური რეფორმით, რომელიც ყოფდა ყველა მოქალაქეს ქონებრივი თვალსაზრისით ომში მონაწილეობისათვის.

ათენში (594 წ ჩვ–წ. აღ–მდე) იყო ოთხი, ხოლო რომში (VI საუკ ჩვ. წ. აღ–მდე) კი 6 ფლანგი. ეს და მსგავსი რეფორმები ქმნიდნენ ანტიკურ საომარ წყობას – ფალანგას. იგი წარმოადგენდა ქვეითი რაზმის კოლონას, რომელიც შეიარაღებული იყო ორმეტრიანი შუბებით, მისი დარტყმა ყოველთვის წარმატებული იყო იმ არმიის წინააღმდეგ, რომელსაც არ გაჩნდა სამხედრო წყობა. სწორედ ფალანგის ფუნქციონირება უზრუნველყოფდა მონათმფლობელური ეკონომიკის ფუნქციონირებას, ვინაიდან იყო მონების (ტყვეების) შევსების უშრეტი წყარო.

მონათმფლობელების დროს მეურნეობის ძირითადი წესი იყო: მონის მაქსიმალური მწარმაობლურობისათვის მინიმალურ ვადებში მიღწევა, რის შემდეგაც მისი ახლით შეცვლა. მონების შვილების შენახვა, დღევანდელი სიტყვებით რომ გამოვთქვათ, ითვლებოდა „კაპიტალზე ზედნადებ ხარჯებად“.

სწორედ ასე წარმოიშვა მონათმფლობელობის წიაღში მამული-სალთუსი, რომელსაც დამოუკდებელი

მიწათმომქედები ემასუხრებოდნენ. შუა საუკუნეებში ისინი მიწაზე მიმაგრებულ ყმებად იქცნენ.

მაშასადამე, ფეოდალური ეკონომიკის ჩანასახები სწორედ რომის იმპერიის ეკონომიკამ მოგვცა, ამიტომაც მონათმფლობელობის ეპოქა რომის იმპერიასთან ერთად დაემხო.

ერთადერთ გამონაკლისს მსოფლიო ისტორიაში წარმოადგენდა XVI-XIX საუკუნეებში შექმნილი ამერიკული კოლონიებში წარმოქმნილი მონათმფლობელური პლანტაციები, რომელსაც აფრიკიდან გადმოყვანილი მონების შრომა ემასუხერებოდა. ანტიკურისგან განსხვავებით, მეურნეობის ეს ტიპი ხასიათდებოდა მონების ოჯახური კვლავწარმოების დიდი როლით.

§ 5. ფეოდალური მეურნეობის სისტემა. ფეოდალური ეკონომიკის არსი

მონათმფლობელურისგან განსხვავებით, მეოურნეობის ფეოდალური სისტემა ევრაზიისათვის თითქმის უნივერსალური იყო: ამ კონტინენტის ხალხების უმრავლესობამ გაიარა იგი, ხოლო ზოგიერთი მათგანი ახლაც ფეოდალიზმის სხვადასხვა სტადიაზე იმყოფება. უშუალო მწარმოებლები ფეოდალიზმის დროს წარმოადგენენ გარდამავალ ტიპს მონასა და ფერმერს

შორის: ისინი არა არიან თავისუფალნი (მონების მსგავსად), მაგრამ აქვთ საკუთარი მეურნეობა (როგორც ფერმერებს).

არაეკონომიკური ძალდატანება გამოიხატებოდა ფეოდალურ რენტაში: ფულადში (ნაკლებად), ღალასა და ბეგარაში, მაგრამ რენტის სიდიდე დაწესებული იყო ერთხელ და სამუდამოდ: ზედმეტის წართმევით შეიძლებოდა შემცირებულიყო სათესლე მარაგი, რაც შემდგომში წლის მოსავალს აგდებდა საფრთხეში, გარდა ამისა რენტის მკაცრი განსაზღვრულობა ერთგვარ თავისუფლებას ანიჭებდა მწარმოებელს საკუთარი მეურნეობის წარმართვაში, ეს უფრო ცხადი გახდა კომუტაციის დროს, ანუ ფულად რენტზე გადასვლისას, როცა გლეხი თითონ ყიდდა თავისი ბატონის პროდუქტს ბაზარზე.

ასეთ პირობებში საჭირო გახდა არა მარტო ძალდატანება, არამედ სტიმულირებაც. ამ შემთხვევაში მორალური სტიმული გახდა მონოთეისტური (ერთღმერთიანი) რელიგია. მონოთეიზმის სხვადსხვა ფორმულები ფეოდალიზმის აუცილებელი თანმდევი პირობა იყო.

ევროპაში ეს იყო ქრისტიანობა, რომელმაც უდიდეს ფასეულობად მატერიალური კი არა, სულიერი სიმდიდრე მიიჩნია. ქრისტიანული მოძრვრების თანახმად, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შინაგან სამყაროს. პატიოსანი, მართალი და თავმდაბალი ცხოვრებით, მოყვარისადმი სიყვარულით, ადამიანს შეუძლია სულის

მარადიული ნეტარების, ანუ გადარჩენის მოპოვება საიქიოში. მოსახლეობის ასპროცენტიანი გულწრფელი რელიგიურობისას რელიგიური კულტურის ეთიკა სერიოზულად ზემომქედებდა ეკონომიკურ ცხოვრებაზე, მათ შორის ქრისტიანულზეც. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში მევახშეობა მომკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა და შესაბამისად სავახშო კაპიტალმა ებრაელების ხელში მოიყარა თავი. მე-1000 წელს ევროპაში ყველა ელოდა არმაგედონს და, ამდენად, ეკონომიკურ ცხოვრებაში ეს წლები პასიურობით გამოირჩეოდა. მაგრამ თვით ეკლესიის მსახურთაც ევალებოდათ, მრევლისათვის ეჩვენებინათ ისეთი ცხოვრების რეალური მაგალითები, რომელიც სამუდამო სასუფეველის ღირსი ხდებოდა სიკვდილის შემდეგ. ამიტომაც მონასტრებში მუდამ ერთმანეთს ებრძოდა ორი ტენდენცია: სიღარიბისკენ და სიმდიდრისკენ მისწრაფება. ბევრი ევროპული რელიგიური მონასტრის (ორდენის) ასკეტური, ჭეშმარიტად წმინდა ცხოვრების წესი უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა მორწმუნეთა მხრიდან, რომლებიც პატივისცემას გამოხატავდნენ უხვი შენაწირით. ისინი ჩუქნიდნენ მონასტრებს მიწებს, ნივთებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს. დაგროვებული ეს ძღვენი თანდათან ცვლიდა მონასტრის ცხოვრების წესს და აქცევდა ბერებს ფარისეველ უსაქმურებად, რომელთათვისაც „წმინდა“ ცხოვრება მხოლოდ მოჩვენებითობა ხდებოდა. მაგრამ

ჩნდებოდა სხვა ასკეტური ორდენები და ყოველივე იწყებოდა თავიდან.

ფეოდალური მეურნეობა აგებული იყო უფრო მკაცრ შომის დანაწილებაზე, სადაც გლეხი იმავდროულად მეომარიც იყო. აქ სამხედრო საქმე ფეოდალების მონოპოლიას წარმოადგენდა, გლეხის მონოპოლიად კი წინანდებურად შრომა რჩებოდა. ლოცვაზე მონოპოლია ბერებს ეკუთნოდათ.

შრომის ეს მკაცრი დანაწილება სამი ფენის წარმოაშობის მიზეზი გახდა: **აზნაურების, სასულიერო პირებისა** და **გლეხების**, ცოტა მოგვიანებით მათ შეუერთდა კიდევ ერთი ფენა – **მოქალაქები**. ყვალა მათგანმა ზუსტად იცოდა თავისი „ადგილი“, თავისი უფლებები და მოვალეობები. საკუთარ ჩარჩოებში ადამიანი ასე თუ ისე თავისუფალი იყო, მაგრამ ბარიერები ამ ფენებს შორის ყოველთვის იყო გადაულახავი. მიუხედავად ამისა, თავის საკუთარ ფენაში ადამიანი გრძნობდა დაცულობას სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, რამაც მთელს თაობებს ჩამოუყალიბა საკუთარი ღირსების შეგრძნება, რომელიც ფეოდალური საზოგადოების უშუალო მწარმოებლებს უყალიბებდა ფსიქოლოგიურ მდგრადობას. სწორედ ამაშია ჩადებული უმნიშვნელოვანესი პირობა იმისა, რომ ფეოდალიზმმა შეძლო სამეურნეო პროგრესის უზრუნველყოფა.

ფეოდალური მეურნეობის ტიპები

როგორც წესი, ფეოდალური მეურნეობის მართვა დეცენტრალიზებულ ხასიათს ატარებდა. ფეოდალური მამული ატარებდა არა მარტო ეკონომიკური, არამედ სახელმწიფო მართვის ფუნქციებსაც. ფეოდალი (სინიორი, მემამულე) თითონ ახორციელებდა სამართალს დაქვემდებარებული მოსახლეობის მიმართ. ფეოდალურ სისტემაში მამულის იურიდიული მდგომარეობა იყო არაერთგვაროვანი: ა)აბსოლუტურად და მთლიანად დამოუკიდებელი მამული, რომელიც მემკვიდრეობით იქნა გადაცემული; ბ)ფეოდალისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე საკუთრებაში არსებული მიწები, რომლებიც მას სამხედრო ვალდებულებას აკისრებდა და მის სანაცვლოდ გადაევემოდა სარგებლობაში; გ) სამემკვიდრეო მამული, რომელიც გადაეცემოდა აზნაურს იმ პირობით, რომ იგი მიიღებდა ზემდგომი ფეოდალის ვასალობას. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი შეიცავდა ზემდგომი ფეოდალისათვის სამხედრო ბეგარის გადახდას - ეს იყო წელიწადში 40-დღიანი სამხედრო სამსახური და ომის შემთხვევაში ზემდგომი ფეოდალის ტყვეობიდან გამოსყიდვის ვალდებულება.

საწარმოო სფერო. როგორც წესი, შედგებოდა სახნავი მიწის ორი ნაწილისაგან: სააზნაურო (დომენი) და საგლეხო. ამ უკანასკნელზე მოწეული მოსავლიდან გლეხი იხდიდა ღალას (ნატურალური რენტა). თუ იგი დროის განმავლობაში კომუტირდებოდა (ანუ პროდუქტებს

ცვლიდა ფულადი რენტა), გლეხების დამოკიდებულება ნელ-ნელა იკლებდა ანდა საერთოდ ლიკვიდირდებოდა (გამოსყიდვის შემთხვევაში). ასეთი ტიპის მეურნეობა გავრცელებული იყო დასავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობაში. სააზნაურო დომენზე ვრცელდებოდა სამუშაო რენტა (ბეგარა), რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ მიწაზე მუშაობას, არამედ ფეოდალური მცირე საწარმოების (წისქვილების, მანუფაქტურებისა და სხვა) მომსახურებასაც. ფეოდალური დამოკიდებულობა იწვევდა მიწაზე მიმაგრებას, რასაც ჭირდებოდა შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები. ეკონომიკური პირობების მაგალითია ფეოდალის მიერ ადგილობრივი პროდუქციის (პური, ღვინო, თევზი, სელი, ტყე და სხვა) შორეულ ბაზრებზე გატანა, ხოლო პოლიტიკური პირობაა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობა, რომელიც მიწაზე ყმების მიმაგრებას უზრუნველყოფს.

ფეოდალურ ეკონომიკის ფორმირება

ფეოდალიზმი, როგორც სისტემა, ჩამოყა-ლიბდა იქაც, სადაც ხალხმა არ იცოდა, რა იყო მონათმფლობელური ეკონომიკა. მაშ რატომ გაიარეს ზოგიერთმა ხალხებმა მონათმფლებლობა, ზოგიერთმა კი არა?

ანტიკური სისტემა ჩამოყალიბდა პირველი ათასწლეულის შუა ხანებში ჩვ. წ. აღ.–მდე, ხოლო ფეოდალური კი მიახლოებით ათასი წლის შემდეგ. ამ დროისათვის სამეურნეო და სულიერ ცხოვრებაში ბევრი

სიახალე გაჩნდა. მათ შორის გამოირჩეოდა ორი სიახლე, რომელთა ფლობის შემთხვევაში ნებისმიერ ერს შეეძლო საკუთარი სისტემის ახლებურად გარდაქმნა. მატერიალურ ცხოვრებაში ეს იყო მძიმე (რაინდული) შეიარაღება, სულიერში – ერთღმერთიანობა (ქრისტიანობა, ისლამი).

ამ პერიოდში შეიძლებოდა ანტიკური მონათმფლობელობიდან და თემური წყობიდან ისეთ სისტემაზე გადასვლა, რომელშიც **ერთნი შრომობენ, მეორენი - ომობენ, მესამენი - ლოცულობენ**. ესაა ფეოდალიზმი.

ანტიკური მსოფლიოს სწორედ ეს მიღწევები გადაიღეს გერმანული და სლავური წარმოშობის ხალხებმა, რომლებიც ევროპის უდიდეს ნაწილზე დასახლდნენ, ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ–მდე I ათასწლეულში. შეიქმნა შემდეგი სახელმწიფოები: ფრანკთა სამეფო (საფრანგეთი), ანგლო–საქსების სამეფო (ბრიტანეთი), ლანგობარდების სამეფო (იტალია), დასავლეთი სლავების სამეფო (პოლონეთი, ჩეხეთი) და აღმოსავლეთი სლავების სამეფო (კიევის რუსეთი). სწორედ ამ ფეოდალურ სახელმწიფოთა ჩარჩოებში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს ცნება.

აქ ძირითადად თავისუფალი გლეხები, სასოფლო თემის წევრები მუშაობდნენ, ხოლო მართავდნენ მეფეები ან დიდი თავადები, რომლებიც ეყრდნობოდნენ სამხედრო შენაერთებს. ეს სამხედრო შენაერთი ერთდროულად გვარდიის, გენერალური შტაბისა და სამმართველოს როლს ასრულებდა. პირველი ჯარი მეფის კარზე ცხოვრობდა

სრულად სახელმწიფოს კმაყოფაზე, ხოლო თანხები ამისათვის იკრიბებოდა გადასახადების სახით. სახელმწიფო ხარჯების ყველაზე მოცულობითი მუხლი იყო შეიარაღების ყიდვა. მაგალითად, ფრანკთა სახელმწიფოში ერთი კავალერისტის სრული შეიარაღება (მუზარადი, ჯავშანი, ჯაჭვის პერანგი, საბარკულები, ფარი, ხმალი, შუბი და ა.შ.) ღირდა იმდენივე, რამდენიც ერთი სოფლის კუთნილებაში მყოფი საქონელი. ცნობილია შემთვხევები, როცა მხოლოდ ცხენსა და მახვილში მიუციათ მიწის დიდი ნაკვეთი. კიევის რუსთში X საუკუნეში ჯაჭვის პერანგისა და ფარის ღირებულება 20 კგ ვერცხლის უდრიდა. უზანგი, რომელიც ევროპაში VIII საუკუნეში გამოჩნდა, აქცევდა ცხენს და მხედარს ერთ დამრტყმელ მეომარ აგრეგატად, რომელიც უვნებელი იყო ქვეითი მეომრის წინააღმდეგ ბრძრლაში. არტილერიის გაჩენამდე (XIV საუკუნე) კავალერია იყო ძლიერი არმიის ერთერთი უმთავრესი შენაერთი. XV–XVIII საუკუნეებში მძიმე რაინდული შეიარაღება თავისებურ ანაქრონიზმად იქცა. რაინდებიის კავალერია შეიცვალა მასობრივმა რეგულარულმა დაქირავებულმა საჯარისო შენართებმა.

ამ ცვლილების შესაბამისად, ღალა და ბეგარა მიწის რენტამ ჩაანაცვლა, ანუ ფულადმა ფეოდალურმა გადასახადმა შეცვალა ნატურალური და შრომითი. ეს მოხდა სწორედ მას შემდეგ, რაც დაქირავებული ჯარი წარმოიშვა, ანუ მაშინ, როცა ნატურალური ანაზღაურებისათვის კი არა, მიწის ნაკვეთისათვის

აქირავებდნენ თავის საომარ ძალას და ცოდნას. პროცესი განპირობებული იყო ისტორიული და პოლიტიკური სიტუაციითაც VIII–X საუკუნეებში: ფრანკთა სახელმწიფო განიცდიდა არაბების შემოსევას, ბრიტანეთი – სკანდინავებისას (ვიკინგები), გერმანია – უნგრელებისას და ა.შ. სახელმწფო თავის დაქირავებულ ჯარებს მიწის სარგოს აძლევდა. საფრანგეთში, მაგალითად, მას ერქვა ბენეფიცია, რომელიც დროთა განმავალობაში ფეოდად იქცა. ბენეფიციარები გადაიქცნენ ფეოდალებად, ხოლო ბენეფიციასთან ერთად ბენეფიციარისთვის გადაცემული გლეხი – ყმად. მაგალითად, გერმანიაში უფრო მარტივ ხერხს მიაგნეს. ყოველი ათი გლეხიდან ერთი ხდებოდა მეომარი, ხოლო დანარჩენი ცხრა კი მას ინახავდა. ანუ დასავლეთ ევროპა იხსნა საკუთარი თავი უცხოელთა შემოსევებისაგან გლეხის თავისუფლების გაწირვის ხარჯზე.

გლეხის დაყმევების მასობრივ, სახელმწიფო მეთოდებთან ერთად, არსებობდა ინდივიდუ-ალურიც, როცა გლეხი სესხის საფასურად ნებაყოფილობით გადასცემდა ფეოდალებს თავის მიწასა და თავისუფლებას, ხდებოდა რა დამოკიდებული. ყოველივე ეს ხდებობა I ათასწლეულის მიწურულს, ტოტალური რელიგიური ფსიქოზის ფონზე, როცა ყველა „სამყაროს აღსასრულსა“ და აპოკალიფსს ელოდა, ანუ ექსტალოგიამ (აღსასრულის მოლოდინის ფსიქოლოგიამ) ბევრად შეუწყო ხელი ფეოდალური ტიპის ეკონომიკის ჩამობალიბებას.

ფეოდალური ევროპის მიწათმოქმედების სისტემები

ფეოდალური მიწათმოქმედების საფუძველს აუცილებლად წარმოადგენდა ინდივიდუალური მინდვრის შრომა გლეხის ოჯახში, ხოლო საქონლის მოვლა შეიძლებოდა ყოფილიყო კოლექტიურიცა და ინდივიდულურიც, ამის მიხედვით გამოიყენებოდა მიწათსარგებლობის სამი სახეობა:

1) **ღია მინდვრის** - ეს არის ყველაზე გავრცელებული სახე, რომლის დროსაც არსებობს სახნავი მასივები მათში გამოყოფილი კოლექტიური საძოვრებით);
2) **ხმელთაშუაზღვისპირული** ან კომპაქტური, სადაც თითოეულ მეურნეობას თავისი სახნავი და საძოვარი მიწები აქვს და საქონელი ძოვს ინდივიდუალური საკუთრების პრინციპით;
3) **კელტური**, ანუ ატლანტიკური, სადაც უპირატესობა საძოვრებს ენიჭებათ, ისინი კოლექტიურ სარგებლობაში იმყოფებიან, ხოლო სახნავი მიწები კი იყოფა ორ ნაწილად – შიდა და გარე; გარე მიწებად ითვლება ტყისგან გამოთავისუფლებული ახალი ნაკვეთები.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველაზე დიდი თავისუფლებას იძლეოდა ხმელთაშუა ზღვისპირული მიწათსარგებლობის ტიპი, ხოლო თემის როლი ყველაზე მაღალი იყო ღია მინდვრის სისტემის დროს.

მაგრამ მიწათსარგებლობის ნებისმიერი ტიპის შემთხვევაში, მაინც დიდი იყო განსხვავება

მიწათსარგებლობის ევროპულ და აზიურ ტიპებს შორის. ევროპაში ბატონობდა ინდივიდუალური შრომა, თემი კი **შრომავალდებული პირების ერთობა** კი არა, სოფლელი **მეზობლების** გაერთიანება იყო და საკითხები იქ სამართლიანობის პრინციპით წყდებოდა. ეროპული ფეოდალიზმის მიერ მოგონებული სამმინდვრიანობა ნელნელა, მაგრამ საფუძვლიანად დაიძრა სამხრეთისა და აზიის მიმართულებით. სამმინდვრიანობის დროს მოუსავლიანობის რისკი მცირდებოდა. გარდა ამისა, სამხრეთ რეგიონებში გავრცელებულმა მსუბუქმა გუთანმა ნელნელა ადგილი დაუთმო ჩრდილოეთიდან მოსულ მძიმე წრიულ გუთანს, რომლის გაწევას რამდენიმე უღელი ხარ–კამეჩი ესაჭიროებოდა. ყველაფერმა ამან მნიშვნელოვნად გაზარდა მოსავლიანობა (შედარებისათვის: რომის აღზევების ხანაში მოსავლიანობა შეადგენს თესლის მოცულობის გაათმაგებულ რაოდენობას, ანუ მოსავალი თესლზე ათჯერ მეტია; რომის დაცმის წლებში მოსავალი თესლს მხოლოდ 1,5-ჯერ აღემატება, XI-XII საუკუნეების ევროპაში კი მოსავალი თესლზე 5ჯერ მეტია).

საფრანგეთის ფეოდალური ეკონომიკის ძირითადი ნიშნები

საფრანგეთი ფეოდალიზმის კლასიკური მაგალითია, ეს ეხება როგორც ეკონომიკას, ასევე მის სახელმწიფოებრივ მოწყობას. აქ ფეოდალურმა იერარქიამ დასრულებული სახე მიიღო „ვასალური კიბის“ სახით, რომლის ეკონომიკური არსი იყო ფეოდალური რენტის მმართველი კლასებისათვის

გადანაწილება. საწელმწიფოს სათავეში მეფე ედგა, რომელიც ღმერთის ვასალად ითვლებოდა. მეფის ვასალები იყვნენ ჰერცოგები და გრაფები – უმსხვილესი ფეოდალები, მათ ვასალებად ითვლებოდნენ უფრო წვრილი ფეოდალები – მამულის მეპატრონე რაინდები, ანუ კავალერები (შევალიე). ვასალი მხოლოდ თავის უშუალო სიუზერენს ემორჩილებოდა (ცნობილი პრინციპით: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არაა“). ვასალები ამა თუ იმ მასშტაბის სიუზერენის პირველი ბრძანებისთანავე თავისი ხარჯით გროვდებოდნენ ჯარად, რომელიც იცავდა საზღვრებს და წარმოადგენდა არაეკონომიკური ძალდატანების სახეობას.

ეს სისტემა ძალიან ხშირად ფერხდებოდა, ვინაიდან საფრანგეთი იქცეოდა დამარბეველი შიდა ომების ამფითატრად. განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკური შედეგები ჰქონდა ჩრდილოელი ფრანგი ფეოდალების სამხრეთელების წინააღმდეგ ბრძოლებს (XIII საუკუნის ალბიგოური ომები) და ასწლიანი ომის პერიოდული ბრძოლებს ინგლისთან (XIV–XV საუკუნეები), რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. იმისათვის, რომ ჩამცხრალიყო ფეოდალების აღვირახსნილი თარეში და მათი დამოუკიდებელი დამარბეველი შეტაკებები, საფრანგეთში საჭირო გახდა გლეხური აჯანყება „ჟაკერია“.

უზარმაზარი დარტყმა იყო საფრანგეთისთვის 1347 წლის შავი ჭირის პანდემია. ამ მიზეზით საფრანგეთში მოსახლეობის მატების დონე გაცილებით დაბალი იყო ინგლისის, გერმანიისა და იტალიის ანალოგიურ

მაჩვენებელზე. ამდენად, ქვეყნის ინგლისელთა თარეშისაგან გასათავისუფლებლად ფრანგ მეფეებს ძალიან დიდი დაქირავებული ჯარი და მისი შენახვის სახსრები ესაჭიროებოდათ. ამისათვის აუცილებელი რესურსს თავისუფალი გლეხობა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მეფის ხელისუფლება ყველანაიად ცდილობდა გლეხების გათავისუფლებას შესაბამისი გადასახადის შეტანის შემდეგ. გლეხებისათვის მდგმოარეობა არ შეცვლილა, ვინაიდან ფეოდალური რენტა შეცვალა ფულადმა გამოსყიდვამ, ფრანგი გლეხისათვის მიწას მოქონდა 10%–იანი მოგება და ამ თანხის 20% სახელმწიფოსა და ეკლესიას მიქონდა.

XIV საუკუნეში გამოიყო სასოფლო–სამეურნეო სპეციალიზაციის მთავარი ზონები: ჩრდილო და ცენტრალური საფრანგეთი იყო ქვეყნის ბეღელი, სამხრეთი – ღვინის წამოების ცენტრი. ჩრდილოეთის უპირატესობას შეადგენდა სამმინდვრიანი სისტემა. მაგრამ უპირატესობა მარტო ეკონომიკური არ არის, ჩრდილოეთი პოლიტიკურ უპირატესობასაც ფლობდა, ვინადან სამხრეთი საფრანგეთი ძირითად საომარ არენას წარმოადგენდა.

ინგლისის ფეოდალური ეკონომიკის თავისებურებანი

პირველი თავისეუბრება - ესაა საფრანგეთთან შედარებით უფრო მკაცრი ცენტრალიზაცია. ამის მიზეზი იყო ქვეყნის ნორმანდიელი ფეოდალების მიერ დაპყრობა. ნორმანდიის ჰერცოგთა ხელმძღვანელობით 1066 წელს

ნორმანებმა დაიკავეს ინგლისის სამეფო ტახტი და ჩაატარეს მოსახლეობის აღწერა, რომელმაც ასახა, რომ ამ დროისათვის ფეოდალური მამულების – მენორების ფორმირება უკვე დამთავრებული იყო. გარდა ამისა, ფრანგებისგან განსხვავებით, ინგლისელი ფეოდალები უშუალოდ მეფის ვასალები იყვნენ.

კიდევ ერთი თავისებურებაა ინგლსური მამულის ტექნოლოგიური თვითმყოფადობა: ზღვისპირა ეკოლოგიის წყალობით ინგლისი აწარმოებდა ძალიან დიდი რაოდენობის ნედლ მატყლს. მატყლი აუმჯობესებდა ინგლისელი გლეხის ყოფასა და ასრულებდა მნიშვნელოვანი სამრეწველო ნედლეულის როლს. ყველაზე დიდი მოთხოვნა ამ ნედლეულზე ფლანდრიის ქალაქებში ფისიმირდებოდა – ეს იყო შალის წარმოების ძირითადი ცენტრი. ამდენად, ინგლისი ყველანაირად უშლიდა ხელს საფრანგეთის მცდელობას, ხელში ჩაეგდო ფლანდრია (ასწლიანი ომის ერთ–ერთი მიზეზთაგანი ესეც იყო).

მატყლით ვაჭრობა, რომელსაც არა მარტო ფეოდალები, არამედ გლეხებიც აწარმოებდნენ, შლიდა ბატონყმურ მეურნეობას: XIII საუკუნის ბოლოსათვის ბეგარა და ღალა სულ უფრო და უფრო იცვლებოდა ფულადი რენტით, ხოლო ყმის შრომა - დაქირავებული შრომით. საშუალო და წვრილი ფეოდალები უბრალოდ მსხვილ სოფლელ მებატონებად იქცნენ, რომელთა ინტერესების ცენტრი არა ომში, არამედ ვაჭრობაში კონცენტრირდებოდა. XIV საუკუნეში „შავი

ჭირის“უზარმაზარი შემოტევის შემდეგ, რომელმაც ინგლისის მოსახლეობის 1/3 იმსხვერპლა, მენორების მბრძანებლები – ლორდები, ისევ ბეგარას დაუბრუნდნენ.

ლორდების ამ „ფეოდალურმა რეაქციამ“ გამოიწვია სახალხო აჯანყება უოტ ტაილერის (1381) ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ ინგლისური მენორებში სრული კომუტაცია ხდება, რასაც შედეგად მოყვება გლეხების მიერ საკუთარი თავის გამოსყიდვა და გათავისუფლება. XV საუკუნეში ინგლისის მთელი გლეხობა უკვე თავისუფალი იყო, ეს იყო „კოპიგოლდერები“ – გლეხები, რომლებიც მიწის ნაკვეთისათვის იჯარას იხდიდნენ და „ფრიგოლდერები“ – სრულიად თავისუფალი გლეხები.

XV საუკუნეშივე აღმოცენდა ახალი აზნაურობა (ჯენტრი), რომლებიც თავის მეურნეობაში მხოლოდ დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. და თუმცა ფეოდალური დამოკიდებულება ინგლისელი გლეხებისათვის უკვე გავლილი ეტაპს წარმოადგენდა, რჩებოდა საფრთხე, რომ მატყლზე მოთხოვნილების გაზრდასთან ერთად, ჯენტრი მოითხოვდა კოპიგოლდერისგან მიწის გათავისუფლებას საძოვრებად მათი გადაქცევისათვის. სწორედ ასე მოხდა XVI საუკუნეში.

გერმანული ფეოდალური ეკონომიკის თავისებურება

ჯერ ერთი, გერმანული ფეოდალიზმი უფრო გვიანდელია, ვიდრე ინგლისისა და საფრანგეთის. მეორე –

გერმანია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ფრანგული, სლავური და იტალიური რეგიონები, არ იყო ეროვნული კომპლექსი, მესამე – სახელმწფოს სხვადსხვა რეგიონები ეკონომიკურად არ იყო ერთმანეთთან კავშირში. მეოთხე – გერმანიაში არა და არ ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმიწფო, მეხუთე – გერმანული ფეოდალების დაპყრობითმა ომებმა აღმოსავლეთის საზღვრებთან მოიტანა ახალი სახნავ–სათესი სავარგულები. დაიწყო შიდასახელმწიფოებრივი კოლონიზაცია, ანუ შეღავათიანი პირობებით გლეხების მოხიბლვა და ელბის აღმოსავლეთით დაპყრობილი მიწებზე მათი ჩასახლება.

მაგრამ XV საუკუნეში გერმანიამ დაიწყო ბალტიისპირა პორტებდან პურის მასობრივი გატანა ჰოლანდიაში და ინგლისში. იმპორტმა აღმოსავლეთ გერმანიის ფეოდალების ხელში მოიყარა თავი, რომლებმაც ჩაატარეს გლეხების სრული დაყმევება მათი მიწიდან აყრის საბაბით. გუშინდელ კოლონისტებს მოუწიათ შეღავათიან პირობებზე უარის თქმა და მიწიდან აყრის შიშით ბეგარაზე დათანხმება. ცნება „ელბისგაღმა მიწები“ გვიანდელი გერმანული ფეოდალიზმის სინონიმად იქცა.

1525 წელს მოხდა მასშტაბური გლეხური აჯანყება – დიდი გლეხური ომი, რომელიც სისხლში იქნა ჩახშობილი, რის შემდეგაც გერმანიაში გაბატონდა ბატონყმობის ყველაზე რეაქციული და არაადამიანურად მკაცრი ფორმები.

იაპონიის ფეოდალური ეკონომიკის თავისებურება

ფეოდალური იაპონიის მეურნეობა ძალზე განსხვავდებოდა ევროპულისაგან. პირველ რიგში იგი არ შეიცავდა დომენიალურ სახნავ მიწებს, ანუ არ შეიცავდა არც ბატონყმობის და არც ბეგარის ელემენტებს. უპირატესი იყო წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელიც ემყარებოდა მიწის მემკვიდრეობით გადაცემას. რენტა წარმოადგენდა რალურ ღალას (რომელსაც ბრინჯით იხდიდნენ). მეორე, ეროვნული მეურნეობა ფუნქციონირებდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის მრავალსაუკუნოვან პირობებში, რომელმაც წარმოშვა ფეოდალური კლასის უნიკალური მრვალრიცხოვანება: ფეოდალური სათავადოს ყოველი მფლობელი ამავდროულად იყო რეგულარული არმიის პატრონეც. არმია სამურაებისაგან შედგებოდა, რომელთა რიცხვა XIX საუკუნეში 400 000 ადამიანი შეადგინა, ხოლო ოჯახებთან ერთად – 2 მლნ. ადამიანი, რაც მთელი იაპონიის 30 მლნ–იანი მოსახლეობის 7%-ს შეადგენდა. აქედან გლეხობა იყო 80%, დარჩენილი 13% - ქალაქელი მოხელეები, ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ. სამურაები ღებულობდნენ „ბრინჯის სარგოს“ ნაცვლად მიწებისა, როგორც საფრანგეთში.

იაპონური ქალაქების მეურნეობა ევროპული მსგავსად ფეოდალური მოწყობისა იყო: ხელოსნები ერთიანდებოდნენ საამქროებად (ძა) ხოლო ვაჭრები გილდიებად (კაბუნაკი), რომლებიც მკაცრად ახდენდნენ საქმიანობისა და ყოფაცხოვრების რეგლამენტაციას.

მანუფაქტურები ჩანასახოვან მდგმოარეობაში იმყოფებოდა, ფეოდალური დაქსაქსულობა ხელს უშლიდა საერთო იაპონური ბაზრის შექმნას.

XIX საუკუნის შუა რიცხებამდე იაპონია დახურული იყო უცხოელთათვის მათი მცდელობის მიუხედვად, ჩაეთრიათ იაპონია ვაჭრობაში და დაეპყროთ იაპონური ბაზარი საკუთარი საქონლითა და მომსახურებით. იაპონიის იზოლაცია პირველად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაარღვია. 1854 წელს დაბომბვის მუქარით მათ ხელი მოაწერინეს იაპონელებს სავაჭრო ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმადაც იაპონია ხსნიდა ამერიკული ვაჭრებისათვის პორტებს მიმოდუ და ხაკოტატე.

ამას მოყვა ხელშეკრულებების დადება ინგლისთან, საფრანგეთთან, რუსეთთან და სხვა. ამან მძიმე დაღი დაასვა იაპონიის ეკონომიკას, რომელიც არაეკვივალენტური ვაჭრობის მსხვერპლი გახდა: მისი რესურსები ჩალის ფასად გაედინებოდა საზღვარგარეთ, ხოლო ხელოსნების მიერ შექმნილი პროდუქტი ფაბრიკულ პროდუქციას კონკურენციას ვერ უწევდა. შედეგად იაპონიაში მწარმოებლებისა და ვაჭრების მასობრივი გაკოტრება დაიწყო.

სახელმწიფოს ნახევრადკოლონიურმა მდგმაორეობამ ლოგიკურად მიიყვანა ქვეყანა ძალდატანებით გარდაქმნამდე (XIX საუკუნის 60–იანი წლები).

ფეოდალური ქალაქების ეკონომიკა

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპაში ცხოვრების ღრმა აგრარიზაცია მოხდა. ქალაქები დაიცალა ან გადაიქცა სოფლად, ხელოსნობა მხოლოდ სოფლის მეურნეობის დამატებითი რგოლის როლს ასრულებდა, ვინაიდან მამულში ხელოსანი ბეგარაზე მუშაობდა. XI საუკუნეში ხელოსნობა კვლავ გამოეყო აგრარულ სფეროს. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა ქმნიდა პროდუქტის ერთგვარ სიჭარბეს, შედეგად წარმოიქმნა ხალხის ჯგუფი, რომლებიც მხოლოდ ხელოსნობით ირჩენდა თავს, ანუ ცვლიდა თავის ნამუშევარს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

გარდა ამისა, გაიზარდა მოთხოვნა ხელოსნობის ნაწარმზე. თუ X საუკუნეში უზენაესი ფეოდალებიც კი შინაურ ნაქსოვ სელისა და მატყლის ქსოვილებს ატარებდნენ, XI საუკუნეში ისინი არა შინაურს, არამედ ნაყიდ ქსოვილბს ირჩევდნენ. მაგრამ ყველაზე უბრალო მაუდსაც კი განსაზღვრული ტექნოლოგიური პირობები ესაჭიროებოდა ადგილი, მოწყობილობა და პროფესიონალები. თანდათან მოცულობამ, ტექნიკურმა დონემ და დარგობრივმა სპეციალიზაციამ ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომ ხელოსნობა უბრალო დამატების როლით ვეღარ კმაყოფილდებოდა. სოფლის წვრილი ხელოსნები პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ და სულ უფრო დიდ შეკვეთეზე მუშაობდნენ. ამისათვის კი ფეოდალური მამულის საზღვრები ძალზე ვიწრო იყო.

საწარმოო საქმიანობისათვის ოპტიმალური ადგილია ის, სადაც მომხმარებელი და გამყიდველი შეუფერებლად ხვდებიან ერთმანეთს და არის უწყვეტი წყალმომარაგება. სწორედ ამიტომაა, რომ ყველა მსხვილი ევროპული ქალაქი ტბაზე ან მდინარეზეა აშენებული, ხოლო მათი ტოპონიმები კი „ხიდის“ ცნებას შეიცავს (კემბრიჯი, პონტუაზი, ბრიუგგე და ა.შ.); გარდა ამისა, მდიდარი ქალაქები ტავდაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ციხსიმაგრეებითა და კედლებით არიან გარშემორტყმულნი, რაც ტოპონიმიკაში „ციხესიმაგრის“ ცნებას აჩენს (მანჩესტერი, ჩიჩესტერი, ლანკასტერი, სტრასბურგი და სხვა).

XI საუკუნეში გამოცოცხლდა ძველი რომაული იმპერია, გაიზარდა ქალაქები რომი, ვენეცია, ფლორენცია, მარსელი, გენუა, ტულუზა, პაროზი, კიოლნი, აუგსბურგი, ლონდონი. მათი ახალი ცხოვრება საკმაოდ სწრაფად გასცდა რომაულ კედლებს. XII საკუნის ბოლოს ქ. კიოლნის მოედანი სამჯერ აღემატებოდა რომაელების მიერ დაარსებულ ქალაქ კოლონიის იმ მოედანს, რომლის ადგილზეც აღმოცენდა კიოლნი, მაგრამ ევროპული ქალაქების უმრავალესობა თავიდან იყო აშენებული და ევროპაში ურბანიზაცია საკმაოდ მაღალი ტემპით მიმდინარეობდა. მარტო გერმანიაში XIII-XIV საუკუნეებში 700 ახალი ქალაქი წარმოიშვა. XV საუკუნეში ქალაქებს შორის მანძილი კონტინენტზე 20–30 კილომეტრს არ აღემატებოდა (რომ გლეხისთვის ერთი დღის განმავლობაში ბაზრამდე მისვლა ადვილი ყოფილიყო).

მიუხდედავად იმისა, რომ ყველა ქალაქს არ მოუპოვებია დამოუკიდებლობა ფეოდალური სინიორისგან, მიუხედავად ანტისანიტარიისა და მოსახლეობის დიდი კონცენტრაციისა, მიუხედავად ეპიდემიისაგან და ხანძრებისაგან დაუცველობისა, ქალაქმა მაინც თავიდანვე გადამწყვეტი პრიორიტეტი მოიპოვა სოფელთან შედარებით. ეს უპირატესობა გამოხატული იყო ორი მოწყობილობით: **კედლები** და **ბაზარი**. კედლები გარკეული გარანტია იყო უსაფრთხოებისა, ხოლო ბაზარი კი უზრუნველყოფდა ქალაქისათვის სოფელზე ბატონობას – იგი ადგენდა ფასებს, რომლის მიხედვითაც ხორიცელდებოდა საქონელმიმოცვლა, ქალაქში გაქცეული და იქ ერთი წლისა და ერთი დღის განმავლობაში ნაცხოვრები ადამიანი ფეოდალური დამოკიდებულებისაგან თავისუფლად ითვლებოდა.

ხელოსნობის ორგანიზაცია

მართალია ქალაქი განაგებდა სოფლის ცხოვრებას, მაგრამ ფეოდალიზმი განსაზღვრავდა თვით ქალაქის მართვასა და მისი მეურნეობის ორგანიზებას. ქალაქური ეკონომიკის ძირითადი დარგი, – ხელონობა, – ღებულობდა არაეკონომიკური საამქრო ორგანიზაციის ფორმას. საამქრო ძალდატანებით აერთიანებდა ხელოსნებს. ერთი ქალაქის ჩარჩოებში ოსტატების, ოსტატის თანაშემწეებისა და შეგირდები სისტემა საამქროში წოდებრივ იერარქიას ქმნიდა.

იმისათვის, რომ ხელოსანი ოსტატი და საამქროს წევრი გამხდარიყო, მას უნდა გაევლო შეგირდობის პერიოდი (7 წელი), გამოცდის ჩაბარების შემდეგ შეეტანა საწევრო გადასახადი და საამქროს სხვა წევრებისათვის ქეიფიც გაემართა. არაეკონომიკური ძალდატანებას საამქროში ეკონომიკური აზრი ქონდა. წვრილი საქონელმწარმოებლის მიზანი იყო არა მოგების მიღება, არამედ არსებობისათვის საჭირო სახსრების მოპოვება შეზღუდული მოთხოვნილების მქონე ადგილობრივი ბაზრის პირობებში, ამიტომ აქ მარტივი კვლავწარმოება ბატონობდა, ე.ი. რეჟიმებისა და საწარმოო სიმძლავრეების ერთნაირობა და ტოლობა. ნათელია, თუ რატომ იდევნებოდა ყოვლივე ახალი და პროგრესული, მაგალითად სართავი მანქანა, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნიდან იყო ცნობილი; ანდა რატომ იყო მომარაგება–გასაღება მკაცრად რეგლამენტირე-ბული: ყოველი ოსტატს მხოლოდ ერთი სახელოსნო, 1–2 თანაშემწე, 2–3 შეგირდი, ერთნაირი ხელფასი, ნედეულის თანაბარი განაწილება, მუშაობის აკრძალვა ხელოვნური განათების პირობებში (რათა არ გახანგრძლივებულიყო სამუშაო დღე და შესაბამისად არ დაეშვათ ზეწარმოება, რომელიც საქონლის „ჩაწოლას“ გამოიწვევდა), ერთანირი ხარისხი ერთი საამქროს პროდუქციისათვის, რეკლამის აკრძალვა და სხვა. ასეთ პირობებში მთავარ ელემენტს წარმოებაში პირადი დახელოვნება და ოსტატობა წარმოადგენდა. გამოცდის ჩაბარება ხდებოდა შემადგნაირად: მაგალითად, გერმანიაში

სამჭედლო საამქროს წევრობის კანდიდატებს ორ–სამჯერ ნანახი ცხენისათვის მოზომების გარეშე უნდა გამოჭედათ ნალი.

საამქრო, როგორც ფეოდალურის მსგავსი ასოციაცია, მართავდა არა მარტო მუშებს, არამედ მათ არასამუშაო დროსა და შეგნებასაც კი: საამქროს გააჩნდა საკუთარი კლესია, ურთიერთდახმარების საკუთრი სალარო, საკუთარი გვარდია ქალაქის თავდაცვის ნაწილში, ყოფაქცევის საკუთარი კოდექსი და სამართალიც კი. სხვათა შორის, ბევრ ევროპულ ქალაქში დასახლებულ უბნებსა და სასაფლაოებს, ქუჩებს და ზოგჯერ მთელ ქალაქსაც კი, წარჩინებული საამქროების სახელს ანიჭებდნენ.

XV საუკუნეში საამქროები უკვე ძალზე აფერხებდნენ ტექნიკურ–ეკონომიკური სფეროს განვითარებას. ისინი არ იძლეოდა სახელოსნოების გაფართოების ან შრომის პროცესის ოპერაციების მიხედვით დაყოფის საშუალებას, რაც ადიდებდა შრომისნაყოფიერებას. მარტივად რომ ითქვას, საამქროები აფერხებდნენ კაპიტალიზმის განვითარებას. საამქრო რეგლამენტზე პირდაპირი იერიშის მიტანა გამორიცხული იყო, ვინაიდან თავისი რაოდენობით და გადახდილი გადასახადებით საამქროები ქალაქის თავდაცვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ამდენად მათ პრიორიტეტული როლი ენიჭებოდათ ქალაქის ცხოვრებაში. ამიტომ პირველი კაპიტალისტები, – მაგალითად შალის ნაწარმის პირველი მწარმოებლები, - შემოვლით გზებს აირჩევდნენ: ქირაობდნენ გლეხებს,

რომელთაც ჰქონდათ სართავი მანქანები, ან ახდენდნენ დაქირავებული შრომისა და მარტივი ოპერაციების საამქრო შრომასთან კონბინირებას (ფლორენციაში).

ამა თუ იმ ქალაქის ხელოსნები, როგორც წესი, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, მაგრამ ზოგიერთი ქალაქის წარმოებებმა საერთაოეროვნული მნიშვნელობა შეიძინა. ეს იყო შალის ქსოვილების წარმოება (ფლანდრია, ჩრდ. იტალია) საზღვაო გემები (ხმელთაშუა ზღვისპირეთის პორტები), ფერადი მინები (ვენეცია, მურანო), ლითონის დამუშავება (მილანი, ზოლინგენი).

ვაჭრობა და კრედიტი

ვაჭრობაზე, ისევე როგორც ხელოსნობის განვითარებაზე, ფეოდალიზმმა თავისი ზეგავლენა მოახდინა. წარმოიქმნა ჩაკეტილი ასოციაციები – გილდიები, რომელებიც აერთიანებდნენ ერთი ქალაქის ერთნაირ საქონლით მოვაჭრეებს (მაუდი, პური) ადგილობრივი ბაზარზე მონოპოლიის მოპოვების მიზნით. გილდიებში სასაქონლო ასორტიმენტის და სავაჭრო მიმოქცევის წესები მკაცრად იყო რეგლამენტირებული, ამიტომ შუა საუკუნის ვაჭარი შეზღუდული თავისუფლებით სარგებლობდა.

ევროპაში მსხვილი საერთაშორისო საბითუმო ვაჭრობა ორ ძირითად მოთხოვნილებას ემსახურებოდა: ა) ფუფუნების საგნებსა და სუნელებზე; ბ) ძირითად

სამომხმარებლო საქონლის მიმოცვლაზე ევროპის ქვეყნებს შორის.

პირველი ტიპის საქონლის მიმოქცევა ხორიცელდებოდა ხმელთაშუაზღვის გავლით. იმპორტს შადგენდა სუნელები და ფუფუნების საგნები, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები აღმოსავლეთიდან, ხოლო ექსპორტს - მიტკალი, ლითონნაკეთობა, უპირატესად კი ოქრო და ვერცხლი. სავაჭრო სალდო იყო პასიური, ვინაიდან აღმოსავლურ საქონელზე მოთხოვნა (ანუ იმპორტი) ჭარბობდა. სუნელები, განსაკუთრებით შავი პილპილი, მისტიკური თვისებების მატარებლად იყო მიჩნეული. გარდა ამისა, იგი მაკონსერვებელ როლსაც თამაშობდა და ამიტომ სასაქონლო მიმოქცევაში გარკვეული პერიოდით მან ფულიც კი ჩაანაცვლა. ზაფრანა და სხვა მცენარეები საღებავის როლს თამაშობდნენ.

ბამბის, ხავერდის, ფარჩის, აბრეშუმისა და ატლასის ქსოვილები, სანელებლები, სუნამოები, საკმევლები, ფერადი შუშა – ყველაფერი ეს მაღლა სწევდა წარჩინებულთა პრესტიჟს. ევროპული ექსპორტი აღმოსავლეთში ვატიკანის მიერ იზღუდებოდა: აკრძალულული იყო მუსულმანური სამყაროსათვის სტრატეგიული საქონლის, ანუ იარაღის ანდა პურის მიწოდება, მაგრამ აღმოსავლეური საქონელი უამრავი საშუამავლო რგოლის დახმარებით მაინც ხვდებოდა ევროპულ ბაზარზე. ინდოეთიდან, ინდონეზიიდან და ჩინეთიდან საქონელი საქარავნო გზით ხვდებოდა

ხმელთაშუა ან შავი ზღვის პორტებში, სადაც განლაგებული იყო გენუელი და ვენეციელი ვაჭრების ფაქტორიები (გენუელები და ვენეციელები ყველაზე დიდი ევროპული ქალაქები იყვნენ იმდროინდელ ევროპაში; ვენეციის ფლოტი 3 ათას გემზე მეტს მოიცავდა). აქ ხდებოდა აღმოსავლური საქონლის დასავლურზე გადაცვლა. მიმდინარეობდა ცოცხალი საქონლით ვაჭრობაც: ყირიმის ხანები სლავების რეგულარული დარბევის შედეგად უამრავ ტყვეს ყიდდნენ იტალიურ ბაზრებზე. ასევე იქცეოდნენ ლეკები და ოსმალოები, რომლებიც კავკასიის სხვდასხვა ხალხების ბავშვებსა და ახალგაზრდებს ყიდდნენ ტყვეობაში. განსაკუთრებულად მაღალი იყო მოთხოვნა ქალებზე, რომლებიც აღმოსავლეთის მმარველთა ჰანამხანების შესავსებად იყიდებოდნენ. ევროპული ფაქტორიებიდან იტალიელ ვაჭრებს საქონელი გადაჰქონდათ საბითუმო გაყიდვებისათვის. გადაყიდვების შემდგომი რიგის შედეგად საქონელი საბოლოოდ ევროპული საცალო მომხმარებლის ხელში ხვდებოდა. ფასი, რასაკვირველია, ყოველი ახალი გადაყიდვის ეტაპზე იზრდებოდა, ამიტომ საბოლოოდ მყიდველი საარაკო ფასს იხდიდა. იტალიელი ვაჭრების შუამავლობა და ამის შედეგად ევროპული ქვეყნებიდან ოქრო–ვერცხლის გადინება წარმოშობდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარების საჭიროებას. იგი განსაკურთებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც XV საუკუნეში თურქმა სულთნებმა გააძლიერეს ოტომანთა იმპერია და

განავრცეს საკუთარი ძალაუფლება სამხრეთ ხემელთაშუაზღვისპირეთისა და აზოვ–შავი ზღვის აუზის ქვეყნებზე. გარდა ამისა, აღმოსავლეურ საქონლზე მზარდი მოთხოვნილება და ფასები ევროპაში რენტის კომუტაციის მიზეზი გახდა, რაც ევროპული ფეოდალური მეურნეობის გარდაქმნასა და დაშლას იწვევდა.

მეორე ძირითადი ნაკადი გადიოდა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებზე. XIV საუკუნეში ჩრდ. ევროპის მეურნეობა უკვე მზად იყო, გაეტანა ბაზარზე ძვირფასეულობა, კარაქი, მაუდი, ქონი და ა.შ. ამ ნაკადებში ცენტრალურ როლს ფლანდრიის შალეულის საამქროების ნაწარმი ასრულებდა. ხოლო მთავარ ბაზარს კი ბრიუგე წარმოადგენდა, რომელსაც ევროპელები „ჩრდილოეთის ვენეციას“ უწოდებდნენ.

XIV საუკუნეში ვაჭრობის დაცვისა და რელგამენტაციისათვის შექმნილი იყო განზა – საერთაშორისო სავაჭრო გილდია, რომელშიც 150 ჩრდ. ევროპული სავაჭრო ქალაქი შევიდა. მთავარი მედიატორს ჩრდ. გერმანული ქალაქები ჰამბურგი, ლიუბეკი და ბრემენი წარმოადგენდნენ, ვინაიდან მათ გადამავალი პოზიცია ეჭირათ ჩრდ. ზღვის ბასეინში. განზა **არა სამეურნეო, არამედ სამხედრო –პოლიტიკური კავშირი** იყო, რომლის ფუნქციას წარმოადგენდა სავაჭრო ექსპედიციების მომზადება და დაცვა, სავაჭრო ფაქტორიების, მონოპოლიებისა და პრივილეგიების შექმნა, სავაჭრო და სამართლებრივი რეჟიმების რეგულირება და ა.შ. განზას ცენტრი ლიუბეკში

მდებარეობდა, ხოლო უმთავრესი ფაქტორიები კი განზის მარშრუტების ბოლო წერტილებში – ნოვგოროდში (ისევე, როგორც რუსეთის სხვა ქალაქი - ფსკოვი, ეს ქალაქიც განზის ასოცირებული წევრი იყო), ბერგენში (ნორვეგია), ლონდონში და ბრიუგეში. განზური ვაჭრობა უფრო მნივშნელოვანი იყო წარმოების განვითარების თვალსაზრისით, ვიდრე აღმოსავლეთთან ვაჭრობა, მაგრამ სამწუხაროდ არ ხასიათდებოდა განსაკუთრებული დინამიზმით, ვინაიდან ძირთადად საამქროთა ჩამორჩენილ ვაჭრობას ემსახურებოდა.

სახმელეთო ცენტრებში, სადაც ერთმანეთს ჩრდილოეთისა და სამხრეთის საქონელნაკადები ხვდებოდა, ჩნდებოდა ბაზრობები, რომლებიც მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებდა (მაგალითად, საფრანგეთის შამპანის ოლქში).

საზარაფო (გადასაცვლელი) საქმიანობის ბაზაზე, ისევე, როგორც ოდესღაც ანტიკურ ხანაში, ფეოდალურშიც განვითარდა კრედიტი. პორტატიული ქაღალდის ფულის უქონლობისა და სავაჭრო გზების კრიმინოგენური მდგომარეობის პირობებში XII საუკუნიდან განვითარდა უნაღდო ანგარიშსწორების პრაქტიკა. გადარიცხვის ფუნქციები მეზარაფეებმა და ზარაფხანებმა იტვირთეს. ნაღდი ფულის როლს მეზარაფეს მიერ გაცემული თამასუქი ასრულებდა, რომლის მიხდვითაც მისი აგენტი გასცემდა ამა თუ იმ თანხას წარმდგენზე. ზარაფხანების სახელი გამოიცვალა და მათ ბანკებს უწოდებდნენ. ბანკი „banca“ -

იტალიურად ნიშნავს ადგილს, სადაც ქუჩის მეზარაფეები ისხდნენ. მათი მეპატრონეებს ბანკირებს უწოდებდნენ.

ბანკები აგროვებდნენ მნიშვნელოვან თანხებს, რომელსაც გასცემდნენ სესხად ძალზე მაღალი პროცენტით. მაგრამ კრედიტი მხოლოდ მინიმალური დოზით ხვდებოდა საწარმოო სფეროში (ეს სფერო საამქროთა „წყალობით“ იყო ჩაკეტილი და არ ვითარდებოდა). სავახშო კაპიტალი ძირითადად ფეოდალებისათვის ფუფუნების საგნების ყიდვაზე იხარჯებოდა. გარდა ამისა, იგი სახელმწიფოთა სამხედრო ე.ი. საომარ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. მდიდარი საბნკო კანტორები ქმნიდნენ საკუთარ სავაჭრო და საწარმოო დაწესებულებებს, ხოლო მდიდარი ვაჭრები კი თავისი მოგების მნიშვნელოვან თავისუფალ ნაწილს საკრედიტო–სავახშო სფეროში მიმართავდნენ. სწორედ ასე იქმნებოდა სავაჭრო–საბანკო-სავახშო ფირმები, რომლებიც უდიდეს როლს თამაშობდა შუა საუკუნეების ფეოდალურ ევროპაში. მაგალითად, ფრანგულმა სავაჭრო ფირმის „ძმები ბონი“ (ქ.მონტობანი, XIV საუკუნე) ოპერაციები მოიცავდა სესხების გაცემას თამასუქების, მიწებისა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების გირავნობით, შენატანების გმოსყიდვას, „საეკლესიო ათეულის“ გამოსყიდვას, იარაღით, ნელსაცხებლებით, საიუველირო ნაწარმით ვაჭრობას, ცვილის სანთლის წარმოებას, ცხენების გაქირავებას, რიტუალური პროცესების ორგანიზაციას და მრავალი სხვა. ასევე იყო გადახლართული სავაჭრო, საკრედიტო და სავახშო ოპერაციები სხვა ევროპულ მსხვილ საბანკო

სახლებშიც – მედიჩების (იტალია), ფუგგერების, ველზერების (გერმანია), ბარდისა და ტოლომეის (საფრანგეთი).

ფუგერებისგან ნასესხები ფულით ესპანურმა მთავრობამ დააფინანსა კოლუმბის ტრანსატლანტიკური მოგზაურობა (თანამედროვე კურსით მისმა ღირებულებამ რამოდენიმე ამერიკული აშშ დოლარი შეადგინა).

სავახშო კაპიტალის სოციალურ–ეკონომიკური როლი არაერთგვაროვანია. სავახშო კრედიტი, რომელიც წვრილი და საუშალო შეძლების ფეოდალებზე გაიცემოდა, მათსავე გაკოტრებას უწყობდა ხელს, ანუ ათავისუფლებდა გლეხობას. სესხები, რომლებიც მთავრობაზე გაიცემოდა, პირიქით – აძლიერებდა ფეოდალურ სისტემას. აუგსბურგელი ფუგერების ფულით აღმოჩენილმა ამერიკის კონტინენტმა ეკონომიკურად განუვითარებელი ესპანეთი ძლევამოსილ ზესხელმწიფოდ აქცია და ერთი საუკუნით მაინც შეაფერხა დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის ლიკვიდაცია.

სახარებაში არსებულმა აკრძალვამ უსიცოცხლოს გამრავლების შესახებ ევროპაში გამოიწვია საბანკო და სავახშო კაპიტალის ძირითადად ებრაელების ხელში თავმოყრა. ეს მდგომარეობა დრამატულად ზემოქმედებდა მათ ყოფაცხოვრებაზე. მათი საარაკო სიმდიდრის გამო პალესტინიდან დევნილი ერის მიმართ ყველა ზიზღითა და შურით იყო განწყობილი, ხოლო მათმა სარწმუნოებამ კი საბაბი მისცა ქრისტიან ფეოდალებს, უდიდესი კრედიტები

გამოერთმიათ მათთვის და არ დაებრუნებინათ. კრედიტორის თავიდან მოშორება მისი ფიზიკური განადგურების გზით იყო შესაძლებელი. სწორედ ეს იყო მიზეზი ებრაელთა მასობრივი განადგურებებისა, რომლის გარეშეც არ არსებობს არც ერთ ევროპული სახელმწიფოს ისტორია. გერმანული ებრაელების –ფუგერების ფულით ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ესპანეთმა გაყარა ებრაელები ქვეყნიდან და სიკვდილის შიშით აკრძალა იუდეველთა რელიგია ესპანეთში.

ფარული კაპიტალისტური წარმოება

ფლორენციის სავაჭრო–სავახშო კაპიტალი (მედიჩის ფირმა, რომელსაც ჰქონდა განყოფილებები მთელს ევროპაში) აკრედიტებადა ქალაქის შალის წარმოებას.

ქონდათ რა დიდძალი სახსრები, ფლორენციელი ბითუმად მოვაჭრეები იაფად იძენდნენ ნედლ მატყლს ინგლისში და შემდეგ მზა ქსოვილს ყიდდნენ შორეულ ბაზარზე. ბითუმად მოვაჭრეებმა ფაქტიურად დაუმორჩილეს თავის ქმედებას ხელოსნები და გადაიყვანეს ისინი (ე.ი. შალის ქსოვილის მწარმოებლები) დაქირავებულ – კაპიტალისტურ ყაიდაზე. შენარჩუნდა მხოლოდ დასახელება „საამქრო“, სინამდვილეში კი მასში კაპიალისტური წარმოების წესები ინერგებოდა.

ყველა მოსამზადებელი ოპერაცია: მატყლის გასუფთავება, გარეცხვა, დაჩეჩვა, ქსოვა - მხოლოდ დაქირავებული შრომით ხორიცელდებოდა დღიური

ანაზღაურების სანაცვლოდ. ხოლო მღებავები და ოსტატები, რომელბიც ქსოვლის საბოლოო დამუშავებას ახდენდნენ, იყვნენ შეკვეთის შემსრულებელი ოსტატი მუშები, რომლებიც სამუშაოს საკუთარ სახელოსნოებში ასრულებდნენ. ამრიგად სახელოსნო შერწყმული იყო კაპიტალისტურ საწარმოსთან (მანუფაქტურასან), რომელიც ემყარებოდა დაქირავებულ შრომასა და შრომის პროცესის ოპერაციებად დაყოფას.

XIV საუკუნეში ფლორენციული მაუდის საწარმო, რომელშიც 40-მდე დაქირავებული მუშა შრომობდა, წელიწადწი 70 თოფ მაუდს უშვებდა, მაშინ როცა საამქრო ამის ნახევარსაც კი ვერ იძლეოდა წელიწადში.

ასეთივე ფარული კაპიტალისტური ორგანიზაცია იყო იტალიისა და საფრანგეთის აბრეშუმის მწარმოებელ, ანდა ნიურბერგის ლითონის დამამუშავებელ წარმოებებში. მაგრამ საწარმოო პროცესის ახლებურ ყაიდზე გარდაქმნის მასშტაბებით განსაკუთრებით ქალაქგარეთა დარგები გამოირჩეოდა.

კაპიტალისტური საწარმოს ფუნქციონირება საამქროს აბრის ქვეშ ხორიცელდებოდა რიგი განსაკუთრებული პირობების დაცვით, შეუფერხებელი კრედიტი, შორეული მხრიდან იმპორტირებული ნედლეული, გასაღების ფართო ბაზარი, შრომის ფართო ბაზარი და ა.შ. სავაჭრო –სავახშო კაპიტალმა იტალიაში შექმნა პირველი კაპიტალისტური წარმოება ისტორიაში.

თავი 3. კაპიტალისტური ეკონომიკის გენეზისი. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში, ხანაში, რომელსაც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა ეწოდა, ოკეანური ექსპედიციების მთელი სერიის წყალობით პირველად იქნა დამყარებული პირდაპირი და სტაბილური ეკონომიკური კავშირები ევროპასა და მსოფლიოს სხვა მხარეებს შორის. შედარებით მოკლე პერიოდში რიგი ევროპული ქვეყნების ეკონომიკაში ნაკადად შევიდა ისტორიაში ჯერ არნახული მატერიალური რესურსები ამერიკიდან, აზიიდან და აფრიკიდან.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები პირველ რიგში განაპირობა ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და შავი ზღვისპირეთში თურქეთის ექსპანსიამ. ევროპელები იძულებულნი იყვნენ, მოეძიათ ახალი გზები აღმოსავლეთისაკენ. კოლუმბი თვლიდა, მაგალითად, რომ ინდოეთი ატლანტის ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა და ამიტომაც აიღო გეზი დასავლეთისკენ. XV საუკუნის დასასრულს ძვირფასი ლითონების დეფიციტი ევროპაში განპირობებული იყო დასავლეთი ევროპისა და აღმოსავლეთის პასიური ვაჭრობით. ეს დეფიციტი უფრო გაღრმავდა გერმანიის ვერცხლის საბადოების გამოფიტვის შემდეგ. „ოქროს წყურვილი“ უბიძგებდა ევროპელებს აღმოსავლეთისაკენ ახალი გზების საძიებლად.

გარდა ამისა, არსებობდა პოლიტიკური ფაქტორიც – დასავლეთი ევროპის რამოდენიმე ქვეყნის გაერთიანება ამ დროისათვის უკვე დასრულდა. ეს პირველ რიგში ეხებოდა ესპანეთს, სადაც XV საუკუნის ბოლოსათვის წარმატებით დამთავრდა ხანგრძლივი ომები ქვეყნის არაბებისგან გასათავისუფლებლად. მრავალრიცხოვანი ფეოდალური სახედრო შენარეთები „უსაქმოდ“ დარჩნენ. ეკონომიკა ძალზე სუსტად იყო განვითარებული იმისათვის, რომ ფეოდალები მსხვილი სოფლის მემამულეებად გარდაქმნილიყვნენ ისე, როგორც ეს ინგლისში მოხდა. ომის გარდა მათ არაფერი ეხერხებოდათ და არც უნდოდათ რაიმეს კეთება. ამდენად, ესპანთის მაშინდელმა გვირგვინოსნებმა - ფერდინანდმა და იზაბელამ ეს საშიში ენერგია მიმართეს ქვეყნის გარეთ, უფრო ზუსტად კი ოკეანის გადაღმა მდებარე მიწების დასაპყრობად. ცენტრალური და სამხრეთი ამერიკების აღმოჩენაში ესპანური პრიორიტეტის მიზეზი სწორედ ეს იყო.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ევროპული მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს, განსაკურებით ნავიგაციაში, კოსმოგონიაში და გემთმშენებლობაში. XV საუკუნეში შეიქმნა საოკეანო გემის - კარაველას პირველი ტიპი, რომელსაც სამი ანძა (წინა გემების ტიპებს მხოლოდ ერთი ანძა გაჩნდათ) და ოთხკუთხედი იალქნების იარუსებად განლაგებული სისტემა გააჩნდა. კარაველა საშუალებას აძლევდა მეზღვაურებს, საჭირო კურსით

ემგზავრათ ქარის ნებისმიერი მიმართლულების შემთხვევაში.

სანავიგაციო მეცნიერების წარმატებაზე დიდი გავლენა იქონია კომპასის დახვეწამაც, რომელმაც XV საუკუნეში თავისი თანამედროვე სახე მიიღო: წვეროზე დამაგრებული მაგნიტური ისარი მინის ხუფის ქვეშ. თეორიულად კი ტრანსატლანტიკური მოგზაურობები გაამაგრა დედამიწის სფეროსებურობაზე სწავლების წარმოშობამ.

მაგრამ ეს ყველაფერი იყო მხოლოდ პოტენციალი, შესაძლებლობები, მისი აღსრულება საბოლოო ჯამში დამოკიდებული იყო ცოცხალი ადამიანების ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე, ე.ი. სოციალურ–ფისქოლოგიურ კლიმატზე დასავლეთ ევროპაში. თვით კარავალას გამოგონება ავტმოატურად არ განაპირობებდა წარმატებას, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ კოლუმბის ექსპედიციის სამი გემიდან მხოლოდ ორი იყო კარაველა. ჩვენს დროში ატლანტის ოკეანეს გადაცურვა რეზინის ნავითა და ტივითაც კი გახდა შესაძლებელი, მაგრამ იმ დროისათვის ეს იყო გრანდიოზული მოვლენა, შეიძლება ითქვას, ნახტომი დროში.

ფეოდალიზმმა თავისი არსებობის 1500 წლის მანძილზე დამოუკიდებელი მოქმედებისა და აზროვნების მქონე ხალხი აღზარდა, ვინაიდან მიაჩვია ისინი დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთებას. ამან კი პირველი

საოკეანო მოგზაურობებისათვის საჭირო მომენტში შვა ენერგია, ინიციატივა და მოქმედების ელასტიურობა.

§ 1. მსოფლიო ბაზარი

XVI საუკუნის ბოლოს ევროპელებისათვის ცნობილი დედამიწის ზედაპირი 6–ჯერ გაიზარდა. მსოფლიო გაფართოვდა და ვაჭრობა გახდა არა მარტო ტერიტორიული ურთიერთობის სფერო. სასაქონლო ასორტიმენტი შეივსო ახალი დასახელებებით: თამბაქო, ყავა, კაკაო, ჩაი, კარტოფილი, სიმინდი, ლობიო. ძალზე ამაღლდა უკვე ცნობილი, მაგრამ იშვიათი საქონლის – ბრინჯისა და შაქრის იმპორტი. XVI საუკუნეში სუნელების იმპორტის წლიური მაჩვენებელი 30–ჯერ გაიზარდა: 200-დან 7000 ტონამდე.

ქვეყანათა რიგში ახალი ბაზრების ათვისებისათვის ბრძოლამ წარმოშვა მონოპოლიური სავაჭრო გაერთიანებები, რომლებმაც ჩაანაცვლა განზა. ასეთი გაერთიანებებიდან ყველაზე ძლევამოსილნი იყვნენ ოსტ-ინდური ჰოლანდიური და ინგლისური კომპანიები, რომლებიც ებრძოდნენ ერთმანეთს ამერიკული ბაზრისათვის იგივე მეთოდებით, რომლებსაც იყენებდნენ გენუა და ვენეცია დიდი გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე; ეს იყო ომი, საზღვაო ყაჩაღობა, დარბევა და ა.შ.

ვინაიდან სავაჭრო გზები ჩრდილოეთის ზღვებსა და ხმელთაშუა ზღვის აკვატორიებიდან გადაადგილდა ოკეანეზე, იტალიის ქალაქების ცენტრალური როლი

ნელნელა პირინეის ნახევარკუნძულზე გადაადგილდა. ეს ქალაქები გახდა ლისაბონი, კადისი (სევილიის ავანპოსტი), და ა.შ. იტალიურმა ქალაქებმა კი შეიცვალეს სპეციალიზაცია: აღმოსავლური ქსოვილების შემოტანა ევროპაში და ინგლისური შალეულის გატანა აღმოსავლეთში. ახალი სავაჭრო გზების მიღმა დარჩნენ გერმანული ქალაქებიც, სამაგიეროდ გაძლიერდნენ ატლანტიკური სისტემის ქალაქები და, პირველ რიგში, ეს იყო ანტვერპენი (ნიდერლანდები). თუ ლისაბონისა და სევილიის მნიშვნელობა ემყარებოდა მხოლოდ ამერიკიდან და ინდოთიდან საქონლის შემოტანას, ანტვერპენი გახდა მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი. არსებითად განვითარდა ვაჭრობის ტექნიკაც. XVI საუკუნეში სასაქონლო მასის მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ ბითუმად მოვაჭრეები საქონლის მთელი მოცულობის დათვალიერების მაგივრად საქონლის ნიმუშების შემოწმებითღა იფარგელებოდნენ. ამისათვის კი საჭირო იყო სპეციალური ადგილი, რომელიც დაარსდა XVI საუკუნეში ანტვერპენის სასაქონლო ბარჟის სახით. დროთა განმავლობაში მსოფლიო ვაჭრობის ცენტრმა ჯერ ამსტერდამში, ხოლო შემდეგ კი ლონდონში გადაინაცვლა.

„ფასების რევოლუცია“

გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ესპანეთში ინფლაცია გამოიწვია. ახალი მიწებიდან ოქრო–ვერცხლის მძლავრი ნაკადი მოედინებოდა, რომელიც აბორიგენების უიაფესი

იძულებითი შრომით იყო მოპოვებული. XVI საუკუნეში ფასები გაიზარდა სამჯერ. ინფლაციის პირველი გამოვლინებით დაბნეულმა მოსახლეობამ ამ მოვლენას „ფასების რევოლუცია“ უწოდა. მსოფლიოს წარმოდგენაც კი არ ქონდა იმის შესახებ, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ინფლაცია მსოფლიოს ფასები 100–ჯერად, ზოგჯერ კი 1000–ჯერად ცვლილებას გამოიწვევდა.

ფართო მოხმარების საგნების გაძვირებამ გამოიწვია მოსახლეობის იმ ნაწილის რეალური შემოსავლების დაცემა, რომლებიც ხელფასით ცხოვრობდნენ, ხელფასის ზრდა ჩამორჩებოდა ფასების ზრდას ინგლისში. მაგალითად XVI საუკუნეში ფასები საშუალოდ გაიზარდა 155%-ით, ხოლო დაქირავებული მუშების ხელფასი კი 30%-ით. სამაგიეროდ „ფასების ინფლაციით“ მოგებული დარჩა ახლადჩასახული წვრილი ბურჟუაზია: სამუშაო ძალა გაიაფდა, ხოლო პროდუქცია -პირიქით, გაძვირდა.

„ფასების რევოლუცია“ ხელსაყრელი იყო დამოკიდებული გლეხებისთვისაც, ვინაიდან ფულის მსყიდველობითი უნარის დაცემასთან ერთად შემცირდა ფულადი ღალაც, ხოლო სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ფასებმა ფანტასტიკურად მოიმატეს.

სერიოზულად დაზარალდნენ ფეოდალები – მათი ფულადი რენტა იყო ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებული, ხოლო ცხოვრება კი კატასტროფულად გაძვირდა.

ამრიგად, XVI საუკუნის დიდი ინფლაციის მთავარი სოციალურ–ეკონომიკური შედეგები იყო ფეოდალების საერთო მდგომარეობის გაუარესება და კაპიტალისტების მდგომაროების გაუმჯობესება, ანუ ინფლაციამ დიდი როლი შეასრულა კაპიტალისტური მეურნეობის ფორმირებაში.

კოლონიალიზმის დასაწყისი

ევროპელებისათვის ესოდენ ხელსაყრელი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა აღმოჩენილი მიწების მოსახლეობისათვის. მსოფლიო მეურნეობის ფუნქციონირების მეთოდად კოლონიალიზმი იქცა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან იყო ცნობილი. მაგალითად, ბერძნული კოლონიალიზმი ხასიათდებოდა გადაადგილებული პირების მიერ პოლისების ჩამოყალიბებით (ასე წარმოიშვა ნეაპოლი, მარსელი და ა.შ), რომლებიც მეტროპოლიების ჭარბი მოსახლეობის კოლონიურ პოლისებში გადინებას უწყობდა ხელს. ამავდროულად მეტროპოლიები პოლისებთან ეკვივალენტურ ურთიერკავშირშიც იმყოფებოდნენ იქით – საწარმოო საქონელი, იქიდან სურსათი). ანდა მაგალითად რომაული კოლონიალიზმი, რომელიც ძირითადად დაფუძნებული იყო არაეკონომიკურ ძალდატანებაზე რომის მეტროპოლიის მხრიდან და სისხლს წოვდა თავის კოლონიებს. XVI საუკუნის კოლონიალიზმის ძირთადი დამახასიათებლი ნიშანი იყო არაეკვივალენტური გაცვლა,

რომელსაც მიმართავდნენ იმ შემთხვევაში, თუკი გამორიცხული იყო პირდაპირი ძარცვა.

პირველები შეიქმნა პორტუგალიური და ესპანური იმპერიები. პორტუგალიელი კოლონიალური იმპერია „წერტილოვანი“ მეთოდით იყო შექმნილი, ანუ სანაპიროს ზოლზე სამხედრო სავაჭრო ფაქტორიების ჩამოყალიბების გზით, საიდანაც ევროპაში მოედინებოდა ნაძარცვი ან არაეკვივალენტურად გადაცვლილი საქონელი. სხვანაირად იყო მოწყობილი ესპანეთის უზარმაზარი კოლონიური იმპერია: დაიპყრო რა დიდი ტერიტორიები ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში, ესპანეთმა სცადა, ჩამოეყალიბებინა იქ მეურნეობის ის ერთადერთი ტიპი, რომელსაც იცნობდა – ფეოდალური. აბორიგენებს მასობრივად ერეკებოდნენ მძიმე სამუშაოებზე ოქროსა და ვერცხლის სადაბოებში, შაქრის ლერწმის პლანტაციებზე, რამაც გამოიწვია მათი მოჭარბებული სიკვდილიანობა. მაგალითად, პერუში და ჩილეში XVI საუკუნეში ძირძველი მოსახლეობის ხუთჯერადი შემცირება იყო დაფიქირებული –1,5 მილიონიდან 300 ათასამდე.

მუშახელის პრობლემა კი მარტივად წყდებოდა – მოტაცებული, დაპყრობილი ანდა იაფად ნაყიდი აფრიკელების ძალისმიერი ჩამოსახლებით. ფიზიკურად უფრო ამტანი აფრიკელები ახალი მუშა კონტინგენტი გახდა პლანატციებში, სადაც ყავა, კაკაო, შაქრის ლერწამი და სხვა კულტურები მოყავდათ. სწორედ ასე აღორძინდა მივიწყებული მონათმფლობელობა ამერიკაში. ანტიკური

მონათმფლობელობისგან მისი მთავარი განსხვავება მდგომარეობდა მონა–აფრიკელების გაცილებით უფრო დიდ სიძვირეში ანტიკურ მონებთან შედარებით. ამიტომაც მონათმფლობელობის კვლავწარმოება კოლონიებში ატარებდა შინაურულ და არა ძალდატანებით ხასიათს.

XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბდა მონა–აფრიკელებით ვაჭრობის ზემგებიანი „ინდუსტრია“, მონათმფლობელურ გემებს ყოველწლიურად 4–6 ათასი აფრიკელი მონა ჩაყავდა ამერიკის ბაზრებზე. ამოცანა გაადვილებული იყო აფრიკაში არსებული თემური წყობილებით: თემის უფროსები ან ბელადები შედარებით იაფად ყიდდნენ თავის ქვეშევრდომებს ან ცვლიდნენ მათ სპირტიან სასმელში. ერთი მონა აფრიკაში 12 გოლდენი ღირდა, ხოლო ამერიკაში კი 300.

ინგლისი, პორტუგალია და ჰოლანდია იბრძოდნენ მონების ესპანურ ამერიკაში ჩაყვანის მონოპოლიური უფლებებისათვის. ამდენად, XVI– XVIII საუკუნეებში მონებით ვაჭრობა წარმოადგენდა ესპანური კოლონიების რეექსპლუატაციის მეთოდს. მაგრამ არა ერთადერთს. ინგლისმა, ჰოლანდიამ და საფრანგეთმა ფართოდ განავითარეს მეკობრეობა. კარიბის აუზი ფლიბუსტიერების თავშესაფრად იქცა. პირატები ძარცვავდნენ ესპანურ გემებს, რომელიც ოქროს ეზიდებოდა მეტროპოლიაში. ასე რომ, ესპანური კოლონიალიზმი უფრო განვითარებული ქვეყნების სამსახურშიც ჩადგა. კოლონიალური დამპყრობლობა შემდგომ საუკუნეებშიც ვითარდებოდა,

ყველაზე მსხვილი კოლონისტი ინგლისი იყო – კოლონიებად აქცია ჩრდილოეთი ამერიკა, აზია, წყნარი ოკეანეს კუნძულები. თანდათანობით ჩამოყალბდა ევროპული ქვეყნების კოლონიური მეურნეობის ძირითადი პრინციპი: იაფი ნედლეულის და სურსათის გატანა, ხოლო შემდგომში სამრეწველო საქონლისა და კაპიტალის შემოტანა კოლონიებში. მთავარ ძალას კოლონიებში კომპრადორი, ანუ ადგილობრივი ვაჭარი წარმოადგენდა, რომელიც საექსპორტო–საიმპორტო საქონლის ყიდვა–გაყიდვისა და გადაყიდვას აწარმოებდა.

§ 2. კაპიტალისტური მეურნეობის ჩასახვა დასავლეთ ევროპაში. ძვრები ტექნოლოგიურ სფეროში

ამ დროისათვის ევროპაში ძალზე სერიოზული ტექნიკური და ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობდა. უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება პურზე, ლითონზე და შალის ნაწარმზე, ვინაიდან ევროპაში დაიწყო ცეცხლმსროლელი იარაღის მასიური მოხმარება და რეგულარული დიდი არმიების შექმნა. ამის შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნელება ტყვიებსა და ყუმბარებზე, თოფებსა და პისტოლეტებზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე და სურსათზე ჯარისკაცებისათვის. მასობრივი დაქირავებული ჯარი და უწყვეტი ომები აუნაზღაურებლად ანადგურებდა

უამრავ ხალხს. XVI– XVII საუკუნეებში ევროპის ყველა ქვეყნის მოსახლეობამ საგრძნობლად იკლო. ასეთი პირობებში სიახლეებმა აგრარული ტექნოლოგიისა და მრეწველობის სფეროში ახალი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა.

პირველ რიგში, ეს იყო ტექნიკური წინსვლა ენერგეტიკასა და მეტალურგიაში. მაგალითად, ქარის ძრავამ უდიდესი გამოყენება პოვა მეწისქვილეობაში და მკვეთრად გაზარდა ფქვილის გამოსავლიანობა. წყლის ბორბლის ახალი მაღლივი კონსტრუქცია არხების, როფებისა და ღარების სისტემით, იძლეოდა იმის საშუალებას რომ იგი დაეყენებინათ წყლიდან ოდნავ მოშორებით. განსაკუთრებით დიდი ეფექტი ამ ბორბალმა მეტალურგიაში მოიტანა, მას მოყავდა მოძრაობაში საბერველი, ხოლო უწყვეტმა ბერვამ კი ბევრად გაზარდა ღუმელების ტემპერატურა და, სავსებით მოულოდნელად, ჭედადი გარბილებული მასის ნაცვლად თხევადი ლითონის მიღება გახადა შესაძლებელი. თუχის ნახშირთან ერთად ხელახალმა გადადნობამ წარმოშვა მაღალი სიმტკიცის ფოლადი. ამ გზით იქნა შექმნილი იმდროინდელი შავი მეტალურგიის წყლის ძრავაზე მომუშავე საჭრელი ურიების, სახარატო, სახვრეტ–საბურღი და გასაგლუვი ჩარხების უმარტივესი ვარიანტები. სამთო–მომპოვებლური მრეწველობა შეიარაღდა წყლის გადასატუმბი დგუშებით, ამწეებით, გაღრმავდა მაღაროები, გაიზარდა მოპოვება.

ფართლეულზე მოთხოვნილების მატებამ, ბოლოს და ბოლოს აამოქმედა ყველასგან მივიწყებული საქსოვი და სართავი დაზგები. ხელის საქსოვ დაზგას დაამატეს ფეხის პედალი, რის შედეგადაც ფეიქრებს ხელები გამოუთავისუფლდათ ახალი ოპერაციებსი ჩატარებისთვის. უზარმაზარი მნიშვნელობა ქონდა პირველი პოლიგრაფიული წარმოების ორგანიზაციას – ეს იყო მასობრივი კომუნიკაციების გიგანტური ინდუსტრიის საფუძველი.

სოფლის მეურნეობის ტექნოლოგია უფრო ნელა ვითარდებოდა, მაგრამ აქ იყო ზოგიერთი ცვლილება საქონლის პროდუქტიულობის გაუმჯობესებაში, მარცვლეული კულტურებისა და ხილის დახარისხების ამაღლებაში და ა.შ. მნიშვნელოვანად გაიზარდა სახნავი მიწის გასუფთავების, ტყის გაკაფვის, ჭაობების დაშრობისა და ზღვის ფსკერის გამოთავისუფლების ტექნოლოგიები (მაგალითად, ჰოლანდიაში).

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებაში მხოლოდ დაქირავებული შრომით მოდიოდა, წარმოების მოცულობა ისაზღვრებოდა არა საამქროს წესებით, არამედ გამოშვებულ პროდუქტზე მოთხოვნილებით. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო შემდეგი პირობების შესრულება: ჯერ ერთი, მომავალ მეწარმეებს უნდა დაეგროვებინათ საკმაო თანხა შენობებისა და ტექნიკის საყიდლად, მუშების დასაქირავებლად; მეორე, მუშა უნდა ყოფილიყო პიროვნულად თავისუფალი და არა

ჰქონოდა თავისი საკუთარი მეურნეობა ანდა სხვა ქონება, ანუ სამუშაოზე დაქირავება გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა გარე იძულებით, არამედ საკუთარი ეკონომიკური საჭიროებით.

კაპიტალის პირველი დაგროვება ინგლისში

ფულის დაგროვება მეწარმეებისაგან მოითხოვდა მომჭირნეობას. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ თვისებით ახალი პროტესტანტული მიმდევრობის კონფენციები. მომავალი მუშების თავისუფლება შრომის იარაღებისაგან მიიღწეოდა მათი მიწიდან აყრით. პირელადი დაგროვების კლასიკური მაგალითს ინგლისის ეკონომიკური განვითარება XVI– XVII საუკუნეებში.

XVI საუკუნეში ინგლისი იყო პატარა გარეგნულად ტიპიური აგრარული ქვეყანა. მოსახლეობის რაოდენობით 3–3,5 მლნ ადამიანის (ეს 4–ჯერ ნაკლებია საფრანგეთის ანალოგიურ მაჩვენებელზე). ქალაქის საამქრო მრეწველობა იყო უფრო სუსტად განვითარებული, ვიდრე კონტინენტზე, ხოლო სავაჭრო ფლოტი ბევრად უარესი იყო ჰოლანდიის ფორტზე, მაგრამ სწორედ XVI საუკუნის გახდა ინგლისში ეკონომიკური აღმოავლობისათვის მკვეთრი გაუმჯობესების ხანა, რის შედეგად ინგლისი გახდა მსოფლიოს ჰეგემონი მრეწველობის დარგში. ეს პირველ რიგში აისახებოდა მაუდის მანუფაქტურების მძლავრი განვითარებით თუ XIII– XIV საუკუნეში ინგლიური მატყლი გადასამუშავებლად კონტინენტზე გადაჰქონდათ, XV

საუკუნიდან მაუდისა და შალის ქსოვილების სამრეწველო გამოშვება ქვეყნის შიგნით ვითარდება. XVI საუკუნეში შალის დამუშავების მრეწველობაში ინგლისი მოსახლეობის ნახევარზე მეტი იყო ჩართული. XIV საუკუნის შუაგულში ინგლისიდან გადიოდა ყოველწლიურად 30 ათ. ტომარა მატყლი, 200 წლის შემდეგ კი 56 ათ. ტომარა, მაგრამ ამ დროშივე ინგლისური მაუდის გატანა გაიზარდა 5 ათ. თოფიდან 122 ათ. თოფამდე, მაუდის წარმოებამ მოიცვა ჯერ სოფლის მოსახლეობა, რომელიც თავისუფალი იყო საამქროთა რეჟიმისაგან და სწორედ ამაში იყო ინგლისის გარეგნული „სოფლურობის“ საიდუმლო.

მატყლზე მოთხონა იზრდებობა, ამიტომ ცხვრის მოშენება გახდა ძალზე მომგებიანი საქმე. მაგრამ საძოვრების გასაფართოებლად საჭირო იყო მიწის წვრილი გლეური მეურნეობების განთავისუფლება, ხოლო განთავისუფლებული მიწები კი იღობებოდა გაუმიწაწყლოებული გლეხები იძლებულები იყვნენ, საწარმოებში დაქირავებულიყვნენ.

დიდი თანხების დაგროება ვერ ხერხდებოდა ძალადობის – კოლონიების ძარცვის, მონებით ვაჭრობის, მეკობრეობსის გარეშე. XVIII საუკუნის დასაწყისში ინგლისელებმა მოიპოვეს აფრიკიდან ამერიკაში მონების შეყვანის მონოპოლიური უფლება, რის შედეგადაც ნახევარი საუკუნის განმავალობაში 3 მლნ ადამიანი იქნა გაყვანილი. მეტროპოლიაში ძარცვისა და სხვა ძალადობის შედეგად

მოპოვებული ფული იქცეოდა კაპიტალად – შეისყიდებოდა ნედლეული, მოწყობილობა, ქირაობდნენ მუშებს.

სახელმწიფო, რომელსაც მუდმივად ჭირდებოდა საომარი ხარკებისათვის ფული, სესხულობდა ინგლისელი ვაჭრებისაგან მაღალი პროცენტით სახელმწიფო ვალი რიგითი გადამხდელისაგან გასასტუმრებელი იყო, პროცენტს კი ვაჭრები ღებულობდნენ ხოლო მიღებული თანხებით იხსნებოდა ახალი საწარმოები. ამას გარდა ინგლისმა შემოიღო ახალი საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც ძალზე მაღალი მონაცემით გამოირჩეოდა. ყოველივე ამის შედეგად XVIII საუკუნის ბოლოსათვის ინგლისში დაგროვდა სოლიდური სიმდიდრე – 1მლნ. გირვანქა ოქრო–ვერცხლი.

კაპიტალის პირველადი დაგროვების თავისებურებები ჰოლანდიაში

მეორე ქვეყანა, რომელშიც პირველადი კაპიტალის დაგროვებამ ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია, იყო ჰოლანდია. XVII საუკუნის შუაგულში ევროპის ფლოტის 20 ათასი გემიდან 15–16 ათასი ჰოლანდიას ეკუთნოდა.

ჰოლანდიის დედაქალაქმა ამსტერდამმა, ანტვერპენის ადგილი დაიკავა და მსოფლიო ვაჭრობისა და კრედიტის ახალ ცენტრად იქცა. ჰოლანდიელებმა ბანკირებმა ამ დოისათვის მკვეთრად დაწიეს საკრედიტო განაკვეთები, ამით გააფართოვეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

პირველადი დაგროვების პროცესში სახელმწიფო ვალმა ჰოლანდიაში უფრო დიდი როლი ითამაშა, ვიდრე თავის დროზე ანგლისში. მსოფლიოს არც ერთ სხვა ქვეყანაში არ იყო პირდაპირი და ორიბი გადასახადების ისეთი რაოდენობა, ასეთი მაღალი ფასები ფართო მოხმარების საქონელზე, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი მაღალი შემოსავლებიც არავის ქონდა, ჰოლანდიელების გარდა.

მაგრამ ჰოლანდიის სავაჭრო უპირატესობა მკვეთრად არ შეესაბამებოდა ჰოლანდიის სამრეწველო განვითარების დონეს, ამიტომ XVII საუკუნეში მან თანდათანობით დაკარგა სავაჭრო ჰეგემონია მსოფლიოში, რომელიც ინგლისის ხელში გადავიდა. ამ უკანასკნელის მრეწველობა ძალზე კარგად იყო განვითარებული. ინგლის–ჰოლანდიის ომები XVII–XVIII საუკუნეებში ჰოლანდიის მარცხით დასრულდა, ამიტომ მისმა კაპიტალიმა უცხოური სესხების სფეროში დაიწყო გადადინება.

თავი 4. დასავლეთ სამყაროს ინდუსტრიალიზაცია. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში

XVII საუკუნის ბოლოს, ინგლისში მომხდარი რევოლუციის შედეგად ფეოდალიზმს საბოლოოდ მოეღო ბოლო, დამყარდა ბურჟუაზიულ–დემოკრატიული წყობა, რომელიც ძირითადად დღემდე გრძელდება. თითონ ინგლისი კი, რომელმაც პირველობისათვის ბრძოლაში ოკეანეზე ჯერ ესპანეთი (XVI), შემდეგ ჰოლანდია (XVII), ბოლოს კი საფრანგეთი (XVIII) დაამარცხა, მსოფლიოს ზესახელწიფოდ გადაიქცა. იგი ისევ პატარა ქვეყნად რჩებოდა, სამაგიეროდ იყო უზარმაზარი კოლონიური იმპერიის ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ თითქმის მთელი ჩრდილოეთი ამერიკა, ინდოეთი, ავსტრალია, ჩინეთისა და აფრიკის ბევრი რეგიონი. ეს უზრუნველყოფდა ახალი კაპიტალების მოდინებას ინგლისის მრეწველობაში და მზარდ მოთხოვნას ინგლისურ მზა საქონელზე. მასიური არმიებისა და ფლოტების ისტორიაში ჯერ არნახულმა სიმრავლემ განაპირობა ინგლისურ სტანდარტიზებულ საქონელზე აჟიტირებული მოთხოვნა; გარდა ამისა, მოთხოვნა გაიზარდა განსაკუთრებული სორტულობის ქსოვილებზე, საფირმო ღილებზე, ჩექმებზე, მუზარადებზე, სტანდარტულ დაშნებზე, ერთკალიბრიან თოფებზე და ერთი ყალიბისა და ხარისხის ყუმბარებზე, ჭურვებზე, ტყვიებზე და ა.შ. არნახულად გაიზარდა მოთხოვნა ბამბის ქსოვილებზე და თეთრეულზეც. ინგლისური ბამბის

წარმოება კი სწორედ კოლონიური სისტემის ნაყოფი იყო, რადგან ბამბის ნედლეული ინდოეთიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან შედიოდა. ბამბის წარმოებამ ცხარე კონკურენტულ ბრძოლაში დაჯაბნა შალის წარმოება, ვინაიდან ბამბას ახასიათებდა მაღალი მოთხოვნა და დაბალი ფასები.

ხელით შრომის ტექნოლოგია საყოველთაოდ ჩაანაცვლა მანქანურმა წარმოებამ. ჯერ დაინერგა ბამბის სართავი მანქანა (1783 წელი, გამომგონებელი ს.კრომპტონი); რადგან ნართის გამოშვება გაიზარდა, ამას მექანიკური სართავი დაზგის დანერგვა მოყვა (1785 წელი, გამომგონებელი ე.კარტრაიტი). სართავი დაზგის საყოველთაო დანერგვას 30 წელი დასჭირდა, ვინაიდან ერთი დაზგა 40 ფეიქრის შრომას ანაცვლებდა და შესაბამისად მათი მხრიდან დიდ წინააღდეგობას წააწყდა.

ყოველივე ამის ფონზე გაჩნდა აუცილებელი საჭიროება ისეთი უნივერსალური ძრავის გამოგონებისათვის, როგორსაც აქამდე წყლის ბორბალი წარმოადგენდა. და ასეთი ძრავი გამოიგონეს. ჯეიმს უატის მიერ 1784 წელს დაპატენტებულ იქნა ორთქლის მანქანა. იმავე წელს აშენდა პირველი ორთქლის სართავი ფაბრიკაც. ორთქლის მანქანა თითქმის ყველა წარმოებაში გამოიყენებოდა სატრანსპორტო სფეროს ჩათვლით.

მანქანების გამოყენებამ საყოველთაოდ გაზარდა ლითონზე მოთხოვნა. მეტალურგიის განვითარებას აფერხებდა ხის ნახშირის სიმცირე, ხოლო ქვანახშირის

გამოყენებისას ლითონი მდარე ხარისხის იყო. 1784 წელს კორტმა გამოიგონა პუდლინგური ღუმელი, რომელიც ადნობდა თუჯსა და ფოლადს მინერალური საწვავის დახმარებით, ხოლო მის მიერვე გამოგონებული საგლინავი ვალცი იძლეოდა საჭირო კონფიგურაციის ლითონის ნაწარმის მიღების საშუალებას. ამ გამოგონების წყალობით შრომის მწარმოებლურობამ მეტალურგიაში 15–ჯერ მოიმატა.

მეტალურგიის პროგრესმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ინგლისური ქვანახშირის მოპოვების ზრდას, გაჩნდა რელსები და მასზე მოძრავი ურიკები, რომელსაც ცხენი ეწეოდა. რელსებისა და ქვანახშირის ტანდემმა შექმნა რკინიგზა. პირველი ლოკომოტივი გამოიგონა ჯ. სტეფენსონმა 1814 წელს, ხოლო რკინიგზა 1824 წელს შეიქმნა. ამავე დროს ეკუთნის წყალზე მოძრავი მექანიზებული ტრანსპორტის გამოგონებაც რ. ფულტონის მიერ. რკინიგზების წამრმოშობამ და მათი საშუალებით ქვეყნის ეკონომიკურ რეგიონებს შორის კომუნიკაციების დამყარებამ გარდატეხა მოახდინა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

სამრეწველო გადატრიალების ძირითად პრობლემას საკუთრივ მწარმოებელი მანქანების ფაბრიკული წარმოება წარმოადგენდა. წარმოიშვა მეურნეობის სრულიად ახალი დარგი, მანქანათმშენებლობა. ამან ხელი შეუწყო ლითონის დასაჭრელი ძირითადი მოწყობილობების - საზეინკლო (გ. მოდელი, 1798) და სალესი (ბრამი, 1802) ჩარხების შექმნას.

ინგლისში ტექნოლოგიურ სფეროში დაწყებული გადატრიალება XIX საუკუნის I ნახევარში ფაბრიკული მანქანათმშენებლობის წარმოშობით დასრულდა. თუ 1800 წელს ქვეყანაში მუშაობდა 320 ორთქლის მანქანა, ოცდახუთი წლის შემდეგ მათი რიცხვი 15 ათასს უტოლებოდა.

გადატრიალება მხოლოდ ტექნოლოგიურ სფეროში არ მომხდარა. ინგლისში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული ინდუსტრიული საზოგადოებრივი სტრუქტურა, იაფი სამრეწველო საქონლის დახმარებით ბურჟუაზიამ დაშალა ხელოსნური წარმოება. წარმოიქმნა ახალი სამრეწველო ცენტრები და XIX საუკუნის შუა წლებში ინგლისის მოსახლეობის ნახევარზე მეტი მრეწველობაში იყო დაკავებული. ვაჭრის პრიორიტეტული ადგილი ქვეყანაში ფაბრიკანტმა დაიკავა. სამრეწველო გადატრიალება, რომლის დროსაც ქვეყანა გადავიდა მანუფაქტურული შრომიდან ფაბრიკულზე, იყო ნამდვილი რევოლუცია, რომელიც ყოველი ქვეყნის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ ხდება.

§ 1. ინგლისის ჰეგემონია მსოფლიო ვაჭრობაში და ვაჭრობის თავისუფლება

მსოფლიო მეურნეობაში პირველმა ინგლისურმა საქარხნო–ფაბრიკულმა ინდუსტრიამ კაცობრიობის ისტორიაში განსაკურთებული ადგილი დაიკავა.

ნაპოლეონისეული ომების პერიოდში და საფრანგეთის მხრიდან ინგლისის კონტინენტური ბლოკადის დროს, ინგლისური მანქანების კონტინენტზე ჩატანა პრაქტიკულად შეწყდა. ამდენად, ევროპის ტექნიკური გადაიარაღება ძალზე შეფერხდა, ნაპოლეონის განადგურების შემდეგ, როცა კონტინენტური ქვეყნები მშივიდობიან ეკონომიკას დაუბრუნდნენ, ინგლისი უკვე იმდენად უსწრებდა მათ განვითარების დონით, რომ მასთან კონკურირება გამორიცხული იყო. მანქანური წესით წარმოებული საქონლის თვითღირებულება დღითიდღე კლებულობდა. ბამბის ნართის 1 გირვანქა, რომელიც 1788 წელს 35 შილინგი ღირდა, 1833 წელს 3 შილინგი ღირდა, ასეთი დაბალი თვითღირებულება უზრუნველყოფდა ინგლისური საქონლისათვის ფართო, ჭეშმარიტად გლობალურ ბაზარს.

ინგლისური ეკონომიკის „აქილევსის ქუსლს“ პურის იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულება წარმოადგენდა. შემოღობვის წყალობით ინგლისი გადაქცეული იყო მსხვილი მიწათმფლობელობის (ლენდლორდების) ქვეყნად; და თუმცა მიწის უმცირესი ფართი იჯარით გადაეცემოდა ფერმერ–მეწარმეს, ქვეყნის მოთხოვნილება პურზე არ იყო დაკმაყოფილებული. ამის მიუხედავად ინგლისური მიწათმოქმედება აგრარული პროტექციონიზმის დაცვს ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც მსხვილ მიწათმოქმედებს აწყობდათ. 1815 წლის „პურის“ კანონების თანახმად, ქვეყანაში პურის შემოტანა ნებადართული იყო მხოლოდ

მაშინ, როცა შიდა ფასი 1 კვარტერისათვის 82 შილინგზე მეტი იყო. ეს ვნებდა როგორც მუშებს, ისე ბურჟუაზიას, ვინაიდან აძვირებდა მუშახელს და ხელს არ უწყობდა ინგლისური სამრეწველო საქონლის ესქპორტს. ეს იმიმტომ ხდობეოდა, რომ პურზე მაღალი საბაზრო გადასახადის საპასუხოდ საზღვარგარეთული ბაზარი ინგლისურ საქონელზე აწესებდა მაღალ გადასახადს. „პურის“ კანონი ყველა ინგლისელს იმდენად სძულდა, რომ 1846 წელს იგი გაუქმებულ იქნა. „პურის“ კანონის გაუქმება და მსოფლიო მეურნეობის ისტორიაში ჯერ არნახული **თავისუფალი ვაჭრობის** (free trade) შემოღება ასი წლის შემდეგ ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის იდეას შობს და ევროკავშირის ფუნდამენტად გადაიქცა.

ვაჭრობის თავისუფლება (ფრიტრედერიზმი) მდგომარეობდა წინასწარ მოლაპარაკებულ რეესტრში შემავალი საქონლისა და მომსახურების ექსპორტზე და იმპორტზე საბაჟო და საზღვარგარეთულ ფრახტზე გადასახადის გაუქმებაში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი შეხედვით ეს პირობები ორივე მხარისათვის იყო ხელსაყრელი, ინგლისი სინამდვილეში გაცილებით მეტს იგებდა, ვინაიდან უზრუნველყოფილი იყო მისი იაფი საქონლის უცხოურ ბაზარზე გატანა და შიდა ბაზარზე სურსათის შემოტანა.

ურთიერთხელშეწყობის პრინიცპით XIX საუკუნის 60–იან წლებში ინგლისმა დადო ორმხრივი ხელშერულებები საფრანგეთთან, ბელგიასთან,

იტალიასთან, ავსტრიასთან, შვედეთან, გერმანიასთან, ნიდერლანდების საბაჟო კავშირთან.

ამ მხრივ სამაგალითოა 1860 წლის ხელშეკრულება, რომელიც ერთი შეხედვით საფრანგეთისთვის უფრო მეტადაა ხელსაყრელი: ინგლისი სრულიად აუქმებდა ბაჟს ფრანგულ აბრეშუმზე და სურსათზე, ხოლო საფრანგეთი მხოლოდ ამცირებდა ტარიფს ინგლისურ მანქანებზე, ნახშირზე, შალზე და ა.შ. მაგრამ ნაწილობრივად დაბეგრილიც კი, ინგლისური საქონელი მაინც გაცილებით უფრო იაფი იყო ფრანგულზე, ვინაიდან წარმოება იყო მასიური, ხოლო თვიღირებულება - დაბალი. ამდენად, ინგლისური საქონელი იპყრობს საფრანგეთის ბაზარს. უკვე 2 წლის შემდეგ ინგლისური ესქპორტი საფრანგეთში 2–ჯერ გაიზარდა. თავისუფალი ვაჭრობა დაეხმარა ინგლისს ტრანსპორტში და მრეწველობაში დომინირებადი ადგილის მოპოვებაში.

1850 წელს, როცა მსოფლიო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 14,5 მლრდ მარკას შეადგენდა, ბრიტანეთზე 5,24 მლრდ მარკა მოდიოდა, ხოლო 1870 წელს ეს წილი14 მილიარდი გახდა საერთო 37,5 მილიარდში. შედარებისათვის: ამ პერიოდში გერმანიის, საფრანგეთისა და აშშ გაერთიანებული წლიური მაჩვენებელი მხოლოდ 12 მილიარდს უტოლდებოდა (წინა მაჩვენებელი სამივე ქვეყნისათვის 4,9 მლრდ იყო).

ინგლისური ბანკის წარმოშობა 1694 წლით თარიღდება, ხოლო XIX საუკუნის შუა წლებში ლონდონი

მსოფლიო კრედიტის ცენტრად იქცა. ინგლისური ბანკი მალე „ბანკების ბანკად“ იქცა და გასცემდა კრედიტებს არა მხოლოდ წარმოებისა და ვაჭრობის სფეროს გასავითარებლად, არამედ მთელ ინგლისურსა და ზოგჯერ მსოფლიო საკრედიტო სისტემასაც.

§ 2. ინდუსტრიალიზაციის თავისებურებები საფრანგეთში. სამრეწველო გადატრიალების სპეციფიკა

სამრეწველო გადატრიალება საფრანგეთში მხოლოდ 60–იან წლებში მოხდა, ე.ი. გაცილებით გვიან, ვიდრე ინგლისში. XIX საუკუნისათვის ჩამოყალიბებული ფრანგული ბურჟუაზიული საზოგადოება ეწინააღმდეგებოდა სამრეწველო რევოლუციას. ფრანგულ ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ არა მრეწველები, არამედ ბანკირები (გავიხსენოთ ო. ბალაზაკის „ადამიანური კომედია“). მათ მიერ დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთი მიუწვდომელი იყო საშუალო მწარმოებლისათვის, ამდენად, ქვეყანაში განვითარდა საბანკო საქმე და დღითი–დღე მატულობდა ბანკების რიცხვი, მაგრამ სამაგიეროდ არ ვითარდებოდა წარმოებისათვის აუცილებელი საწარმოო და სასოფლო–სამერუნეო კრედიტი.

არ უწყობდა სამრეწველო გადატრიალებას ხელს არც საფრანეგეთის საგარეო პოლიტიკა. განსაკუთრებით მძიმე შედეგები ქონდა საფრანგეთისათვის ინგლისის კონტინენტურ ბლოკადას, რომელსაც მიმართავდა ნაპოლეონ ბონაპარტე. ბლოკადა მიმართული იყო ინგლისის მრეწველობის შერყევისა და კონტინენტზე ფრანგული სასაქონლო ექსპანსიისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისაკენ, მაგრამ მონოპოლიის ნაცვლად ბლოკადამ საფრანგეთის გაკოტრება მოუტანა. ქვეყანამ დაკარგა ინგლისური მანქანები და ლითონის ნაწარმი, მნიშვნელოვანი ნედლეული – ბამბა და ინდიგო, რამაც ძალზე შეაფერხა სამრეწველო გადატრიალება. 1800 წელს ფრანგულ მრეწველობაში მუშაობდა 15 ორთქლის მანქანა, მაშინ როდესაც ინგლისში – 300.

ამავე დროს ფრანგული მანუფაქტურების მნიშვნელოვანი ნაწილის სპეციფიკური წარმოება (ფუფუნების საგნები, ძვირფასი ავეჯი, აქსესუარები) გაცილებით რთულად ექვემდებარებოდა მექანიზაციას, ვიდრე ფართო მომახრებაზე გათვლილი ინგლისური წამროება. საფრანგეთში ძალზე დაბალი იყო საინჟინრო აზროვნების დონეც. მიუხედავად ამისა, 30–40-იან წლებში საფეიქრო წარმოების მექანიზაცია მაინც დაიწყო. რკინიგზის განვითარებასთან ერთად განვითარდა მძიმე ინდუსტრიაც. ორთქლის მანქანების რაოდენობამ ოცწლეულის მანძილზე 7–ჯერ,სარკინიგზო ქსელი სიგრძემ 9–ჯერ, ბამბის გადამუშავებამ, თუჯისა და ფოლადის

დნობამ – 2–ჯერ მოიმატა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ წარმოების დონე ბევრად დაბალი იყო ინგლისურ მაჩვენებლებზე ამ უკანასკნელის მომატებამდეც კი.

სამრეწველო რევოლუცია საფრანგეთში 50–60–იან წლებში დამთავრდა. ნაპოლეონ III-ის იმპერია, ატარებდა რა აქტიურ საგარეო პოლიტიკას, გასცემდა სპეციალურ კრედიტებს მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის. 1850-დან წლიდან 1870 წლამდე ფრანგულ ინდუსტრიაში ორთქლის ძრავების რაოდენობა გაიზარდა 5 ათასიდან 25 ათასამდე, ქვანახშირის მოპოვება - 4,4 მლნ. ტონიდან 13,2 მლნ. ტონამდე, თუჯის გამოშვება 0,4 მლნ. ტონიდან 1,2 მლნ. ტ–მდე, სარკინიგზო ქსელი 3–დან 18 ათას კმ–მდე. მოძარობაში მოვიდა ფრანგული საინჟინრო აზრიც: 1851 წელს მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც ლონდონში ჩატარდა, ფრანგულმა ტექნიკამ მე–2 ადგილი დაიკავა ინგლისურის შემდეგ.

ინდუსტრიის განვითარება ხელს უწყობდა ქვეყნის ურბანიზაციას. ჩატარდა პარიზის ძირეული რეკონსტრუქცია, რომლის შედეგადაც დედაქალაქმა მიიღო დღევანდელი ტურისტებისათვის ნაცნობი და მიმზიდველი სახე. მაგრამ 1860 წლისთვის იმდროინდელი საფრანგეთის მრეწველობის სფეროში დაკავებული მუშების 3 მილიონიდან 60% აგრძელებდა წვრილ საწარმოებსა და სახელოსნოებში შრომას. ქვეყანაში ყოველ საწარმოზე საშუალოდ 2 მუშა მოდიოდა, ხოლო შნაიდერისა და კრეზოს მეტალურგიული ქარხნები, რომლებშიც 1870 წელს 10

ათასამდე ადამიანი შრომობდა, შეიძლება გამონაკლისად ჩავთვალოთ. ქვეყანაში ჯერაც ჭარბოდა მსუბუქი მრეწველობა, ე.ი. მოდური საქონლის წარმოება.

XIX საუკუნეში საფრანგეთმა ვერ მოახერხა ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქმნა. 70–იან წლებში საფრანგეთის შრომისუნარიანი მოსახლეობის 15,2 მილიონიდან 7,2 მილიონი სოფლის მეურნეობაში იყო დაკავებული, 4,7 მლნ. - მრეწველობაში, 1 მლნ –ვაჭრობაში და 1,3 მლნ – ოჯახურ მეურნეობაში.

წვრილი სოფლის მეურნეობის ბატონობა

როგორც გვახსოვს, ინგლისში ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდირების შემდეგ მიწა დარჩა ყოფილი ფეოდალების ხელში, ხოლო გლეხობა, როგორც კლასი, გაქრა. საფრანგეთში პირიქით – ფეოდალების კლასი გაქრა, ხოლო მიწა კი თავისუფალი გლეხობის საკუთრებაში გადავიდა. წარმოიშვა წვრილი გლეხური მიწათმომქედება, რომელიც იშლებოდა და განაგრძობდა უფრო პატარა მეურნეობების წარმოქმნას. პროცესს პარცელირება ეწოდა (parcella-ნაწილი) 1860–იან წლებში ქვეყნის ყველა მიწათმოქმედის 75%-ს 2 ჰექტრამდე მიწა გააჩნდა. ამდენად, სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარების დონე საფრანგეთში არათუ ფერმერულ ინგლისურზე, არამედ ნახევრადფეოდალურ პრუსიულზე, პოლონურზე და ავსტრიულზეც კი დაბალი იყო. მცირემიწიანობამ განაპირობა აგროტექნიკის დაბალი დონე და შესაბამისად

დაბალი შრომისნაყოფირება. უმთავრესი სასოფლო–სამეურნეო კოლტურის –ხორბლის მიხედვით, საფრანგეთს მსოფლიოში მე–11 ადგილი ეჭირა. წვრილი მიწათმომქედება სერიოზულ მუხრუჭად გადაიქცა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ფრანგული კაპიტალის სამევახშეო ნიშნები

საწარმოო და აგრარული კაპიტალის განვითარება საფრანგეთში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ფულადი და სავახშო კაპიტალის განვთიარებას. 1850–1860 წლებში 200 მსხვილი ბანკირი ფაქტიურად მთელი საფრანგეთის სახალხო მეურნეობას განაგებდა. საწამროო გადატრიალებამ არ მოუტანა საწარმოო ბურჟუაზიას სახელმწიფო მეურნეობაში ბატონობა, ეს უფლება მაინც ბანკირებს რჩებოდა. ისინი მოხერხებულად იყენებდნენ არა მხოლოდ ფრანგული ეკონომიკის განვითარების თავისებურებებს, არამედ ფრანგულ მენტალი-ტეტსაც, რომელსაც გამოარჩევს ისეთი ნიშნები, როგორებიცაა პრაქტიკულობა, მიდრეკილება თუნდაც მცირე, მაგრამ გარანტირებული შემოსავლისკენ და რისკის მინიმიზაცია. XIX საუკუნეში ფრანგული მენტალიტეტის სწორედ ამ შტრიხებმა მისცა ბიძგი ისეთი სპეციფიკური სოციალური ფენის წარმოშობასა და განვითარებას, რომელსაც საფრანგეთის „საფირმო ნიშანიც“ კი ეწოდა. საუბარია რანტიეებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ მხოლოდ კაპიტალზე დარიცხული პროცენტებით (5%). მათი

კაპიტალი ინვესტირებული იყო ფასიან ქაღალდებში, რომელთაგან ყველაზე დიდი პოპულარობით სახელმწიფო სასესხო ვალდებულებები სარგებლობდა.

XIX საუკუნის ბოლომდე საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა თავისი ბრუნვით მხოლოდ ინგლისურს თუ ჩამოუვარდებოდა, ვინაიდან ფრანგული ექსპორტის საფუძველს წარმოადგენდა მსოფლიოში უბადლო საქონელი – აბრეშუმი, ღვინო, ავეჯი, ტყავი, საღებავები, პარფიუმერია, საიუველირო ნაწარმი. საფრანგეთშიც, ინგლისის მსგავსად, საწარმოო გადატრიალებამ დიდი ბრძოლა გამოიწვია ფრიტრედერებსა და პროტექციონისტებს შორის, თუ ინგლისში თავისუფალი ვაჭრობა სამრეწველო ბურჟუაზიის ლოზუნგი იყო, ფრანგული ბურჟუაზია უფრო პროტექციონიზმს ემხრობოდა: თავსიუფალი ვაჭრობა ხომ აძლიერებდა ინგლისურ კონკურენციას (ინგლისური საფეიქრო ნაწარმი 30%–ით უფრო იაფი იყო ფრანგულ ანალოგებზე). ფრიტრედერობის მომხრენი საფრანგეთში ვაჭრები იყვნენ, რომელთა ინტერესს სავაჭრო ასორტიმენტის გაფართოება წარმოადგენდა. გარდა ამისა, თავისუფალ ვაჭრობას ბანკირებიც ემხრობოდნენ, რომელთა ინტერესი სარკინიგზო მშენებლობაში იდო. ამდენად, ინგლისური სტანდარტული წარმოების იაფი რელსების შესყიდვა მათთვის ხელისშემშლელი იყო და ამ ფონზე 1860 წელს ინგლისთან დადებულმა ხელშეკრულებამ ფრიტრედერიზმის შესახებ ფრანგი ფაბრიკანტების დიდი

უკმაყოფილება გამოიწვია. შეთანხმებამ მხოლოდ ათი წელი იარსება. ურთიერხელშეწყობის პრინიცპი საფუძვლად დაედო სავაჭრო ხელშეკრულებებს საფრანგესა და ისეთ ქვეყნებს შორის, როგორებიცაა ბელგია, იტალია და სხვა.

XIX საუკუნის მიწურულს საფრანგეთი სამრეწველო განვითარების ტემპებით ჩამორჩებოდა არა მარტო ინგლისს, არამედ აშშ–სა და გერმანიას. სამაგიეროდ იდუსტრიულ სფეროში პოზიციის დათმობის სანაცვლოდ ფრანგული კაპიტალი პოზიციებს იმტკიცებდა საერთაშორისო სესხებისა და კრედიტების სფეროში.

§ 3. მანქანური ინდუსტრიის ჩამოყალიბება გერმანიაში. ეკონომკური ჩამორჩენილობა XIX საუკუნის შუაწლებამდე

კაპიტალუიტური მანქანური ინდუსტრიის ჩამოყალიბება გერმანიაში მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. გერმანიის ჩამორჩენის ძირითად მიზეზს ფეოდალიზმის უფრო ხანგრძლივი ბატონობა და ერთიანი სახელმწფოს არარსებობა წარმოადგენდა. ქვეყნის შიგნით, რომელიც დაყოფილი იყო დიდ და პატარა დამოუკიდებელ სახელმწიფლეობად, არსებობდა სავალუტო და საბაჟო ბარიერები. გერმანიის მიწების (ლანდების, მცირე სახელწმიფოების) პირველი საბაჟო გაერთანება XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, ქვეყნის

საბოლოო პოლიტიკური გაეთიანება კი მხოლოდ 1871 წელს მოხდა, როცა გერმანიის იმპერია შეიქმნა.

ფეოდალურიდან ბურჟუაზიულ საზოგადოერივ წყობაზე გადასვლა გერმანიაში გაცილებით გვიან და ნელა ხდებოდა, ვიდრე ინგლისსა და საფრანგეთში. სახემწიფო რეფორმებმა ვერ მოსპო ფეოდალური მონარქია, ანუ ფოდალური აზნაურები მიწათმფლობელებად რჩებოდნენ. ესენი იყვნენ ე.წ. იუნკერები. თავადაზნაურთა ფენამ მხოლოდ ძალაუფლების ნაწილი გადასცა გერმანულ ბურჟუაზიას.

გერმანიას არ გააჩნდა ძლიერი საზღვაო პორტები და ამდენად იზოლირებული იყო საზღვაო სავაჭრო გზებიდან. მდებარეობდა რა ევროპის ცენტრში, იგი XIX საუკუნის შუა წლებამდე მძლავრი ინდუსტრიული სახელწფოების (ინგლისი, ჰოლანდია, საფრანგეთი) მხოლოდ აგრარული დანამატს წარმოადგენდა. გერმანელ ვაჭრებს დასავლეთში გაქონდათ ნედლეული და ტყავი, ხოლო შემოქონდათ იაფფასიანი უცხოური სამრეწველო საქონელი. გერმანული მანუფაქტურები, რომელიც მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს ჩაისახა, იყო ძალზე სუსტი, სამრეწველო საქონლის უმრავლესობას აწარმოებდნენ სახელოსნო საამქროები, რომლებიც სავალალაო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ხელს უშლიდნენ საწარმოს რაციონალიზაციას. XIX საუკუნის შუახანებში საწარმოო მუშების რიცხვი (1,5 მლნ) ნკლები იყო ხელოსნების რიცხვზე (2 მლნ).

პირველი ორთქლის მანქანების დანერგვა გერმანულ წარმოებაში XIX საუკუნის 30–40–იან წლებში დაიწყო, მაგრამ საწარმოო გადატრიალებაზე ლარაპაკიც კი ზედმეტი იყო. შედარებისთვის: სილეზიაში 1837 წელს მუშაობდა 8 ორთქლის ძრავი, რომელთა სიმძლავრე 148 ცხენის ძალას შეადგენდა, ინგლისის ერთერთი საგრაფოს ლანკაშირის საწარმოებში კი ამავე დროს 714 ოთრქლის მანქანა ფუნქციონირებდა საერთო სიმძლავრით 20 ათასი ცხენის ძალა.

საწარმოო გადატრიალება

გერმანიის ინდუსტრიალიზაცია რეალურად XIX საუკუნის 60–იან წლებში დაიწყო. დაგვიანებული სამრეწველო გადატრიალება ძალზე ინტენსიური იყო: ორთქლის ძრავების საერთო სიმძლავრე 3–ჯერ გაიზარდა, ამ მაჩვენებლით გერმანიამ საფრანგეთს გაუსწრო, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა ინგლისს.

ნაგვიანევ ინდუსტრიალიზაციაში იყო თავისი პლიუსები. ფრანგულისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად ინგლისური მანქანების ესქპორტს ეყრდნობოდა, გერმანიაში დაიწყო მუშაობა იმ დროისათვის უმსხვილესმა მანქანათმშენებლობის საწარმოებმა, მაგალითად, ლოკომობილების ბორზიგის ქარხანამ, სადაც 1857 წელს მხოლოდ 37, ხოლო 1866 წელს კი – 1600 მუშა შრომობდა. გერმანული წარმოება XIX საუკუნისთვის არნახულ ტემპებით ვითარდებოდა: 40–იან წლებში

სამეწველო პროდუქციის ნამატი 13% შეადგენდა, 50–იანი წლებისთის –100%–ზე მეტს, 60–იან წლებში კი - 50%-ს. ამავდროულად, გერმანული საქარხნო წარმოების სტრუქტურა ინგლისურის კალკირებული ანალოგი არ იყო. ასე, 1856 წელს გერმანელმა სპეცისლისტებმა გამოიმუშავეს საღებავების ქვანახშირიდან მიღების მეთოდები, რაომელმაც შემდგომში ანილინისა და ანილინის შემცველი სხვა პროდუქციის წარმოების ბაზა შეადგინა და ქვეყანას მსოფლიო ბაზარი მოუპოვა.

მძიმე მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას სერიოზულ სტიმულს აძლევდა პრუსიის ეგიდის ქვეშ გაერთიანებული ყველა გერმანული ლანდის საომარი მზადება. პრუსია მთელი გერმანიისა და შემდეგ საფრანგეთის დამორჩილებისათვის ემზადებოდა. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ევროპაში უძლიერესი საომარი სამრეწველო კომპლექსი, სადაც განსაკუთრებულ როლს კრუპის საარტილერიო ქარხნები ასრულებდა (რაინის მხარე). ჯერ კიდევ საუკუნის შუაწლებში გერმანია ადნობდა საფრანგეთზე ნაკლებ ფოლადს, მაგრამ უკვე 1870 წლისთვის საფრანგეთზე 2–ჯერ მეტს და თითქმის იმდენს, რამდენსაც ინგლისი. საწარმოო განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ფართოდ გაშლილი სარკინიგზო მშენებლობაც. 1850–1870 წწ სარკინიგზო ინვესტიციებმა (და შესაბამისად შეკვეთებმა ლითონზე, ქვანახშირზე, მანქანებზე და სხვა) 400 მილიონიდან 4 მილიარდ მარკას მიაღწია.

ინდუსტრიალიზაციას თან მოყვა გერმანული საგარეო ვაჭრობის გარდაქმნა. მხოლოდ 50–იან წლებში გერმანული ექსპორტის მოცულობა 2,5–ზე მეტად გაიზარდა, ხოლო იმპორტისა - 2–ჯერ. გერმანულ ექსპორტში სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ადგილი თანდათანობით მზა საწარმოო საქონელმა: ლითონნამზადმა, შალისა და ბამბის ქსოვილებმა, მზა ტანსაცმელმა, ტყავის ნაწარმმა, შაქარმა და ა.შ. დაიკავა, ხოლო იმპორტში – პირიქით. იუნკერთა ზეწოლის შედეგად, რომელთა ინტერესებსაც სასოფლო–სამრუნეო პროდუქცის უბაჟო ექსპორტი წარმოადგენდა, 60–იან წლებში გერმანია შეეცადა ფრიტრედერობაზე გადასვლას. მაგრამ ინდუსტრიალიზაციის დასასრული კარნახობდა ქვეყანას მკაცრი პროტექციონიზმის აუცილებლობას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანია ინდუსტრიული ინგლისის სანედლეულო დანამატის სტატუსს დაემშვიდობა და ინგლისის კონკურენტის სტატუსი დაიმკვირდა.

„პრუსიული გზა“ სოფლის მეურნეობაში

გერმანიაში ქვეყნის ფეოდალიზმისგან გათავისუფლება დროში გაწელილი რეფორმების გზით ხდებოდა. შედეგად ფეოდალების მიწა ძირითადად მათვე დარჩათ, შეიცვალა მხოლოდ გლეხების მათზე დამოკიდებულების ფორმები. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა ეს პრუსიაში, სადაც 60–იანი წლების ბოლოს ყველა მეურნეობის 71%-ის საკუთრებაში დასამუშავებელი

სავარგულების მხოლოდ 9% იმყოფებოდა, ხოლო დარჩენილი მეურნეობების 29%-ში კი სავარგულების ის 91% იყო თავმოყრილი.

„პრუსიული გზა“ ყველაზე წამგებიანი გლეხობისთვის იყო, ხოლო იუნკრებსა და აგრარულ მრეწველებს საშუალება მისცა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ფორმების ორგანიზებისათვის. ეს მეურნეობები ყველაზე ინტენსიური იყო ევროპაში. სამმინდვრიანობასა და ძალდატანებითი თესლბრუნვის ნაცვლად შემოღებულ იქნა ბალახის თესვა და ნაყოფცვალებადი სისტემა, რის შედეგადაც ნასვენი მიწების ფართობი ორჯერ შემცირდა. აგროქიმიამ გერმანული მიწათმოქმედება მეცნიერულ საფუძველზე გადაიყვენე, შემოიტანა რა სინთეზური სასუქის გამოყენება. სინთეზური სასუქების წარმოებას ხელს უწყობდა კალიუმის მარილებით მდიდარი მიწის წიაღი, ფოსფორით მდიდარი გერმანული რკინის მადანი. ფართოდ გამოიყენებოდა კულტივატორები, სალეწი მანქანები, სამკალი მანქანები, ორთქლის სახნისები და სხვა სამამულო წარმოების მანქანები. ამგვარად, აგროქიმიამ და მანქანებმა ჩაანაცვლა ყმა–გლეხის შრომა. გერმანიამ პირველი ადგილი დაიკავა კარტოფილის მოსავლისა თუ შაქრის ჭარხალში, შაქრის სახამებლისა თუ სპირტის წარმოებაში და საბოლოო ჯამში კვების მრეწველობის პროდუქციამ გემანული ექსპორტის ძირითადი ნაწილი შეადგინა.

შეინარჩუნა რა თავისი ეკონომიკური პოტენციალი, იუნკერობამ შეინარჩუნა თავისი მმართველი პოზიციები პოლიტიკურ სისტემაშიც, ანუ გერმანული მონარქიის შემადგენელ ნაწილში – სახელმწიფო აპარატში, ოფიცრების კორპუსში და ა.შ. სწორედ ამან განაპირობა გერმანული კაპიტალიზმის ღიად მილიტარისტული, აშკარად აგრესიული ხასიათი.

§ 4. აშშ ინდუსტრიალიზაციის თავისებურებები. კოლონიური მეურნეობა

ჩრდილო ამარიკის მატერიკი XVII საუკუნეში ინგლისის კოლონია გახდა, რომელშიც თვით ინგლისელებიც ინტენსიურად სახლდებოდნენ. თუ სამხრეთი ამერიკის კოლონიზატორები ძირითადად ავანტურისტებისგან შედგებოდა, რომელთაგან არცერთს შრომა არ სურდა, ჩრდ. ამერიკის კოლონიზატორები შრომისმოყვარე კადრებისგან იქნა დაკომპლექტებული, რომლებიც ევროპიდან უკანონობას ან რელიგიურ შეუწყნარებლობას გაურბოდა. ჩრდ. ამერიკის კონტინენტის კოლონიზაცია სისხლისმღვრელი ომების თანხლებით მიმდიანრეობდა. ებრძოდნენ ძირძველ მოსახლეობას – ინდიელებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს მიწის გარეშე დარჩნენ.

ჩრდ. ამერიკაში ინგლისური კოლონიები გამოირჩეოდნენ მეურნეობის სამი ტიპით: 1)სამხრეთ კოლონიებში (მერილენდი, ჯორჯია, ჩრდილოეთი და სამხრეთი კოროლინა, ვირჯინია), სადაც იყო ნაყოფიერი მიწის უზარმაზარი მასივები, წარმოიშვა მსხვილი პლანტაციები (ბრინჯი, ინდიგო, ბამბა, თამბაქო), რომელთაც ძირითადად მონა–ზანგები ემსახურებოდნენ; ისინი აფრიკიდან გამოყავდათ და XVIII საუკუნის ბოლოს ამერიკაში 900000 მონა ცხოვრობდა; 2) ჩრდილოეთის (ნიუ–ჰემპშირი, მასაჩუსეტსი, როდაილენდი, კონექტიკუტი), რომელსაც საერთო სახელი „ახალი ინგლისი“ ერქვა; 3) ცენტრალურ (ნიუ–იორკი, ნიუ–ჯერსი, დელავარი, პენსილვანია) კოლონიებში ძირითადად თავისუფალი ფერმერობის არეალი ჩამოყალიბდა.

ემიგრანტებმა ჩრდილოეთ ამერიკაში მრავალი ნედლეული აღმოაჩინეს, რამაც ძალზე დიდი გავლენა მოახდინა ტყის უზარმაზარი მასივების დამამუშავებელი დარგებისა და გემთმშენებლობის განვითარებაზე. XVIII საუკუნის დამლევს ინგლისური ფლოტის 1/3 ამერიკულ კოლონიებში იყო აშენებული. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვაო თევზის რეწვით იყო დაკავებული. მეცხოველეობის გავრცელებამ კი შალის მანუფაქტურების განვითარებას შეუწყო ხელი. XVIII საუკუნის დამლევს ამერიკული კოლონიები სავსებით აკმაყოფილებდა საკუთარ მოთვხონილებებს შალის ნაწარმზე. რკინის მადნის მდიდარმა საბადოებმა ბიძგი

მისცა მეტალურგიისა და ლითონდამუშავების განვითარებას, უკვე XVIII საუკუნის შუაწლებში ამერიკული თუჯი ექსპორტის სახით გადიოდა მეტროპოლიაში. საერთოდ კი, მომავალი შეერთებული შტატების ეკონომიკა აგრარული ხასიათის იყო, ვინაიდან მოსახლეობის 90% სოფლის მეურნეობაში იყო დაკავებული.

თავისუბერი კომპლექსი ჩამოყალიბდა აღმოსავლეთი სანაპიროს რაიონებში, სადაც ძირითადად სპირტიანი სასამელების წარმოება ვითადებოდა, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებით ვესტ-ინდოეთის ბადაგისაგან დამზადებული რომი გამოირჩეოდა. ამერიკელი ვაჭრები ყიდულობდნენ ვესტ–ინდოეთში ბადაგს, ჩაჰქონდათ ამერიკაში, ყიდულობდნენ რომს, შემდეგ ჩაჰქონდათ იგი აფრიკაში, ზანგ წინამძღოლებს აბრუებდნენ სასმელით, ძალზე იაფად ყიდულობდნენ მათგან მომავალ მონებს, ამერიკაში ყიდდნენ მათ და მოგებული ფულით ისევ ყიდულობდნენ ვესტ–ინდოეთში ბადაგს. სწორედ ასე ფუნქციონირებდა „სავაჭრო სამკუთხედი“: „ბადაგი–რომი–მონები“.

ბუნებრივია, ამერიკელი კოლონიების ეკონომიკური განვიათრება სერიოზულ წინააღმდეგობას ქმნიდა მათი მეტროპოლისთან ურთიერთობის საკითხეში. კოლონიებს არ აწყობდათ ინგლისის პოლიტიკა – გადაექცია ამერიკული კოლონიები თავის სანედლეულო დანამატად. ამ წინააღმდეგობებმა მიიყვანეს ორი მხარე საომარ მდგმოარეობამდე, რომელიც კოლონიების სრული

გამარჯვებითა და ახალი სახლმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების, – წარმოქმნით დაგვირგვინდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული–დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება.

საწარმოო გადატრიალების თავისებურება აშშ–ში

აშშ–ს შექმნამ წარმოშვა ხელსაყრელი პირობები სამრეწველო გდატრიალებისათვის, რომელიც დასრულდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მექანიკური სართავი და საქსოვი დაზგები ამერიკაში 1789 წელს გამოჩნდა. ინგლისური კანონები კრძალავდა ნახაზებისა და მანქანების გატანას, მაგრამ როგორც კი გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ამერიკაში დანიშნულია პრემია სართავი და საქსოვი დაზგის გამოგონებისათვის, ინგლისელმა მუშამ ს.სლეიტერმა საკუთარი მახსოვრობის მიხედვით შედგინა საჭირო ნახაზი. ერთი წლის შემდეგ ამერიკაში ამუშავდა პირველი საფეიქრო ფაბრიკა, ხოლო 50 წლის შემდეგ კი აშშ ფაბრიკების ბამბაზე მოთხოვნა 22–ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ორთქლის ძრავების ფართო დანეგრვა მხოლოდ XIX საუკუნის 40–იან წლებში დაიწყო – ამის მიზეზი წყლის რესურსების სიუხვე იყო, წყლის ძრავი გაცილებით უფრო იაფი იყო ორთქლისაზე.

სამრეწველო გადატრიალებაში დიდი როლი ითამაშა რკინიგზებმა. 1830–1850 წწ მოხდა სარკინიგზო ქსელის 300–ჯერადი მატება. 1807 წელს მდინარე ჰადსონზე უკვე

ორთქლმავალი გემი დადიოდა. ტრანსპორტის მექანიზაციამ გამოიწვია მეტალურგიის დაჩქარებული ზრდა, მან კი თავის მხრივ მომპოვებლური მრეწველობა განავითარა. XIX საუკუნის I ნახევარში თუჯის წამოება 12–ჯერ, ქვანახშირისა – რამოდენიმე ათასჯერ გაიზარდა. XIX საუკუნის შუაწელში აშშ–ში იყო საკუთარი მანქანათმშენებლობა, კერძოდ, ორთქლის ძრავების მშენებელი უდიდესი ქარხანა ნიუ–იორკში, ასეთივე ქარხანა აშენდა პენსილვანიაში და ა.შ.

აშშ ინდუსტრიული გადატრიალებისათვის დამახასიათებელი შტრიხი იყო მასში საკუთარი ინჟინრების მონაწილეობა. XIX საუკუნის მთავარ გამოგონებებს მიეკუთნებოდა ზინგერის საკერავი მანქანა, კოლტის რევოლვერი, როტაციული ტოპოგრაფიული მანქანა, მორზეს ელექტრო-მაგნიტური ტელეგრაფი, რომელმაც შეცვალა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წესი.

თავისუფალი ფერმერული მეურნეობის განვითარებამ მოითხოვა სასოფლო–სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებაც. 40–50 –იან წლებში აშშ-ში შეიქმნა შესანიშნავი მექანიკური სათესი, სალეწი, გასანიავებელი და სამკალი მანქანები, ამ მანქანების შექმნაში თავი განსაკუთრებულად გამოიჩინეს მაკკორნიკმა და ჰეირემმა.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში აშშ-ს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა გაზარდა შესაბამისად 3.7-ჯერ და 4–ჯერ, მაგრამ XIX საუკუნის შუაწლებში ამერიკული

ესქპორტში ჯერ კიდევ ჭარბობდა ნედლეული და სასოფლო–სამერუნეო პროდუქცია – ტყავი, შალი, ბამბა, თამბაქო. აშშ მთავრობა ძირითადად პროტექციონისტურ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდა, მაგრამ ეს ჩრდილოელი კაპიტალისტების დოქტრინა იყო. სამხრეთ შტატების პლანტატორები ფრითრეიდერული პოზიციის მომხრეებს წარმოადგენდნენ, ვინაიდან განიცდიდნენ იაფასიან სამრეწველო საქონლის სიმცირეს.

ფერმერები და პლანტატორები

მიუხედავად მრწეველობის განვითიარებისა, XIX საუკუნის აშშ მაინც აგრარულ ქვეყნად რჩებოდა. მრეწველობის სწრაფმა ზრდამ, ქალაქის მოსახლეობის მატებამ, რკინიგზის მშენებლობამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტზე სტაბილური მოთხოვნა, განაპირობა მისი დარგობრივი სპეციალიზაცია. ჩრდილოეთი და ცენტრი აშშ ბეღლად გადაიქცნენ. 1840 წლიდან 1860 წლამდე ხორბლის მოსავლიანობა გასამმაგდა. ფერმერები სერიოზული პოლიტიკურ ძალად იქცნენ სახელმწიფოში.

ეკონომიკის სულ სხვა ტიპი ბატონობდა პლანტატორულ სამხრეთში. სამხრეთის შეტატებში არ არსებობდა საქონელი, რომელიც სტიმულს მისცემდა კვლვაწარმოების განვითარებას მონათმფლობელურ მეურნეობაში. ამ დროისათვის რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია ინგლისში. სამრეწველო გადატრიალების მოხდენის შემდეგ. ინგლისური ბამბის გადამამუშვებელი

მრეწველობას ესაჭიროებოდა ნედლეული და ამერიკულმა სამხრეთმა საკუთარ თავზე აიღო ინგლისის ნედლეულით დაკმაყოფილება. შედეგად ინგლისურმა მანქანებმა ნედლეული მიიღო, ხოლო ამერიკის სამხრეთმა შატებმა კი – მონოკულტურა, ანუ ბამბა. სამხრეთი ყველა საჭირო სამრეწველო საქონელს ყიდულობდა, ხოლო აწარმოებდა მხოლოდ ბამბას: XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბამბის წარმოება 23–ჯერ, ხოლო შავი მონების რაოდენობა კი სამჯერ – მილიონიდან სამ მილიონამდე გაიზარდა. ვინაიდან მონათმფლობე-ლური მეურნეობა ატარებდა მხოლოდ ექსტენსიურ ხასიათს, პლანტატორები არ იყენედნენ სასუქს, ამდენად მიწის მტაცებლური დამუშავება მისი უნაყოფობის გამომწვევ მიზეზად იქცა. მიწისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სათესი ფართობებისა და მონათა რაოდენობის დაუსრულებელი ზრდა.

სამუშაო ძალის კვლავწარმოების პრობლემის გადაჭრა რამდენადმე დაგვარებული იყო: სამხრეთის ზოგიერთმა შტატმა (ვირჯინია, მერილენდი), რომელშიც მიწა უნაყოფო გახდა, აითვისა სხვა სამხრეთული შტატებისათვის მონების „წარმოების“ ახალი სპეციალიზაცია. სხვა მონათმფლობელური შტატებისათვის გაცილებით უფრო რთულს მიწების გაფართოების საკითხი წარმოადგენდა. აშშ დასავლეთში იყო მიწების უზარმაზარი მასივები და სწორედ აქეთ გაეშურნენ სამხრეთელი პლანტატორები და ჩრდილოელი ფერმერები. XIX საუკუნის

შუაგულში ქვეყნის დასავლეთის განვითარების პრობლემა (ყოფილიყო იგი ფერმერული და პლანტატორული) ერთ–ერთ უმთავრეს პრობლემად გადაიქცა.

სამოქალაქო ომის ეკონომიკური შედეგები

მონათმფლობელობის გარეშე პლანტაციურ მეურნეობას აზრი ეკარგებოდა, ამიტომ ამერიკელი სოციალურ–პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალურ პუნქტს მონობის გაუქმება წარმოადგენდა. ამ მიმდინარეობას აბოლიციონიზმი ეწოდება. ყოველი ახალი ამერიკული შტატის წარმოქმნისას შეიარაღებული კონფლიქტი წარმოიშობოდა იმის გადასაწყვეტად, ყოფილიყო იგი პლანტატორული თუ ფერმერული. XIX საუკუნის შუაწლებში ჩრდილოეთის მსხვილმა საწარმოო ბუჟუაზიამ, რომელიც ამ დრომდე მშვიდად თანაარსებობდა პლანტატორებთან, მკვეთრი განცხადება გააკეთა მონობის საწინააღმდეგოდ. კაპიტალისტური კვლავწარმოების ზრდასათვის საჭირო იყო შიდა ბაზრის მოცულობის ზრდა, რომელიც შეუთავსებელი გახდა მონათმფობელობასთან.

ჩრდილოეთს და სამხრეთს შორის არსებულმა გადაუჭრელმა წინააღმდეგობებმა ბოლოს და ბოლოს მიიყვანა ქვეყანა სამოქალაქო ომამდე (1861–1865 წწ) რომელშიც ჩრდილოეთმა გაირამჯვა. შესაძლებელი გახდა ქვეყანაში რიგი დემოკრატიული ცვლილებების ჩატარება, რომლებმაც საბოლოოდ მოსპო ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებისათვის არსებული ყოველგვარი წინააღმდგობა. გაიმარჯვა სოფლის მეურნეობაში

კაპიტალიზმის განვთიარების „ამერიკულმა გზამ“ – მიწაზე ფერმერთა ბატონობამ მონათმფლობელებისა და ფეოდალების, ბატონებისა და ლენდლორდების გარეშე. 1862 წელს გამოსულმა „გომსტედ–აქტმა“ მისცა უფლება ნებისმიერ მოქალაქეს, 5–წლიანი სარგებლობის შემდეგ შეეძინა 16 აკრი ფართობის მიწა (□65ჰა) სპეციალური მოსაკრებლის (10$) გადახდის საფასურად იმ პირობით, რომ ადამიანი პირადად დაამუშავებდა მიწას. ამის შემდეგ მთელი ფართობი მის საკუთრებაში გადადიოდა.

სამოქალაქო ომის შემდეგ ამერიკულმა მრეწველობამ მიიღო უზარმაზარი შიდა ბაზარი და ძალზე დიდი ნაბიჯი გადადგა წინ განვითარებაში. XIX საუკუნის პირველ ნახევარსა და 70–იან წლებში ინგლისის შემდეგ ამერიკა მეორე ადგილს იკავებდა მსოფლიოში. არც ერთი სხვა ქვეყნის მრეწველობა არ განვითარებულა ასე მჩქეფარედ და სწრაფად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების. იგი სრულიად დამოუკიდებელი გახდა. აშშ–ს სამანქანო და საჩარხო პარკმა სერიოზული რეკონსტრუქცია განიცადა და 1873 წელს ჩატარებული ვენის მსოფლიო გამოფენაზე მსოფლიოსათვის გასაგები გახდა, რომ საწარმოო-ტექნიკურ პაექრობაში აშშ მნიშვნელოვნად უსწრებს ინგლისსაც კი.

1880 წელს **მშპ–ში სამრეწველო პროდუქციის ღირებულება 2,5–ჯერ ჭარბობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირბულებას,** ანუ აშშ ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაიქმნა.

თავი 5. მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში განვითარების ძირითადი ტენდენციები (XIX-XX საუკუნეები). მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

ფაბრიკული წარმოების ჩამოყალიბებამ ტექნიკური პროგრესს არნახული ტემპი შესძინა. მარტო XIX საუკუნის ბოლო მესამედის ტექნოლოგიური ძვრები იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთა მეცნიერმა ამ პერიოდს „მეორე საწარმოო რევოლუციაც“ კი უწოდა.

პირველ რიგში მოხდა ენერგიის ძირითადი ტიპის შეცვლა. ელექტრული დენის გამომამუშავებული მანქანის შექმნამ (გერმანიაში -სიმენსის დინამომანქანა, აშშ-ში - ედისონის გენერატორი) გადაწყვეტა საწარმოო ენერგეტიკის პრობლემა. ენერგიის ნებისმიერ მანძილზე გადაცემის პრობლემის გადაჭრამ დამოუკიდებალდ გადააქცია საწარმოები, ისინი აღარ საჭიროებდნენ ენერგიის წყაროსთან სიახლოვეს.

ენერგეტიკაში მომხდარი კარდინალური ცვლილებების შედეგად ახალი ტიპის სითბური მანქანები გამოჩნდა: ორთქლის ტურბინა (გ.ჰარისონი, ინგლისი), შიდა წვის ძრავა (რ.დიზელი, ნ.ოტტო, გ.დაიმლერი - გერმანიაში). ამან გამოიწვია ტრანსპორტის ყველა სახეობის მექანიზაცია. შიდა წვის ძრავამ ბიძგი მისცა ნავთობმოპოვებასა და ნავთობგადამუშავებას, აღმოჩენილი იქნა კრეკინგის პროცესი: ნავთობის წნევის ქვეშ თერმული დამუშავებით მისი ფრაქციებად (ბენზინი, ლიგროინი,

მაზუთი და ა.შ.) დაყოფა. ახალი ტიპის ენერგიის წყარომ ადამიანი ფაქტიურად დაიმონა და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება აღმოჩენილი ერენგიის ახალი, ძველის სრულყოფილად შემცვლელი წყარო. გერმანელმა ქიმიკოსებმა შეიმუშავეს სინთეტიკური მეთოდები საღებავის, მედიკამენტოზური, პარფიუმერული და სხვა ორგანული ნივთიერებების მისაღებად. დაიწყო გოგირდმჟავისა და სოდის წარმოება და დაინერგა მისი მაღალგამოსავლიანი ციკლები; ისინი კი სასოფლო-სამეურნეო არაორგანული ქიმიის ამოსავალ პროდუქტებს წარმოადგენს.

ჩამოყალიბდა ფოლადის წარმოების ახალი საშუალებები. საფრანგეთში გამოგონებულმა ფოლადსადნობმა პროცესებმა, - ა. ბესემერის კონვენტორმა და პ. და ე. მარტენების ღუმელმა, აგრეთვე გ. ტომასის ლითონის გაუფოსფორების მეთოდმა საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის ფოლადსადნობ და ფოლადის გადამამუშავებელ წარმოებებს.

მსუბუქი, პოლიგრაფიული და სხვა მრეწველობის ტექნოლოგირი ბაზა შეივსო ავტომატური ჩარხებით და მანქანებით, ახალმა ტექნიკურმა ბაზამ შეცვალა ტრანსპორტის სისტემა. საუკუნეთა მიჯნაზე ორთქლის ფლოტის მსოფლიო ტონაჟი მრავალჯერ ჭარბობდა საიალქნო ფლოტის ტონაჟს. მკვეთრად გაიზარდა მსოფლიო სარკინიგზო ქსელი, გაჩნდა ელექტრული (ლიფტი, ტრამვაი, მეტრო), ურელსო (შიდაწვის ძრავის ბაზაზე) და

მილგაყვანილობითი ტრანსპორტი, ეპოქალური მიღწევა იყო საჰაერო ტრასნპორტის გაჩენა, რომელშიც ორი ტიპი გამოირჩეოდა: ჰაერში საფრენი მსუბუქი (დირიჟაბლი) და მძიმე (აეროპლანი) აპარატები.

მხოლოდ ეს არასრული ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ ტექნიკური აზრი საუკუნეთა გასაყარზე ბევრად უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე სამრეწველო გადატრიალების ასწლეულის მანძილზე. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოგონებების დათვლა ათეულობით ხდებოდა, XIX- XX მიჯნაზე ისინი ათასეულებს შედაგენდა. მაგალითად, ამერიკაში მხოლოდ თომას ედისონმა 1000-ზე მეტი გამოგონება დააპატენტა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ტექნიკურ პროგრესში მონაწილეობის მიღება მეცნიერებამაც დაიწყო, მათ შორის ფუნდამენტურმა დარგებმა. მსოფლიოში წარმოიშვა უმაღლესი ტექნიკური განათლება. პირველი უმაღლესი ტექნიკური საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოიქმნა გერმანიაში (ბერლინი, დრეზდენი, მიუნჰენი), აშშ-ში (ჯ. ჰოპკინსის უნივერსიტეტი ბალტიმორში), იაპონიაში და სხვა. ტექნიკის პროგრესმა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მნივშნელობა შეიძინა.

ტექნოლოგიურმა ძვრებმა სამანქანო ინდუსტრიის სადარგო სტრუქტურების სერიოზულ ცვლილებაზე მოახდინა გავლენა. ნავთობმოპოვების გარდა გამოჩნდა მეურნეობის ახალი დარგების რიგი: ელექტროტექნიკური, ქიმიური და ა.შ. ძალზე ინტენსიურად ვითარდებოდა

მანქანათმშენებლობის ახალი დარგი - საავტომობილო. პირველი ამერიკული ავტომობილი იყო გამოშვებული ჰ. ფორდის მიერ 1892 წელს. 1900 წლისათვის ფორდის წარმოება 4000-ზე მეტ ერთეულს უშვებდა. 1870-1913 წლებში ჩვენს მიერ განხილულ კაპიტალისტურ ქვეყნებში თუჯის წარმოება სამჯერ გაიზარდა (10,3 მლნ. ტ.-დან 29,4 მლნ ტ-მდე), ფოლადის წარმოება - 23-ჯერ (2,98 -დან 68,65 მლნ ტ-მდე).

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის „ნაღები“, რასაკვირველია, მილიტარისტული კომპლექსს ერგო. იარაღის მწარმოებელი მრეწველობა შეიცავდა მეტალურგიის, მოტორების მშენებლობის, ელექტროტექნიკის, ქიმიური ტექნოლოგიის, ზუსტი ხელსაწყოების მშენებლობის მიღწევებს. საქარხნო - ფაბრიკულმა ინდუსტრიამ, პირველ რიგში, გლუვლულიანი თოფი შეცვალა ხრახნიანით, რომელსაც მჭიდი და ვაზნის კოლოფი მოყვებოდა, იალქანიანი ხის გემები ჩაანაცვლა ლითონის ხომალდებმა, ხოლო ცოტა ხანში კი დაჯავშნულმა ტურბომავლებმა, გაჩნდა სწრაფმავალი ნაღმმტყორცნი, რომლებიც 10 კმ-ზე მეტ მანძილზე აღწევდა მიზანს, შეიქმნა და გამოიყენებოდა უკვამლო დენთი (ა. ნობელი) და ა.შ.

XIXსაუკუნის ბოლოს დაიწყო თანდათანობითი ავტომატიზაცია ცეცხლმსროლელი იარაღის წარმოებაში, გაჩნდა ტყვიამფრქვევი (აშშ, 1883წ). თუ შაშხანის სროლის სისწრაფე (წუთში 5 გასროლა) 5-ჯერ აღემატებოდა

თოფისას, ტყვიამფრქვევის სროლის სისწრფე თოფისას - აღემატებოდა ათასჯერ. გასაგებია, რომ ტყვიამფრქვევი ომებში ცენტრალურ იარღად გადაიქცა. ქვეითი ჯარის შეტევები შეუძლებელი გახდა მეტოქის სატყვიამფრქვევო წერტილების განადგურების გარეშე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი XIX საუკუნის და XX საუკუნის მიჯნაზე იძლეოდა საწარმოს გამსხვილების შესაძლებლობას. ასე, ინდივიდუალური ელექტროწერტილების გამოგონება საამქროს ფართების უსაზღვრო გაფართოების შესაძლებლობას იძლეოდა, ვინაიდან ჩაანაცვლა მძიმეგაბარიტიანი ტრანსმისია. მაგრამ გამსხვილებული წარმოება სულ უფრო დიდ კაპიტალებს მოითხოვდა. ეს კი იწვევდა ცალკეულ მეწარმეთა სახსრების გაერთიანებას და თავისუფალი კაპიტალების სააქციო საზოგადოებაში მოზიდვას. ამრიგად, ამა თუ იმ წარმოებაში ყოველი წევრის აქციების სახით წარმოდგენილი წილი ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცა. გამოჩნდა საშუალება ინვესტიციური გადაწყვეტილებების დეცენტრალიზაციისათვის, მეორე მხრივ, იქმნებოდა კაპიტალის მონოპოლიის დომენდე გამსხვილებისა და კონცენტრაციის საშუალება.

§ 1. ეკონომიკის მონოპოლიზაცია

კაპიტალისტური საწარმოების უზურმაზარმა მოცულობამ ყველა დარგში წარმოშვა ანარქია. განსაკუთრებული როლს თამაშობდნენ კერძო რკინიგზები, რომლებიც ტარიფის კლება-მატებით, ანდა სარკინიგზო ქსელის დისლოკაციის შეცვლით ძალზე სერიოზულად ზემოქმედებდა წარმოებაზე. საკმარისი იყო რკინიგზის მიყვანა რომელიმე მიგდებულ წერტილამდე, რომ იგი ეკონომიკურ მნიშვნელობას იძენდა; საკმარისი იყო ტარიფის აწევა, რომ რომელიმე საწარმო გამოდიოდა მწყობრიდან. ამ პირობებში საწარმოები ჯგუფდებოდნენ კონკურენტების წინააღმდეგ და უთანხმდებოდნენ რკინიგზას (ხოლო შემდეგ კი ბანკებს) სკუთარი შეთანხმების დაფინანსებისათვის. თანდათანობით შეთანხმებები მოიცავდნენ მთელ დარგებს და სამრეწველო რაიონებს. ასე წარმოიშვა სამრეწველო მონოპოლიები. ერთ-ერთი პირველი ასეთი მონოპოლია იყო “Standart Oil”, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა 1872 წელს ჯ. როკფელერის მიერ. ეს იყო შეთანხმება რამოდენიმე ნავთობკომპანიასა და რკინიგზას შორის გადაყვანისა და გადაზიდვის ტარიფების თაობაზე. ეს მოვლენა დაემთხვა წარმოების ღრმა ვარდნას, ამიტომ როკფელერმა ადვილად ჩაიგდო ხელში ამერიკული ნავთობწარმოების უდიდესი ნაწილის საწარმოო სიმძლავრეები. როცა ტრესტი „სტანდარტ ოილი“ შთანთქავდა სხვა საწარმოებს, მის

წილზე ნავთობგადამუშავების არაუმეტეს 10-20%-ისა მოდიოდა, ხოლო რამოდენიმე წლის შემდეგ უკვე 90%. ანალოგიურად ვითარდებოდა მოვლენები სხვა დარგებშიც: ერთგვაროვანი კომპანიები და საწარმოები გაკოტრების შიშით, ან უძლიერესის ზეწოლით, ტრესტებში ერთიანდებოდნენ, ამასთან ისინი კარგავდნენ საწარმოო, კომერციულ, ხშირად იურიდიულ დამოუკიდებლობას, რომლებიც აკუმულირდებოდა სათავო კომპანიასა ან ტრესტის მმართველობაში.

რიგ შემთვხევებში ერთი დარგის საწარმოები ინარჩუნებდა იურიდუილ და საწარმოო დამოუკიდებლობას, ქმნიდა კარტელს, რომელიც არეგულირებდა წარმოების მოცულობას, პროდუქციის გასაღებას, მუშახელის დაქირავებასა და სხვა. რიგ სხვა შემთვხევაში კი საწარმოები კარგავდა მხოლოდ კომერციულ დამოუკიდებლობას: წარმოიქმნებოდა ერთიანი მომარაგება-გასაღების ოფისი, ე.ი. იქმნებოდა სინდიკატი; ეს ოფისი არეგულირებდა ნედლეულის შესყიდვასა და მზა პროდუქციის გაყიდვას. დაბოლოს, წარმოიქმნებოდა მონოპოლიათა მონოპოლია კონცერნის სახით, რომელიც ერთიანი კონტროლის ქვეშ აერთიანებდა სხვადასხვა დარგის (საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო, სავაჭრო) კომპანიებს. კონცერნებში მომქედებდა „შეზრდილი“ სამრეწველო-სავაჭრო-საბანკო კაპიტალი, რომელსაც „საფინანსო კაპიტალი“ ეწოდა.

მონოპოლიის მეშვეობით საწარმოები მიისწრაფოდნენ რთული კომერციული და სამრეწველო ცხოვრების დარეგულირებისაკენ. ამიტომაც მონოპოლისტური გაერთიანება ნედლეულზე, მზა პროდუქციაზე და სამუშაო ძალაზე ფასების ერთიანი ტარიფს აწესებდა დარგების მიხედვით და მიმართავდა გარკვეულ კონტროლს. თავის მხრივ, რიგი კაპიტალისტური ქვეყნების წამყვან დარგებში ამან საშიშროება შეუქმნა კონკურენციას, როგორც სამეურნეო ცხოვრების საფუძველს. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო იძულებული იყო, ჩარეულიყო ეკონომიკაში და შეეზღუდა მონოპოლიზაციის პროცესი (ანტიტრასტული კანონმდებლობა). ე.ი. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მკვეთრად გაიზარდა, რაც იძლევა საფუძველს, იმისათვის, რომ ვისაუბროთ სახელმწფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმის, როგორც ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტიპის შესახებ. მონოპოლისტური პროცესები აუცილებლად უნდა წარმოქმნილიყო და წარმოიქმნა კიდეც მსოფლიო ბაზარზე სხვადსხვა ეროვნულ მონოპლიებსა და ზეეროვნულ კომპანიებს შორის შეთანხმებების სახით. XX საუკუნეში მეცნიერები ალაპარაკდნენ ტოტალურ მონოპოლიზაციაზე საბაზრო მეურნეობაში და მცირე და საშუალო ბიზნესის სრულ კრახზე, მაგრამ ეს არ მომხდარა. მცირე და საშუალო მეწარმოება და გაცვლა მშვიდად თანაარსებობდა უმსხვილეს კორპორაციებთან: ისინი

შეუცვლელები იყვნენ და არიან ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფლების სფეროში.

ეკონომიკის მოძრაობამ მკვეთრად შეიცვალა ტემპები. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ყველაზე სწრაფი ეკონომიკური განვითარების ტემპი აჩვენეს ახალგაზრდა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა - აშშ და გერმანიამ, რომლებმაც შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს მსოფლიოში და უკან მოიტოვეს ინგლისი და საფრანგეთი (იხ. ცხრილი).

ქვეყნების ხვედრითი წილი (%-ში) მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში						
წლები / ქვეყნები	1860	1870	1880	1890	1900	1913
ინგლისი	36	32	28	22	18	14
საფრანგეთი	12	10	9	8	7	6
გერმანია	16	13	13	14	16	16
აშშ	17	23	28	31	31	36

საუკუნეთა მიჯნაზე **მსოფლიო ეკონომიკის ცენტრი ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკაში ინაცვლებს**.

§ 2. აშშ გადაიქცა მსოფლიოს პირველ ინდუსტრიულ ქვეყნად. საწარმოო სტრუქტურის ცვლილებები

XIX საუკუნის ბოლოსა XX საუკუნის დასაწყისში აშშ ინდუსტრიული ზრდის ბაზა უზრუვნელყოფილი იყო

ახალი სამუშაო ძალის თითქმის მუდმივი მოდინებითა და სრული თავისუფლებით ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც სამოქალაქო ომის შედეგს წარმოადგენდა. ამას ემატებოდა უზარმაზარი სანედლეულო რესურსების მარაგი და მოწყობილობა-დანადგარების მორალური ცვეთის ნულოვანი დონე. აგრარულად ჭარბად დასახლებულ ევროპაში ომები, რევოლუციები, ებრაელების დარბევა მძვინვარებდა, ამ ფონზე იზრდებოდა მიგრანტების ნაკადი ევროპიდან ამერიკაში. საუკნეთა მიჯნაზე ამერიკაში არა მარტო ყველაზე გაჭირვებული, არამედ ყველაზე ენერგიული, ყველანაირი სამუშაოსათვის მზადმყოფი ადამიანები ჩადიან. თუ XIX საუკუნის მანძილზე ევროპის მოსახლეობა 2,5-ჯერ გაიზარდა, აშშ-ში იგი 14-ჯერ მეტი გახდა.

ამერიკელი მრეწველობის კონკურენციისაგან მაღალი ტარიფებით დაცვა (XIX საუკუნის ბოლოს იგი შემოსატანი ღირებულების 75% შეადგენს) ეხამებოდა უცხოური კაპიტალის თავისუფალ იმპორტს, რომელმაც ამერიკული სამრეწველო ინვესტიციების მნივშენლოვანი ნაწილი შეადგინა.

პირველი მსოფლიო ომის წინ აშშ მთლიანი ეროვნული პროდუქტის 2/3 მოდიოდა მრეწველობაზე და მშენებლობაზე (ძირითადად სარკინიგზოზე). XX საუკუნისათვის უკვე აშენებული იყო ოთხი ტრანსკონტინენტური რკინიგზა, ხოლო მრეწველობის

დარგში პირველი რიგის ცვლილებები გამოიხატა მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპებით.

XX საუკუნეში ამერიკაში, **პირველად მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში**, **მიღწეულ იქნა მთელ მრეწველობაში მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონის მეტობა** (სხვა ქვეყნებმა ამას მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწიეს), მაგრამ ამ დროისათვის სფეროს სტრუქტურაც ძალზე შეიცვალა. მაგალითად, აღმოცენდა და დაიწყო სწრაფი განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით შექმნილმა ელექტროტექნიკურმა დარგმა. ელექტრობის გამოგონებამ შეამცირა ნავთზე, როგორც გასანათებელ საშუალებაზე, მოთხოვნა. მაგრამ სამაგიეროდ, იზრდებოდა მოთხოვნა ნავთობპროდუქტებზე. ამის მიზეზს საავტომობილო წარმოების ზრდა იყო. 1902 წელს, როცა ამერიკულ გზებზე მხოლოდ 23 ათასი ავტომობილი დადიოდა, ბენზინის გაყიდვების მოცულობა მხოლოდ 6 მლნ ბარელს შეადგენდა (ბარელი არის 0,11ტონა), 1912 წელს კი, როცა ამერიკული ავტოპარკი 1 მლნ. მანქანას აჭარბებდა, მოთხოვნა ბაზარზე 203 მლნ. ბარელამდე გაიზარდა, ხოლო კიდევ ორი წლის შემდეგ ბენზინი ქვეყანაში უკვე ნავთზე მეტი იყიდებოდა. ავტომობილმა ყველა სხვა ტექნიკურ მოწყობილობაზე უფრო მეტად შეცვალა ადამიანის ყოფა, გახადა იგი უფრო მობილური და ამასთან, მნიშვნელოვანწილად იმოქმედა მრეწველობის სტრუქტურაზე: ნავთობგადამუშავების დარგმა წამყვანი ადგილი დაიკავა.

პირველი მსოფლიო ომის წინ ამერიკული ელექტროსადგურების სიმძლავრე 5 მლნ. კილოვატს შეადგენდა, ხოლო ინგლისური, გერმანული და ფრანგული ელსადგურებისა ერთად - 3 მლნ. კილოვატს. ერთ ინგლისელ მუშაზე 4,5-ჯერ ნაკლები მექანიკური ენერგია მოდიოდა, ვიდრე ამერიკელზე.

მასიური სერიული წარმოების განვითარებამ ამერიკული წარმოება მიიყვანა რაციონალური ორგანიზაციის იდეამდე, პირველ რიგში კი ნაკადურ მეთოდამდე, რომლის დროსაც წარმოება მიედინებოდა ნედლეულიდან მზა პროდუქციამდე უწყვეტად, ანუ არსად ჩერდებოდა და არ ბრუნდებოდა უკან. განსაკუთრებული როლს თამაშობდა კვანძებისა და აგრეგატების აწყობა კონვეირზე (კონვეირის გამოყენება პირველად ფორდის ავტოქარხანაში მოხდა 1913 წელს), რომელმაც არაჩვეულებრივი შედეგები მოიტანა: საავტომობილო მოტორის აწყობა გრძელდებოდა 5 წუთი 20 მაგივრად).

მონოპოლიზაცია

ამერიკაში მონოპოლიზაციის ყველაზე ტიპიური ფორმა გახდა საწარმოთა ტრესტირება, რომელსაც ხელშესახები შედეგები მოჰქონდა. მაგალითად, მონოპოლიური მდგომარეობის წყალობით „სტანდარტ ოილის“ შემოსავლები არსებობის პირველი ოცი წლის განმავლობაში 8 მლნ.დოლარიდან 57,5 მლნ. დოლარამდე გაიზარდა. 80-90 -იან წლებში გაჩნდა უმსხვილესი ტრესტები საფეიქრო, ელექტროტექნიკურ, რეზინის,

შაქრის, ტყავის, თამბაქოს წარმოებაში, აგრეთვე ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. განსაკუთრებით მნივშნელოვანი გაერთიანება 1901 წელს ჯ. მორგანის მიერ შექმნილი „ფოლადის ტრესტი“ იყო, რომელიც თუჯის წარმოების 43% და ფოლადის წარმოების 66%-ს ფლობდა. აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისში 800 ტრესტზე მეტი იყო კონცენტრირებული, რომლებშიც 5 ათასზე მეტი საწარმო იყო გაერთიანებული 7 მილიარდი დოლარის მოცულობის კაპიტალით.

სახელმწიფოში წარმოიქმნა ფეოდალურის მსგავსი მემკვიდრეობითი დინასტიები ნავთობის, ფოლადის, ელექტრობის, რკინიგზის სფეროებში (ყველაზე ცნობილნი - მორგანები, როკფელერები, ვანდერბილდები, დიუპონები). ყველაზე დიდი მნიშვენლობა და ზეგავლენა მორგანებმა და როკფელერებმა მოიპოვეს, ეს იყო ფინანსურ-სამრეწველო ორი ოჯახური ჯგუფი.

მორგანები საბანკო ინვესტიციების მეთოდით აკონტროლებდნენ „ფოლადის ტრესტს“, „ჯენერალ ელექტრიკს“, „ინთერნეიშენლ ჰარვესტერ“-ს (სასფოლო-სამერუნეო მანქანამთშენებლობის გაერთიანება), „ამერიკული სატელეფონო და სატელეგრაფო კომპანიას“ და ა.შ.

როკფელერების ჯგუფი შეიკრა უმსხვილესი სამრეწველო მონოპოლიის - ნავთობის ტრესტს „სტანდარტ ოილის“ გარშემო. 90-იან წლებში როკფელერთა ჯგუფმა შექმნა საკუთარი ბანკი ნავთობბიზნესიდან თანხების

გადასაქაჩად როკფელერებისავე კონტროლის ქვეშ მყოფ დარგებში: სამთო-მომპოვებლურში, ელექტრო-ტექნიკურში, გაზის წარმოებისა და სხვა.

მონოპოლიზაციამ აშშ-ში ყველაზე დასრულებული ფორმები მიიღო. მაგრამ აქვე წარმოიშვა ყველაზე ძლიერი ანტიმონოპოლიური ტენდენციებიც, ვინაიდან გაერთიანებები მცირე და საშუალო ბიზნესის უქმნიდა საფრთხეს და ყინავდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. 1890 წელს მიღებულ იქნა ანტიმონოპოლიური კანონი, რომელსაც მონოპოლიები გააფრთებით ეწინააღმდეგობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დანებდნენ მის მოქმედებას. მაგალითად, „სტანდარტ ოილი“ იძულებული იყო დაშლილიყო რამოდენიმე შედარებით მცირე გაერთიანებად.

§ 3. გერმანია - მსოფლიოს მეორე სამრეწველო ქვეყანა. სამეურნეო აღმავალობის ფაქტორები

გერმანიის სამეურნეო აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო იმპერიად გაერთიანება პრუსიის ეგიდის ქვეშ. ფეოდალური და დაქუცმაცემული ქვეყნის ნაცვლად წარმოიქმნა უდიდესი სახელმწიფო 40 მლნ-ზე მეტი მოსახლეობით. ამას წინ უძღოდა გერმანიის საფრანგეთ-პრუსიის ომში გამარჯვება 1870 წელს და საფრანგეთის შემდგომი გაძარცვა: გერმანიამ წაგლიჯა საფრანგეთს ელზასისა და ლოტარინგიის მხარეები,

ვინაიდან ეს ორი პროვინცია რკინის მადნის უდიდესი აუზის მფლობელები იყვნენ. ყოველივე ამას კონტრიბუციაც ემატებოდა, რომლის მოცულობა 5 მილიარდი ფრანკი იყო. ელზასისა და ლოტარინგიის რკინის მადანი რაინის მხარის ქვანახშირთან ერთად საშუალებას აძლევდა გერმანიას, საკუთარი წარმოებისათვის შეექმნა საწვავ-მეტალურგიული მძლავრი ბაზა, ხოლო ფრანგული 5 მლრდ. ფრანკი გახდა ინვესტიციების წყარო გერმანულ სამერუნეო სისტემაში. ახალი წარმოებები საოცარი სისწრაფით იზრდებოდა: 1871-1873 წწ შექმნილი იყო 328 ახალი წარმოება, რომელთა გაერთიანებული კაპიტალი 2,7 მლრდ მარკაზე მეტს შეადგენდა. გერმანული მრეწველობა 70-იანი წლებში უახლესი ტექნიკით იყო შეიარაღებული, ხოლო გერმანული ინჟინერია მხოლოდ ამერიკულს თუ ჩამოუვარდებოდა.

ძალზე დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფო შეკვეთები შეიარაღებაზე. მძიმე მრეწველობის ზრდა გამოწვეული იყო ინტენსიური სარკინიგზო მშენებლობითაც (რკინიგზის ქსელის სიგრძე 1870 -1880 წლებში 33-ჯერ გაიზარდა).

XIX საუკუნის ბოლო მესამედში მრეწველობა ცენტრალურ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომკურ სისტემაში. XX საუკუნის დასაწყისში მასში მოსახლეობის 43% იყო დასაქმებული, მოსახლეობის 29% ამ დროისათვის დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში. ამავე წლებში სამრეწვლო საქონლის გამოშვებით გერმანიამ გაასწრო

საფრანგეთს და XX საუკუნის დასაწყისშივე ინგლისიც უკან მოიტოვა. გერმანული წარმოებითი ტექნიკის მაღალი დონე და ახალი ტექნიკური შეიარაღება ბევრად მაღალი დონისა იყო ინგლისის მოძველებულ ანალოგებთან შედარებით. გერმანული ინდუსტრია თითქმის არ იცნობდა ტექნიკური გადაიარაღების პრობლემას - იგი პირდაპირ უახლესი ტექნიკის ბაზეზე იქმნებოდა - ელექტომოტორები, დიზელები, ორთქლის ტურბინები, მანძილზე ელექტროგადამცემი მოწყობილობები, ფოლადის დნობა ტომასის მეთოდით (ინგლისური ჰუდლინგური მეთოდის ნაცვლად), აზოტის წარმოება ჰაერიდან და ა.შ. I მსოფლიო ომის წინა წლებში გერმანული ფირმები დინამომნქანების, ტრამვაების, ანილინის საღებავების, ელექტროლამფებისა და სხვა ელექტრომოწყობილობების, ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ ევროპაში.

მძიმე ინდუსტრიისგან განსხვავებით, შედარებით ნელა ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. ამ დარგებში გერმანია არა მარტო აშშ-ს და ინგლისს, არამედ ზოგიერთ სახეობაში საფრანგეთსაც კი ჩამორჩებოდა. ძირითადად ამის მიზეზი იყო ნაკლები გადახდისუნარიანობის მქონე მოთხოვნა ქვეყნის შიგნით.

მონოპოლიზაციის თავისებურებანი

აშშ-სგან განსხვავებით, გერმანიაში მონოპოლიზაცია არა ტრესტების, არამედ კარტელებისა და სინდიკატების ბაზაზე მიმდინარეობდა. კარტელი წარმოადგენს ფირმებს შორის მიღწეულ შეთანხმებას პროდუქციის ფასების, გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების გადანაწილებისა და კონტროლის შესახებ.

I მსოფლიო ომამდე გერმანულ მეურნეობაში 600-მდე მონოპოლიური ორგანიზაცია მოქმედებდა. მსხვილი მონოპოლიები შეიქმნა ქვანახშირის (რაინისა და ვესტფალიის ქვანახშირის სინდიკატი, რომელიც ქვანახშირის მომპოვებელთა 50%-ს აკონტროლებდა), ქიმიურ (აქ კონცერნებიც კი იყო შექმნილი, ე.ი. მრავალდარგოვანი მონოპოლიები, მაგალითად: მსოფლიოში ცნობილი „გ.ბ.ფარბენინდუსტრი“), ელექტროტექნიკურ (მაგალითად „სიმენსი“) მრეწველობებში და თუმცა გერმანიაში ძირითადად კარტელები ბატონობდნენ, ბიზნესს 300-მდე კაპიტალის მაგნატი განაგებდა. I მსოფლიო ომამდე (1914 წელი) ექვსი უმსხვილესი გერმანული ბანკის მმართველები 750 კომპანიაში იყვნენ წარმოდგენილნი. გერმანული მონოპოლიები ყველაზე დიდი და ორგანიზებული ძალა გახდა ევროპის ეკონომიკაში. მაგრამ თუ ორგანიზაციის საკითხებში გერმანული კაპიტალი ამერიკულსაც, ინგლისურსაც და ფრანგულსაც ჯაბნიდა, პოლიტიკური თვალსაზრისით გერმანული ფინანსური კაპიტალი მათ

მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. თუკი ინგლისსა და საფრანგეთში ბურჟუაზია სრულად ბატონობდა და უშუალოდ განაგებდა სიტუაციას, გერმანიაში პირველობა ისევ ფეოდალებს ეკუთნოდა. გერმანული კაპიტალი ფეოდალურ-მილიტარისტულ ელფერს ატარებდა. თუკი შიდა პოლიტიკაში ბურჟუაზიასა და იუნკერებს რაიმე უთანხმოება ჰქონდათ, გარე პოლიტიკაში მათი ინტერსები სრულიად ემთვხეოდა, ხოლო გარე ბაზარს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა გერმანული მონოპოლიების მიერ, რადგან მათი განსაკუთრებული ინტერესის საგანს საკუთარი სამრეწველო საქონლისათვის გასაღების ბაზრის მოპოვება წარმოადგენდა.

1870-1913 წწ გერმანული საგარეო ვაჭრობის მოცულობა თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. მსოფლიო ბაზრის ექსპორტის 50%-ზე მეტს გერმანული ელექტროტექნიკა შეადგენს. ამასთან ერთად გერმანულმა საგარეო ვაჭრობის სტრუქტურამ ქვეყნის ეკონომიკის სუსტი მხარეებიც წარმოაჩინა - ეს იყო მისი დამოკიდებულობა სანედლეულო და კვების პროდუქტების იმპორტზე: ამ იმპორტის ღირებულება ესპორტის ღირებულებას 600 მლნ. მარკით აჭარბებდა. შედარებით პატარა გერმანული კოლონიები ვერ ფარავდა ამხელა დეფიციტს. ამიტომ გერმანიისათვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა რუსული და უკრაინული სივრცეები - როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წყარო და როგორც საკუთარი სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრები. რთული საგარეო სიტუაცია

მძიმდებოდა გერმანული მონოპოლიების აგრესიულობითაც, რაც ამყარებდა მათ კავშირს მონარქიასა და იუნკერების მილიტარიზმთან. საომარი შეკვეთები სახელმწიფოების მხრიდან ამოუწურავი წყარო იყო კაპიტალისტებისათვის. XX საუკუნის პირველ ათწლეულშივე გერმანიის მილიტარისტულმა ხარჯებმა 12,5 მლრდ მარკა შეადგინა.

მაღალმა შემოსავლებმა შესაძლებელი გახადა კვალიფიცირებული მუშახელის (5000 ადამიანი) ხელფასების მნიშვნელოვანი ამაღლება. XX საუკუნის დასაწყისში კვალიფიცირებული მუშახელის საშუალო ხელფასმა (1800 მარკა) საშუალო მეწარმის შემოსავალის 53% და საშუალო ჩინოვნიკის შემოსავლის 45% შეადგინა, ხოლო საწარმოებში არსებული კონტროლის აპარატის მუშათა ხელფასი („მუშური არისტოკრატია“) წვრილი მეწარმისა და საშუალო ჩინოვნიკის ხელფასს - სულ რაღაც 25-30%-ით ჩამორჩებოდა. ამდენად, XX საუკუნის დასაწყისში კვალიფიცირებული მუშახელი გერმნული კაპიტალის მოწინააღმდე კლასს აღარ წარმოადგენდა. იგივე ითქმის აშშ-სა და ინგლისის კვალიფიციური მუშებზეც, რომელთა ხელფასები კიდევ უფრო მაღალი იყო, ვიდრე გერმანიაში. XX საუკუნის დასაწყისისთვის დასავლეთი მნიშვნელოვნად გამდიდრდა წარმოების სწრაფი განვითარების ხარჯზე, ამ ვითარებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მარქსის მიმდევართა თეორიულ გამოკვლევებზე. ამის შედეგად ყველაზე რადიკალურად განწყობილი რუსი მარქსისტების

მიერ იყო შექმნილი კაპიტალიზმის ყველაზე სუსტი რგოლის გაწყვეტის თეორია ყველაზე სუსტად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. მარქსისტები ასეთ ქვეყნად რუსეთს თვლიდნენ. დასავლეთისგან განსხვავებით, რუსეთში სამუშაო ძალა ისევ იაფი რჩებოდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს თეორია რეალიზებული იქნა რუსეთის ბოლშევიკური პარტიის მიერ (1917 წლის 25 ოქტომბრის რევოლუცია), რამაც რუსეთს და არა მარტო მას, უდიდესი უბედურება მოუტანა.

§ 4. ინგლისის მიერ სამრეწველო ჰეგემონიის დაკარგვა. სამრეწველო ჩამორჩენის მიზეზები

თუ 1870 წელს ინგლისი აწარმოებდა მაშინდელი მსოფლიოს სამ უმთავრეს პროდუქტის, - ნახშირის, თუჯისა და ბამბის ქსოვილების თითქმის ნახევარს, 1913 წლისთვის იგი მხოლოდ ნახშირის მოპოვების 22%-ს, თუჯის წარმოების 13%-ს და ბამბის ქსოვილების 23%-ს ქმნიდა. ამაში დიდი როლი შესარულა ფიზიკურად და მორალურად ამორტიზირებულმა ინდუსტრიულმა ბაზამ. ახალი ტექნიკის დანერგვა ძალზე რთული და ძვირადღირებული საქმეა, ამიტომ ინგლისის წინაშე დადგა არჩევანი: ჩაედო კაპიტალი ქვეყნის შიგნით, თუ გაეტანა იგი კოლონიებში, სადაც სამუშაო ძალა უფრო იაფი იყო და შესაბამისად მეტი მოგება მოჰქონდა. ინგლისელი კაპიტალისტები მეორე გზას დაადგნენ, კაპიტალის გატანა იზრდებოდა, ხოლო

ინგლისური წარმოების ზრდის ტემპები კი - პირიქით, კლებულობდა. უცხოეთიდან საწარმოო მარაგისა და ნედლეულის (კაუჩუკი, ნავობი, ფერადი ლითონები) შემოტანას ასევე მიყავდა ქვეყანა კაპიტალის გატანისკენ და მსოფლიო სავაჭრო პოლიტიკაც შეიცვალა, სულ უფრო მეტი ქვეყანა ამბობდა უარს ფრითრეიდერობაზე და პროდუქციონიზმის პოლიტიკას უბრუნდებოდა, ე.ი. იცავდა თავის მრეწველობას ინგლისური მზა პროდუქციის კონკურენციისაგან.

ინგლისურ მრეწველობაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებები ძალზე ნელა ხდებოდა. ყველაზე სწრაფი ტემპით ინგლისში მისთვის ახალი დარგები ვითარდებოდა, ეს იყო ფოლადის ჩამოსხმა, ელექტროტექნიკური და ქიმიური მრეწველობა. ისინი უსწრებდნენ ტრადიციულ დარგებს, მაგალითად 1870-1913 წლებში თუჯის წარმოება გაიზარდა 1,7-ჯერ, მაშინ როცა ფოლადისა -38-ჯერ. მაგრამ ინგლისში თუჯის გამოდნობა ძალიან ნელა ეწეოდა ფოლადის გამოდნობის დონეს, აშშ-სა და გერმანიაში კი ეს ორი მაჩვენებელი უკვე გატოლებული იყო. პირველი მსოფლიო ომის წინ ინგლისის ელექტრსადგურების ჯამური სიმძლავრე შედაგენდა 900 ათას კილოვატს საათს, ანუ 2,5-ჯერ ნაკლებს, ვიდრე გერმანიაში და თითქმის 10-ჯერ ნაკლებს, ვიდრე აშშ-ში. ერთადერთი ტრადიციული დარგი, რომელიც გადაიარაღებასაც ახერხებდა და სტაბილური ზრდის ტემპებსაც ინარჩუნებდა, იყო გემთმშენებლობა.

§ 5. კაპიტალის გატანა

ინგლისში, სადაც შენარჩუნებული იყო ძველი ტიპის მცირე და საშუალო წაროებები, წარმოების და კაპიტალის კონცენტრაცია იყო მნიშვნელოვნად უფრო დაბალი, ვიდრე აშშ-სა და გერმანიაში.

აბსოლუტურად სხვა ვითარება იყო საკრედიტო სფეროში. პირველი მსოფლიო ომის წინ ინგლისის 27 უმსხვილეს ბანკში ქვეყნის ყველა ანაბრის 86% იყო განთავსებული. მაგრამ ბანკების ინდუსტრიულ მონოპოლიებთან შეზრდას არ მიუღია ინგლისში ისეთივე მასშტაბები, როგორიც აშშ-სა და გერმანიაში. ბრიტანული კაპიტალიზმი ემყარებოდა კოლონიურ იმპერიალობას. ინგლისის კოლონიები, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მეტროპოლისის ტერიტორიას 100-ჯერ აღემატებოდნენ ფართობით, უნაზღაურებდნენ ბრიტანულ კაპიტალს სამრეწველო განვითარების ხარვეზებს. კაპიტალის გატანის მაშტაბებით ინგლისმა შორს ჩამოიტოვა ამერიკა და გერმანია. პირველი მსოფლიო ომისათვის ინგლისიდან გატანილი კაპიტალის ჯამი შეადგენდა მსთელი ექსპორტის ღირებულების მესამედს ნაწილს. კაპიტალის ექსპორტის ¾ მიედინებოდა ბრიტანეთის იმპერიის კოლონიებსა და ლათინური ამერიკის სუსტად განვითარებულ ქვეყნებში (29%-აშშ-ში, 6%-ევროპის ქვეყნებში).

საზღვარგარეთული ინვესტიციებიდან მიღებულმა მოგებამ გადაჭარბებულად აანაზღაურა მსოფლიო სამრეწველო ჰეგემონიის დაკარგვა. თუკი XIX საუკუნის ბოლო მესამედში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა მხოლოდ 3-ჯერ, შემოსავლები, რომლებსაც ინგლისი საზღვარგარეთულ კარიერებში, პორტებში, გზებისა პლანტაციების მშენებლობებში ჩადებული ფულიდან ღებულობდა გაიზარდა 9-ჯერ. თუმცა ნედლეულისა და სურსათის იმპორტის გამო ინგლისის საგარეო სავაჭრო ბალანსი მუდმივად პასიურ ხასიათს ატარებდა, **საგადასახადო ბალანსი**, რომელიც ყველა სახის ანგარიშსწორებას შეიცავს, უცვლელად აქტიური რჩებოდა. ამის საფუძველს შეადგენდა ე.წ. „უხილავი შემოსავლები“, ანუ საზღვარგარეთ ინვესტირებულ კაპიტალზე მიღებული პროცენტი; საშუამავლო და საბანკო ოპერაციებიდან, ფრახტიდან, საზღვაო ვაჭრობიდან, დაზღვევიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსულობები. 1913 წელს სავაჭრო ბალანსის სალდო მინუს 159 მილიონი გირვანქა სტერლინგი, მომსახურებიდან შემოსავლები - პლიუს 125 მილიონი გირვანქა სტერლინგი, უცხოური ინვესიტიციებიდან შემოსავლები - პლიუს 187 მლნ. გირვანქა სტერლინგი იყო. ამრიგად, უარყოფითი სალდო საგარეო ვაჭრობაში ადვილად იფარებოდა. ინგლისური ბანკები, რომელთა ფილიალები და განყოფილბები მთელს მსოფლიოში იყო მიმობნეული, აქტიურად ახორიცელებდნენ მსოფლიო ვაჭრობის დაკრედიტებას.

მსოფლიო სამრეწველო ჰეგემონიიდან ბრიტანული იმპერიის ფარგლებში ჰეგემონიაზე, ხოლო სამრწველო საქონლით პირდაპირი ვაჭრობიდან სავაჭრო კრედიტზე გადასვლამ ინგლისს, უდაოდ, მოუტანა მოგება, მაგრამ ფაქტიურად გააძლიერა ინგლისური ეკონომიკის ვარდნა. აქტიური კაპიტალისტების კლასის შემცირებას რანტიეს ფენის ზრდა მოყვა. მათი შემოსავლები პირველ მსოფლიო ომის წინა წლებში ბევრად ჭარბობდა საქონლის ექსპორტიორთა შემოსავლებს.

გერმანიასთან გარდაუვალ შეტაკებისათვის რომ მომზადებულიყო, ინლისი XX საუკუნის დასაწყისშივე ახორციელებდა სამხედრო-საზღვაო მშენებლობის უზურმაზარ პროგრამას, პრინციპით: „ყოველ ერთ გერმანულ გემზე - ორი ინგლისური“. ამაზე კი სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტი იხარჯებოდა.

§ 6. საფრანგეთის ეკონომიკური ჩამორჩენა

XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე ამერიკული და გერმანული სამრეწველო განვითარების ტემპები სფრანგეთისათვის მიუწვდომლი რჩებოდა. ამის მიზეზი სანედლეულო ბაზის სიმწირე იყო. 1913 წლის საფრანგეთი მოიპოვებდა მისთვის საჭირო ქვანახშირის მხოლოდ 2/3, ხოლო ძვირადღირებული იმპორტული ქვანახშირი კი ფრანგული ფაბრიკანტების გაძვირების მიზეზი ხდებოდა,

რაც ბუნებრივია, ამცირებდა მათ კონკურენტუნარიანობას. გარდა ამისა, დაბალ სამრწველო პოტენციალს, განაპირობებდა მოძველებული ტექნოლოგიური სფერო, აქ ინგლისური ისტორია განმეორდა: ფიზიკურად და მორალურად ამორტიზირებული დანადგარ-მოწყობილობები მოითხოვდნენ შეცვლას, ამისათვის კი ინვესტიციები იყო საჭირო, რომლებიც არ ჩანდა. განვიხილოთ მიზეზები:

1)პირველი იყო ეკონომიკური ზარალი, რომელიც მიადგა საფრანგთს საფრაგეთ-პრუსიის ომში დამარცხების შედეგად, ეს იყო ეროვნული კატასტროფა - საერთო თანხამ 16 მლრდ ფრანკი შეადგინა, მ.შ. 5 მლრდ. ფრანკის ღირებულების კონტრიბუცია. გერმანიამ ძალზე განვითარებული რაიონების -ელზასისა და ლოტარინგიის ანექსია მოახდინა, ლოტარინგიული რკინის მადნის აუზი გერმანული ეკონომიკის განვითარების ბაზად იქცა, ხოლო საფრანგეთს კი ამ დროს შემოჰქონდა რკინის მადანი ან მზა ფოლადისა და თუჯის სხმულები. ამრიგად, გემანიასთან ომმა ხანგრძლივად შეაფერხა საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება;

2) როგორც უკვე იყო ნათქვამი, ფრანგული ბურჟუაზია აშკარად ანიჭებდა უპირატესობას საბანკო საქმიანობას და არა სამრეწველოს. XIX საუკუნის ბოლოს და XX დასაწყისში ფრანგული კაპიტალიზმის სამევახშეო თვისებები სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა. უცხო სახელმწიფოებზე გაცემული სესხები ფრანგული საბანკო ქსელსა და

ბანკირებს გარანტირებულ შემოსავლებს პირდებოდა, რომელიც არ უკავშირდებოდა სამეწარმეო რისკს. ამავდროულად საბანკო სისტემაში მყოფი ფულადი ნაკადები უზარმაზარ თანხებს იზიდავდა სამრეწველო სფეროდან და ასუსტებდა ფრანგულ ინდუსტრიას. დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ პრუსიასთან ომის წაგების შემდეგ ფრანგული კაპიტალი პირველ რიგში არა საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის, არამედ საკუთარი უცხოური დეპოზიტების აღდგენით დაინტერესდა. კონტრიბუციის გადასახდელად 1871-1873 წწ საჭირო გახდა საფრანგეთის საზღვარგარეთული კაპიტალის 10-დან 7 მლრდ. ფრანკამდე შემცირება. მაგრამ უკვე 1875 წელს საზღვარგარეთული დეპოზიტები 9 მილიარდს, ე.ი. თითქმის ომამდელ ნიშნულს მიაღწია. ფრანგი კაპიტლისტების სამევახშეო პოლიტიკას ჰქონდა მძლავრი დასაყრდენი ფრანგების რაციონალურ მენტალობაში, რომელსაც მცირე, მაგრამ გარანტირებული შემოსავალი ურჩევნია დიდსა და რისკიანს.

1870-1913 წლებში ამერიკული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 13-ჯერ, გერმანულისა - 7-ჯერ, ფრანგულისა კი მხოლოდ 3-ჯერ. XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის საფრანგეთი მსოფლიოში დაკავებული მე-2 ადგილიდან მე-4-ზე ინაცვლებს, კარგავს რა თავის ყოფილ ინდუსტრიულ მნიშვნელობას. XIX-XX საუკუნთა სიჯნაზე ფრანგული მრეწველობის ენერგეტიკულ ბაზაში ისევ დომინირებდა ორთქლის ძრავა. ელექტროსადგურების

ჯამური სიმძლავრეებით ორმოცმილიონიანი საფრანგეთი უმნიშვნელოდ აღემატებოდა შვეციას.

XIX საუკუნის ბოლოს ქრონიკური კრიზისი დაიწყო ფრანგული ეკონომიკის წამყვან დარგში - სოფლის მეურნეობაში. საფრანგეთის ამ დროისათვის ჰქონდა უნიკალური საშუალება - პურით გამოეკვება საკუთარი მოსახლეობა იმპორტის გარეშე. მაგრამ საფრანგეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობით მხოლოდ მე-11 ადგილს იკავებდა ევროპაში. ქვეყნის სახნავ-სათესი სავარგულები გერმანიისას 280 ათასი ჰექტრით აღემატებოდა, მაგრამ 1913 წელს, მაგალითად, იგი გერმანიაზე 25 მლნ ტონით ნაკლებ მოსავალს იღებდა. საქონლის სულადობის რაოდენობით 1 ჰა-ზე საფრანგეთი ჩამორჩებოდა გერმანიას, ინგლისს, დანიას, ბელგიას. მიწათმოქმედების დაბალი მწარმოებლურობის მიზეზი, საბოლოო ჯამში, წვრილი გლეხური მეურნეობების გაბატონებულ მდგომარეობაში იმალებოდა. წვრილი გლეხური მეურნეობების ზეობა კი XVIII საუკუნეში რევოლუციამ დააკანონა. პაწაწინა პარცელის პატრონი ვერც სასოფლო-სამერნეო ტექნიკას იყენებდა, ვერც სინთეზურ სასუქებს. ამდენად, ძვირადღირებული ფრანგული პროდუქტები ვერ უძლებდა მსოფლიო ბაზარზე ამერიკულ, კანადურ, არგენტინულ იაფ სასურსათო პროდუქციასთან კონკურენციას. სოფლის მეურნეობის განვთიარების დაბალი დონე დიდად განაპირობებდა შიდა ბაზრის სივიწროვესაც: ღატაკი ფრანგი გლეხობა იძულებული იყო,

ბევრ სამრეწველო საქონელზე ეთქვა საკუთარი თავისთვის უარი.

სავახშო კაპიტალი

ფრანგული მრეწველობის კონცენტრაცია ბევრად უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე აშშ, გერმანიაში და ინგლისში. მაგრამ ბანკების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ტემპები საფრანგეთში სხვა ქვეყნებისას ჭარბობდა. სამაგალითოა კაპიტალის ზრდა საფრანგეთის სამ უმსხვილს ბანკში - „ლიონის კრედიტი“, „ეროვნული სააღრიცხვო კანტორა“ და „გენერალური საზოგადოება“: 1870 წელს - 627 მლნ. ფრანკი, 1870 წელს - 1510 მლნ. ფრანკი, 1909 წელს - 5 250 მლნ. ფრანკი. საფრანგეთის საფინანსო კაპიტალი არა სამრეწველო მონოპოლიების, არამედ ბანკების გარშემო იკრიბებოდა. მისი მთავარი ცენტრი „საფრანგეთის ბანკი“ გახდა. ამ ბანკის 200 უმსხვილესი აქციონერი (ცნობილი 200 ოჯახი) ქვეყნის ფინანსური ოლიგარქიის ელიტა გახდა. ფრანგული ბანკი წარმოადგენდა ფინანსური კაპიტალის ეროვნულ მასშტაბში კონცენტრირების უნიკალურ საშუალებას (შედარებისთვის: აშშ-ში, იყო მხოლოდ ორი უმსხვილესი დაჯგუფება - მორგანები და როკფელერები).

XIX საუკუნის ბოლოსთვის ფრანგული ფინანსური კაპიტალის ინტერესთა ცენტრად საზღვარგარეთ სასესხო და სავაჭრო საქმიანობა იქცა. 1870-1913 წწ საფრანგეთის სამრეწველო წარმოება დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო კაპიტალის ესპორტი 4-5-ჯერ. და თუმცა ინგლისს

საფრანგეთზე მეტი კაპიტალი გაჰქონდა, მსოფლიო მევახშის როლს სწორედ საფრანგეთი თამაშობდა. ინგლისური კაპიტალი ძირთადად საწარმოო ინვესტიციებს გასცმდა, ფრანგული კი - სესხებს. პირველი მსოფლიო ომის წინ იმ 104 მლრდ. ფრანკიდან, რომელიც ფრანგული ფასიანი ქაღალდების ღირებულებას წარმოადგენდა, მხოლოდ 0,5 მლრდ. ეკუთნოდა ფრანგულ წარმოებასა და ვაჭრობას, დანარჩნი თანხა საზღვარგარეთული სესხების ობლიგაციებზე მოდიოდა.

საერთაშორისო მევახშეობამ პარაზიტიზმის ელფერი მიანიჭა მთელი ქვეყნის ცხოვრებას. საფრანგეთში სამუდამოდ დარჩა რანტიეების ფენა, რომელნიც მხოლოდ საზღვრაგერთული სესხების ობლიგაციებიდან მიღებულ პროცენტზე ცხოვრობდნენ, ყოველგვარი საწარმოო და სავაჭრო რისკის გაწევის გარეშე.

მევახშეობამ დეფორმაცია განაცდევინა არა მარტო ფრანგულ ეკონომიკას, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც პარიზის სესხებით არსებობდა. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში საფრანგეთის მიერ გაცემული სესხების 42,5 მლრდ. ფრანკიდან სამერუნეო მოხმარებაში მხოლოდ 10 მლრდ. წავიდა, ხოლო დანარჩენი თანხა - გერმანიის მომავალ მოწინააღმდეგეთა შეიარაღების მოხმარდა. 12 მლრდ. ფრანკი რუსეთს ჰქონდა ნასესხები, ამ თანხით შეიქმნა სამრეწველო დარგებისა და ქარხნების მთელი რიგი; აშენდა ტრანსსიბი, კიევის, პეტერბურგის, ოდესის ტრამვაის პარკები. მაგრამ ეს ფული ცარიზმმა რუსული

სისხლით გაისტუმრა -1905 წელს ჩაახშო თებერვლის რევოლუცია, ხოლო 1914 წლის აგვისტოში ჩაატარა აბსოლუტურად მოუმზადებელი ოპერაცია აღმოსავლეთ პრუსიაში, რომელიც სრული კატასტროფით დასრულდა. ვინაიდან რუსული სესხები მაღალი პოპულარობით სარგებლობდა მაღალი პროცენტის გამო (წლიური 14% ევროპაში ჩვეულებრივ მიღებული 2%-ის ნაცვლად), I მსოფლიო ომის დასაწყისისათვის საფრანგეთის მოსახლეობის 10% რუსული ობლიგაციების მფლობელი იყო. ამისათვის ისინი სახლებსა და მიწებსაც კი ყიდდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა XIX- XX საუკუნთა მიჯნაზე უზარმაზარი კოლონიები დაიპყრო აფრიკაში, სამხრეთ-აღმ. აზიაში, ოკეანეთში და შექმნა იმპერია, რომელიც მეტროპოლიას 17-ჯერ აღამეტებოდა ფართობით, ფრანგული კაპიტალი არ იყო დაინტერსეუბლი კოლონიების საწარმოო გამოყენებაში, რადგან ძირითადი ძალისხმევა მოვალე ქვეყნების ექსპლუატაციაზე ქონდა მიმართული.

ამდენად, კოლონიები მის ცხოვრებასა და ეკონომიკაში გაცილებით უფრო მცირე როლს ასრულებდა, ინგლისთან შედარებით. I მსოფლიო ომის წინ კოლონიებში ფრანგული სასაქონლო ექსპორტის მხოლოდ 13% და კაპიტალის ექსპორტის 9,5% ხვდებოდა, ხოლო კოლონიებიდან კი ფრანგული იმპორტის 10% შემოდიოდა. მთავარ შემოსავლებს საფრანგეთი მევახშეობით ღებულობდა, ამავდროულად საფრანგეთი, რომლის

ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გერმანიისას, ინახავდა არმიას, რომლის სიდიდე ამ უკანასკნელის არმიას არ ჩამორჩებოდა.

§ 7. იაპონიის მოდერნიზაცია. მეურნეობის გარდაქმნა

იაპონიის ეკონომიკის კაპიტალისტური გარდაქმნა XIX საუკუნის 60-იან წლებში, მეიძის რევოლუციის (სამოქალაქო ომის) შემდეგ დაიწყო, რის შედეგადაც იაპონიაში შეიქმნა ახალი სახელმწიფო წყობა, რომელიც ბურჟუაზიულ-ბატონყმურ ტიპს მიეკუთვნება. იგი გერმანული იმპერიის მსგავსი იყო: სახალხოდ არჩეული საკანონმდებლო ხელისუფლება და მმართველი იმპერატორი ფეოდალებითან ერთად, რომელიც მართავდა აღმასრულებელ-ადმინისტრაციულ სფეროს. თუ თავადები ან სამურაები უარს ამბობდნენ თავიანთ ფეოდალურ უფლებებზე, ისინი ღებულობდნენ ფულად კომპენსაციას და უმაღლესი ჩინოვნიკური ან საოფიცრო თანამდებობაზე მონოპოლიურ უფლებას.

ასეთმა წყობამ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე (1945 წელი) იარსება, ვერ შეძლო ნახევრადკოლონისტური, დაქუცმაცებული იაპონიის ისეთ მძლავრ აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ქცევა, რომელსაც პრეტენზია ექნებოდა ჰეგემონიაზე სამხრეთ-აღმ. აზიაში. ამისათვის ერთადერთი საშუალება არსებობდა:

წარმოების ვესტერნიზაცია, ე.ი. ფაბრიკულ-საქარხნო წარმოების შექმნა. ძირითად ინვესტორს სახელმწიფო წარმოადგენდა, რომლის ყურადღების ცენტრში იყო მსხვილი მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის ქარხნები, ვინაიდან ქვეყნის საბოლოო მიზანს არმიისა და ფლოტის მოდერნიზაცია წარმოადგენდა.

მოდერნიზაციისათვის საჭირო ტექნიკასა და კადრებს, მანქანებსა და სპეციალისტებს იმპორტი უზრუნველყოფდა, ამას ემატებოდა ახალგაზრდა სამურაების დასავლეთში გაგზავნაც განათლების მისაღებად.

აშენებულ საწარმოებს სახელმწიფო ან იჯარით გადასცემდა, ან ყიდდა მმართველ წრეებთან ყველაზე დაახლოებულ მეწარმეებზე, რითაც აწესებდა კონტროლს სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებზე. საწარმოებისა და დაწესებულებების შესაქმნელად ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები. ამ ღონისძიებების მეშვეობით იაპონიის სახელმწიფომ მოახერხა განსაკუთრებული ლოიალობის მქონე სამამულო ბურჟუაზიის ბლოკის შექმნა და მისი საიმპერატორო ტახტის გარშემო კონსოლიდირება.

საწარმოთა ზრდის ტემპები, რომელიც იაპონიამ XIX-XX საუკუნეებში აჩვენა, აღმატებოდა ამ დროისათვის ცნობილ ყველა მაჩვენებელს. მაგალითისთვის მოვიყვანთ ზოგიერთ პარამეტრს: XX საუკუნის პირველ ათწლეულში პირველად ძრავების ჯამური სიმძლავრე 10-ჯერ გაიზარდა,

ქვანახშირის მოპოვება -20-ჯერ, სპილენძის წარმოება -13-ჯერ, წყალზე ჩაშვებული გემების ტონაჟი -13-ჯერ (ასეთი ტემპები მსოფლიოსათვის ამ დრომდე უცნობი იყო). იმისათვის, რომ დასწეოდა დასავლეთის ქვეყნებს, არც ერთ სხვა ქვეყანას არ მოუხერხებია ვესტერნიზაციის ასე ეფექტურად ჩატარება.

მონოპოლიზაციის დასაწყისი

ნაგვიანევი სამრეწველო გადატრიალება იაპონიაში ეკონომიკის მონოპოლიზაციას დაემთხვა: დაბალი გადასახადების გამო გაზრდილი იმპორტი იძულებულს ხდიდა იაპონელ მეწარმეებს, გაერთიანებულიყვნენ და უკვე 80-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა მონოპოლიური გაერთიანებები - იაპონური ქაღალდის და იაპონური საზღვაო კომპანია. ყველაზე დიდი წარმატება ორ უძლეველ სავაჭრო-სავახშო ფირმას, „მიცუის“ და „მიცუბისის“, ერგო წილად, რომლებიც სახელმწიფოს დახმარებით პირველ იაპონურ კონცერნებად გარდაიქმნა: საკუთარ სავაჭრო ქსელებსა და ბანკებს მათ მიამატეს სახელმწიფოსგან იაფად ნაყიდი სამრეწველო და სატრანსპორტო გაერთიანებები. საუკუნის დასაწყისში ერთი ტურისტი, რომელიც იაპონიას ეწვია, წერდა: „თქვენ შეგიძლიათ ეწვიოთ იაპონიას გემით, რომელიც ეკუთნის „მიცუის“, რომელიც თბება „მიცუის“ კარიერებსა და მაღაროებში მოპოვებული ქვანახშირით, გადმოჯდეთ პორტში, რომელიც ეკუთვნის „მიცუის“, „მიცუის“ საკუთრებაში მყოფი ტრამვაით იმგზავროთ

„მიცუის“ სასტუმრომდე, ჩაწვეთ „მიცუისგან“ ნაყიდ საწოლში და „მიცუის“ ქარხანაში დამზადებული ნათურის შუქზე წაიკითხოთ „მიცუის“ გამოცემული წიგნი“.

შექმნეს რა უახლესი მონოპოლიები, იაპონელმა კაპიტალისტებმა არ დაივიწყეს იაპონური ფეოდალიზმის ბევრი ძველი მხარე. მაგალითად, იაპონური ფეოდალიზის თავისებურებას ბატონ-ყმობის არარსებობა წარმოადგენს, როცა სახელმწიფო იმართება ე.წ. „პატერნალიზმის“ მეთოდებით, ანუ როცა იმპერატორი ქვეშევრდომებისადმი ამჟღავნებს მამობრივ (pater) ზრუნვას, რის სანაცვლოდაც ღებულობს რენტას. სწორედ ასეთი ტიპის ურთიერთობები იქნა გადატანილი წარმოების სფეროშიც: საგადასახადო შეღავათები ფირმის მუშაკებისათვის ფირმის მიერ აშენებული სახლით სარგებლობისას, საფირმო მაღაზიებში, საფირმო სკოლებში, ფირმის ინსტიტუტებში, რაც უზრუნველყოფს ფირმის მუშაკთა ერთგულებას დამქირავებლისადმი საკმაოდ ხანგრძლივი დროის, თითქმის მთელი ცხვრების მანძილზე. ასეთ სოციალურ მეთოდებს დღემდე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ იაპონიის ეკონომიკის განვითარებაში.

ყოველივე ამის მიუხედავად, XX საუკუნის დასაწყისში მოსამსახურეთა ცხოვრების დონე იაპონიაში, სადაც მოსახლეობის 2/3 სოფლად ცხოვრობდა, აშკარად ჩამორჩებოდა ევროპისა და ჩრდ. ამერიკის ცხოვრების დონეს. ეს განაპირობებდა შიდა ბაზრის სივიწროვეს და უბიძგებდა მმართველ ბურჟუაზიულ ფეოდალთა ბლოკს

აგრესიიკენ, რომელიც ქვეყნის გარეთ იყო მიმართული. მდგმოარეობას ამძიმებდა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების უკიდურესი სიმწირე, მას არ გააჩნდა საკუთარი არც რომელიმე მადანი, არც ნავთობი. მოიპოვა თუ არა კაპიტალისტური ქვეყნის ხარისხი, იაპონია იმავე წამს შეუდგა ბრძოლას ჰეგემონიის მოსაპოვებლად შორეული აღმოსავლეთსა და სამხრეთ -აღმოსავლეთ აზიაში.

§ 8. კაპიტალისტური გარდაქმნები რუსეთში

1853-1855 წლებში ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ რუსეთში დაიწყო ეროვნული მეურნეობის გარდაქმნა კაპიტალისტურ ყაიდზე. ამ მოვლენას საფუძველი დაუდო 1861 წელს ბატონყმობის გაუქმებამ და შემდგომმა დიდმა სისტემურმა რეფორმებმა. მმართველობით, სამხედრო, სამართლებრივ და სხვა სფეროებში. მაგრამ რეფორმები ვერ დამთავრდა, ქვეყანამ ვერ მიიღო საპარლამენტო წყობა, ხოლო გლეხობამ კი – მიწა: XX საუკუნის დასაწყისში 30 ათას მებატონეს იმდენივე მიწა ჰქონდა, რამდენიც 10 მილიონ გლეხურ ოჯახს. რუსეთმა, რომელშიც რეფორმის შემდეგ სამრეწველო გადატრიალება მოხდა, ინდუსტრიული ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპები უჩვენა: 1860–1913 წლებში სამრეწველო პროდუქციის ზრდამ 12,5–ჯერ მეტ მაჩვენებელს მიაღწია (შედარებისთვის: გერმანიაში ეს მაჩვენებელი იყო 7, სარანგეთში – 3). მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ

ქვეყნის მასშტაბს, ამ ზრდამ დიდი როლი ვერ ითამაშა ჩამორჩენილობის დაძლევაში. 150–მილიონიანი რუსეთი, შეფარდებითზე რომ აღარაფერი ითქვას, აბსოლუტური მაჩვენებლით აწარმოებდა ნაკლებ ფოლადს, ქვანახშირს და ელექტროენერგიას, ვიდრე 40-მილიონიანი საფრანგეთი. მსოფლიოში ტერიტორიულად ყველაზე დიდი, მოსახლეობით კი მესამე ადგილზე მყოფი რუსეთი მხოლოდ მე–5 ადგილს იკავებდა სამრეწველო განვითარების სფეროში.

ტექნიკური და სოციალურ–ეკონომიკური ჩამორჩენა ვერ დაიძლია მშვიდობიანი გზით. ცრიზმი და ფეოდალური აზნაურობა ჯიუტად არ ტოვებდნენ სცენას და გადარჩენის გზებს საგარეო ავანტურებით ცდილობდნენ. ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა თავისუფალი კაპიტალი. ბურჟუაზია მჭიდროდ იყო მიჯაჭვული ცარიზმზე სარფიანი სამხედრო შეკვეთებით, საბაჟო პროტექციონიზმით, ისეთი პოლიტიკური რეჟიმით, რომელიც უზრუნველყოფდა იაფფასიან შრომას (წელიწადში ერთ მუშას 46 რუბლი ხელფასის სანაცვლოდ 252 რუბლი სუფთა მოგება მოქონდა), ამიტომც ბურჟუაზია რუსეთში არ წარმოადგენდა ძალას, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებდა ქვეყნის მართვას. ამის საშუალება მას ორგზის მიეცა – 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, რომელიც რუსეთ–იაპონიის ომში დამარცხების მოყვა, და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რომელიც მოყვა გერმანიასთან ომში დამარცხებას. სათათბირო–

საპარლამენტო მონარქიის პირობებში, რომელიც 1905 წლის შემდეგ დაფუძნდა, მმართველი ელიტის ყველაზე შორსმჭვრეტელი ნაწილი შეეცადა, აგრარული რეფორმა ჩაეტარებინა და გაეზარდა გლეხის მიწის ნაკვეთი, მაგრამ ამავდროულად შეენარჩუნებინა მებატონეთა საკუთრება მიწაზე და მონარქია. თითქმის 2,5 მლნ. გლეხი გამოვიდა მიწის თემიდან და მიიღეს პირად სკუთრებაში 15 მილიონი დესიატინა მიწა. 1,5 მლნ. გლეხმა აზიურ რუსეთში მიიღო მიწა, ძირითადად ციმბირში. მიწის ბანკების საშუალებით შედარებით შეძლებულმა გლეხებმა მებატონეთა მიწის შესყიდვაც კი შეძლეს. ამან აგრარული სიჭარბე ევროპულ ნაწილში მნიშვნლოვნად შეამცირა.

მაგრამ აგრარული მოწყობისათვის 25–30 მშვიდობიანი წელი მაინც იყო საჭირო. სწორედ ეს წლები არ მისცა ქვეყანას იმპერატორმა. სოციალური დაძაბულობის მოსახსნელად მან ქვეყანა გერმანიასთან ომში ჩაითრია. აგრარულმა რეფორმამ კი უჩვენა, რომ სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტა და პარალელურად ცარიზმისა და აზნაურების მიერ მიწის საკუთრების შენარჩუნება ისეთივე რეალური იყო, როგორც „შემწვარი ყინულის“ დამზადება.

§ 9. I მსოფლიო ომის (1914–1918 წწ) ეკონომიკური შედეგები

XX საუკუნის დასაწყისისთვის კაპიტალის-ტური ქვეყნების ბრძოლამ ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისათვის უკიდურესად დაძაბული ხასიათი მიიღო. 1914 წელს დაიწყო ომი ორ იმპერიალისტურ ბლოკს შორის: პირველი იყო **ანტანტა**: ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, აშშ და სხვანი, ხოლო მეორე - **სამთა კავშირი**: გერმანია, ავსტრია–უნგრეთი, თურქეთ-ბულგარეთი. ომი გახდა მსოფლიო: მასში მაშინდელი 56 სუვერენული ქვეყნიდან 34 იბრძოდა. უშუალოდ შეიარაღებული ორთაბრძოლაში 80 მლნ ჯარისკაცი და ოფიცერი იღებდა მონაწილეობას. 4 წლის განმავლობაში დაახლოებით 9 მლნ. ადამიანი დაიღუპა, 5 მლნ. – დაინვალიდდა. ეს იყო ისტორიისთვის ჯერ კიდევ უცნობი მსხვერპლი. ევროპის მუშები თეორიულად ფლობდნენ იმდენ ძალას, რომ საერთო-ევროპული პოლიტიკური გაფიცვით აეშორებინათ ომის საშიშროება. ამავე დროს მუშათა პარტიის დეპუტატები ვალდებულები იყვნენ, ხმა არ მიეცათ ევროპის პარლამენტებში საომარი ბიუჯეტებისათვის.

მსოფლიო ომმა არნახული მოთხოვნები წაუყენა ეკონომიკას. მან კაცობრიობის ფასეულობათა 1/3 შთანთქა: ომზე დახარჯული ფულით შესაძლებელი იყო დედამიწის ყველა მშრომელის შემოსავლის 6–ჯერადი გაზდა. მეომარი ქვეყნების საომარი ხარჯები 20–ჯერ გაიზარდა და 12-ჯერ

გადააჭარბა არსებული ოქროს მარაგებს. ფრონტმა სამრეწველო პროდუქციის 50% შთანთქა (ეს არნახული ციფრია). პირველ რიგში გაიზარდა მაშინდელი საველე მოქმედებების ცენტრალური ფიგურის – ტყვიამფრქვევის გამოშვება (850 ათას ცალი). მისი ქარცეცხლისაგან მხოლოდ მიწა იცავდა და არმიები იძულებულნი გადხდნენ, მასშივე ჩაფლულიყვნენ, ანუ გაეთხარათ სანგრები: ომმა პოზიციური ხასიათი მიღო. ტყვიამფრქვევის ბატონობიდან თავის დაღწევის აუცილებლობამ შექმნა ტანკი, მაგრამ მათი რაოდენობა და მახასიათებლები ჯერ კიდევ არ იყო ისეთი დონის, რომ აეცილებინა თავიდან პოზიციური ომი და გადაყვანა იგი მანვრულ სტილზე (ეს მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს გახდა შესაძლებელი).

ამ ომის შედეგებზე გადამწყვეტად ვერ იმოქმედებდა ვერც ავიაციის, ვერც წყალქვეშა ფლოტის გამოყენება. აშშ–ს მხრიდან დახმარება შეიარაღებითა და მასალებით, ხოლო შემდეგ კი ამ უძლიერესი ინდუსტრიული სახელმწიფოს ომში ჩაბმაც (1917 წელს) წონასწორობას საბოლოოდ ანტანტის სასარგებლოდ ხრიდა. მაგრამ ამ ბლოკის სახელმწფოებიდან ომის განმავლობაში მხოლოდ აშშ და იაპონიამ გაზარდა თავისი ეროვნული სიმდიდრე შესაბამისად 40 და 25 პროცენტით. აშშ შეიარაღების გაყიდვის წყალობით თავი მოუყარა თავის ტერიტორიაზე მსოფლიო ოქროს მარაგების ნახევარს.

წაგებულ ქვეყნებში, კანონზომიერად ხდებოდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები.

თურქეთისა და ავსტრია–უნგრეთის იმპერია დაიშალა. რევოლუციებმა რუსეთში (1917 წელს) და გერმანიაში (1918) ბოლო მოუღო მონარქიასა და ფეოდალების ბატონობას. გერმანულმა ბურჟუაზიამ შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება. რუსულმა ბურჟუაზიამ კი ეს ვერ მოახერხა და განადგურებულ იქნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ დამყარებული ტოტალიტარული ბოლშევიკური რეჟიმით. სხვათა შორის, რუსთი 1917 წელს, რევოლუციის შემდეგ, გამოვიდა ომიდან, უარი თქვა მეფის რუსეთის ვალების გასტუმრებაზე და მთლიანად გადაერთო ჯერ სამოქალაქო ომზე, ხოლო შემდეგ კი მის წინააღმდეგ გაერთიანებული 14 იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ომზე, რომლებიც გააფთრებით მოითხოვდნენ მისგან ვალების დაბრუნებას.

თუ რუსეთში მომხდარმა მოვლენებმა ხელი შეუშალა ევროპული ქვეყნების პროლეტარიატს გაერთიანებაში, მისი ომიდან გამოსვლამ განაპირობა მსოფლიოში სოციალისტური წყობილების გაჩენა და მსოფლიოს გახლეჩვა ორ მტრულ ბანაკად. **ეს პირველი მსოფლიო ომის უმძიმესი შედეგი იყო** და არა მარტო რუსეთის იმპერიისათვის.

თავი 6. ეკონომიკური ძვრები წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში XX საუკუნის მეორე ნახევარში. უმთავრსი ეკონომიკური ცვლილებები ომთა შორის პერიოდში (1919–1939 წწ)

რუსეთში მომხდარი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა და მის შედეგად, კაპიტალისტურისა და სოციალისტური სამყაროს შორის ურთიერთობის განვითარება სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ურთიერწინააღმდეგობისა და როგორც უსისხლო, ისე სისხლისმღვრელი ბრძოლის ნიშნით წარიმართა. სისტემათა დაპირისპირებამ შვა ორი ძირითადი ტენდენცია კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში: დემოკრატიული, რომელიც სოციალიზმის შეზღუდვით, კომპრომისების ძებნით, რეალური ხელფასების ზრდით, სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერებით შემოიფარგლებოდა და ტოტალიტარული (ძალზე ახლოა შინაარსით სოციალიზმთან), რომელიც სოციალიზმის სამხედრო წესით განადგურებისაკენ არის მიმართული. სოციალიზმის კერას კი საბჭოთა კავშირი – რუსეთის იმპერიის მემკვიდრე, წარმოადგენდა. პირველი დემოკრატიული ტენდენციის მოიმდევრები იყვნენ აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა. ბურჟუაზიული დემოკრატიის დასავლეთის ქვეყნები, ხოლო მეორე, ტოტალიტარული სისტემის

წარმომადგენლები იტალია, იაპონია და გერმანია, სადაც 30–იანი წლების დასაწყისში ნაციონალ–სოციალიზმმა და ფაშიზმმა გაიმარჯვა. ფაშიზმი რასობრივ იდეოლოგიაზე დამყარებული რეჟიმია, რომლის აზრია გერმანელების, როგორც არიელთა უმაღლეს რასისა და იმის აღიარება, რომ საბოლოო ჯამში მთელი მსოფლიო მათ ეკუთნით.

გერმანიაში ნაცისტების გამარჯვება ბევრად იყო განპირობებული 1929–1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით, რომელიც ამერიკაში დაიწყო. I მსოფლიო ომის შემდეგ სწორედ აშშ-ში გადაინაცვლა კაპიტალისტური ეკონომიკის ცენტრმა. 1920-იანი წლები ამერიკული მეურნეობისათვის ჭეშმარიტად აყვავების წლები იყო. მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესისა და შრომისნაყოფიერების თვლსაზრისით აშშ-მ ბევრად უკან ჩამოიტოვა ყველა სხვა ქვეყანა. საავტომობილო მრეწველობა აწარმოებდა მილიონობით მანქანას ყოველწრიურად და ამიტომ ქვეყანაში შეიქმნა ნავთობის, ლითონის, რეზინის, მინისა და სხვა მასალების უზარმაზარი ბაზარი, ამასთან ერთად შექმნილი იყო მძლავრი ინფორასტრუქტურა ბენზინსგასამართი სადგურების, ავტოსერვისების საწარმოების, შორეული გზების სამშენებლო დაწესებულებების სახით. ქვეყნის შიდა გადახდისუნარიანი მოთხოვნა ვერ ეწეოდა მწარმოებლურობის ზრდას და ამის ბუნებრივი შედეგი ზედმეტი წარმოება გახდა. რამდენადაც მაღალი იყო აღმავლობა, იმდენად უფრო მტკივნეული იყო დაცემა. 1929

წელს ნიუ-იორკის ბირჟაზე ჯერ არნახული პანიკა დაიწყო, რომელიც აქციების კურსის მკვეთრ დაცემას მოყვა. 1929 წელთან შედარებით 1932 წელს წარმოება თითქმის ნახევრად დაეცა, იგი თითქმის 20 წლით იქნა უკან დაწეული. უმუშევართა რიცხვი 17 მილიონს უდრიდა, ეს მთელი მოსახლეობის 14% იყო.

ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა მთელი კაპიტალისტური ქვეყნები. სხვაზე მეტად გერმანია დაზარალდა. თუ ინგლისში 1929–1932 წწ სამრეწველო წარმოება 18%–ით შემცირდა, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 29% იყო. ქვეყანაში 7 მლნ. ადამიანი უმუშევარი დარჩა.

კრიზისიდან გამოსვლა ყველა ქვეყანაში დაკავშირებული იყო სახელმწიფოს როლის ზრდასთან, რომლის მიზანს გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაზრდა წარმოადგენდა. ამისათვის სახელმწიფოს ნებისმიერი ხერხით უნდა მიეცა ხალხისათვის საშუალება, მოეპოვებინათ ფულადი სახსრები, ე.ი. გაეზარდათ დასაქმებულთა რიცხვი. ამ პრობლემას აშშ და გერმანია ეკონომიკაში პირდაპირი ჩარვით წყვეტდნენ, მაგრამ მეთოდები განსხვავდებოდა: ამერიკის მთავრობა მიმართავდა განადგურებული წარმოებებისათვის მსხვილი სესხებისა და სუბსიდიების გაცემის, კერძო ინვესტორების საგადასახადო შეღავათებით წახალისების გზას. მან ინფლაციის პროვოცირებაც კი სცადა „ზედმეტი“ დოლარების ემისიის საშუალებით. ანუ, ქვეყანა ყველაფერს აკეთებდა, ოღონდ კი გამოეცოცხლებინა

გადახდისუნარიანი მოთხოვნა. ამერიკის მთავრობამ წარმატებით გამოიყენა საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების შექმნისა (განსაკუთრებით საგზაო მშენებლობა) და მრავალი სხვა მეთოდი; გერმანიაში კი პირდაპირი სახელმწიფო მართვა ხორციელდებოდა, ეს იყო საწარმოს ხელმძღვანელის უშუალოდ ფიურერის მიერ დანიშვნა და წარმოების სრული მილიტარიზაცია. მშვიდობიანი დროისათვის უცნობი მეთოდების გამოყენების გზით აშშ და გერმანია, მათთან ერთად კი სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც, გამოვიდნენ კრიზისიდან.

უმუშევრობის ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო გერმანული ხალხის ნაციონალურ–სოციალისტური პარტიის გარშემო გაერთიანებას და სტიმული მისცა II მსოფლიო ომის დაწყებისათვის მზადებას. ეს ომი გერმანიამ 1939 წელს დაიწყო.

§ 1. II მსოფლიო ომის ეკონომიკური შედეგები (1939–1945 წლები)

იწყებდა რა I და II მსოფლიო ომებს, გერმანია გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ არ მოუწევდა ორ ფრონტზე ბრძოლა. მაგრამ ასე არ მოხდა და იგი ისევ აღმოჩნდა სახელმწიფოთა კოალიციის პირისპირ. კოალიციის მთავარ წევრებს სსრკ, დიდი ბრიტანეთი და აშშ წარმოადგენდნენ, რომელთა გაერთიანებული პოტენციალი

მნიშვნელოვნად აღემატებოდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების - იაპონიისა და იტალიის შესაძლებლობებს. არახელსაყრელი იყო გერმანიისთვის სამხედრო-ეკონომიკური და მორალურ–პოლიტიკური ფაქტორებიც: რასობრივი თეორია აერთიანებდა გერმანელ ხალხს ჰიტლერის გარშემო, მაგრამ რასიზმის პრაქტიკამ, რომელისაც გერმანია დაპყრობილი ევროპულ ქვეყნებში ომის პირველ პერიოდში ახორიცელებდა, მისდამი დიდი სიძულვილი გამოიწვია სხვადასხვა ხალხებს შორის. ამან დასაბამი მისცა ფართო გამათავისუფლებელ მოძრაობას. გერმანულმა „ახალმა წესრიგმა“ ევროპაში 10 მილიონი ადამიანი შეიწირა.

II მსოფლიო ომმა თითქმის 6-ჯერ გადააჭარბა პირველს მსხვერპლის რაოდენობით: ომში დაიღუპა 60 მლნ. ადამიანი, რომელთაგან 27 მილიონზე მეტი მეტი საბჭოთა კავშირზე მოდიოდა. II მსოფლიო ომმა ბევრად უკან მოიტოვა I მსოფლიო ომი სამხედრო აფეროს ეკონომიკური განვთიარების დონითაც. ჯამური დანახარჯები მეორე მსოფლიო ომზე შეადგენდა 962 მლრდ. დოლარს 208 მილიარდის წინააღმდეგ, რომელიც პირველ ომზე იქნა გაწეული. მხოლოდ აშშ მრეწველობაში ომის წლებში 300 ათასი თვითმფრინავი, 87 ათასი ტანკი, 383 ათასი საარტილერიო საშუალება, 9,4 მლნ. სატვირთო მანქანა იქნა გამოშვებული.

თუ I მსოფლიო ომი ძირითადად პოზიციური ხასიათის იყო, II მსოფლიო ომი მანევრული გახდა და

მოტორების ომად იქცა. სატანკო და საავიაციო არმიებმა, რომლებიც წინა ომის დროს ტაქტიკური როლს ასრულებდნენ, მლიანად სტრატეგიული ხასიათი შეიძინეს. გამოჩნდა პირველი რაკეტები. 1945 წელს აშშ მიერ პირველად (მაგრამ არა უკანასკნელად) იქნა გამოყენებული მასობრივი განადგურების იარაღი, რამაც იაპონურ ქალაქებში ხიროსიმა და ნაგასაკი 100 ათასზე მეტი ადამიანი გაანადგურა და უზარმაზარი ნგრევა გამოიწვია.

როგორც პირველ მსოფლიო ომში, ისევე ახლაც, ინგლისისა და ამერიკის ფლოტმა გერმანული პორტები დაბლოკა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოკუპირებული ევროპა გერმანიისათვის მუშაობდა და მისთვის ყოველწლიურად აწარმოებდა 20 ათას ტანკს, 25 ათას თვითმფრინავს, 50 ათას ქვემეხს და მრავალ სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქციას, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში შრომობდა 7 მლნ. უცხოელი მუშა და ტყვეები, ქვეყნის ეკონომიკა ომის დასასრულ პრაქტიკულად გამოიფიტა. აგრეთვე გამოიფიტა იაპონიის ეკონომიკაც, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მან სამხრეთ-აღმ. აზიაში და ოკეანეთში მნივშელოვანი რესურსები იგდო ხელთ, ტრანსპორტის უქონლობის გამო ისინი მან ვერ გამოიყენა.

მაგრამ გამარჯვებულთა სამერუნეო დანაკარგებიც ძალზე მნივშნელოვანი იყო. ინგლისი ვერც შეიარაღების საჭირო რაოდენობას ამზადებდა და ვერც მისი იმპორტის თანხმებს იხდიდა, ამიტომაც აშშ მას ნისიად აწვდიდა მასალას და შეიარაღებას „ლენდლიზის“ სპეციალური

პროგრამით, რის შედეგადაც ინგლისის საგარეო ვალი 8-ჯერ გაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომმა პირველზე უფრო მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი აშშ ძლიერების ზრდას. აქ სახელმწიფოს შეკვეთით აშენდა 25 მლრდ. დოლარის ღირებულების სამრეწველო ობიექტი. საწაროო მოგება 5-ჯერ გაიზარდა.

ომის შემდგომ ამერიკამ წარმოადგინა ევროპის ეკონომიკის აღდგენის ეფექტური გეგმა (მარშალის გეგმა). სახელმწფო შეკვეთებმა მშვიდობიანი პროდუქციაზე ძალზე დიდი როლი შეასრულა ისეთი რთული პრობლემის გადაწყვეტაში, როგორიცაა მრეწველობის კონვერსია. აშშ სოციალურ-ეკონომიკური როლი ომის შემდგომ არნახულად გაიზარდა.

მაგრამ II მსოფლიო ომის მთავარი სოციალურ–ეკონომიკური შედეგი იყო აღმოსავლეთ ევროპული ცვლილებები. საბჭოთა კავშირის მიერ გათავისუფლებული ქვეყნების სუვერენიტეტი ძალის გამოყენებით იყო შეზღუდული და 50–იან წლებში ჩამოყალიბდა მსოფლიოს სოციალისტური სისტემა, სადაც შევიდნენ (შეიყვანეს): გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი (აღმოსავლეთი ევროპა), კორეის სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკა და ვიეტნამი (აზია), კუბა (ამერიკა).

მიუხედავად დიდი მცდელობისა, შექმნილიყო შიდასოციალისტური ბაზარი, კავშირები ამ ქვეყნებს შორის არაეკონომიკურ ხასიათს არატებდა. როცა ისინი შესუსტდა, მსოფლიო სოციალისტური სისტემა და ბაზარი დაიშალა. ამას კი მოყვა სსრკ–ს, ანუ თავად სოციალისტური მეტროპოლიის, დაშლა. ამდენად, XX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი ორი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის – კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ურთიერთ-წინააღმდეგობებმა განსაზღვრა.

§ 2. „ცივი ომის“ ეკონომიკური შინაარსი

სისტემათა დაპირისპირება გარეგნულად იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა („ცივი ომი“), თუმცა შეტაკებებსაც ქონდა ადგილი: სოციალისტური მხრიდან – ომი კორეაში (1950–1953 წწ) ატომური რაკეტების განთავსება კუბაში (1962 წ) ომი ავღნეთში (1979–1989 წწ) კაპიტალისტური მხრიდან – ომი ვიეტნამში (1960–იანი წლები) და მრავალი სხვა. ყველა ისინი კრახით დასრულდა. სინამდვილეში კი „ცივი ომის“ არსს ახალი ტიპის შიარაღებათა წარმოება წარმოადგენდა და ამ წარმოებაში ეჯიბრებოდა ორი ბლოკი: ნატო (ჩრდილოეთი ატლანტიკის ბლოკი) და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები.

ახალი შეიარაღების ციებ–ცხელებამ ყველა სახის ჯარები მოიცვა – სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო. მთავარი შედეგი კი ახალი ტიპის სტრატეგიული იარაღის, ანუ თერმობირთვული (წყალბადის) ბომბის შექმნა გახდა (1955 წელი). მისი დამანგრეველი ძალა ბევრჯერ აღემატებოდა ატომური რაკეტებისას, ხოლო მათი მატარებლები კი ატომური ბომბების მატარებლებს,თ კონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტებს აღმატებოდა სიმძლავრით. 1961 წელს ახალ მიწაზე სუპერსიმძლავრის წყალბადის ბომბის აფეთქების შემდეგ (ავტორი - სსრკ) სეისმურმა ტალღამ დედამიწას 3-ჯერ შემოუარა, ხოლო „სოკოს“ სიმაღლემ 67 კილომეტრს მიაღწია. დღეს უკვე გასაგები გახდა, რომ ატომური სარაკეტო ომი ცივილიზაციის აუცილებელ დაღუპვას გამოიწვევს, მასში გამარჯვებული არ იქნება.

80–იან წლებში „ცივი ომი“ დასავლური ბლოკის გამარჯვებით დამთავრდა აშშ-ს წინამძღოლობით. მან სსრკ–ს ორი უსისხლო დარტყმა მიაყენა: პირველი – ევროპაში ამერიკული ტაქტიკური რაკეტების განთავსება (მოსკოვამდე ფრენის დრო 5 წთ). სსრკ საპასუხო რეაქცია იყო აშშ სანაპირო ზოლთან წყალქვეშა ატომური ნავების განთავსება და აშშ ყველა მთავარ ცენტრზე რაკეტების დამიზნება; მეორე დარტყმა კი ამერიკული სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა გახდა („ვარსკვლავური ომები“). დაუძლურებულმა საბჭოთა ეკონომიკამ მას პასუხი ვეღარ გასცა, ვინაიდან ეს სისტემა ითვალისწინებდა

ბალისტიკური რაკეტებისათვის მიუწვდომელი ლაზერული ფარის შექმნას. უპასუხოდ დარჩენილი ინიციატივა დამარცხების ტოლფასი იყო, ამდენად, აშშ-მა და სსრკ-მ მოილაპარაკეს შეიარაღებათა სერიოზულ შემცირებაზე, ხოლო ვინაიდან სსრკ–ში გაჭირვების ძირითადი გასამართლებელი საბუთი ომის საშიშროება იყო, დაიწყო ტოტალიტარული წყობის გარდაქმნა. სსრკ–ში დაწყებული გარდაქმნა გახდა „ცივი ომის“ ძირითადი შედეგი.

§ 3. სამეცნიერო–ტექნიკური რევოლუციის ეკონომიკური შედეგები

II მსოფლიო ომის შემდეგ მენიერულ–ტექნიკური პროგრესი ისეთი მაღალი ტემპებით მიდიოდა, რომ ნამდვილ მეცნიერულ–ტექნიურ რევოლუციად იქცა. ის რიგით მესამე ტექნიკურ რევოლუციად შეიძლება ჩაითვალოს. რევოლუციის მსვლელობისას მეცნიერება გახდა საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მთავარი კომპონენტთა შორის გამოირჩევა ელექტრონიკისა და კომპიუტერების, რეაქტიული ტექნიკის, ბირთვული ენერგიისა და კვანტური გენერატორების (ლაზერების), განსაზღვრული თვისების პოლარული მასალების ფართო გამოყენება. მანქანებმა ძალზე აქტიურად ჩაანაცვლა არა

მარტო ფიზიკური, არამედ გონებრივი შრომაც. პერსონალური კომპიუტერი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრი გახდა, ე.წ. „საშინაო ენციკლოპედია“. ინდუსტრიული ეპოქა საინფორმაციომ შეცვალა.

მენიერულ–ტექნიკურმა რევოლუციამ ახალი ეპოქა გახსნა მანქანკური წარმოების განვითარებაში - ეს იყო საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია, რამაც წარმოუდგენლად დააჩქარა მუშა პროცესები და რადიკალურად შეამცირა მათი ხანგრძლივობა. ავტომატური ხაზები, საამქროები და მთელი წარმოებებიც კი, გახდა წარმოების ახლებური ტიპის მაჩვენებლები.

ელექტრონიკის, წვეთოვანი მორწყვის, ქიმიზაციას და სხვათა გამოყენებას დაემატა “მწვანე რევოლუციაც“, ანუ გენური სელექციის გზით განსაკუთრებით მაღალმოსავლიანი მარცვლოვნების გამოყვანა, რამაც სოფლის მეურნეობა არნახულ დონეზე აიყვანა დასავლეთისა და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნების მეურნეობაში. „მწვანე რევოლუციამ“ დედამიწის უმეტეს ქვეყნებში მოხსნა სასურსათო პრობლემა.

ჩაისახა რა ომიანობისა და გასამხედროების პერიოდში, მატერიალურ-ტექნიკური პროგრესი აგრძელებს სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესებას. ეს ეხება არა მარტო ბირთვულ სარაკეტო ტექნიკას, არამედ ჩვეულებრივ შეიარაღებასაც. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ჩვეულებრივ „ფეხოსანთა“, ანუ საქვეითო ჯარის

შეიარაღება, თანამედროვე ავტომატი წარმოადგენს ცეცხლსასროლი და რეაქტიული იარაღის კომბინაციას, ვინაიდან აღჭურვილია ლულის ქვეშ განთავსებული ნაღმმტყორცნით (ანტისაჯავშნო ფაუსტპატრონი).

მტრ-ას აზრი ეკარგება მოსახლეობის რეალური შემოსავლების გაზრდის გარეშე. უახლესი ელექტრონული ტექნიკა და პირადი ტრანსპორტი განვითარებული ქვეყნებში ფართო ფენების კუთნილება გახდა. სოციალისტურ ქვეყნებში ანალოგიური პროცესი ნელა მიმდინარეობდა, ვინაიდან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ძირითადი ნაყოფი მილიტარიზაციას მიჰქონდა.

§ 4. კოლონიური სისტემის დაშლის შედეგები (XIX-XX საუკუნეებში)

კოლონიალიზმი, როგორც სისტემა, არსებობდა XVI საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის მეორე ნახევრის ჩათვლით. კაპიტალის ექსპორტი კოლონიურ ქვეყნებში და ადგილობრივი წარმოების ზრდა აუცილებლად იწვევდა გამათავისუფლებელ მოძრაობას. სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ ეს მოძრაობა სერიოზულ დახმარებას ღებულობდა და ღებულობს. თუ 1900 წელს განაწილებული სამყაროს ხელახალი გადანაწილებისას კოლონიები მსოფლიო ტერიტორიის 55%-ს და მოსახლეობის 35%-ს შეადგენდა, II მსოფლიო ომის წინა

წლებში კოლონიურ სამყაროს გლობალური ტერიტორიის მხოლოდ 21% და მოსახლეობის 30% ეკუთნოდა. პირველმა მსოფლიო ომმა XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული გერმანული იმპერიის ლიკვიდირება შეძლო, მეორე მსოფლიო ომმა ძირი გამოუთხარა ისეთ ძველ იმპერიებს, როგორებიც იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი და ჰოლანდია. გამათავისუფლებელი ბრძოლა ყოველთვის როდი იყო მშვიდობიანი: ჰოლანდია შეიარაღებული წესით ცდილობდა, არ დაეშვა ინდონეზიის გათავისუფლება.

როგორც წესი, სისხლი იღვრებოდა იქ, სადაც იყო ნავთობი, ეს განსაკუთრებით აშკარად ალჟირში გამოვლინდა. სსრკ მხრიდან შეიარაღებული დახმარების წყალობით, ალჟირის გამათავისუფ-ლებელი მოძრაობა გამარჯვებითა და ფრანგული მოსახლეობის სრული რეპატრიაციით დამთავრდა. საერთოდ კი საფრანგეთის სურვილი, შეენარჩუნებინა იმპერია, გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მისი სამხედრო ეკონომიკური პოტენციალი. ფრანგულმა კოლონიურმა ომმა ინდო-ჩინეთში ორ მსოფლიო სისტემას შორის შეიარაღებული კონფლიქტის სახე მიიღო: სოციალისტურს წარმოადგენდა ყოფილი ფრანგული კოლონია - ვიეტნამი, ხოლო კაპიტალისტურს - აშშ, რომელმაც სასტიკი დამარცხება და უდიდესი ეროვნული შოკი განიცადა ამ ომში. ინგლისი, ძირითადად, მშვიდობიანად ტოვებდა კოლონიებს, მაგრამ ინარჩუნებდა იქ ბევრ ეკონომიკურ პოზიციას.

1960 წლის დეკემბერში გაერო იღებს დეკლარაციას ყველა კოლონიური ქვეყნისათვის თავისუფლების მინიჭების შესახებ.

კოლონიური სამყაროს ადგილზე გაჩნდა უზარმაზარი „მესამე სამყარო“, რომელშიც აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის უამრავი ახალი და ძველი სუვერენული სახელმწიფო შევიდა. სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა სულაც არ ნიშნავდა დამოუკიდებლობას ეკონიმიკაში. ქვეყანათა უმრავლესობა, როგორც ადრე, ექსპორტ -იმპორტით ცხოვრობდა, ამას მხოლოდ იარაღის ძვირადღირებული იმპორტი დაემატა. ყველგან იქმნებოდა შეიარაღებული ძალები, რაც გეოპოლიტიკური პრობლემების დამოუკიდებელი მოგვარებას უწყობდა ხელს. შედეგად „მესამე სამყაროს“ ქვეყნები გაიყო ორ ნაწილად - კაპიტალისტურად და სოციალისტურად. ეს ხდებოდა იმის შესაბამისად, თუ საიდან ღებულობდნენ ისინი შეიარაღებას, ფინანსებს, ან სად ამზადებდნენ კადრებს. ზოგიერთი ლათინური სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებუ-ლება განპირობებული იყო კომპრადორების, ანუ იმპორტული საქონლის მყიდველებისა და გადამყიდველების ძალაუფლებით. ამ ქვეყნებში წამდაუწუმ ხდებოდა სახელმწიფო გადატრიალება და სათავეში მოდიოდნენ სხვადასხვა სამხედრო კომპრადორული დაჯგუფებები. თვით ყოფილი კოლონიების ცხოვრების დონე კი თავისუფლების დეკლარირების შემდეგ ნაკლებად შეიცვალა.

70-90-იან წლებში „მესამე სამყაროს“ სახელმწიფოთა მთელ რიგში დაიწყო მეურნეობის ლიბერალიზაცია. დასავლური ტიპის ეკონომიკური რეფორმები იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გაძლიერებულიყო კონკურენცია და საკუთრება, ძირითადად, კერძო კომპანიების ხელში გადასულიყო. ყოფილი კოლონიები, რომლებიც სხვაზე უფრო ადრე დაადგნენ ვესტერნიზაციის გზას - სინგაპური, სამხრეთი კორეა, მალაიზია, დღეს უკვე საკმაოდ განვითარებული ეკონომიკური პარტნიორები არიან. საკმაოდ მაღალი ტემპით მიმდინაერეობს მექსიკის, ვენესუელას, ჩილესა და ტაილანდის განვითარებაც.

კოლონიური სისტემის დაშლა საკმაოდ სერიოზულად აისახა ყოფილი მეტროპოლიებისა და საერთოდ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაზე. პირველ რიგში შეიცვალა დასავლეთ ევროპული ქვეყნების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ეს კი ყოფილი კოლონიებიდან გამალებული იმიგრაციის ხარჯზე ხდებოდა. ულევი ნაკადი ინდოეთიდან, პაკისტანიდან, ბანგლადეშიდან, ალჟირიდან და სხვა მრავალი ქვეყნიდან ინგლისში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, ბადებდა იქ სერიოზულ პრობლემას უმუშევართა სახით.

წარმოიქმნა განსაზღვრული სიძნელეები ყოფილი კოლონიების კუთნილი სანედლეულო რესურსების გამოყენებაში, ვინაიდან იქ მიპოვებული მომპოვებული დარგები ნაციონალიზებულ იქნა: ერაყის ნავთობი,

ვენესუელას გაზი, ჩილეს სპილენძი, სირიის ნავთობტრასა და ა.შ. გარდა ამისა, გამძაფრდა კაპიტალების კონკურენტული ბრძოლა პოზიციებისათვის: ამერიკული, გერმანული და იაპონური კაპიტალი დევნიდა ტრადიციულ ინგლისურ, ფრანგულ და ჰოლანდია-ბელგიურს.

ამ პირობებში ყოფილი მეტროპოლიები თანდათან ეჩვეოდნენ საკუთარი თავის მომარაგებას რესურსებითა და სურსათით, დასავლეთ ევროპულმა ქვეყნებმა დაიწყეს საკუთარი ბუნებრივი რესურსების დამუშავება. მაგალითად, საფრანგეთში აღმოჩენილ იქნა ბუნებრივი აირი, ურანი, გააფართოეს რკინის მადნის მოპოვება, ბოქსიტებისა და ნავთობპროდუქტების გადამუშავება და სხვა. გაიზარდა ინვესტიციები ყოფილი ევროპელების მიერ დასახლებული კოლონიებისა და დღეს უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების მომპოვებლურ დარგებში: კანადაში, ავსტრალიაში, სამხრეთ ააფრიკის რესპუბლიკაში და სხვა. მოხდა დასავლეთ ევროპის სოფლის მეურნეობის იტენსიფიკაცია. მოსალოდნელის საწინააღმდეგოდ, საერთაშორისო საქონელბრუნვაში ამის შედეგად ყოფილი კოლონიების ხვედრითი წილი კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა.

§ 5. საერთო ბაზარი და ევროკაშირი

კოლონიური სისტემის დაშლის პირობებში ევროპის ქვეყნები დაუბრუნდნენ თავისუფალ ვაჭრობას, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე. მეგობრული ქვეყნები არა მხოლოდ უგულებელყოფდნენ ან ამცირებდნენ გადასახადებს, როგორც XIX საუკუნეში, არამედ ნებაყოფილდობით ახდენდნენ საკუთრი სუვერენიტეტის ნაწილის დელეგირებას არჩევით სამმართველო ორგანოსათვის. სწორედ ეს არის ინტეგრაციის აზრი.

ჯერ კიდევ 1950–იანი წლების დასაწყისში საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იტალიამ, ბელიგიამ, ჰოლანდიამ და ლუქსემბურგმა სპეციალური ხელშეკრულებით დააარსეს „ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება“ საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის ლითონისა და სათბობის ბაზარზე. შედმეგი ნაბიჯი იყო **საბაჟო კავშირის** შექმნა, რომელიც ითვალისწინებდა საქონლის, კაპიტელების, მომსახურებისა და პირების თავისუფალ გადაადგილებასბას ევროგაერთიანების წევრთა ჩარჩოებში, ამას დაემატა საერთო საბაჟო ტარიფები მესამე ქვეყნებთან მიმართებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებას იგივე ექვსეულმა ხელი რომში, 1957 წელს მოაწერა. ასე იყო შექმნილი ისტორიაში პირველი საერთო ბაზარი. დროის ამავე შუალედში შეიქმნა ატომური წარმოების ევროგაერთიანება „ევრატომიც“. საერთო ბაზრის შექმნამ მოითხოვა ეროვნული

კანონმდებლობის რთული და ხანგრძლივი შეთანხმების, ანუ ჰარმონიზაციის პროცესი, რამაც არაერთხელ გამოიწვია კრიზისი, ვინაიდან საერთო ბაზარზე რთული იყო ყოფილი მონოპოლიებისა და მათი ყოფილ კოლონიების ინტეგრაციული ინტერესების შეთავსება. ეს პრობლემა საერთო ინტეგრაციის შედეგად გადაწყდა: დღეს აფრიკის, კარიბის ზღვის აუზის და წყნარი ოკეანის რაიონების 66 ქვეყანა ევროკავშირის ასოცირებულ წევრებს წარმოადგენს.

ყველაზე რთული ეკონომიკური პრობლემები წარმოიქმნა ევროპის აგრობაზრისა (1964 წელს) და ვალუტების (1972 წლიდან) ინტეგრაციაში. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა საერთო ფინანსური რესურსების შექმნის მეშვეობით, რომელიც წარმოიქმნა მესამე ქვეყნებთან ვაჭრობის პროცესში საბაჟო გადასახადების აკრეფით. ამავე ბაზაზე წარმოიქმნა ევროვალუტა (ეკიუ – European Currency Unit), რომელიც მე-20 საუკუნის ბოლომდე მხოლოდ ნომინალურად გაანგარიშდებოდა. 2000 წლიდან ევროკავშირში ევრო ამოქმედდა. ევროპულმა გაერთიანებამ დიდი ხანია, დატოვა საბაზრო საზღვრები და გადაიქცა ჯერ არნახულ პოლიტიკურ კავშირად კონტინენტზე, რომელსაც გააჩნია საკუთარი პირდაპირი კენჭისყრის გზით არჩეული პარლამენტი და მთავრობა. კომუნისტური სისტემის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა პოსტსაბჭოური სახელმწიფო მიისწრაფის ევროკაშვირში გაერთიანებისკენ.

ამდენად, კოლონიური სისტემის რღვევამ უბიძგა ევროპას არა კრახის, არამედ სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებისკენ.

ევროკაშვირში დღეს კონცენტრირებულია მსოფლიო იმპორტის 22 % და ექსპორტის 20 % (წევრთა ურთიერვაჭრობის ჩაუთვლელად). შედარებისთვის, იგივე მაჩვენებლები აშშ–ში არის 18 და 16, იაპონიაში – 9 და 12, კანადაში – 4 და 5, დანარჩენ მსოფლიოში 47 და 47. ევროკავშირის წილზე მოდის მსოფლიოს სურსათის ექსპორტ–იმპორტის 8-8 %, ნედლეულის ექსპორტის 7%, ნედლეულის იმპორტის 2%, ელექტროენერგიის ექსპორტის 13%, ელექტროენერგიის იმპორტის 2%, მანქანების ექსპორტის 30% და იმპორტის 34%, დანარჩენი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის 35% და იმპორტის 41%.

ევროპულმა ინტეგრაციამ ბიძგი მიცა ამერიკულსაც, შეიქმნა ჩრდ. ამერიკული გაერთიანება, რომელშიც აშშ, კანადა და მექსიკა შევიდნენ.

§ 6. დასავლეთის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები XX საუკუნის მეორე ნახევარში

ომისშემდგომი განვითარება დას. ევროპის ქვეყნებში ბევრად იყო დაკავშირებული აშშ–ს მიერ შემუშავებულ „მარშალის გეგმასთან“, რომელსაც მისი ავტორის, აშშ სახელმწიფო მდივნის სახელი უწოდეს. გეგმის მიხედვით 5–6 წელს განმავლობაში (1948–1951 წლებში) ევროპის 17

ქვეყანაში ნაწილობრივ სესხის, ნაწილობრივ კი დოტაციის სახით, ჩატანილ იქნა 17 მლრდ. დოლარის ღირებულების დახმარება: სურსათი, ტანსაცმელი, ნედლეული, სათბობი, სამრეწველო დანადგარები, სათადარიგო ნაწილები და სხვა საქონელი. ადგილობრივ ბაზარზე ამ საქონლით ვაჭრობიდან შემოსული ვალუტა ამაგრებდა ევროპის ქვეყნების ფულად მიმოქცევას, აფერხებდა ინფლაციას, იქცეოდა ინვესტიციად ადგილობრივი წარმოებისათვის. მარშალის გეგმა დადებითად მოქმედებდა როგორც ევროპულ, ისე აშშ ეკონომიკაზეც. 1947 –1950 წწ პერიოდში ძირითადი დარგების პროდუქციის მოცულობა დას. ევროპაში ნახევარჯერ გაიზარდა, ხოლო ესეთ სახეობაში, როგორებიცაა მინერალური სასუქების, ფოლადის, ცემენტის, სატრანსპორტო საშუალებების, ნავთობპროდუქტების წარმოება – 65%–დან 200%-მდე, რაც ნიშნავდა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საგზაო კომუნიკაციების ჩქარ განვითარებას. გამოცოცხლდა საგარეო ვაჭრობა: 1948–1952 წლებში დას. ევროპის ექსპორტი 2–ჯერ გაიზარდა, ხოლო კანადისა და აშშ–ში მეტჯერაც.

ამერიკული დახმარების ძირითადი ნაწილი მიმართული იყო ინგლისში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, იტალიაში. აქ აღდგენითი პროცესი განსაკუთრებით სწრაფად მიდიოდა. ომის დამთავრებიდან უკვე 5 წლის შემდეგ ნახშირის, ფოლადის,

ელექტროენერგიის ერთ სულზე წარმოება 1938 წლის დონეს უსწრებდა.

განსაკუთრებით დიდი ნახტომი გააკეთა ენერგეტიკამ. ინგლისში ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 711–დან 1251 კვტ/სთ-მდე, საფრანგეთში – 500-დან 791-მდე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 348–დან 929-მდე, იაპონიაში – 478–დან 541-მდე, აშშ–ში 1092-დან 2553-მდე. ამ მაგალითიდან ჩანს, თუ როგორ გაიზარდა დასავლეთში უკვე ომისშემდგომ პირველ წლებში ყველანაირი საქონლის წარმოება. ყველაზე მაღალმი მოთხოვნით, რასაკვირველია, მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის მიერ შექმნილი საქონელი სარგებლობდა – ელექტრონიკა, რეაქტიული ტრანსპორტი, თანამედროვე ავტომობილები, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საცხვორებელი და ა.შ. 1950–1980 წლებში ენერგეტიკამ და მასთან ერთად მთელმა სამეურნეო კომპლექსმა ახალი ნახტომი განახორიცელეს: 1990 წლისათვის ერთ სულზე ინგლისში წარმოებული ელექტრობის რაოდენობა 5543 კვტ/სთ შეადგენდა, საფრანგეთში - 7442 კვტ/სთ, გერმანიაში – 7213 კვტ/სთ, იაპონიაში –6478 კვტ/სთ, აშშ–12659 კვტ/სთ.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის წარმოება ამერიკულის მოცულობას მიუახლოვდა, XX საუკუნის მე–2 ნახევარში კონტინენტის ქვეყნები მაინც არათანაბრად იყო განვითარებული. ერთ სულზე გათვლით ომისშემდგომი წლების განმავლობაში

შექმნილი საშუალო მშპ იაპონიაში ამერიკულის 84%–ია, საფრანგეთში –78%, გერმანიაში–76%, ინგლისში–70%. აშშ–ში კი ეს მაჩვენებელი საშუალოდ წლების განმავლობაში 24 302 $–ია. დღევანდელ სინამდვილეში კონკურენტული ბრძოლა უსისხლოდ მიმდინარეობს: ცნობილია საავტომობილო, საფეიქრო, ფეხსაცმლის ომები. როგორც წესი, ისინი კომპრომისებით მთავრდება. საუკუნის დასაწყისში გაკეთებული პროგნოზი იმის შესახებ, რომ ეკონომიკური განვითარების არათანაბარზომიერება იმპერიალისტურ ომებს გამოიწვევდა, არ გამართლდა, არ გამართლდა აგრეთვე წინასწარმეტყველება იმის თაობაზე, რომ ეკონომიკა სრული მონოპოლიზაციის შემდეგ თავისუფალი კონკურენციის გარეშე დარჩებოდა. უმსხვილეს, ზეეროვნულ კორპორაციების გვერდით დღეს წარმატებით ფუნქციონირებს ათასობით წვრილი და საშუალო ფორმა. არსებობს მოსაზრება, რომ ეკონომიკური განვითარების დღევანდელი ეტაპი „პოსტინდუსტრიულია“, რომლის დროსაც გადამწყვეტი სამეურნეო მნიშვნელობა წარმოების ნაცვლად მოსახურების სფეროს, განათლებას, მეცნიერებას ენიჭება, ხოლო ეკონომიკის მართვა კი ბიზნესმენების ხელიდან მეცნიერებისა და პროფესიონალების ხელში გადადის. ტექნიკურ–ეკონომიკური და თანამედროვე მეურნეობის განვითარება წარმოადგენს ისეთი დისციპლინების შესწავლას საგანს, როგორებიცაა ეკონომიკური გეოგრაფია და მსოფლიო ეკონომიკა.

§ 7. ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებები

ომისშემდგომი პერიოდი საბაზრო მეურნეობის რეგულირების მეთოდთა შეცვლით ხასიათდება. ბაზარი უკვე აღარ თამაშობს ეკონომიკის ავტომატური რეგულატორის როლს, გამსაკუთრებით კი ომებისა და კრიზისების დროს. ომისშემდგომ პერიოდში დასავლეთის ეკონომიკური პოლიტიკის ალბათ ყველაზე უფრო მთავარ ტიპს ნაციონალიზაცია წარმოადგენდა. ერთი მხრივ ეს საპასუხო რეაქცია იყო ომის პერიოდში ეკონომიკის მილიტარიზაციაზე, რომლის დროსაც მართვის სადავეები სახელმწიფოს ხელში იყო თავმოყრილი. მეორე მხრივ კი ეს უსწრაფესი ხერხია ეკონომიკის მოდერნიზაციისკენ. დაბოლოს, საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ამ ომში მსოფლიოში სოციალისტური ილუზიები გააძლიერა.

1940-1960 წწ პერიოდში ბრიტანული მთავრობის საკუთრებაში გადავიდა ქვანახშირის, მეტალურგიული, ენერგეტიკის, ელექტროტექნიკის და მნიშვნელოვანწილად მანქანათმშენებლობის დარგები. უფრო თამამად მიმდინარეობდა ნაციონალიზაცია საფრანგეთში, რომელმაც უარი თქვა საერთაშორისო მევახშეობაზე. 1950–იანი წლების ბოლოს სახელმწიფოს თითქმის მთლიანად ეკუთნოდა ქვანახშირის, გაზის, სააავტომობილო და საავიაციო დარგები, ნაწილობრივ – ნავთობის, თავდაცვის, სარკინიგზო, ტრანსპორტისა და საბანკო დარგები. მოკლედ,

სახელმწიფოს ეროვნული სიმდიდრის 40% ეკუთნოდა და მშპ 13%-ს თავის საკუთარ ქარხნებში აწარმოებდა.

ფართო სახელმწიფო სექტორის შექმნამ გამოიწვია ეროვნული მეურნეობის საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის აუცილებლობა. პირველობა აქ საფრანგეთს ეკუთნის, რომელმაც 1947-1980 წლებში ხუთი დიდი და ორი საშუალო ეროვნული სამეურნეო გეგმა შექმნა. თუ საბჭოთა კავშირში სახელმწიფო სექტორი პირდაპირ გეგმიურ დავალებებს ღებულობდა, კერძო სექტორის დაგეგმვა არაპირდაპირ ზომებს მოითხოვდა (ფასების ფიქსირება, კრედიტისა და ნედლეულის გაცემა, უცხოური ვალუტის ნორმირება და კონტროლი, ფინანსური კონტროლის სხვადასხვაგვარი ზომები და ა.შ). საფრანგეთში მაგალითად, 1960 წელს ინვესტიციები ეკონომიკაში ასე განხორციელდა: სახელმწიფომ ენერგეტიკის სფეროში ჩადებული ინვესტიციების ნახევარი საკუთარ თავზე აიღო; გარდა ამისა, სოფლის მეურნეობაში სახელმწიფომ ჩადო ყველა განხორციელებული ინვესტიციის 1/5-ზე მეტი, ტრანსპორტში - 1/4-ზე მეტი, განათლებასა და საყოფაცხოვრებო სფეროში - 1/3-ზე მეტი, დანარჩენი ინვესტიციები წარმოადგენდა საშუალოვადიან საბანკო კრედიტებს, სხვადასხვა ფონდების სახსრებს, ფასიან ქაღალდებსა და სხვა. საბჭოთა დირექტიული დაგეგმვისგან განსხვავებით, სადაც გეგმა იყო კანონი, ამ პროგრამებს ინდიკატიური, ანუ ორმხრივი სასარგებლო და არააუცილებელი ხასიათი ქონდა. ინდიკატიური

დაგეგმარება იყო სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ისეთი ჩარევის ფორმა, რომლის დროსაც მისი დემოკრატიული არსი ხელშეუხებელი რჩება. სწორედ ასეთი ჩარევის წყალობით აღადგინეს და მნიშვნელოვნად განაახლეს ომისშემდგომი ეკონომიკა დასავლეთის ქვეყნებში.

ამერიკაში სახელმწიფოს გეგმიურ-მარეგულირებელი როლი როგორც სახელმწიფო მეწარმეობით, ასევე სახელმწიფო შეკვეთებით, სამრეწველო და სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის შესყიდვით გამოიხატებოდა. სახელმწიფო მეწარმეობის (ანუ პერმამენტული სახელმწიფო სექტორის) წილი მშპ-ში 1950-1960 წლებში საშუალოდ 20% აღემატებოდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში მისი ჩარევა კი ფერმერული მეურნეობების ფასიანი კონსერვაციით გამოიხატებოდა (ჭარბი წარმოების თავიდან ასაცილებლად).

ომისშემდგომი პირველ 25 წლის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნების მეურნეობების გასახელმწიფოება დადებითად აისახა მათ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მაგრამ 70-იანი წლების ეკონომიკურმა ვარდნამ და ინფლაციის ზრდამ უჩვენა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მოცემული მოდელი შესაცვლელია. კურსის ცვლილებას განვითარებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესიც მოითხოვდა, რომელმაც შექმნა პირობები ტექნოოლოგიური ბაზის კარდინალური შეცვლისათვის. მეურნეობის ეფექტურობის მატება სახელმწიფო როლის

შემცირებას მოითხოვდა. ამისათვის მთავარმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ფართო პრივატიზაცია ჩაატარეს 1970-1980 წლებში. პრივატიზაციის არსი მდგომარეობდა კერძო პირებსა ან სააქციო საზოგადოებებისათვის კაპიტალზე სახელმწიფო საკუთრების გადაცემაში, ხოლო ძირითადი სიძნელეები კი ხანგრძლივი დროის მონაკვეთთან იყო დაკავშირებული. ამ პერიოდისათვის სახელმწიფოს ფუნქციები განისაზღვრება ფინანსებისა და კრედიტის, საგადასახადო და სატარიფო სისტემების რეგულირებით. პრივატიზაციის შედეგად გაძლიერდა მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელშიც მოსახლეობის 2/3 იყო დაკავებული.

შეიძლება ითქვას, რომ პრივატიზაცია იყო ის "ნატვრისთვალი", რომელმაც მსოფლიო ეკონომიკიური ჩიხიდან გამოიყვანა, ამიტომაც პრივატიზაციამ არა მარტო განვითრებული ქვეყნები, არამედ "მესამე სამყაროს" ქვეყნებიც მოიცვა. 1980-იანი წლების ბოლოსთვის იგი მსოფლიოს 80 ქვეყანაზე მეტში განახორციელეს. უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და კერძო საკუთრების დაბრუნებას ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება მოყვებოდა.

გერმანიასა და იაპონიაში, რომლებმაც ომი წააგეს, ომისშემდგომი მოდერნიზაცია ამერიკული ოკუპაციის ქვეშ ტარდებოდა. აქ მოხდა ეროვნული მეურნეობათა სრული ლიბერალიზაცია, რომელიც ამ დრომდე გერმანული ნაციზმისა და იაპონური იმპერიალიზმის ტოტალიტარულ

მარწუხებში იმყოფებოდა. ამიტომაც თავისუფალი მეწარმეობის გაბატონების მთავარ პირობას სახელმწიფოს დემოკრატიზაცია წარმოადგენდა. საოკუპაციო მმართველობის მიერ გარანტირებულმა დემოკრატიზაციამ უზრუნველყო "ეკონომიკური სასწაული", ანუ ამ ქვეყნების გიგანტური ნახტომი დანგრეული ეკონომიკიდან მსოფლიო ეკონომიკის მწვერვალისაკენ. გარდა ამისა, ამავე მმართველობამ ხელი შეუწყო ფსიქოლოგიურად ახალი გერმანელთა და იაპონელთა თაობის ჩამოყალიბებას, რომლებიც სამხედრო იმპერიების მონებიდან თავისუფალი ადამიანებად იქცნენ.

ახალი კრიტერიუმები

„ცივი ომის" დამთავრებამ და ინტეგრაციულმა პროცესებმა მთელი კონტინენ-ტების ეკონომიკასა თუ პოლიტიკაში დასვეს საკითხი შემდგომი ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და პერსპექტივების შესახებ. წარმოება წარმოებისათვის არ არსებობს, ეკონომიკა, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი, ცხოვრების აზრი ვერასოდეს გახდება. ამიტომაც მსოფლიოში სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა აზრი განვითარების კრიტერიუმის სპეციალური მაჩვენებლის შემოღების აუცილებლობის შესახებ, რომელსაც ექნებოდა რაოდენობრივი ფორმა, რათა შედარებადი გაეხადა სხვადასხვა ქვეყნის კეთილდღეობის დონეები. გაეროს სპეციალურ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ამ

კრიტერიუმად სამრეწველო განვითარების დონე ვერ გამოდგებოდა, როგორც ვერ ივარგებდა კრიტერიუმად მშპ-ს ანდა სამხედრო განვითარების დონე.

გაეროს კრიტერიუმები გახდა: გარემოს მდგომარეობა; ჯანდაცვა; სანიტარული პირობები; სამ-წლამდე ასაკის იმ ბავშვების ყველაზე დაბალი რაოდენობა, რომლებსაც ნორმატიულზე მცირე წონა აქვთ; სამედიცინო დახმარების გარეშე გაჩენილ ახალშობილთა დაბალი რიცხვი; იმ ბავშვების დაბალი რიცხვი, რომლებიც არ დადიან სკოლაში; ქალთა გაუნათლებლობასა და წერა-კითხვის უცოდინარ ქალთა დაბალი მაჩვენებელი და სხვა.

ამ კრიტერიუმებით შეფასებულ ქვეყანათა მოწინავე ხუთეული თითქმის ემთხვევა ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყანათა რიცხვს, ხოლო მათი რეიტინგები ყოველწლიურად იცვლება. 2017 წლისათვის ესენია: 1. ნორვეგია; 2. ავსტრალია; 3. შვეიცარია; 4. დანია; 5. ნიდერლანდები.

თავი 7. სოციალისტური სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირში

სოციალიზმის ეკონომიკა რუსეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად წარმოიქმნა, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ მოახდინა 1917 წელს. მათ თითქმის არ შეხვედრიათ წინააღმდეგობა და ამიტომ გადატრიალება სოციალისტურ რევოლუციად აქციეს - მოახდინეს საბჭოების ტოტალიტარული მმართველობის დეკლარაცია, მემამულე მიწათმფლობელობის ძალისმიერი ლიკვიდაციის დეკრეტირება და გლეხთა შორის მიწების ტოლად განაწილება. ანუ ის საკითხები, რომელსაც რუსეთი საუკუნეების მანძილზე ვერ აგვარებდა, წამებში გადაწყდა, კერძოდ: 1918 წლის ზაფხულამდე მემამულეების მიწა უკვე გაყოფილ და გადანაწილებულ იქნა.

გარდა ამისა, დაშლილი იყო თავისუფალი არჩევნების გზით მოსული დამფუძნებელი კრება, ჩაატარეს კერძო ბანკების კაპიტალის კონფისკაცია, საგარეო ვაჭრობაზე გამოაცხადეს სახელმწიფო მონოპოლია, ჩაატარეს მსხვილი მრეწველობისა და რკინიგზის ნაციონალიზაცია. ჩაატარეს გლეხებისაგან სასურსათო პროდუქტების ძალისმიერი ამოღებაც.

1918 წლის შემოდგომისთვის საბჭოთა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობამ სერიოზული ხასიათი მიიღო და ქვეყანაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ბოლშევიკებმა რუსეთში „სამხედრო კომუნიზმის“ რეჟიმი

გამოაცხადეს: მოახდინეს მთელი მრეწველობის ნაციონალიზაცია (დაწყებული სახელოსნოებიდან, რომლებშიც 5 ადამიანი მუშაობდა, იყო რაიმე ძრავა, ანდა მუშაობდა 10 ადამიანი ძრავის დახმარების გარეშე); შემოიტანეს „პროდრაზვიორსტკა“, რომლის თანახმად სახელმწფო ართმევდა გლეხს მთლიანად ხორბლის მოსავალს კვებისათვის საჭირო და სეთესლე ხორბლის გარდა; გამოაცხადეს საყოველთაო შრომითი ვალდებულება, სრულიად გააუქმეს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა და ჩაანაცვლეს იგი ნატურალური წილობრივი შრომის ანაზღაურებით, რომლიც დამოკიდებული იყო მოქალაქის ღირებულებით სახელმწიფოსათვის. ამდენად, კერძო საკუთრება ქალაქში გაუქმდა, ხოლო სოფელში კი მკაცრად შეიზღუდა.

„სამხედრო კომუნიზმი“ მიეხმარა საბჭოებს მწირი რესურსების ცენტრალიზებაში და სამოქალაქო ომში გამარჯვების მოპოვებაში, მაგრამ იგივე რეჟიმი (განსაკუთრებით პროდრაზვიორსტკა) გადაიქცა მთავარ მუხრუჭად ეკონომიკის აღდგენისას მშვიდობიანი ცხოვრების წლებში. მეზღვაურების აჯანყებამ კრონშტადში და გლეხობის მღელვარებამ რიგ რეგიონებში იძულებული გახადა საბჭოთა მთავრობა, უკან დაეხია - გაუქმებინა ეკონომიკაში შემოტანილი კომუნისტური საწყისები და დაბრუნებოდა ფულად-სასაქონლო მეურნეობას, ანუ დაეშვა კაპიტალისტური წარმოება და ვაჭრობა. კომუნისტური იდეალებიდან ამ გადახვევის ნეპ-ი, ანუ

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ეწოდა. პროდრაზვიორსტკა შეიცვალა სასურსათო გადასახადით - ჯერ ნატურალურით, შემდეგ კი ფულადით. გლეხობამ, რომელიც უკვე ფლობდა მიწას, სტიმული მიიღო მუშაობისათვის და ამიტომ საკმაოდ მალე აღადგინა თავისი მეურნეობა. ბაზარზე გამოჩნდა დიდი რაოდენობის იაფფასიანი ნედლეული და პროდუქტი. სამოქალაქო ომიდან ხუთი წლის შემდეგ ძირითადად მოხერხდა მრეწველობის აღდგენა და ვალუტის სტაბილიზაცია.

ნეპ-ის წლები სამუდამოდ დარჩა საბჭოთა ხალხის მახსოვრობაში, როგორც არნახული სიმდიდრისა და მრავლფეროვნების ხანა. მაგრამ მასაც არ შეეძლო გადაეწყვიტა ეკონომიკის მოდერნიზების ძველი რუსეთისგან შემორჩენილი პრობლემა. ამისათვის შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო ევოლუციის გზა - ანუ თავისუფალი გლეხური მეურნეობის გამდიდრება და განვითარება და კაპიტალის ნელი დაგროვება მისი შემდგომი გადაქცევით ინვესტიციებად, ან რევოლუციის გზა - ანუ გლეხობის ახალი დაკაბალება კოლექტივიზაციის მეშვეობით, კოლექტიური მეურნეობების სახელმწიფოს მხრიდან გაძარცვა და ამ გზით სამრეწველო ინვესტიციების მოპოვება. პირველი გზა არ იქნებოდა ხალხისთვის მტანჯველი, მაგრამ მოითხოვდა დროს (საშუალო წლიური ზარდის ტემპით - 2.4%), მეორე იყო ძალზე მტანჯველი, მაგრამ სწრაფი - ზრდა15-20%).

გაიმარჯვა მეორე გზამ. დასავლეთის ქვეყნებისგან 50 და100-წლიანი ჩამორჩენა უნდა დაძლეულიყო 5-10 წელიწადში. გადამწყვეტი როლი ითამაშა ბოლშევიკური მთავრობის სურვილმა, შეექმნა თანამედროვე სამხედრო მრეწველობა, ამით აემაღლებინა რუსეთის პოლიტიკური წონა და შეეყვანა იგი ზესახელმწიფოების რიგში. ამიტომაც საბჭოთა მთავრობა ძალზე უფრთხოდა ბაზარზე და მის კონიუქტურაზე დამოკიდებულებას, მას არ შეეძლო დაეშვა პროდუქციისა და ნედლეულის შემოტანაში რაიმე შეფერხება და საერთოდაც, ბოლშევიკური დოქტრინის თანახმად, არ შეიძლებოდა ეარსებნა კომუნისტური პარტიისაგან დამოუკიდებელ რომელიმე სოციალისტურ ფენას.

ამ სასტიკი სტრატეგიული ხაზის განსახორიცელებლად შემოიღეს ხუთწლიანი სამეურნეო გეგმები - ე.წ. ხუთწლედები. უმრავლესობა ამ ხუთწლედებისა განუხორციელებელი დარჩა. ოფიციალურად ისინი გადაჭარბებით შესრულებულად ცხადდებოდა, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ ჩატარებულმა სტატისტიკურმა შემოწმებამ აჩვენა, რომ არც ერთი მათგანი არ იყო შესრულებული. განსაკუთრებით ტრაგიკული ხალხისათვის პირველი ორი ხუთწლედი გახდა (1928-1932 წწ და 1933-1937 წწ), როცა სსრკ გლეხობა ძალისმიერად გააერთიანეს კოლმეურნეობებში (სამოსახლოს, საქონლისა და ინვენტარის გასაერთოებით), ხოლო მდიდარი გლეხების ასობით ათასს კი მთლიანად ჩამოერთვათ საკუთრება

(„გაკულაკება“) და ისინი გაგზავნილები იყვნენ ციმბირისა და ჩრდილოეთის შორეულ რაიონებში.

ბატონყმობის გაუქმებიდან შვიდი ათწლეულის შემდეგ საბჭოთა გლეხობა ისევ ყმებად იქცა. არსებობის საგარანტიოდ მათ გამოეყოთ 0,06 ჰა მიწა, მაგრამ აქედანაც იკრიბებოდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. ფაქტიურად აღდგა პროდრაზვიოსტიკა: სახელმწიფო ართმევდა კოლმეურნეობებს მთელ ნამატ პროდუქტს და ხშირად აუცილებელ პროდუქტსაც, ეხებოდა რა სათესლე ფონდს. შედეგებმაც არ დააყოვნა: 1932-1933 წწ სოფლად (ქალაქებში საბარათო სისტემა იყო შემოღებული) დაიწყო უსაშინლესი შიმშილობა, რომელმაც 10 მილიონი სიცოცხლე შეიწირა. ასე რომ, საბჭოთა სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია გენოციდით დაიწყო. 1930-იან წლების მეორე ნახევარში საბჭოთა მთავრობამ ისევ გააუქმა კერძო საკურება. სსრკ გახდა გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყანა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გადაიქცა სარესურსო ბაზად მრეწველობის მოდერნიზაციისათვის. ამოღებული სასოფლო-სამერუნეო პროდუქტი საზღვარგარეთ იყიდებოდა (ხშირად დემპინგით), ხოლო მიღებული ვალუტით იქნა ნაყიდი და დამონტაჟებული საბჭოთა წარმოების თანამედროვე გიგანტები: გორკის საავტომობილო ქარხანა; სტალინგრადის, ჩილიაბინსკისა და ხარკოვის სატრანსპორტო (სატანკო) ქარხნები; მაგნიტოგორსკისა და ნოვოკუზნეცის მეტალურგიული

კომბინატები, ურალმაში და ურალვაგონი, მრავალი სხვა. საბჭოთა შეკვეთებმა სამრეწველო მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებზე ბევრად შეუწყო ხელი 30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ჩაქრობას, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ქვეყნებს ბევრად არ ანაღვლებდა საბჭოთა ვალუტის წყაროები და წარმომავლობა.

მხოლოდ პირველი ხუთწლედის პერიოდში მწყობრში ჩადგა 1500 ახალი საწარმო, ლითონდამამუშავებელი ჩარხების პარკი სანახევროდ განახლდა, პროდუქციის საშუალო წლიური ნამატი თითქმის 20%-ს აღწევდა, გამოუშვევს 5 ათასი ტანკი (სარეკორდო ციფრი უკვე მშვიდობიანი დასავლეთისათვის), ათასობით სამხედრო თვითმფრინავი. პირველი ორი ხუთწლედის განმავლობაში სსრკ გახდა მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში კი პირველი ინდუსტრიული სახელმწიფო. მან სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობით უკან მოიტოვა გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი.

§ 1. ეკონომიკის ტოტალური მილიტარიზაცია

საბჭოთა სოციალისტური მეურნეობის მთავარი თავისებურება მდგომარეობდა ტოტალურ მილიტარიზაციაში, ანუ ქვეყნის ეკონომიკის სრულ დამორჩილებაში შეიარაღების გამოშვებისათვის. სამხედრო

ტექნიკის გამოშვება ყველა დროსა და ყველა სახელმწიფოში სარგებლობდა პრიორიტეტით, მაგრამ ეს ჭეშმარიტად უნიკალური შემთვხევა იყო - ომისათვის მუშაობდა მეურნეობის აბსოლუტურად ყველა დარგი, საომარი აღჭურვილობა და იარაღი საწარმოო პროდუქციის 70-80% შეადგენდა. ვინაიდან ამ წარმოებისა და მისი პროდუქციის უმრავლესობა მშვიდობიან დარგებს „ერიცხებოდა“, სსრკ საომარი ხარჯების რეალური მოცულობის განსაზღვრა დღეს არც ისე ადვილია. ეკონომკის მილიტარიზაცია იყო ძირითადი მიზეზი ისეთი დამახასიათებელი მოვლენისა საბჭოთა ეკონომიკისათვის, როგორიცაა სათადარიგო ნაწილების დეფიციტი. მართლაც და, რისთვის იყო საჭირო მათი გამოშვება, თუ ტრასქტორის ან ავტომობილის არსებობის წლები ომიის დროს დღეებით განისაზღვრება?

1970 წელს, შეიარაღებათა ესკალაციის პიკზე, საბჭოთა კავშირი ერთ სულზე აწარმოებდა 479 კგ ფოლადს, 3000 კვტ/სთ ელექტროენერგიას (ამავე წლებში აშშ-ში ეს მაჩვენებელი იყო შესაბამისად 630კგ და 7700 კვტ/სთ), მაგრამ, შეიარაღების თვალსაზრისით, სსრკ-სა და აშშ შორის არსებობდა პარიტეტი. ჩვეულებრივი მშვიდობიანი ცხოვრებისათვის მილიტარიზაციის ხარჯების მიღმა, ამერიკას მეტი სახსრები რჩებოდა, ვიდრე სსრკ-ს.

ეკონომიკის ისეთი სფეროები და დარგები, როგორებიცაა: მოხმარება, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, განათლება, ჯანდაცვა, კულტურა - არსებობდა მილიტარიზაციაზე გაწეული ხარჯების შემდგომ

დარჩენილი ფულით, ანუ ნარჩენებით. ისეთი პერსპექტიული სამეცნიერო სფროები, როგორიცაა კიბერნეტიკა ან გენეტიკა, არსებობდა მხოლოდ სამხედრო საჭიროების თვალსაზრისით.

სახალხო მეურნეობის ტოტალურმა მილიტარიზაციამ რა თქმა უნდა თავისი სიტყვა თქვა გერმანიასთან სამამულო ომში (თუმცა გამარჯვებისათვის საჭირო გახდა უზარმაზარი ეკონომიკური დახმარება, აშშ მხრიდან), მაგრამ მასშივე იმალებოდა საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისათვის დამღუპველი შედეგებიც. 1933 წელს გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ იმიტომაც გაიმარჯვა, რომ გერმანელი ამომრჩეველი დააშინეს საბჭოთა მილიტარიზმით.

ფაშისტები რუსეთისა და სლავიანობის მტრებად მოიაზრებოდნენ. სწორედ ასე გაჩნდა სსრკ-სთვის რეალური ომის საშიშროება. ხოლო ამან, თავის მხრივ, გაამლიერა საბჭოთა ეკონომიკის მილიტარიზაცია, გაამძაფრა ბოლშევიზისათვის დამახასიათებელი უნდობლობა ხალხისადმი, წარმოშვა შპიონომანია და ქვეყანამ მიიღო სასტიკი კანონი იმის შესახებ, რომ სამხედრო პირი, რომელიც ტყვედ ჩავარდებოდა, გამოცხადებულიყო სამშობლოს მოღალატედ, მისი ოჯახი კი გადასახლებულიყო. ტოტალურმა უნდობლობამ გამოიწვია ტოტალური ეჭვი და ეჭვმიტანილთა ტოტალურივე განადგურება. პირველი რიგში ეჭვმიტანილები გახდნენ

პარტიული, სახელიწიფო და სამხედრო ხელმძღვანელი კადრები. 30-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო დიდი ტერორი, რომლის მხვერპლად იქცა მილიონობით საბჭოთა ადამიანი და მათი ოჯახები. ტერორმა გამოიწვია ნამდვილი საკადრო რევოლუცია, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, ვინაიდან ახალი კადრები განადგურებულებს ჩამორჩებოდა როგორც პროფესიული, ასევე კულტურული თვალსაზრისით.

ეკონომიკის ტოტალურმა მილიტარიზაციამ წარმოშვა სოციალიზმისათვის დამახასიათებელი მოხამრების კრიზისი: მიწოდების სტაბილური ჩამორჩენა გადახდისუნარიანი მოთხოვნისგან (საპირისპიროდ: კაპიტალიზმის დროს არსებული მოთხოვნა სტაბილურად ჩამორჩებოდა მიწოდებას). საბჭოთა დროში, რომელიც 73 წლის განმავლობაში გაგრძელდა, ეს ფენომენი სხვადსხვა სახით გამოიხატებოდა: საბარათო სისტემა, ზოგიერთ პროდუქტზე ტალონები, მუდმივი რიგები მაღაზიებში; ამავდროულად რაც უფრო გამოსადეგი იყო ადამიანი სისტემისათვის, მით ადვილად აგვარებდა იგი დეფიციტის პრობლემას. სსრკ მიაღწია არნახულ სამხედრო სიმძავლეს, მას შეეძლო 30 წთ-ის განმავლობაში მსოფლიოს განადგურება და ამავე დროს იგი საკუთარ მოსავალს ვერ უვლიდა. 1963 წლიდან დაწყებული 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სსრკ პურს კანადაში და აშშ-ში ყიდულობდა, ხოლო საკუთარი პური და ბოსტნეული მასიურად

ეღუპებოდა თოვლის ქვეშ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ გაეროს პარამეტრებით კანადა და აშშ იკავებდა პირველსა და მეორეს, ხოლო რუსეთი მხოლოდ 47-ე ადგილს.

60-იან წლებში საბჭოთა კავშირში ფუნქციონირება დაიწყო დასავლეთ ციმბირის ახალმა ნავთობგადამამუშავებელმა საწარმოებმა. 70-იან წლებში ნავთობზე ფასებმა მსოფლიო ბაზარზე ათმაგად აიწია. ამის წყალობით ქვეყანამ ასობით მილიარდი დოლარი მიიღო. ეს მილიარდები, სამწუხაროდ სამხედრო ტექნიკის დახვეწასა და ავღანეთის, ანგოლისა და ეთიოპიის მილიტარისტული რეჟიმების გამაგრებას მოხმარდა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში უამრავი თანამედროვე მოწყობილობა იქნა შეძენილი, საინვესტიციო პროცესმა მაინც ვერ მოახერხა გაძლიერება: კაპიტალური მშენებლობა ვერ ასწრებდა ახალი საამქროების აგებას. შედეგად ახალი ტექნიკა მორალურად და ფიზიკურად ამორტიზირდებოდა. 70-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა პრაქტიკულად შეწყდა.

მილიტარიზაცია ცდილობდა, ხალხის შემეცნებაში გაემართლებინა საკუთარი თავი, ამიტომ ყველანაირად აფუძნებდა აზრს, რომ დეფიციტი არის ხალხისგან საჭირო მსხვერპლი სამშობლოს დასაცავად. „მსხვერპლშეწირვის“ 60-იანი წლების ძირითადი იდეა 70-იან წლებში სტაბილურობის იდეამ შეცვალა. ხალხის ფართო მასებისთვის საგარეო საშიშროების მოსაზრება მართლაც უდიდეს როლს თამაშობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში

შეუძლებელი იქნებოდა მილიტარიზაციის ფანტასტიკური დონე, 80-იანი წლების ავღანეთის ომი, რომელიც ქვეყანას 10 მილიონი სიცოცხლე დაუჯდა,

ეკონომიკის მოდერნიზაციასთან ერთად მოხდა ეკლესიის ცვლილებაც. 30-იანი წლებისათვის იგი თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული. მართლმადიდებლური სარწმუნოების ნაცვლად წარმოიქმნა ბოლშევიკური სწავლება (გაუბრალოებული მარქსიზმი), რომელიც ხასიათდებოდა არნახულად ჰიპერტროფირებული პიროვნების კულტით. ეს მოძღვრება ამა თუ იმ დოზით ყველა საბჭოთა ადამიანს უნდა შეესწავლა. მაგრამ ბოლშევიკური ეთიკით საბჭოთა ადამიანი მხოლოდ პუბლიკისათვის დასანახად სარგებლობდა. პირად ცხოვრებაში კი ჩვეულებრივი საღი აზრი ბატონობდა, რომელიც მოსახლეობას აძლევდა საშუალებას, გაედიდებინა ის მიზერული შემოსავლები, რომელსაც სახელმწიფო აძლევდა. სწორედ ეს გახდა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ჯერ მცირე, შემდეგ დიდმასშტაბიანი ქურდობისა და ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის მიზეზი.

ორმაგი აზროვნება და ორმაგი სტანდარტები მეურნეობრიობაში გახდა საბჭოთა ცხოვრების ძირითადი და უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი. იატაკქვეშა მილიონერები, მოისყიდდნენ რა ხელისუფლებას, ქმნიდნენ მაფიოზურ სტრუქტურებს, რომლებიც დომინირებდნენ გასაღების ბაზარზე. ლეგალური შემოსავლების სიმცირემ

წარმოშვა პროფესიული ქურდების დიდი ფენა, რომლებიც თავისი კანონებით ცხოვრობდა. სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ ისინი გაერთიანდნენ მაფიოზურ დაჯგუფებებთან, შექმნეს უმუშევარი ახალგაზრდების ნახევარმილიონიანი საიდუმლო არმია და თავისუფალი თარეში დაიწყეს ქვეყანაში. არსებობს მოსაზრება, რომ საერთო ჯამში ხდებოდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 10-12%-ის დატაცება.

§ 2. გარდაქმნა („პერესტროიკა“)

რამდენადაც მძლავრია მილიტარიზებული ეკონომიკა, იმდენად არამდგრადიც: პოტენციურ მოწინააღმდეგესთან რომელიმე გადამწყვეტ პუნქტში წაგების შემთხვევაში მთლიანად იმსხვრევა, ამიტომაც შეიარაღების შემდგომი დაგროვება, ისევე, როგორც ხალხის მიერ ამისათვის გაღებული მსხვერპლი, აზრს მოკლებული ხდება. საჭიროა მთელი სისტემის გარდაქმნა. სწორედ ასე მოხდა საბჭოთა კავშირშიც, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სუპერსახელმწიფოდ იქცა. იგი ბატონობდა ათეულობით სოციალისტურ ქვეყანაზე ადრიატიკის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე.

სსრკ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი სისხლს სწოვდა სახალხო მეურნეობას (მაგალითად: პირველი ატომური ბომბი ღირდა იმდენივე, რაც მთელი სამამულო ომი) და შეძლო გათანაბრება აშშ-თან სარაკეტო ბირთვულ

შეიარაღებაში, მაგრამ უძლური აღმოჩნდა საბჭოთა ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგოდ შექმნილი ამერიკული ლაზერული ფარის წინაშე. „ვარსკვლავური ომების“ წარმოქმნის იდეამ 80-იანებში აზრი დაუკარგა არსებული შეიარაღების უმეტეს ნაწილს და ეკონომიკის შემდგომი მილიტარიზაციაც გაუმართლებლად უაზრო აღმოჩნდა. გამართლების გარეშე დარჩა თვით ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმიც. ყველაფერი, რაც ამას მოყვა, გარდაუვალი იყო: დაიწყო „პერესტროიკა“ და საბჭოთა კავშირი დაიშალა.

მაგრამ ხალხის იმედი უკეთეს ცხოვრებაზე ვერ ახდა. თუმცა ახალმა მთავრობებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში სწრაფად მოახერხეს სამომხმარებლო ბაზრის შევსება ფასების ლიბერალიზაციის გზით, ეს მიღწეულ იქნა მილიონობით ადამიანის დანაზოგის საფასურად. სოციალურ - ეკონომიკური გარდაქმნები ყოველგვარი სტრატეგული მოდელისა და კომპენსაციის გარეშე მიმდინარეობდა. ჩატარდა ნაჩქარევი პრივატიზაცია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საწარმოთა აქციების „ლომის წილმა“ სადირეტორო კორპუსის ხელში მოიყარა თავი. აქციის ახალი მფლობელები კი გამოუცდელნი აღმოჩნდნენ კონკურენციისა და ბაზრის პირობებისათვის. ამას თან დაერთო დირექტორატის მიერ საკუთარი თავისათვის „დანიშნული“ მაღალი ხელფასები და საწარმოებმა კოსმოსური სისწრაფით იწყეს გაკოტრება.

რუსეთში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის თანდათანობითი კონვერსია ხდებოდა, მის მიერ გამოშვებული პროდუციის 70% უკვე სამოქალაქო საქონელი იყო. სახელმწიფო კვლავაც რჩებოდა ქვეყანაში ყველაზე მსხვილ მესაკუთრედ, მაგრამ თავის საკუთრებას არაეფექტურად მართავდა. მრეწველობის სუბიექტთა მთელ რიგს დიდი საგადასახადო შეღავათები ქონდა მინიჭებული, რის შედეგადაც გადასახადების დიდი რაოდენობა გვერდს უვლიდა ფედერალურ ბიუჯეტს. სამი ე.წ. ბუნებრივი მონოპოლია: ენერგიაზე, საწვავზე და გადაზიდვებზე (გაზპრომი, რუსეთის ერთიანი ქსელები) მაღალი ტარიფებით პრაქტიკულად ახრჩობდნენ თავისუფალ კონკურენციას.

სოფლად საკოლმეურნეო წარმოების გააქციონერება ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ფაქტიურად კი ყოფილი ხელისუფლების ხელში იყო დარჩენილი. მიზეზები, ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა: კონვერსირებულმა და სახეცვლილმა სამხედრო კომლექსმა ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების არსებობის ბოლო წლებში მოასწრო საკუთარ საწარმოებში სოფლის სოციალურად აქტიური მოსახლეობის უმრავლესობის ნებაყოფლობით დასაქმება, ხოლო დანარჩენი სოფლელების ცხოვრება კი მთლიანად გახდა დამოკიდებული გამდიდრებულსა და ფაქტიურად უკონტროლო ხელმძღვანელობაზე. მარცვლოვანთა წარმოების მაჩვენებელი ძალზე უმნიშვნელო იყო, მით უმეტეს ამ სფეროს გიგანტების -

უკრაინისა და ყაზახეთის გამოყოფის შემდეგ. იგი სულ რაღაც 13 ცენტნერს შეადგენდა 1 ჰექტარზე. ფერმერები და, საერთოდ სოფლის მეურნეობის ყველა კერძო მესაკუთრე, - ყოფილი კოლმეურნეები საკუთარ მიწებზე და ქალაქელი დამსვენებლები თავის ნაკვეთებში, - მნიშვნლოვანწილად არაფორმალური ეკონომიკას წარმოადგენდნენ. ისინი აწარმოებდენ ქვეყანაში ხორცის, რძის, ხილისა და ბოსტნეულის ნახევარზე მეტს, მაგრამ ფარავდნენ თავის მწარმოებლურობას, ემალებოდნენ რა მაღალ გადასახადებს. კიდევ ერთი მიზეზი იყო მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობა და ნორმალური სასოფლო-სამეურნეო კრედიტების ხელმიუწვდომლობა.

არსობრივად ქვეყანაში მეორედ ხდებოდა კაპიტალის პირველადი დაგროვება, ანუ ეტაპი, რომელიც იგივე რუსეთმა და ევროპამ XVI-XVIII საუკუნეებში გაიარეს. ამჯერადაც ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად ძალისმიერი იყო, მაგრამ არა მიწის შემოღობვის ან კოლონიალიზმის, არამედ ეკონომიკის კრიმინალიზაციის გამო.

მიღებულია ჩაითვალოს, რომ ოფიციალური ეკონომიკის მიღმა, ჩრდილოვან სექტორში იწარმოებოდა მშპ 20%. საკრედიტო-საფინანსო სფეროში დაახლოებით ათასამდე კრიმინალური ორგანიზებული დაჯგუფება მოქმედებდა. მათში შედიოდნენ თაღლითური ფინანსური კომპანიები, რომლებმაც კლიენტების კუთნილი 20 ტრილიონი მანეთის მითვისება მოახერხეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კლიენტების რაოდენობა 89

მილიონი იყო, გამოდის, რომ ერთ საშუალო შენატანის ღირებულება 225 ათას მანეთს უდრიდა, ე.ი. „დაყაჩაღებული“ აღმოჩნდა საზოგადების ყველაზე უქონელი ფენა. კრიმინალურ ეკონომიკას მიეკუთნება, აგრეთვე, იატაკქვეშა ბანკებიც, რომლებშიც ხდებოდა ქურდობიდან, პროსტიტუციიდან, რეკეტიდან და სათამაშო ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება. ეს ბანკები შეიარაღებული ბანდების დაცვის ქვეშ ახორიცელებდა მცირე ბიზნესის დაკრედიტებას. ამავე „კამპანიის“ წევრები იყვნენ ბიზნესმენები, რომლებიც არ აბრუნებენ ქვეყანაში საზღვარგარეთულ შემოსავლებს და არამიზნობრივად იყენებდნენ სახელმწიფო კრედიტს; მექრთამეები სახელმწიფო აპარატიდან; არმიის შეიარაღების დამტაცებლები; უაქციზო სპირტისა ან სხვა საქონლის მწარმოებლები და ამ ჯურის მრავალი სხვა დამრღვევი. 1996 წლიდან „მოპარული“ იყო ხელშეკრულებათა 40%. სწორედ ამ მიზეზით ლეგალურ ეკონომიკას ფულადი მასა მიმოქცევის მხოლოდ 20%-ს ყოფნიდა. ლეგალური მიმოქცევა მნიშვნელოვანწილად ბარტერული (ანუ ნატურალური)გახდა. ამის შედეგი იყო ქრონიკული დავალიანება ხელფასებში, პენსიებში და სხვა სახის გასაცემ თანხებში.

ეკონომიკის კრიმინალიზაციამ გაუქრო ხალხს ინვესტირების სურვილი. ეს კი ძალზე მნივშნელვოანი თანხაა. იმ დროისათვის ხალხის ხელში 30-დან 60 მილიარდამდე დოლარი იყო თავმოყრილი. ქვეყნის

არასტაბილური სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა აფრთხობდა დასავლელ ინვესტორებს. ყოველივე ამის ბუნებრივი შედეგი გახდა წარმოების ვარდნა. 1992-1996 წლებში მშპ 28%-ით დაეცა. შედარებისათვის: სამოქალაქო ომის დროს იგი 23%, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს კი - 21%-ით შემცირდა. რუსეთი ცხოვრობდა გაზის, ნავთობის, ლითონების, ტყისა და უახლესი იარაღის ექსპორტით და სამომხმარებლო საქონლის იმპორტით. წარმოება, უმეტესწილად, წამგებიანი იყო. ყველაზე დიდ შემოსავალი მოქონდა ვაჭრობას, განსაკუთრებით ვალუტით, უძრავი ქონებით, თხევადი სათბობით, უაქციზო სპირტით, საბანკო საქმეს, სახელმწიფო მოხელეობას (ქრთამები); საბირჟო ბროკერობასა და უბრალოდ ქურდობას.

ამგვარად, სახალხო მეურნეობის ჰარმონიული განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება ახალ რუსეთში, პირველ რიგში, ორი ურთიერდაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტასთან იყო მისადაგებული - კრიმინალური ბიზნესის ლიკვიდაცია და ინვესტიციური პროცესის დარეგულირება.

§ 3. „პერესტროიკის“ კრიზისი და სსრკ დაშლა

1989-1990 წლების ეკონომიკის კრიზისულმა მდგომარეობამ და გორბაჩოვის მთავრობის ერთგვარმა დაბნეულობამ, რომელმაც ვერ გაიგო, რა გზას უნდა

დადგომოდა, საზოგადოებაში ფართო დისკუსიები გამოიწვია. შემუშავებულ იქნა მსხვილი ეკონომიკური პროგრამების მთელი რიგი. თუმცა დისკუსიის მსვლელობის პროცესში აშკარა გახდა ბაზრისა და თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციების შესახებ ცოდნის ნაკლებობა. ნიშანდობლივია, რომ ამ დროისათის დისკუსიის მონაწილეები უკვე გათავისუფლებული იყვნენ მარქსისტული დოგმებისაგან.

1989 წლის ოქტომბერში სსრკ მინისტრთა საბჭოსთან შექმნილმა ეკონომიკური რეფორმის სახელმწიფო კომისიამ, აკადემიკოსი გ. აბალკინის ხელმძღვანელობით, წარმოადგინა პროგრამა, რომელიშიც მოხდა უამრავი დოგმის უარყოფა: აღიარებულ იქნა ბაზრის უპირატესობა სახელმწიფო გეგმაზე, თავისუფალი ფასების, კონკურენციისა და ვალუტის კონვერტაციის აუცილებლობა.

მაგრამ ამ გეგმის განხორციელება მოითხოვდა გარდაქმნების თანმიმდევრულობას და პოლიტიკურ სტაბილურობას, რაც აშკარად არ შეესაბამებოდა ქვეყანაში ჩამოყალიბებულ სიტუაციას.

1990 წლის თებერვალში გამოჩნდა რადიკალური „400-დღიანი პროგრამა“, რომელიც წარმოადგინა ავტორთა კოლექტივმა გ.იავლინსკის, მ.ზადორნოვისა და ა. მიხაილოვის შემადგენლობით. პოლონელი ეკონომისტის, ლეშეკ ბალცეროვიჩის მეთაურობით ჩატარებული „შოკური თერაპიის“ მაგალითისა და გამოცდილების გამოყენებით.

ავტორები აპირებდნენ ქვეყნის გადაყვანას საბაზრო რელსებზე 400 დღის განმავლობაში და ამისათის გეგმავდნენ მასიური პრივატიზაციისა და ფასების ელვისებური ლიბერალიზაციის გამოყენებას. ამავე წლის ზაფხულში ეს პროგრამა, გადამუშავებული და ახლებურად დასათაურებული („500 დღე“), პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

ამ დროისათვის მ. გორბაჩოვი, რომელიც ჭოჭმანობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბოლოო სტრატეგიისა და მოკავშირეების ამორჩევაში, მოწინააღმდეგეთა კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. მას უტევდნენ როგორც „მარცხნიდან“, ასევე „მარჯვნიდან“. „დემოკრატები“ ადანაშაულებდნენ მას გამბედაობის უქონლობასა და არათანმიმდევრულობაში, ხოლო კონსერვატორი კომუნისტები კი - „სოციალიზმის საქმის ღალატსა და ბურჟუაზიულ გადაგვარებაში“.

1990 წლის 31 ივლისს გორბაჩოვი, რომელიც ნაკლებად ენდობოდა დემოკრატიულ ფრთას, შეხვდა ბორის ელცინს და მოელაპარაკა მას სახელმწიფოს შექმნილი პოგრამის ალტერნატივის შემუშავების შესახებ. ამისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც ხემძღვანელობდა აკადემიკოსი ს.შატალინი, რომელმაც მოამზადა ალტერნატიული პროგრამა „500 დღე“. ამ უკანასკნელის ერთგვარად უტოპიური ხასიათის მიუხედავად, რომელიც განსაკუთრებით საბაზრო სისტემაზე გადასვლის ვადებს ეხებოდა, იგი მაინც ქმნიდა პირობებს ეკონომიკური

რეფორმების შემდგომი რადიკალიზაციისათვის და, ამის საფუძველზე, დემოკრატიული ძალების გაერთიანებისთვის „როგორც ცენტრში, ისე მოკავშირე რესპუბლიკებში“.

არ ენდობოდა რა არც დემოკრატებს და არც საბაზრო სისტემას, 1990 წლის ოქტომბერში, კონსერვატორთა ზეწოლის შედეგად, გორბაჩოვმა უარი განაცხადა რეფორმის მხარდაჭერაზე. ამდენად, დემოკრატებთან ცოტა ხნის წინ ძალისძალად შეკოწიწებული კოალიცია მყისიერად იქნა ლიკვიდირებული, ხოლო ეკონომიკური კრიზისიდან მშვიდობიანი გამოსვლის შანსი კი სამუდამოდ დაკარგული. ზოგიერთი უმნიშვნელო ეკონომიკური ელემენტი გარდაიქმნა, მაგრამ საერთო ჯამში, საკავშირო ხელმძღვანელობამ ფაქტიურად უარყო პრივატიზაცია და საბაზრო სისტემა. იმისათვის, რომ სახელმწიფო ეხსნათ მომენტალური ფინანსური კატასტროფისაგან, ამოქმედებულ იქნა უკანასკნელი „ხელშეუხებელი რეზერვი“.

ჯერ კიდევ 1990 წლის მაისში, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ.რიჟკოვმა, განაცხადა ფასების მატების შესახებ, მაგრამ საყოველთაო აღშფოთების ტალღის წინაშე შედრკა და უკან დაიხია. 1991 წელს, უკვე ახალმა პრემიერმა, ვ.პავლოვმა, ჩაატარა მოულოდნელი ფულის რეფორმა - 50 და 100 რუბლიანი კუპიურების გაცვლა. მაგრამ რეფორმის „კონფისკაციური“ ეფექტი პრაქტიკულად უმნიშვნელო იყო, ვინაიდან ვადები უფრო შემჭიდროვებული უნდა

ყოფილიყო, ნაცვლად ამისა კი პავლოვმა ის გაახანგრძლივა. ამ რეფორმამ საკავშირო მმართველობის ისედაც დაკნინებული იმიჯი საბოლოოდ შეარყია. მაგრამ პავლოვს ჯერ კიდევ არ ქონდა ამოწურული საკუთარი „კრეატიული შესაძლებლობები“. 1991 წლის იანვარში მან გაათავისუფლა ჯერ საბითუმო ფასები, ხოლო აპრილში კი - საცალოც. ანუ, რიჟკოვის „ჩანაფიქრი“ პავლოვმა განახორციელა და 1991 წლის გაზაფხულზე სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასებმა მოიმატა. სამწუხარო იყო ის, რომ ეკონომიკის ძირითადი კანონების უცოდინარობის შედეგად, სახელმწიფომ ამის პარალელურად გაზარდა სახელმწიფო დოტაციების, ხელფასებისა და სოციალური დახმარებების მოცულობაც. სხვა სიტყვებით, ფასების ზრდის ეფექტი სრულიად იქნა განეიტრალებული დოტაციების მასშტაბით.

პოლიტიკურ სფეროში ამას შეესაბამებოდა კონსერვატიული კურსი, რომელიც გულისხმობდა მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობი-სადმი ლტოლვის ძალისმიერ ჩახშობას. მაგრამ თბილისში (1989 წელი) და ვილნუსში (1991 წელი) მომხმდარმა სისხლიანმა მოვლენებმა უკუეფექტი იქონია და იძულებული გახადა გორბაჩოვი, ძალის გამოყენებაზე უარი ეთქვა. მოკავშირეებისგან შემდგარი სახელმწიფოს უკვე დაწყებული კოლაფსისა და მასიური სახალხო გამოსვლების თავიდან აცილებისათვის აუცილებელი გახდა მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან სასწრაფო მოლაპარაკება და გორბაჩოვმა კვლავ შეიცვალა კურსი.

1991 წლის 23 აპრილს იგი შეხვდა 9 რესპუბლიკის ხელმძღვანელს ნოვო-ოგარიოვოში, სადაც ახალი საკავშირო ხელშეკრულების პროექტი შემუშავდა (უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებას, ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის გარდა, ყველა ეთანხმებოდა, მათ შორის, საქართველოც).

ხელშეკრულების რატიფიკაცია 1991 წლის წლის აგვისტოში იქნა დაგეგმილი, მაგრამ ამას ხელი შეუშალა 18-22 აგვისტოს განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელმა მცდელობამ. მან შეცვალა ძალთა განლაგება. კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანე-ლობდა და სათავეში ედგა პუტჩს, იქნა აკრძალული. ცენტრში ძალაუფლება მთლიანად რუსეთის ხელმძღვანელობის ხელში იქნა კონსოლიდირე-ბული, ხოლო გორბჩოვი, როგორც სსრკ პრეზიდენტი, დეკორატიული როლის შემსრულებლად იქცა. პუტჩის შემდეგ რესპუბლიკების უმრავლესობამ შეთანხმებაზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა.

1991 წლის დეკემბერში, სსრკ დამფუძნებელი ქვეყნები - რუსეთი, უკრაინა და ბელორუსი აცხადებენ 1922 წელს მიღებული საკავშირო ხელშეკრულების გაუქმებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახებ, რომელშიც შევიდა ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა ბალტიისპირეთის სამი ქვეყნისა და საქართველოს გარდა. სსრკ პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, მიხეილ გორბაჩოვი გადადგა, საბჭოთა კავშირმა კი არსებობა შეწყვიტა.

პოლიტიკურ კატასტროფას თან ერთვოდა ეკონომიკურიც. არსებითად, სწორედ ის გახდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ადმინისტრაციულ-ბრძანებითი სისტემის ჩამოშლა.

უკვე 80-იანი წლების ბოლოს გახდა ნათელი, რომ ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ღრმა ჭაობში იძირებოდა. დაწყებული 1989 წლიდან, იკლებდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პოტენციალი. 1990 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები 80-იანი წლების ნიშნულამდე დაეცა. სამრეწველო პროდუქციის წარმოებული მოცულობის კლება 1991 წელსაც გაგრძელდა, მაგრამ გაცილებით სწრაფად. საკავშირო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ 20%-ს გაუტოლდა. ინფლაცია გახდა აშკარა და მზარდი. 1991 წლის ბოლოსთვის საბჭოური რუბლი უფასურდებოდა კვირაში 25%-ით. შესაბამისად ხდებოდა რუბლის კურსის დაცემაც: თუკი 1991 წლის დასაწყისში 1 აშშ დოლარი 10 რუბლი ღირდა, წლის ბოლოს მისმა ფასმა 110-120 რუბლს მიაღწია. სამომხმარებლო ბაზარი განადგურდა, ხოლო ქვეყნის ოქროს სავალუტო რეზერვი - თითქმის განულდა.

სსრკ საგარეო-პოლიტიკური კურსი ეკონომიკური რეფორმებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა. თავის დროზე, აცნობიერებდა რა სსრკ ჩამორჩენილობას სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში და იმას, რომ საბჭოთა ეკონომიკა უბრალოდ ვეღარ უძლებდა ცივი ომის

კოლოსალურ ტვირთს, გორბაჩოვის მთავრობამ რადიკალურად გააუმჯობესა დასავლურ ქვეყნებთან ურთიერთობა. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა შეიარაღების ესკალაციის ოდნავი შენელება. მაგრამ ამ ვითარებაშიც კი 1990 წელს ოფიციალურად აღიარებულმა სამხედრო ხარჯებმა სსრკ ბიუჯეტის ¼-ზე მაღალი ნიშნული გადალახა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1986 წელს დასავლეთის ქვეყნებიდან სსრკ-ში მომართულ იქნა კრედიტების არნახული რაოდენობა, რომელიც ხელმძღვანელობამ არა სტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად, არამედ საბიუჯეტო დეფიციტის დაფარად გამოიყენა. ამავე დროს, დასავლური წყაროების მიხედვით, სსრკ წმინდა საგარეო ვალმა კონვერტირებად ვალუტაში 1985-1991 წწ პერიოდში 18,3 მლრდ. რუბლიდან 56,5 მლრდ. რუბლს მიაღწია. 80-იან წლებში საგარეო ვალის მომსახურება საბჭოთა ეკონომიკისათვის დაუძლეველ პრობლემაად იქცა, ხოლო 1991 წელს ვალის მომსახურების ფაქტიურმა დანახარჯებმა საბჭოთა ეკონომიკისათვის მიუწვდომელ ასტრონომიულ მნიშვნელობას მიაღწია (16,7 მლრდ. დოლარი). 1989 წლის ბოლოდან სსრკ დაიწყო ზოგიერთი ვალისათვის გადასახდელების დაგვიანება.1991 წლის ბოლოსთვის გადავადებული დავალიანება 6 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. ამდენად, სსრკ პროდუქტიულად ვერ გამოიყენა დასავლეთის დახმარება და, ფაქტიურად, გაკოტრდა.

„პერესტროიკის“ კრახი, რომელმაც სოციალიზმის ლიკვიდაცია და სსრკ დაშლა გამოიწვია, დღემდე რჩება დისკუსიის საგნად. შეიძლებოდა თუ არა კატასტროფისგან თავის დაღწევა და ქვეყნის ისეთი სახით შენარჩუნება, რომელიც მისაღები გახდებოდა ყველასთვის? და მთავარი კითხვა - შეიძლებოდა თუ არა სსრკ ეკონომიკის უმტკივნეულო რეფორმირება?

გორბაჩოვის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის დღეს უკვე ნათელი მრავალრიცხოვანი შეცდომა და იგივე ამოცანების გადაწყვეტისას ჩინეთის მნიშვნელოვანი წარმატებები თითქოსდა ცხადყოფს ამაზე პასუხს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩინეთს აქვს მონოეროვნული მოსახლეობა და ისიც, რომ რეფორმირება ჩინეთში ჯერაც არ დამთავრებულა. გარდა ამისა, ჩინეთის მოსახლეობის მხრიდან სოციალური უკმაყოფილების მასობრივი გამოვლინების რამდენიმე შემთხვევა ჩრდილს აყენებს იმ წარმატებებს, რომელსაც ჩინეთმა გარეგნულად მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ-ში შექმნილი სოციალიზმის არსებობის ვადები ორჯერ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ჩინურის. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, მეტი დისპროპორცია განაპირობა საბჭოთა ეკონომიკაში, ვიდრე სხვა ქვეყნებში (მაგალითად, მრეწველობის ხვედრითმა წონამ მშპ-ში 1991 წელს 48% შეადგინა, რაც ბევრად ჭარბობდა სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო მომსახურების ხვედრითი წონა კი მხოლოდ 39% იყო).

გლეხურ-კონფუციურ ჩინეთთან შედარებით, სსრკ-ში გაცილებით მეტი და ბევრად მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა როგორც სოციალურ სტრუქტურაში, ასევე ხალხის მასობრივ ფსიქოლოგიაში: ურბანიზებული ქვეყანა და გლეხის გარეშე დარჩენილი სოფლები, „ვაჭრუკანებისა“ და „სპეკულანტებისადმი“ სიძულვილი და ა.შ. თუ მხედველობაში მივიღებთ მარქსიზმის ტოტალურ ზეობასა და საბაზრო ეკონომიკის სპეციალისტების არარსებობას, გორბაჩოვი შეიძლება დავადანაშაულოთ მხოლოდ ზედმეტ იდეალიზმსა და სოციალისტური ეკონომიკის რეალური მექანიზმების უცოდინარობაში.

სსრკ-სა და ჩინეთში მიმდინარე რეფორმების მაშინდელ ლიდერებში თითქოს პერსონიფიცირდა ხარისხობრივი განსხვავებები ქვეყნების ეკონომიკასა და კულტურაში: მსოფლიო დონის პოლიტიკოსი, ორი უმაღლესი განათლების მქონე გორბაჩოვი და საშუალოზე ნაკლებად განათლებული დენ სიაო პინი, რომელიც, სამაგიეროდ, დაჯილდოვებული იყო საღი აზრით, რეალობის შეგრძნებით და, რაც მთავარია, რომელსაც ქონდა დასავლეთში მუშაობის გამოცდილება და „პირადად იცნობდა“ საბაზრო ეკონომიკას.

ამდენად, სსრკ კრახი და დაშლა მაინც გარდაუვალი იყო, ხოლო გორბაჩოვისეულ რეფორმას კი ისტორია მისცემს სათანადო შეფასებას.

ბოლოთქმა

ჩვენი საზოგადოების სულიერი განახლების ერთერთი ნიშანი ისტორიისადმი გაზრდილი ინტერესია. ეკონომიკურ მეცნიერებაში მიმდინარეობს ისტორიული მახსოვრობის განახლების კანონზომიერი პროცესი, ვინაიდან მეცნიერების სხვა დარგებთან შედარებით, სწორედ ეკონომიკის ისტორია დაზარალდა ისტორიული ფესვების განადგურების მცდელობისაგან. ბუნებრივია, ეკონომიკური თეორიის თანამედროვე ფაქტოლოგიურ და მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას ესაჭიროება არა მხოლოდ ცალკეული ფაქტების, არამედ ეკონომიკური განვითარების სურათის, ეკონომიკური თეორიებისა და კონცეფციების მთლიანი რეკონსტრუქცია. ეს მოგვცემს საშუალებას, შეგნებულად შევარჩიოთ ქვეყნის განვითარების გზა და ინსტრუმენტები.

შეთავაზებული ნაშრომის ჩარჩოებში განხილულია კაცობრიობის მეურნეობრიობა ყველა დარგის მაგალითზე, ესაა წარმოების დარგები, კრედიტი, ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, მეურნეობის ფორმები, ეკონომიკური ყოფაცხოვრება და მეურნეობის კულტურა.

ეკონომიკის ისტორია წარმოადგენს სხვადასხვა ეპოქაში საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ძირითადი კანონზომიერებებისა და თავისებურებების, უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რეფორმებისა და მოწინავე ქვეყნების მიერ განხორციელებული ეკონომიკური

პოლიტიკის შესწავლისა და სიღრმისეული წვდომის გასაღებს. გარდა ამისა, იგი იძლევა გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ტენდენციების დანახვის საშუალებას, რის გარეშეც შეუძლებელია მომავლის პროგნოზირება.

ეკონომიკის ისტორია მოწოდებულია, მოახდინოს მეთოდოლოგიური კულტურის ფორმირება, რომელიც ადამიანს იცავს ნებისმიერი თეორიული დებულების აბსოლუტიზაციისა და დოგმატიზაციისაგან და ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების მოცულობით ხედვას, რაციონალურად გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებას პრაქტიკაში.

ითვალისწინებდნენ რა ქართულ სამეცნიერო სივრცეში ამ თემატიკისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ნაკლებობას, ავტორების მთავარ მიზანს მეთოდური უზრუნველყოფის კომპლექსურობა წარმოადგენდა.

სახალისო ტესტირება

1. **თანამედროვე ადამიანის ეკონომიკის ასაკია**
   - 500 000 წელი
   - 320 000 წელი
   - 80 000 წელი
   - 40 000წელი
2. **რომელ რელიგიას ახასიათებს საქმიანი წარმატების გაღმერთება?**
   - მართლმადიდებლობას
   - კათოლიკობას
   - პროტესტანტიზმს
   - ისლამს
3. **ნამგლის თავდაპირველი დანიშნულება იყო**
   - სასოფლო-სამეურნეო
   - სამხედრო
   - რიტუალური
   - სამრეწველო
4. **ადამიანის პირველი სიმბიოზი მოხდა**
   - ცხენთან
   - ძაღლთან
   - მარცვლოვან კულტურებთან
   - ცხვართან
5. **ყველა მთიული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია**
   - ბარზე თავდასხმა
   - ახალგაზრდობის გადინება

- □ საქონლის სულადობის ზრდა
- □ სახნავების გაფართოება

6. **მონადირეთა ეკონომიკისათვის მთავარი პრობლემაა**
   - □ ზონის გამჭვირვალე საზღვრები
   - □ ხელახალი რეწვა
   - □ ომები
   - □ მდინარეები
7. **მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაზე ყველაზე დიდ გავლენა ამ ხალხის მიგრაციამ იქონია:**
   - □ ჰუნები
   - □ უნგრელები
   - □ მონღოლები
   - □ თურქები
8. **ვინ იყო სამხედროვალდებული ანტიკურ სახელმწიფოში?**
   - □ მონები
   - □ ყველა თავისუფალი მამაკაცი
   - □ დაქირავებული ჯარისკაცები
   - □ წილყრით
9. **ადამიანის მეურნეობის ბუნებრივი ტიპია:**
   - □ მემცენარეობა
   - □ მეცხოველეობა
   - □ ხელოსნობა
   - □ შემგროვებლობა
10. **ექსპერიმენტის თანახმად, რამდენი დრო დასჭირდება ქვის ნაჯახის დამზადებას?**

- ერთი თვე
- ორი კვირა
- ერთი კვირა
- ორი საათი

11. ექსპერიმენტის თანახმად, რამდენი დრო დასჭირდება ქვის ნაჯახით 10 სმ დიამეტრის მქონე ხის მოჭრას?
    - ერთი წუთი
    - ნახევარი საათი
    - ერთი საათი
    - ორი საათი
12. საკუთრების გაბატონებული ფორმა მდინარულ ცივილიზაციებში იყო:
    - თემური
    - სახელმწიფო
    - სატაძრო
    - გლეხური
13. ვინ აშენებდა ეგვიპტურ პირამიდებს?
    - მონები
    - დაქირავებული მუშები
    - თავისუფალი გლეხები
    - მეომრები
14. რატომ შენდებოდა მოკლე ვადებში აღმოსავლეთის გრანდიოზული ნაგებობები?
    - მშენებელთა დიდი რაოდენობა
    - ამწევი მექანიზმების არსებობა
    - შრომის ორგანიზაცია

- ტირანული დისციპლინა

15. სპეციალისტების გაანგარიშებით, რა დროს დაიკავებდა ხეოფსის პირამიდის მშენებლობა დღეს?

- 10 წელს
- 20 წელს
- 30 წელს
- 40 წელს

16. ლატიფუნდია არის:

- თემური მეურნეობა
- მონათმფლობელური პლანტაცია
- სახელმწიფო საკუთრება
- კოლონია

17. სალთუსი წარმოადგენს:

- ლატიფუნდიის სახეობას
- თემურ მეურნეობას
- მამულს, რომელშიც კოლონები მუშაობენ
- გლხურ მეურნეობას

18. საირიგაციო ტექნიკა წარმოიშვა:

- ქვის
- სპილენძის
- რკინის
- ხის ბაზაზე

19. ძველი ეგვიპტის ყველაზე ძვირფასი ლითონია:

- ოქრო
- ვერცხლი
- სპილენძი

- □ რკინა

20. კაცობრიობის რომელ ტექნიკურ მიღწევას ქონდა ყველაზე დიდი მნიშვნელობა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის?

- □ უზანგს
- □ წრიულ გუთანს
- □ სამკალ მანქანას
- □ წყლის ბორბალს

21. მონობის ძირითადი დანიშნულება მდინარულ ცივილიზაციებში იყო:

- □ მწარმოებლური შრომა
- □ პოლიგამია
- □ ხელისუფლების პრესტიჟი
- □ მშენებლობა

22. ანტიკური მონათმფლობელობის მთავარი წყარო:

- □ გადახდის უუნარო მოვალეები
- □ სამხედრო ტყვეები
- □ მონათა ოჯახები
- □ მსჯავრდებული დამნაშავეები

23. ანტიკური ეკონომიკის კრიზისის მთავარი მიზეზი:

- □ მონების აჯანყებები
- □ ბარბაროსთა შემოსევები
- □ თავისუფალი გლეხობის ეკონომიკური სისუსტე
- □ ტექნიკური პროგრესი

24. რომაული კოლონები არიან:

- □ ყოფილი მონები

- ყოფილი თავისუფალი გლეხები
- ტყვეები
- კოლონისტები

25. უნაღდო ანგარიშსწორების მეთოდი ცნობილია

- ანტიკური დროიდან
- მე-16 საუკუნიდან
- მე-14 საუკუნიდან
- მე-10 საუკუნიდან

26. მოყვანილთაგან, რომელია იმის ყველაზე ლოგიკური განმარტება, რომ ზოგიერთმა ხალხებმა მონათმფლობელური ეკონომიკა ჩამოაყალიბა, ზოგმა კი - ფეოდალური?

- ხალხების ბუნებრივი მისწრაფებები
- ეკოლოგიის თავისებურებანი
- მეზობლებთან ურთიერთობები
- სამხედრო ტექნიკის დონე

27. მე-16 საუკუნემდე უმთავრესად სად გადამუშავდებოდა ინგლისური მატყლი?

- იტალია
- საფრანგეთი
- ესპანეთი
- ფლანდრია

28. შუა საუკუნეების ჩრდილო-ევროპული საქონელნაკადების ცენტრი იყო:

- ლონდონი
- ბრიუგგე

- [ ] გენტი
- [ ] ჰამბურგი

29. საამქროს წესით წარმოების დაწვრილებითი რეგლამენტირება განისაზღვრებოდა:

- [ ] მომხმარებელზე ზრუნვით
- [ ] ეკლესიის მოთხოვნებით
- [ ] პროფესიის მრესტიჟით
- [ ] ბაზრის სივიწროვით

30. თანამედროვე ბუღალტერიის სამშობლოა:

- [ ] ვენეცია
- [ ] პარიზი
- [ ] ანტვერპენი
- [ ] გენუა

31. მიწის გასასყიდი ღირებულების რა აწილი მოქონდა ფრანგი გლეხებისთვის მათ შრომას მე-14 და მე-15 საუკუნეებში?

- [ ] ნახევარი
- [ ] მეოთხედი
- [ ] მეათედი
- [ ] მეოცედი

32. ჯვაროსნული ომებიდან ყველაზე დიდ სარგებელს ნახულობდნენ:

- [ ] ევროპის გლეხები
- [ ] არაბი შეიხები
- [ ] იტალიური ქალაქები
- [ ] ევროპელი ფეოდალები

33. უდიდესი ევროპული ქალაქების მოსახლეობა შუა საუკუნეებში შედაგენდა:

- □ მილიონზე მეტს
- □ ნახევარ მილიონს
- □ ას ათასს
- □ ორმოცდაათ ათასს

34. ჩრდილო-ევროპული საქონელბრუნვის ძირითადი მუხლი იყო:

- □ პური
- □ ქონი
- □ ღვინო
- □ ქსოვილები

35. რომელი დროიდან არიან ცნობილი ბანკირები ევროპაში?

- □ მე-10 საუკუნიდან
- □ მე-12 საუკუნიდან
- □ მე-14 საუკუნიდან
- □ მე-16 საუკუნიდან

36. განზა წარმოადგნდა:

- □ სამეურნეო გაერთიანებას
- □ ქალაქების სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას
- □ სავაჭრო კორპორაციას
- □ კაპიტალების გაერთანებას

37. მიახლოვებით რა ეღირებოდა კოლუმბის ექსპედიცია დღეს, ანუ რა დაჯდა ამერიკის აღმოჩენა?

- □ 2-3 ათასი დოლარი

- 10-15 ათასი დოლარი
- 50-100 ათასი დოლარი
- 1 მლნ დოლარი

38. რომელმა მეცნიერმა დაამტკიცა პროტესტანტული ეთიკის სამეურნეო მნიშვნელობა?

- მარქსმა
- ვებერმა
- ზომბარტმა
- ბეკერმა

39. რომელ სახელმწიფოს ყავდა მე-16 საუკუნემდე მსოფლიოში უდიდესი ფლოტი?

- გენუას
- ინგლისს
- ვენეციას
- პორტუგალიას

40. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიაში ყველაზე წარმატებული როლი ეკუთნის:

- თურქულ ექსპანსიას
- დედამიწის სფეროსებრი ფორმის თეორიას
- კარაველას აგებას
- მე-15 საუკუნის დასავლეთევროპულ სოციალურ--ფსიქოლოგიურ კლიმატს

41. სამხრეთ საქონელბრუნვაში ევროპული იმპორტის მთავარი მუხლი იყო:

- აბრეშუმი
- ბამბა

- ☐ პილპილი
- ☐ ფუფუნების საგნები

42. მე-15 საუკუნის ქალაქი, რომელსაც ყველაზე დიდი მოსახლეობა ყავდა:

- ☐ ლონდონი
- ☐ პარიზი
- ☐ ვენეცია
- ☐ ფლორენცია

43. პირველ რიგში რამ განაპირობა ლითონის სამუშაო იარაღების გამოჩენა?

- ☐ მწარმოებლურობის ზრდამ
- ☐ მათი რემონტის შესაძლებლობამ
- ☐ ომის მოთხოვნებმა
- ☐ მადნების გავრცელებამ

44. ფეოდალური ინგლისის მთავარი განსხვავება ანალოგებისგან იყო:

- ☐ ზღვაოსნობა
- ☐ მეთევზეობა
- ☐ ნედლი მატყლი
- ☐ უცხოელი ფეოდალების დიდი რაოდენობა

45. ვასალიტეტის ეკონომიკური აზრი მდგომარეობდა:

- ☐ ბატონის ტყვეობიდან გამოსყიდვაში
- ☐ რენტის გადანაწილებაში
- ☐ წარმოების ხარვეზების აღმოფხვრაში
- ☐ არაეკონომიკურ ძალდატანებაში

46. XV-XVI საუკუნეების შავი ზღვისპირეთიდან ექსპორტის ძირითადი მუხლი იყო:

- ☐ პური
- ☐ ცოცხალი საქონელი
- ☐ იარაღი
- ☐ ოქრო

47. როგორ აღმოჩნდნენ ევროპელი გლეხები ფეოდალურ მორჩილებაში?

- ☐ სავალო კაბალა
- ☐ ძლიერთა პირადი მეურვეობა
- ☐ სულის გადასარჩენად
- ☐ სახელმწიფო მოხელეთა წინაშე დავალიანების შედეგად

48. რით აიხსნება შედარებით მცირე რაოდენობის კონკისტადორების მიერ დიდი და მრავალრიცხოვანი სახელმწიფოების დაპყრობა „ვესტ-ინდოეთში“?

- ☐ ცეცხლსასროლი იარაღის ქონით
- ☐ აბორიგენთა შიშით ცხენებისადმი
- ☐ ესპანელთა სისასტიკით
- ☐ ადგილობრივი სახელმწიფოების ზეცენტრალიზაციით

49. რით აიხსნება ელბის აღმოსავლეთით მცხოვრები გლეხების გვიანი დაყმევება?

- ☐ სლავების წინააღმდეგ აგრესიით
- ☐ „შავი სიკვდილით“

- ☐ პურის უმსხვილესი გადაზიდვებით დასავლეთისაკენ
- ☐ ტევტონური ორდენის განადგურებით

50. რომელი ქალაქი გახდა მსოფლიო ბაზრის პირველი ცენტრი?

- ☐ ლონდონი
- ☐ ანტვერპენი
- ☐ ამსტერდამი
- ☐ ლისაბონი

51. რაში მდგომარეობს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა?

- ☐ კოლონიალიზმის ჩამოყალიბება
- ☐ „ფასების რევოლუცია“
- ☐ მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბება
- ☐ ახალი სასაქონლო ასორტიმენტის ფორმირება

52. რაში მდგომარეობდა შემოღობვის პროცესი?

- ☐ სახნავის საძოვრად ქცევაში
- ☐ ნაკვეთების გამოყოფაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის
- ☐ საწარმოებისათვის მიწების გამოყოფაში
- ☐ საძოვრების სახნავად ქცევაში

53. რამდენი მონა იყო ჩრდილოეთ ამერიკაში იმ პერიოდში, როცა აშშ ყალიბდებოდა?

- ☐ 100 000
- ☐ 500 000
- ☐ 1 000 000

- 10 000 000

54. პირველი ავტომატური მექანიზმი იყო

- ქარის წისქვილი
- წყლის ბობალი
- სართავი მანქანა
- საათი

55. ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა გზები განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- ბუნებრივ-კლიმატური პირობები
- აბორიგენები და მათი მენტალიტეტი
- სანედლეულო ბაზა
- ევროპიდან გადმოსახლებულთა შემადგენლობა

56. სად გადამუშავედებოდა ინგლისური მატყლი XV-XVI საუკუნეებში:

- ნიდერლანდები
- იტალია
- ინგლისი
- ესპქნეთი

57. რომელი დარგი თამაშობდა მთავარ როლს მე-19 საუკუნის ინგლისის ეკონომიკაში?

- გემთმშენებლობა
- მეტალურგია
- ქვანახშირის მოპოვება
- საფეიქრო

58. ვინ ღებულობდა უმეტეს მოგებას თავისუფალი ვაჭრობიდან?

- ექსპორტიორები
- გემთმშენებლები
- მყიდველები
- ბანკები

59. საფრანგეთში რანტიერობის განსაკუთრებული განვითარების ძირითადი ფაქტორი იყო:

- ეროვნული მენტალიტეტი
- სოფლის მეურნეობის წარმოების წვრილ-სასაქონლო ხასიათი
- მძიმე მრეწველობის განუვითარებლობა
- ბანკების ბატონობა

60. რაში მდგომარეობდა XVI-XVIII საუკუნეების ამერიკული კოლონიების კვლავწარმოების ძირითადი მექანიზმი?

- ევროპიდან ემიგრაცია
- აზიიდან ემიგრაცია
- მონებით ვაჭრობა
- აბორიგენთა რიცხობრივი ზრდა

61. თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები აშშ-ში იყვნენ

- მეწამეები
- ფერმერები
- პლანტატორები
- ბანკირები

62. ინგლისური ბამბის ნართის ერთი გირვანქა XVIII საუკუნის ბოლოს ინგლისში ღირდა 35 შილინგი, ხოლო XIX საუკუნის შუაწლებში კი

- 3 შილინგი
- 10 შილინგი
- 100 შილინგი
- 1000 შილინგი

63. ინგლისის მიერ მსოფლიო სამრეწველო ჰეგემონიის დაკარგვის ძირითადი მიზეზია

- კაპიტალის გატანა
- მოძველებული ტექნოლოგიური ბაზა
- ნედლეულის დეფიციტი
- თავისუფალი ვაჭრობის მოცულობის კლება და დაცემა

64. პორტუგალიური კოლონიური სისტემის სპეციფიკა იყო

- პლანტაციური მეურნეობა
- ადგილობრივი ბანოვნებისადმი მორჩილება
- ფაქტორიების შექმნა
- მოსახლეობის მასობრივი გაკათოლიკება

65. საფრანგეთში სამრეწველო რევოლუციის გაჭიანურებული ვადების ძირითადი მიზეზი იყო

- ნაპოლეონის ომები
- ბანკების პოლიტიკა
- სანედლეულო ბაზის სიმცირე
- საინჟინრო აზრის სისუსტე

66. რომელმა აღმოჩენამ მისცა ბიძგი გერმანული ქიმიური მრეწველობის განვითარებასა და მეცნიერულ-ტექნიკური გადატრიალების დასაწყისს?

- მიტკლის მათეთრებლის
- ანილინის საღებავის
- სინტეთიკური ბოჭკოების
- ტყავის შემცვლელების

67. რამდენი ტრანსკონტინენტური რკინიგზა აშენდა აშშ-ში XIX საუკუნეში?

- ერთი
- ორი
- ოთხი
- ხუთი

68. "ფასების რევოლუციისგან" ვინ დარჩა ყველაზე უფრო დაზარალებული?

- ბურჟუაზია
- გლეხობა
- ფეოდალები
- სახელმწიფო

69. რაში მდგომარეობდა გერმანიის ნაგვიანევი ინდუსტრიალიზაციის უპირატესობები?

- ნაკლები დრო დასჭირდა ამისთვის
- მეტი კრედიტი
- მეტი იყო სახელმწიფოს როლი
- უფრო თანამედროვე და ახალგაზრდა ტექნოლოგიური ბაზა

70. რის გარანტიას იძლოდა გომსტედ-აქტი?

- ☐ პიროვნების ხელშეუხებლობის
- ☐ პიროვნების საცხოვრებლის ხელშეუხებლობის
- ☐ მიწის ნაკვეთის შეძენის
- ☐ იარაღის არსებობის

71. რაში მდგომარეობდა ფრანგული კაპიტალის გატანის სპეციფიკა?

- ☐ ინვესტირებაში
- ☐ სესხებში
- ☐ სამოკავშირეო დახმარებაში
- ☐ ქველმოქმედებაში

72. რისი დეფიციტი განაპირობებდა გერმანიის იმპორტს?

- ☐ კაპიტალის
- ☐ ნედლეულის
- ☐ სამუშაო ძალის
- ☐ ვალუტის

73. რა იყო გერმანული ექსპორტის მთავარი მუხლი?

- ☐ კაპიტალი
- ☐ სამუშაო ძალა
- ☐ ნედლეული
- ☐ მზა საქონელი

74. რაში მდგომარეობს ვაჭრობის თავისუფლება?

- ☐ შეღავათიანი პირობები
- ☐ გადასახადების ურთიერთგაუქმება
- ☐ ტექნიკური გაცვლა
- ☐ მესამე ქვეყნების გამორიცხვა

75. ძირითადი წინააღმდეგობა, რომელმაც გამოიწვია სამოქალაქო ომი აშშ-ში, განვითარდა:

- ბურჟუაზიასა და პლანტატორებს შორის
- ფერმერებსა და პლანტატორებს შორის
- პლანტატორებსა და მონებს შორის
- ფრიტრედერებსა და პროტექციონისტებს შორის

76. ვინ არიან სკვატერები?

- ფერმერები, რომლებიც თვითონ ისაკუთრებენ მიწას
- მოხელეები
- სოფლის მეურნეობის მუშაკები
- ქოვბოები

77. XX საუკუნის საფრანგეთის მთავარი ენერგეტიკული ბაზა იყო

- ორთქლის მანქანა
- ელექტრომოტორი
- დიზელი
- ორთქლის ტურბინა

78. ვისთვის იყო ხელსაყრელი ფრიტრეიდერობა XIX საუკუნის საფრანგეთში?

- გლეხებისათვის
- მეწარმეებისათვის
- ბანკირებისათვის
- სარკინიგზო მაგნატებისათვის

79. გერმანული კაპიტალი

- უშუალოდ მართავდა ქვეყანას

- ბატონობდა მხოლოდ კოლონიებში
- პოლიტიკაში საერთოდ არ ერეოდა
- ემორჩილებოდა ფეოდალებსა და მონარქიას

80. გერმანიის ეკონომიკური აღმავლობის ძირითადი მიზეზი XIX საუკუნეში?

- საფრანგეთზე გამარჯვება
- ქვეყნის გაერთიანება
- ნაგვიანევი სამრეწველო გადატრიალება
- შედარებით იაფი მუშახელი

81. XIX საუკუნის ბოლოს ინგლისურ ექსპორტში ჭარბობდა:

- სამრეწველო საქონელი
- კაპიტალი
- ნედლეული
- სესხები

82. აშშ მრეწველობაში მძიმე მრეწველობის დარგების ხვედრითი წილი 1870 წელს შეადგენდა

- 15%
- 25%
- 40%
- 50%

83. XIX საუკუნეში საფრანგეთში ორთქლის მანქანების პარკი განისაზღვრებოდა

- ათობით ცალით
- ათასობით
- ასობით

- ათობით

84. XIX საუკუნის ინგლისის კაპიტალის გატანის მთავარი მიმართულება იყო

- აშშ
- ბრიტანეთის კოლონიები
- რუსეთი
- ჩინეთი

85. ინგლისური საზოგადოების ძირითადი ცვლილება სამრეწველო გადატრიალების შემდეგ გახდა

- ახალი ქალაქები
- სიღატაკე
- კოლონიებში ემიგრაცია
- დასაქმება მრეწველობის დარგებში

86. გერმანული მონოპოლიების ძირითადი ფორმაა

- ტრესტი
- კარტელი
- კონცერნი
- სინდიკატი

87. ინგლისის წილი მსოფლიო საქონელმიმოქცევაში1870 წელს შეადგენდა

- 37%
- 47%
- 5%
- 67%

88. განვითარებული ქვეყნებიდან ყველაზე ინტენსიურად სამეურნეო დაგეგმვას გამოიყენებდა

- აშშ
- საფრანგეთი
- დიდი ბრიტანეთი
- ჰოლანდია

89. რამდენ კორპორაციად დაიშალა მონოპოლია „Standart Oil" ანტიტრასტული კანონის მიღების შემდეგ?

- ორად
- ოთხად
- შვიდად
- ათად

90. კოლონიური სისტემის დაშლის ყველაზე სერიოზული შედეგი გახდა:

- ევროპის ქვეყნების ეროვნული შემადგენლობის შეცვლა
- ნავთობის ფასების ცვლილება მსოფლიო ბაზარზე
- „მესამე სამყაროს" დაშლა
- ევროპის ეკონომიკური ინტეგრაცია

91. ელექტროენერგიის უმთავრესი საწარმოო უპირატესობაა

- წარმოების სისუფთავე
- მინიატურიზაცია
- წარმოების სივრცული დამოუკიდებლობა
- ტრანსმისიის გაუქმება

92. რომელი ქვეყანაა პირველ ადგილზე გაეროს სოციალური კრიტერიუმებით?

- აშშ

- კანადა
- ნიდერლანდი
- ნორვეგია

93. „ცივი ომის“ ძირითადი ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს

- ნედლეულის წყაროებისთვის ბრძოლაში
- მოკავშირეებისთვის ბრძოლაში
- ბაზრებისათვის ბრძოლაში
- შეიარაღების ესკალაცია

94. ვინ არიან კომპრადორები?

- თემური ბანოვნები
- სამხედრო დაჯგუფება
- ექსპორტული და იმპორტული საქონლის გამყიდველები
- კოლონიური წარმოების პერსონალი

95. ევროპული ინტეგრაციის ყველაზე რთული პრობლემაა:

- აგრარული ბაზრის ინტეგრაცია
- ვალუტის ინტეგრაცია
- სამუშაო ძალის ინტეგრაცია
- მომსახურების ინტეგრაცია

96. რომელი ქვეყანა დაზარალდა სხვაზე უფრო 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისისგან?

- ინგლისი
- გერმანია
- საფრანგეთი

- ☐ ჩეხეთი

97. რომელი ქვეყანა დაემშვიდობა კოლონიური მართვის სისტემას შეიარაღებული კონფლიქტების გარეშე?

- ☐ ბელგია
- ☐ ინგლისი
- ☐ საფანგეთი
- ☐ ჰოლანდია

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. Allais, M. 1975 'The general theory of surplus and Pareto's fundamental contribution', Convegno Internazionale Vilfredo Pareto (Roma 25-27 ottobre 1973), Atti dei Convegni Lincie 9, Roma: Accademia Nazionale Dei Lincei, pp. 109-163.
2. Allais, M. 1985 'The concepts of surplus and loss and the reformation of the theories of stable general economic equilibrium and maximum efficiency', Foundations of Economics: Structures of Inquiry and Economic Theory, M. Baranzini and R. Scazzieri (eds), Oxford: Basil Blackwell, pp. 135-174.
3. Colander, D. 2002 'The death of neoclassical economics' Journal of the History of Economic Thought, 22 (3), pp. 127-143
4. Ekelund Jr., R. B. and Hébert, R. F. 2002 'The origins of neoclassical microeconomics' Journal of Economic Perspectives, 16 (3), pp. 197-215.
5. Marchionatti, R. 1999 'The methodological foundations of pure and applied economics in Pareto: an anti-Walrasian programme' Revue Européenne des Sciences Sociales, 27(116), pp. 277-294.
6. McCloskey, D. N. 2002 'Other things equal: Samuelsonian economics', Eastern Economic Journal, 28(3), Summer, pp. 425 - 430
7. Samuels, W. J. (ed) 1998 European Economists of the Early 20th Century: Studies of Neglected Thinkers of Belgium, France, the Netherlands and Scandinavia, Cheltenham: Edward Elgar.

8. Samuels, W. J. (ed) 2003 European Economists of the Early 20th Century, Volume 2: Studies of Neglected Thinkers of Germany and Italy, Cheltenham: Edward Elgar.
9. Warren J. Samuels, Jeff E. Biddle and John B. Davis (eds) 2003 A Companion to The History of Economic Thought, Malden, Oxford, Melbourne and Kurfürstendamm, Blackwell Publishing ISSN 0-631-22573-0.
10. Samuelson, P. A. 2001 'On just how great 'great books are'', European Journal of the History of Economic Thought, 8(3), pp. 305-308.
11. Economics Program, University of Western Australia, Economics Program (M251),35 Stirling Highway, Crawley WA 6009, E-mail: Michael.McLure@uwa.edu.au. The author would like to thank John King and the two referees from the History of Economics Review for their useful comments.
12. Гусейнов Р. История экономики России. – Новосибирск, 1998.
13. История мировой экономики/Под ред. А.Н. Марковой, Г.Б. Поляка. – М., 1999.
14. История народного хозяйства. Словарь справочник/Под ред. А.Н. Марковой, –М., 1995.
15. Конотопов М.В., Сметанин С.И. Очерки истории экономики. М., 1993.
16. Тимошина Т.М. Экономическая история России. – М., 1998.
17. Хромов П.А. Экономическая история СССР:

первобытный и феодальные способы производства в России. – М., 1986.
18. Хромов П.А. Экономическая история СССР. Период промышленного и монополистического капитализма в России. – М., 1982.
19. Экономическая история зарубежных стран. Курс лекций/Под ред. Н.И. Полетаева, В.И. Голубович и др. – Минск, 1996.
20. Экономическая история капиталистических стран/Под ред. Ф.Я. Полянского, В.А. Жамина. – М., 1986.
21. Экономическая история капиталистических стран/Под ред. В.Т. Чунтулова, В.Г. Сарычева. – М., 1985.
22. Экономическая история СССР/Под ред. ВТ. Чунтулова, В.Г. Сарычева. – М., 1987.

ავტორების შესახებ

მაია ჩეჩელაშვილი. დამთავრებული აქვს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკის (მარკეტინგის) ფაკულტეტი, ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტურა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ სოციალური ფაკულტეტის დოქტორანტურა.

წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ევრორეგიონულ, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის, ახალციხის სახელმწიფო, თბილისის საერთაშორისო და სხვა უნივერსიტეტებში, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში. კითხულობდა ლექციებს ფინანსური მენეჯმენტში, მაკროეკონომიკაში, ეკონომიკურ ანალიზში, უძრავი ქონების შეფასებაში, ფულადი ნაკადების შეფასებასა და პროგნოზირებაში, ფინანსური აღრიცხვის ანალიზში.

მაია ჩეჩელაშვილი მუშაობდა ეკონომისტად ისეთ მსხვილ და მნიშვნელოვან საწარმოებში, როგორებიცაა რუსთვის მეტალურგიული კომბინატის ფოლადსადნობი საამქრო (მარტენი), რუსთავის საწარმოო გაერთიანება “აზოტის” ამონიუმის გვარჯილისა და აზოტმჟავის საამქროები. დროთა განმავლობაში იყო ფირმის “ფლორეალი” ფინანსური მენეჯერი, რუსთავის საწარმოო გაერთიანების “თეთნულდი” გენერალური დირექტორის მრჩეველი ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში.

არის ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, ევროპის სამეცნიერო გაერთიანების „East-West“ სამეცნიერო ჟურნალის ოფიციალური რეცენზენტი და საქართველოში მისი სერტიფიცირებული წარმომადგენელი. მიღებული აქვს მონაწილეობა 15-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაში, არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ეკონომიკური ანალიზისა და მენეჯმენტის დარგში, მათ შორისაა სახელმძღვანელოები „ბიზნესის ფაქტორული ანალიზი“, „ინოვაციური მენეჯმენტი“, „შედარებითი მენეჯმენტი“, „ინოვაციური ბიზნესი“ და სხვა. არის ინგლისურ-რუსულ-ქართული ეკნომიკის განმარტებითი ლექსიკონის ავტორი. კითხულობს ლექციებს ქართულად, რუსულად და ინგლისურად.

ნინო შავიშვილი. 1987 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით.

1997 წელს დაასრულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა „კლიმატოლოგია, მეტეოროლოგია, აგრომეტეოროლოგიის“ სპეციალობით.

2009 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა გეოგრაფიის აკადემიური დოქტორის ხარისხი.

1987 წლიდან მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში (ყოფილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი). არის ამავე ინსტიტუტის კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.

ამავე დროს მუშაობს 150-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგად. არის საქართველოს გეოგრაფიის მასწავლებლების ასოციაციის გამგეობის წევრი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ხელმძღვანელი.

გამოქვეყნებული აქვს 31 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 1 მონოგრაფია. მომზადებული აქვს 5 სალექციო კურსი. აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში.